ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით ფასი: 1 ლარი
№33
14-20.VIII
2013

სარკე

ანი ტყებუჩავა ცოლად რეჟისორს გაჰყვა გვ.7

მაკა მეტრეველი: „იმის გაფიქრებაც მზარავს, რომ შეიძლება პირველი ლედი გავხდე!“ გვ.24

დავით ბაქრაძე: „ვნანობ, რომ ჩემი ცოლის მოტანილ ჭორებს არ ვუჯერებდი“

ეკა დემეტრაძე: „სანდრეჟესასთან კოცნის ეპიზოდი გამიჭირდა“

გიორგი: „თანავუგრძნობ ყველა ქალს, რომელიც ნატაშკას ადგილზე აღმოჩენილა“

„გიორგი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პერსონაჟია“

ეჭვიანობს თუ არა გიორგი ბოჭორიშვილი ცოლის სასიყვარულო სცენების გამო გვ.6

სალომე გოგიაშვილი ქმარს გოგონას უჩენს გვ.22

გვ.36

დიმიტრი ლორთქიფანიძე და მისი ცოლი მერვე შვილს ელოდებიან

გვ.31

ზურა ხაჩიძე: „ქართველ მომღერლებს ჩვენი დაბრუნება არ გაუხარდათ“



გვ.41

გიორგი ვარდოსანიძე: „ვალები მაქვს და ფული ნიკა არაბიძემ მასესხა“

ISSN 1987-9369

სარკე + „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“
მე-8 ტომი
ფასი ჟურნალთან ერთად 10 ლარი

„ჩემი ვაჟი ცოლის ყოფილ შეყვარებულთან ძმაკაცობს“ გვ.13

ასმათ ტყაბლაძემ ფრანგ მზარეულს ტირამისუს მომზადება ასწავლა

გია ხუხაშვილის გადაცემა დაიხურა

ელენე ფოჩხუა: „ჩემი ძმის მკვლელობაში ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობდნენ“

ნინო ჩხეიძე: „ვანო მერაბიშვილი და მთელი მისი ოჯახი ჩემი მეგობარია“

მაია ბარათაშვილი: „იყო მინიშნებები, რომ ბიძინა ივანიშვილმა ფული გადამიხადა“



როგორ ებრძვის ცელულიტს თამთა შედანია

პაატა იაკობაშვილი: „მსიამოვნებს, როცა ვხედავ, ქალი საჭესთან როგორ იპრანჭება“

ქართველი სამურაის იაპონური ცხოვრება

ნომერში

ცოლ-ქმრის კლუბი

ეჭვიანობს თუ არა გიორგი ბოჭორიშვილი ცოლის სასიყვარულო სცენების გამო 6

ნაცნობი სახე

ნინო ჩხეიძე: „ჯანო მერაბიშვილი და მთელი მისი ოჯახი ჩემი მეგობარია“ 8

აქტუალური თემა

სტალინის ძეგლი — შემოსავლიანი ადგილი გორისთვის 10

გულახდილი საუბრები 12-13

გახმაურებული საქმე

ელენე ფოჩხუა: „ჩემი ძმის მკვლელობაში ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობდნენ“ 14

პოლიტიკა

- მამუკა არეშიძე: „გამოდის, სააკაშვილი რუსეთთან საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციით ვაჭრობდა“ 16
- მანანა ნაჭყებია: „ჯერ ვხედავ ვერც ერთ მიზეზს, რატომ შეიძლება იგანიშვილი წავიდეს“ 17
- გიორგი ვაშაძე: „ცხინვალში არეულობა თუ გაგრძელდა, ხელისუფლებას ისევ მოუწევს ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადება“ 19

ოჯახური სიხარული

სალომე გოგიაშვილი ქმარს გოგონას უჩენს 22

ოჯახური პოლიტიკა

დავით ბაქრაძე: „ჯანობ, რომ ჩემი ცოლის მოტანილ ჭორებს არ ვუჯერებდი“ 24

კინონოსტალგია

ნანა მჭედლიძის იმერული შედეგრი 26

მოზარდები 28-29

ეტაპი

- მაია ბარათაშვილი: „იყო მინაშნებები, რომ ბიძინა ივანიშვილმა ფული გადამიხადა“ 30
- ზურა ხაჩიძე: „ქართველ მომღერლებს ჩვენი დაბრუნება არ გაუხარდათ“ 31

სამზარეულო

ასმათ ტყაბლაძემ ფრანგ მზარეულს ტირამისუს მომზადება ასწავლა 32

ავტომოყვარული

პაატა იაკობაშვილი „გიყვიით მოძრაობაში“ დაღუპვას გადაარჩინა 33

ასპარეზი

ქართველი სამურაის იაპონური ცხოვრება 35

მოლოდინი

დიმიტრი ლორთქიფანიძე და მისი ცოლი მერვე შვილის მშობლები ხდებიან 36

ცხოვრების გაკვეთილები

დათო იმედაშვილი: „17 წლის ასაკში მამობა ჩემთვის სიურპრიზი იყო“ 38

სარკის წინ

როგორ ებრძვის ცელულიტს თამთა შედანია 40

შოუს ბიჭები

გიორგი ვარდოსანიძე: „ვალები მაქვს და ფული ნიკა არაბიძემ მასესხა“ 41

ცხოვრება ჩემოდნებზე

რატომ ვერ მოსვდა ნიუ იორკის ჯაზკლუბებში ზაზა მიმინოშვილი 43

მეგზური

თიმფუ — ჰიმალაიის იდუმალი ზღაპარი 45

მხოლოდ ქალებისთვის

- ბოსტნეული სილამაზის სამსახურში 48
- ზაფხულმა კანი რომ არ დაგვიბეროს 48

დედიკოების სკოლა

ზაფხულში პატარების კუჭ-ნაწლავს საფრთხე ემუქრება! 49

ჩემი მშვენიერი ლედი

ირაკლი აბუსერიძემ ცოლი თვითონ გამოზარდა 50

სპორტის მიღმა 51

ადამიანის ინსტიტუტი 52

ირაკლი კაკაბაძე მდიდრების დაყაჩაღებას იწყებს

„თუ ბიძინა ივანიშვილი ცუდად მოიქცევა, ისიც უნდა განეპირო!“

ეწერალი, პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე თანამედროვე არსენა ოძელაშვილებს ეძებს. მდიდრისთვის წართმევა და ღარიბისთვის მიცემა, მისთვის იდეაფიქსად იქცა. ამ იდეის განსახორციელებლად მზადაა, ციხეშიც კი წავიდეს. პირველ რიგში, კახა ბენდუქიძის დაყაჩაღებას აპირებს, როგორც მდიდრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის. „ბენდუქიძინაირი მსხვილი ფინანსური დუნდულის მქონე ადამიანს უნდა ჩამოეჭრას დუნდული და დაურიგდეს ქართული გეტოების, ქართული სოფლის მოსახლეობას“, — დაუფარავად აცხადებს კაკაბაძე.

„დუნდულის ჩამოჭრის“ პრინციპი კი ასეთია — თუ გაჭირვებული ხალხის დახმარებაზე უარს იტყვიან ისინი, ვისაც ბიზნესიდან დიდი მოგება აქვთ, შესაძლოა ერთ დღეს თავიანთ საბანკო ანგარიშებზე იმდენი თანხა აღარ დახვდეთ, რამდენიც ეგულებათ. ირაკლი კაკაბაძე და მისი მეგობრები ჰაკერების ჯგუფს ამზადებენ, რომლებიც ამ ანგარიშებიდან თანხებს მოხსნიან და გაღატაკებული მოსახლეობისთვის გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხავენ.

ეს ყველაფერი ალბათ ხუმრობად გეჩვენებათ. თავიდან ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ ირაკლი კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები სრული სერიოზულობით არიან მომართული.

გვ.20

სახალისო 56-57

იყავით ჯანმრთელი 58-59

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ბედნიერების ძიებაში“ (გაგრძელება, დასაწყისი №30-32) 66
- ლელა ცუცქირიძე — „წითელი ბოტები“ 68

TV ამბები

გია ხუხაშვილის გადაცემა დაინურა 71

წმინდანები

ღვთის ნება თვითონ გაცხადდება და არა დაძალებით ან კაცთა ჩარევით, ჩვენი ვალია, ვმადლობდეთ 72

კითხვები მოძღვარს

„აღთქმის დადებას უნდა მოვერიდოთ და თუ მაინც დავდეთ, ყოველნაირად უნდა შევეცადოთ აღსრულებას“ 74

№33(799) 14 — 20 აგვისტო, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 12.08.2013, 21.00 სთ-ზე.

პრემიერმინისტრს ბრილიანტის ბეჭდის ჩუქების გამო უჩივიან

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ქმედების შესწავლას და სამართლიან რეაგირებას მოითხოვს. საქმე ეხება 2013 წლის 11 აგვისტოს აჭარის ტელევიზიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილმა „შუამთობა 2013“ დღესასწაულის აღნიშვნის დროს ახალდაქორწინებულ გუნდალაძეების ოჯახს საჩუქრად ბრილიანტის ბეჭედი გადასცა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ მიიჩნევს, რომ პრემიერმინისტრის მიერ ამომრჩევლისათვის საჩუქრის გადაცემის ფაქტი შესაძლოა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს, რაც დამოკიდებულია საჩუქრის ღირებულებაზე.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ნინო ლომჯარიას განმარტებით, თუ პრემიერის მიერ გადაცემული საჩუქარი არ აღემატება 100 ლარს, მაშინ შესაძლოა სახეზე გვქონდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

— „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 252-ე მუხლის თანახმად: „პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა“. თუ პრემიერის მიერ გადაცემული საჩუქრის ღირებულება აღემატება 100 ლარს, მისი ქმედება შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641-ე მუხლის თანახმად, „საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ამომრჩევლისათვის ქონების გადაცემა ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით“, — აღნიშნავს ლომჯარია.

ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის სამართალდარღვევა უნდა დაადასტუროს სასამართლომ. არასამთავრობო ორგანიზაცია მიმართავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს პროკურატურას, შეისწავლოს აღნიშნული ფაქტი და მასზე სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს.

სააკაშვილ-ივანიშვილის პინგ-პონგი ამერიკულ გემზე

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ პრემიერ ბიძინა ივანიშვილისადმი გაკეთებული მიმართვის გამო ბათუმში, ამერიკული სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდზე გამართულ საზეიმო მიღებაზე, უხერხული სიტუაცია შეიქმნა.

სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა ივანიშვილს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებისას დაფიქრებისკენ მოუწოდა, რაზეც პრემიერმა პრეზიდენტს საუბარი შეაწყვეტინა და ურჩია, თავად დაფიქრებულიყო მომხდარზე.

— პრემიერმინისტრმა თქვა, ჩვენ სიმშვიდით ვხვდებით იმას, რომ საქართველოს რამდენიმე ადგილას მავთულხლართებმა გადმოიწია. ის ხალხი, ვისაც წაართვეს წყალი, ვენახი ან საძოვარი, ძნელია, ამას მშვიდად შეხვდეს. მე მათი მშვენივრად მესმის და ალბათ პრემიერმინისტრიც გაუგებს მათ. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ თუ რუსები მომდევნო ნაბიჯად მავთულხლართებს განმუხურისკენ გადმოსწევენ და შიგნით მოიქცევენ ამ აყვავებულ ადგილს, მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი და უბრალოდ როგორც საქართველოს მოქალაქე, ამას მშვიდად ვერ შევხვდავ და ვერც მათ შევხვდავ მშვიდად, ვინც აღნიშნულს მშვიდად შეხვდება.

ამავე გამოსვლაში მე მოვისმინე პრემიერისგან, რომ რუსეთი აგრესორია და ამას მივესალმები, სწორი თეზისია, მაგრამ იმავე დროს გაიჟღერა, რომ ქართულ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ომზე. რა თქმა უნდა, მე მეკისრება ამაზე პასუხისმგებლობა, მაგრამ უნდა ითქვას, რა იგულისხმება პასუხისმგებლობაში. დაღუპული ბიჭების მშობლები გრძნობენ

პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე და მის მომავალზე და ამ პასუხისმგებლობას ჩვენ ყველა მივესალმებით.

მე კატეგორიულად უარვყოფ, რომ საქართველოს რაიმე პასუხისმგებლობა აქვს 2008 წლის ომზე და მინდა, სრული კატეგორიულობით გითხრათ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ იმედია, თქვენ დაუფიქრდებით ამ საკითხს, რადგან ვინც ამას ამბობს, ან არ უყვარს საქართველო, ან აქვს სხვა სახის პრობლემები, ან არის შეკრული საქართველოს მტერთან. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ არა ხართ შეკრული საქართველოს მტერთან, — მიმართა პრეზიდენტმა პრემიერმინისტრს.

პირველი პირების მისალმების შემდეგ ივანიშვილი სააკაშვილის გულზე დაბნეული ყაყაჩოთი დაინტერესდა და ჰკითხა, რა არის ეს, რა გიკეთიაო. სააკაშვილმა ყაყაჩოს შოვნაში დახმარება შესთავაზა. მერე კი განუმარტა, რომ ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების სიმბოლო იყო.

ხომალდზე პრემიერი ოჯახთან ერთად იმყოფებოდა. მიღებაზე იყვნენ ასევე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე.

სააკაშვილის სიტყვების გამო სტუმრებს ბოდიში მოგვიანებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა მოუხადა.

— სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ შეძლო, დაერღვია ყველა რიგი და წესი ასეთი შეხვედრების და ოფიციალური გამოსვლების შემდეგ, მეც მომიწია გარკვეული მობოდიშება ჩვენი სტუმრებისთვის. ასეთ ღონისძიებებს თავისი ფორმატი და თემატიკა აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი ამას დიდი ხანია აღარ დაგიდევთ. მან სრულიად უადგილო თემები წამოსწია, მაგრამ ჩვენ ამას მიჩვეული ვართ, უბრალოდ არ ველოდი, რომ ჩვენი სტუმრების თანდასწრებით ამას გააკეთებდა. ვფიქრობ, უკვე ყველა გაგებით ეკიდება ასეთ მოვლენებს, — განაცხადა უსუფაშვილმა.

მეორე დღეს სააკაშვილის სიტყვებზე კომენტარი ბიძინა ივანიშვილმა ნოქალაქევში ყოფნისას გააკეთა. შეწუხდა მთელი ხალხი და მეც შევწუხდიო, აღნიშნა პრემიერმა.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჟღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

ამერიკელების დასკვნა — ხსნა თუ დაღუპვა მერაბიშვილისთვის

ორგანიზაციამ „თავისუფალი ზონა“ 2011 წლის 26 მაისის შესახებ ამერიკული მხარის დასკვნა გაავრცელა. მათი ინფორმაციით, დოკუმენტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებითა და დაფინანსებით ამერიკულმა ფირმა „დენსუსმა“ მოამზადა. დასკვნაში წერია:

„ეს საქციელი შეიძლება გავიგოთ, როგორც პირდაპირი პროვოკაცია მომიტინგეთა მხრიდან. ოპერაციის დაწყების წინ პოლიციამ მომიტინგეებს შესთავაზა მიტინგის სხვა ადგილზე გადატანა. ოპერაცია დაიწყო იმით, რომ პოლიციელთა ერთმა ჯგუფმა გადაჭრა ტროსები და პარლამენტის სამხრეთ მხარეს ბარიერები დაშალა, რათა მომიტინგეებს შეძლებოდათ გაცლა. ამის შემდეგ პოლიციის მთავარი ძალები დაიძრნენ ჩრდილოეთიდან. ადგილზე მყოფი 1000 მომიტინგიდან 200-მა წინააღმდეგობა გაუწია. მომიტინგეები შეიარაღებული იყვნენ ფარებითა და ხელკეტებით. არსებობს მტკიცებულებები, რომ მათ ჰქონდათ მოლოტოვის კოქტეილები. არის ასევე ინფორმაცია, რომ მომიტინგეთა შორის ცალკეულ პირებს ლეგალურად ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი.

რამდენიმე მანქანა, რომელიც პროექტის ორგანიზატორებსა და მათ მცველებს ეკუთვნოდა, თავისუფლების მოედნისაკენ დაიძრა და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ დაკავების ჯგუფს შეხვდა, რომელთა მიზანი კანონდამრღვევთა დაკავება იყო. მანქანები არ გაჩერდნენ, გაიარეს პოლიციის რიგებში. შედეგად დაშავდა 5 პოლიციელი, გარდაიცვალა ერთი პოლიციელი და სამოქალაქო პირი. ოპერაციის ტაქტიკური გეგმა იყო სრულფასოვანი და ის გაცნობილი ჰქონდა დანაყოფების მეთაურებს... თავდაპირველად გამოყენებული რესურსები, მათ შორის არასასიკვდილო და სპეციალური დანიშნულების საშუალებები, იყო თითქმის მთლიანად ადეკვატური მოსალოდნელი საფრთხის.

არსებობს აშკარა მტკიცებულებები, რომ ოფიცერთა ძალიან მცირე ჯგუფის მიერ ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებულ გამოყენებას. შეშფოთებას იწვევს სოციალური საშუალებების ზედმეტად აგრესიული გამოყენების შემთხვევებიც, როდესაც ამის საჭიროება არ იყო, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ 26 მაისის ღამეს ოფიცერთა უდიდესი უმრავლესობა მოქმედებდა დისციპლინირებულად, მუდმივად ასრულებდა ბრძანებებს და მიზნის მისაღწევად პროპორციულ და აუცილებელ ძალას იყენებდა. ეს ნათლად არის დადასტურებული“.

აღნიშნული დოკუმენტი მერაბიშვილის საქმეში უკვე დევს. მისი ადვოკატი გიორგი ჩივაშვილი კი მოითხოვს, რომ, ამ დოკუმენტიდან გამომდინარე, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს ან, უკიდურეს შემთხვევაში, აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო შეეფარდოს.

ადვოკატისგან განსხვავებით, მთავარი პროკურატურა მიიჩნევს, რომ ამერიკული კომპანია „დენსუსის“ მიერ გადაცემული დასკვნა არათუ ეწინააღმდეგება ივანე მერაბიშვილისთვის შერაცხულ ბრალდებას, არამედ ავსებს მას და ადასტურებს ამ ბრალდების დასაბუთებულობასა და კანონიერებას.

— კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ივანე მერაბიშვილისათვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით, მან, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, გასცა უკანონო ბრძანებები, რომელთა საფუძველზე საპოლიციო ქვედანაყოფებმა დაარღვიეს მიტინგის დაშლის წინასწარ მომზადებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული გეგმა, რომლის მართლზომიერება და მიზანშეწონილობა გაზიარებულია ზემოაღნიშნული დასკვნითაც. შედეგად, დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო ათეულობით ადამიანმა, ხოლო ორი გარდაიცვალა, — განმარტავს პროკურატურა. იქვე მიუთითებს, რომ დასკვნის შედგენისას „დენსუსი“ შსს-ს მიერ მიწოდებული, ცალკეულ შემთხვევებში ცრუ, ინფორმაციებითა და მასალებით ხელმძღვანელობდა.

პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით უტყუარად დადგენილია, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირების მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოახდინა თვალთმაქცური რეაგირება და ჩადენილ დანაშაულში ივანე მერაბიშვილის მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით მოჩვენებითად დასაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 16 თანამშრომელი, რომელთაგან ნაწილი საერთოდ არ იმყოფებოდა მიტინგის ტერიტორიაზე, ნაწილი კი უშუალოდ არ იღებდა მონაწილეობას მიტინგის დაშლაში. 3 მათგანი დასჯის შესახებ ბრძანების გამოცემამდე საკუთარი ნებით უკვე გათავისუფლებული იყო შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

— შესაბამისად, კომპანია „დენსუსის“ დასკვნა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ახალგამოვლენილი გამამართლებელი მტკიცებულება. მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია სამართლებრივი მანიპულაციისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენს, — აცხადებს საქართველოს მთავარი პროკურატურა.

ზურაბ ხარატიშვილი პრეზიდენტობას აპირებს?

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ მის მოულოდნელ გადაწყვეტილებაზე ცესკო-ში არ საუბრობენ. როგორც კომისიის სპიკერი ეკა აზარაშვილი ამბობს, ხარატიშვილი გადადგომის მიზეზებზე 15 აგვისტოს გააკეთებს განცხადებას.

— 15 აგვისტოს თავად აპირებს ზურაბ ხარატიშვილი განცხადების გაკეთებას იმის შესახებ, თუ რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. მე, როგორც ცესკო-ს სპიკერი, მის პირად გეგმებთან დაკავშირებით ვერ ვისაუბრებ, — აღნიშნა აზარაშვილმა.

მან განმარტა, რომ ხარატიშვილმა პარლამენტს განცხადებით 12 აგვისტოს მიმართა, პარლამენტმა კი გადაწყვეტილება 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიიღოს. თუ პარლამენტმა ამ ვადაში ვერ მიიღო გადაწყვეტილება, თავმჯდომარე ავტომატურად გადამდგარად ჩაითვლება ამ ვადის გასვლის მომდევნო დღიდან. მის ფუნქციებს კი ახალი თავმჯდომარის არჩევამდე მისი მოადგილე დავით კირთაძე შეასრულებს.

12 აგვისტოს, საღამოს „პირველმა რადიომ“ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზურაბ ხარატიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატი გახდება. ინფორმაცია „პირველ რადიოს“ ხარატიშვილთან დაახლოებულმა პირმა მიაწოდა, რომელმაც საკუთარი ვინაობა არ გაამხილა. მისი თქმით, ხარატიშვილი ამასთან დაკავშირებით განცხადებას 15 აგვისტოს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გააკეთებს.

ბიძინა ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილს გასამარჯვებლად თავისი „თილისმა“ გადასცა

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. სტარტი სამეგრელოდან, ნოქალაქევიდან აიღო. „ოცნების“ რჩეული საზოგადოებას ოფიციალურად პრემიერმა წარუდგინა. ივანიშვილის თქმით, „ქართული ოცნება“ არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ღირსეული კანდიდატი ჰყავს და ის ყველას პრეზიდენტი იქნება.

— უნდა დავამკვიდროთ დემოკრატიული აზროვნების სტილი. ამომრჩეველს ვთავაზობთ კანდიდატს, რომელიც ჩვენი საზოგადოების წევრია. მას საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს საზოგადოებაში. გიორგი საოცრად უშუალო, ინტელექტუალური ადამიანია. იგი არც ერთი პარტიის წევრი არ არის. იმედი მაქვს, საპრეზიდენტო არჩევნებით ჩვენ კიდევ ერთ ტესტს ჩავაბარებთ. ჩვენ ვართ ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ჰყავს ღირსეული კანდიდატი. ღრმად მწამს, რომ მარგველაშვილის გამარჯვებით საქართველო წინსვლის და დემოკრატიის განვითარების გზას დაადგება. იგი გაამართლებს ყველა ამომრჩევლის იმედებს. გიორგი მარგველაშვილი ყველას პრეზიდენტი იქნება, — განაცხადა ივანიშვილმა და სიტყვის დასრულების შემდეგ გიორგი მარგველაშვილს სიმბოლურად საჩუქრად ის კალამი გადასცა, რომლითაც არჩევნების პროცესში თავად სარგებლობდა. მისი თქმით, სიმბოლურად ეს კალამი მისთვისაც გამარჯვების მომტანი იქნება.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ეჭვიანობს თუ არა გიორგი ბოჭორიშვილი ცოლის სასიყვარულო სცენების გამო

ეკა: „სანდრექსასთან კოცნის ეპიზოდი გამიჭირდა“

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მესამე სეზონის ბოლო ინტრიგა ნატაშკას და სანდრექსას რომანი იყო. მოვლენების ასეთ განვითარებას ნატაშკას როლის შემსრულებელი ეკა დემეტრაძე ნამდვილად არ ელოდა. სანდრექსასთან კოცნის ეპიზოდზე კი ბევრი ინერვიულა. სირთულე ქმრის, მსახიობ გიორგი ბოჭორიშვილის დახმარებით გადალახა, რომელიც იმავე სერიალში თამაშობს გოცირიძეების კარის მეზობლის, ზაზას როლს.

გიორგის და ეკას სიყვარულის ისტორია 5 წლის წინ ბათუმში დაიწყო. დღეს კი 4 წლის თომა ჰყავთ. მათი ოჯახური ცხოვრება გულახდილობაზეა დაფუძნებული. ორივე ირწმუნება, რომ ერთმანეთისგან ერთი საიდუმლოც კი არ აქვთ. თავიანთ პერსონაჟებს რადიკალურად ემიჯნებიან. ცხოვრებაში გიორგი სულ სხვანაირი ქმარია და ეკაც — სულ სხვანაირი ცოლი.

— როგორია თქვენი სიყვარულის ისტორია?

გიორგი: ეკა პირველად თეატრალურში სადიპლომო სპექტაკლში ვნახე, მომეწონა, მაგრამ ისიც შევიტყვე, რომ შეყვარებული ჰყავდა, ამიტომ მისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. ასე ვთქვათ, ეკას მიმართ თავი შევიკავე. მოგვიანებით სრულიად შემთხვევით ბათუმში შევხვდი. ორივენი საერთო მეგობრის სახლში მოვხვდით და უკვე გავიგე, რომ შეყვარებულს დაშორებული იყო. ყველაფერი აქედან დაიწყო.

ეკა: ყოველთვის მესმოდა, რომ გიორგი იყო ძალიან კარგი, პატიოსანი და კეთილი ადამიანი. უბრალოდ თეატრალურ ინსტიტუტში ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვქონდა. მართლაც სრულიად შემთხვევით გადავეყარეთ ერთმანეთს ბათუმში. ვერაფრით ვხსნი, რატომ გადავწყვიტე ჩემს მეგობართან ბათუმში წასვლა, სადაც გიორგი გავიცანი. ისე გავყევი ცოლად, მიზეზი რომ გეკითხათ, ნამდვილად ვერ დაგისახელებდით. რაღაცნაირად ინტუიციურად ვგრძნობდით, რომ ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმოდა. ურთიერთობაში ძალიან გახსნილი იყო და მეც ასეთი გავხდი, ეს იყო ყველაზე დიდი კომფორტი. პირველად ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი თავისუფლება ვიგრძენი ბიჭთან ურთიერთობაში და ამ თავისუფლებამ უფრო მეტად მიმაჯაჭვა გიორგის.

— ანუ ამართლებს, როცა ცოლ-ქმარს შორის არაკითარი საიდუმლო არ არსებობს?

ეკა: მსმენია, ჯობია, ცოლ-ქმარმა ერთმანეთზე ყველაფერი არ იცოდნენო, მაგრამ მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ იმდენად დავუკავშირდით ერთმანეთს, რომ გულწრფელად შემიძლია ვთქვა: გიორგისთან ერთი საიდუმლოც კი არ მაქვს. ვერც ერთ მეგობარს ისე თავისუფლად ვერ ველაპარაკები ჩემს საიდუმლოებებზე, როგორც ქმარს. როცა გვერდით გყავს ადამიანი, რომელსაც შეგიძლია ყველაფერი გაანდო და ის გვერდით დაგიდგება, ეს უფლის საჩუქარია და თუ ეს ადამიანი ქმარია, ხომ საერთოდ!

ეკა: „გიოჰგი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პერსონაჟია“.

გიორგი: გარდა იმისა, რომ ეკა მიზიდავს, მიყვარს, ის ჩემი ყველაზე დიდი ახლობელია. ჩვენს ურთიერთობაში მთავარია, რომ აბსოლუტურად ვუგებთ ერთმანეთს. ძალიან სწრაფად მივიღეთ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება. ეს ისეთი გრძნობა იყო, რომ დიდიხნის ფიქრი არ დასჭირვებია.

— რა ტიპის წყვილი ხართ, რომანტიკული თუ რეალისტი?

ეკა: გიორგი ტიპური რომანტიკული მამაკაცი არ არის. ჩვენს ურთიერთობაში არ ყოფილა ისეთი მომენტები, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდები. ჩვენ ჩვენებური ურთიერთობები და ჩვენებური რომანტიკა გვაქვს. მაგალითად, პირველი ჩვენი პაემანი ვაკის პარკში შედგა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამხელა გოგო ბიჭს პაემანზე ვაკის პარკში შევხვდებოდი, თან ეს იყო გვიან ღამით წვიმაში. გიორგიმ ერთი ჯიბიდან ღვინის ბოთლი ამოიღო, მეორედან — ორი ჭიქა...

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. პირველი პაემნიდან ორთვენახევარში გავყევი ცოლად. ყოველთვის ისეთი დამოკიდებულება მქონდა, რომ ჯერ კარიერა უნდა მომეწყო და მერე მეფიქრა ოჯახზე. ჩემი მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ კარგა ხანი არ გავთხოვდებოდი. ისე გავყევი გიორგის, ჩემი მეგობრებიც კი არ იცნობდნენ მას. გიორგი მამაჩემის გასაცნობად რომ მოვიდა სახლში, ძალიან ვნერვიულობდი, როგორ გაუგებდა ეს ორი კაცი ერთმანეთს. ორი საათი ფეხბურთზე ილაპარაკეს და ისე დაახლოვდნენ, გაოგნებული დავრჩი.

გიორგი: „თანავუგრძნობ ყველა ქალს, რომელიც ნატაშკას ადგილზე აღმოჩენილა“

— ტრადიციული ქორწილი გადაიხადეთ?

ეკა: ჯვარი გერგეთის სამებაში დავიწერეთ, გვინდოდა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩვენს ცხოვრებაში კიდევ უფრო გამორჩეული ყოფილიყო. არ გვინდოდა, უბრალოდ ერთ მშვენიერ დღეს წავსულიყავით ეკლესიაში, ჯვარი დაგვეწერა, საღამოს სადმე დავმსხდარიყავით. ამ გადაწყვეტილებამ ჩვენი ოჯახები შოკში ჩააგდო, მაგრამ ჩვენი გავიტანეთ და დღემდე ყველას საუკეთესო მოგონებად აქვს ჩვენი ჯვრისწერის დღე.

რამდენიმე თვის შემდეგ ხელიც მოვაწერეთ და ესეც ორიგინალურად. კობის გადასახედთან, ტრიალ მინდორზე მოვაწყვეთ ხელისმოწერის ცერემონიალი. ელიავაზე მე და გიორგი დავდიოდით, რკინის კონსტრუქციებს ვაკეთებდით, რომ სადღესასწაულო გარემო შეგვექმნა. მინდორში ბიაზი დავაფინეთ. გვქონდა ძალიან ბევრი ხილი, ღვინო, მუსიკა და მეტი არაფერი. სტუმრები ცოტა გაკვირვებულები კი იყვნენ, საჭმელი რომ არ გვქონდა. მერე გიორგის მეგობრებმა გრილი ამოიტანეს და სოსისებს წვავდნენ. ასე, ჰოთ დოგებით აღვნიშნეთ ჩვენი ქორწილი. სამაგიეროდ, ეს დღეც ყველას დაამახსოვრდა.

გიოჰგი: „ეკას სასიყვარულო სცენების აღქმა ცოტა უხეხული იყო ჩემთვის, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნება გვეჰდზე გადავდე და ყველანაირად შევეწყვე ხელი, ჰომ თავისი პერსონაჟის ემოციები გადმოეცა. მე და ეკამ აჩრევანი დიდი ხნის წინ გავაკეთეთ, ჰოცა მსახიობები გავხდით, ამიტომ ჩახუტება იქნება, ჯოცნა თუ სასიყვარულო ხაზი, ამისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ“.

— გიორგი, ქმრის როლში როგორ შეხვედით?

გიორგი: ქმრის ინსტინქტები ყველა მამაკაცშია და, როცა დრო მოვა, მაშინ წამოიწევს წინა პლანზე. ერთმანეთი ისეთები გავხადეთ, როგორიც ჩვენთვის იყო მისაღები. არ ვიცი, როგორი ქმარი ვარ, ალბათ ისეთი, როგორთანაც ეკას უნდოდა ცხოვრება. მთავარია, რომ ჩვენი ოჯახური ცხოვრება მუდამ ცოცხალი და დინამიკური იყოს.

ეკა: ჩემთვის გიორგი განსხვავებული

Cyan Magenta Yellow Black

მამაკაცია, ყოველდღე ვგრძნობ, რომ ხუთი წლის წინ ჩემმა ინტუიციამ გაამართლა. ერთი ზუსტად ვიცი, რომ ზაზას ტიპის ქმარი არ არის. ხანდახან, როცა ამ პერსონაჟს ვუყურებ ხოლმე, შიში მიპყრობს. უცებ რომ წარმოვიდგენ, შეიძლება ასეთი ქმარი მყავდეს, ცუდად ვხდები. ზოგიერთ ქალს შვილი რომ უჩნდება, ქმარზე მნიშვნელოვანი შვილი ხდება. კი, ჩემი შვილი ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც გიორგიდან გამომდინარე. ეს კაცი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი პერსონაჟია.

— ეკა, თქვენ როგორი ცოლი ხართ გიორგისთვის?

ეკა: არ მგონია, რომ ქალმა ოჯახისთვის უფრო მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე მამაკაცმა. იმას არ ვამბობ, რომ გიორგი ვალდებულია, ჭურჭელი რეცხოს. როდესაც ოჯახში მეგობრული და თანასწორუფლებიანი ურთიერთობებია, ყველაფერი თავისთავად ლაგდება. როცა არავინ გავალდებულებს, მაშინ უფრო გიჩნდება სურვილი, რომ სადილი მოამზადო. ჩვენ ერთი პროფესიის ადამიანები ვართ, ამიტომ ორივე ერთნაირად ვითავსებთ მშობლის და ცოლ-ქმრის ფუნქციებს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ რას მოახერხებს.

— ბოლო-ბოლო, ვინ ამზადებს თქვენს სახლში სადილს?

ეკა: ვისაც სცალია. მაგალითად, ბოლო ორი თვის განმავლობაში სალათისა და მჭადის მეტი არაფერი გამიკეთებია. სხვათა შორის, გიორგი ძალიან გემრიელ საჭმელებს აკეთებს. უგემრიელესი ლობიო გამოსდის. არ მეგონა, თუ დედაჩემის შემდეგ ვინმეს გაკეთებული ლობიო მომეწონებოდა, მაგრამ ქმარმა ამითაც დაიპყრო ჩემი გული. გიორგის თეფშიდან მიყვარს ჭამა, რადგან უგემრიელეს რაღაცეებს აკეთებს თავის თეფშზე.

— როცა შვილი გაგიჩნდათ, მშობლის პასუხისმგებლობა მაშინვე იგრძენით?

გიორგი: ნელ-ნელა გავაცნობიერეთ, რომ უკვე შვილი გვყავდა. მთელი მონდომებით ვიყავი ჩართული მის აღზრდაში. მინდა, ის პრობლემები ავარიდო, რომელიც ჩემს ბავშვობაში იყო. ჩემმა ბავშვობამ ხომ ძალიან რთულ პერიოდში ჩაიარა, თან მამა ადრე დამეღუპა და მინდა, რომ მაქსიმალურად დავიხარჯო ჩემს შვილთან. მინდა, თომას ცხოვრება ვასწავლო. ვმუშაობ იმაზე, რომ კარგი ადამიანი იყოს, პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდეს. ჯერ 4 წლისაა, მაგრამ რაც სხვა ბავშვებს ეპატიება, მას არ ეპატიება.

ეკა: რამდენჯერაც მე მაქვს ბავშვისთვის პამპერსი გამოცვლილი, გიორგიმაც ზუსტად იმდენჯერ გამოუცვალა. არ უმშობიარია, თორემ ბავშვის მოვლის და აღზრდის ფუნქციები თანაბრად გავინაწილეთ. ერთად ვისწავლეთ ყველაფერი და შვილი ძიძის გარეშე გავზარდეთ. გვეხმარებოდნენ ჩვენი ოჯახები, მაგრამ გვინდოდა, პასუხისმგებლობა შვილის გაზრდაში ჩვენ აგვეღო.

— ეკა, როგორ ფიქრობთ, ცოლი ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რომ მუდმივად მომხიბვლელ ქალად რჩებოდეს ქმრისთვის?

ეკა: გიორგისთვის მომხიბვლელი მაშინ ვარ, როდესაც თვითონ ვგრძნობ თავს კარგად. უკეთ რომ ავხსნა — როცა ვარ ენერგიულად, თავდაჯერებულად, ჯანმრთელად. შეიძლება ამ დროს ძონძები მეცვას, მაგრამ გიორგისთვის ყველაზე მიმზიდველი ვარ. კაბების სილამაზე არაფერს მატებს ჩვენს ურთიერთობას, გიორგის მოსწონს ეკა, როცა ის არის ძლიერი, წარმატებული და რეალიზებული, ასევეა ჩემთვის გიორგიც.

— როგორია თქვენი კონფლიქტები?

ეკა: ძალიან ემოციური, რადგან ორივე ხმამაღალი ტიპები ვართ, შვილიც დაგვემსგავსა. როგორც აღვნიშნე, ურთიერთობაში ძალიან გახსნილები ვართ, ჩხუბშიც ყველაფერს ვეუბნებით ერთმანეთს და, ვიღაცამ რომ შემოგვხედოს, ნამდვილად გაგიჟდება. ჩვენი ჩხუბი გაბუტვით თითქმის არასოდეს დამთავრებულა, მხოლოდ ერთი-ორი შემთხვევა მახსენდება. უმეტესწილად ჩვენი კონფლიქტი არის ხმაურიანი ემოციები, რომლებიც ნელ-ნელა იკლებს და ქრება.

— გიორგი, სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ჯერ თქვენ გამოჩნდით და შემდეგ ეკა. თქვენი რეკომენდაციით ხომ არ მოხვდა ის ამ პროექტში?

გიორგი: ნამდვილად — არა, მიუხედავად იმისა, რომ სერიალის პირველივე დღიდან ეკას ძალიან უნდოდა იქ მოხვედრა. კასტინგი გაიარა და ნატაშკას როლზე დაამტკიცეს. ჩემი ჩარევის გარეშე მოხვდა ამ სერიალში და ახლა ისე გააქტიურდა, რომ ყველა სერიაში ჩანს.

— რას ფიქრობთ თქვენს პერსონაჟებზე, პოულობთ მათთან მსგავს თვისებებს?

გიორგი: არც მე და არც ეკას საერთო არაფერი გვაქვს იმ ადამიანებთან, რომლებსაც ვთამაშობთ. ჩემი აზრით, ეკას პერსონაჟი ტრაგიკული ქალია, ჩემი გმირი კი — ძალიან ზედაპირული ადამიანი.

→76

გიორგი: „ეს მე და ეს ეკას საერთო ფაფეი გვაქვს იმ ადამიანებთან, ომლებსაც ვთამაშობთ. ჩემი აზრით, ეკას პერსონაჟი ტრაგიკული ქალია, ჩემი გმირი კი — ძალიან ზედაპირული ადამიანი“.

ანი ტყებუჩავა ცოლად რეჟისორ ლევან ბარამიძეს გაჰყვა

მსახიობი ანი ტყებუჩავა გათხოვდა. მისი რჩეული კინორეჟისორი ლევან ბარამიძეა. მათ ჯვარი 11 აგვისტოს დაიწერეს. ჯვრისწერას 30-მდე სტუმარი ესწრებოდა. ამის შემდეგ კი წყვილი საქორწინო მოგზაურობაში ეგვიპტეში გაემგზავრა. მსახიობმა, რომელიც აქამდე პრესასთან ყოველთვის გახსნილი იყო, დამალვა ამჯობინა — ტელეფონი გამორთო და ჟურნალისტებთან კავშირი გაწყვიტა.

„სარკე“ ანის ძმას, გიორგი ტყებუჩავას დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ დამ მასზე ყოველგვარი ინფორმაციის გავრცელება აუკრძალა — მშვიდად უნდათ წავიდნენ საქორწინო მოგზაურობაშიო (?!). მართალია, ძალიან გაგვიხარდა მისი ამბავი, მაგრამ აეროპორტში მივარდნას ნამდვილად არ ვაპირებდით. მოკლედ, ისე დაემალა პრესას, როგორც ჰოლივუდელი ვარსკვლავი.

ანი ტყებუჩავას კოლეგა და მეგობარი, მსახიობი ნინო გაჩეჩილაძეც არ აღმოჩნდა დეტალურად ინფორმირებული. ჯვრისწერის ამბავი პოსტ ფაქტუმ გაუგია და ანის გამორთული ტელეფონის გამო მილოცვის შესაძლებლობაც არ მისცემია. ნინო მეგობრის ბედნიერებით გახარებულია და ამბობს, რომ ახლა სამი დაქალიდან — ანი ტყებუჩავა, მაკა ძაგანია და ნინო გაჩეჩილაძე — მაკას გათხოვების ჯერია.

ნინო გაჩეჩილაძე: ვიცოდი, რომ ანი გათხოვებას აპირებდა და მისი ამბავი ძალიან გამიხარდა. ვიცი, რომ ლევანთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ლევანი კინორეჟისორია და რამდენიმე რეკლამა აქვს გადაღებული. ძალიან კარგი ბიჭია. როგორც ვიცი, „სანგუკოში“ მუშაობდა. ახლა სად მუშაობს, არ ვიცი. კინოს გადაღებას თუ დააპირებს, ალბათ მთავარი როლისთვის ანის შეარჩევს.

— ქორწილი როდისთვის არის დაგეგმილი?

— ზუსტად არ ვიცი, ალბათ შემოდგომაზე. მე ასე ვიცოდი, რომ შემოდგომაზე აპირებდა გათხოვებას. ჯვრისწერაზე ცოტა ხალხი ჰყოლია. მე ვურეკავდი და ტელეფონი არ აიღო. მერე მომწერა, სტომატოლოგთან ვარ და მოგვიანებით დაგირეკავო. ამის შემდეგ აღარ დაურეკავს და ამიტომ დეტალები არ ვიცი. საკითხავია, შემდეგი ვინ იქნება ჩვენ სამში.

— თქვენკენაც არის ამ მხრივ საახლე?

— არა, მე ხომ ყველაფერში ნაბოლარა ვარ. ახლა ალბათ მაკა ძაგანია გათხოვდება. როცა უფალი ინებებს, მაშინ იქნება ყველაფერი.

■

„სარკე“ ულოცავს ანი ტყებუჩავას და მის რჩეულს გაბედნიერებას და ნამდვილ ვარსკვლავურ ცხოვრებას უსურვებს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. **ძ-ნი ქეთევანი.**

☎ **577-29-37-41, 247-58-83**

Cyan Magenta Yellow Black

ნინო ჩხეიძე: „ვანო მერაბიშვილი და მთელი მისი ოჯახი ჩემი მეგობარია“

„ერთი წელი მაინც იმის დრო არ მექნება, რომ ორსულად ვიყო“

ომღერალი ნინო ჩხეიძე და მისი ქმარი, გიორგი კორახაშვილი, ნაციონალების ხელისუფლების მხარდამჭერები იყვნენ. თავის მხრივ, მმართველი ძალაც მათ კეთილგანწყობით პასუხობდა, მომღერალი ცოლიც და ბიზნესმენი ქმარიც მათი ფავორიტები იყვნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი და შემდგომ პრემიერი ვანო მერაბიშვილი მათი ოჯახის ახლო მეგობარი გახლდათ. ამ ურთიერთობებში არაფერი შეცვლილა ნაციონალების კრახის შემდეგაც. ნინოს ქმარი მერაბიშვილის დაპატიმრებას ღია წერილით გამოეხმაურა და მისი გათავისუფლება საჯაროდ მოითხოვა. წინა ხელისუფლების დროს მსგავსი განცხადების გაკეთებას ვერც ერთი ბიზნესმენი გაბედავდა.

როგორც მომღერალი ამბობს, ახალი ხელისუფლების პირობებში მისი ოჯახის მდგომარეობა არ შეცვლილა, არანაირი პრობლემა შექმნიათ არც ბიზნესის და არც შემოქმედების მხრივ, თუმცა თავად კატეგორიულად აღარ სურს, „ამ ეტაპზე“ პოლიტიკასთან რაიმე შეხება ჰქონდეს, თუნდაც საარჩევნო კამპანიის მხარდამჭერ კონცერტში მონაწილეობის სახით. ამბობს, რომ თავისი შემოქმედების გარდა, არაფერი აინტერესებს, მუშაობა არ შეუწყვეტია და გამოუშვა ალბომი, რომელიც ისე წარმატებულად იყიდება, როგორც არასდროს.

— ნინო, მალე საარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყება. ქართული შოუბიზნესის დიდი ნაწილი წლების განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ხელისუფლების საარჩევნო კამპანიაში, მათ შორის — თქვენც. ისევ გამართავთ კონცერტებს ნაციონალების მხარდასაჭერად?

— პოლიტიკის ხსენებაც კი აღარ შემიძლია, ძალიან მომბეზრდა. პოლიტიკაში ჩართვას არც არჩევნების დროს ვაპირებ და არც სხვა შემთხვევაში. ვფიქრობ, რომ ეს საინტერესო არ არის. ჯობია, ყველამ ის გავაკეთოთ, რაც გამოგვდის. უკეთესია, კონცერტები ვატაროთ და პოლიტიკაში ჩართული არ ვიყოთ. არც ერთ ქვეყანაშია ისეთი პოლიტიზირებული ხალხი, როგორიც საქართველოში. მართლა ბევრი საქმე მაქვს და ვთვლი, რომ ეს დროის ტყუილი ხარჯვაა. ამ ეტაპზე ჩემთვის, როგორც მომღერლისთვის, პოლიტიკაში ჩართვა ნაკლებად საინტერესოა. სექტემბრის დასაწყისიდან ძალიან ბევრი კონცერტი მაქვს დაგეგმილი, ახალ პროექტებზე ვმუშაობ.

— წინა ხელისუფლებას შოუბიზნესში თავისი ფავორიტები ჰყავდა ისე, როგორც შერისხულებიც. მმართველი ძალის მიმართ კრიტიკულად განწყობილი თქვენი კოლეგები „შავ სიაში“ ჰყავდათ შეყვანილი და ბლოკავდნენ. ახლა რა ვითარებაა, ახალი პოლიტიკური რეალობა თქვენზე როგორ აისახა?

— როცა ამბობენ, ვიღაცა ე.წ. შავ სიაში იყოო, მგონია, რომ ამით თავს იმართლებენ. ვინც ამბობდა, რომ იბლოკებოდა, მათ ახალი პროდუქტი არც ჰქონიათ. მე, პირადად, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ არანაირი პრობლემა არ შემქმნია და ვთვლი, რომ არც შემექმნება, რადგან ჩემს საქმეს ვაკეთებ. თუ ჩემი პროდუქტი ხალხისთვის მისაღები და მოთხოვნადი იქნება, არ ვთვლი, რომ დამბლოკავენ.

არაფერი მომხდარა ისეთი, რომ ჩემი ცხოვრების კურსი ან მიმართულება შემეცვალა. ისევ ისე ვცხოვრობ, როგორც აქამდე. ვმუშაობ, ჩემი საქმე მაქვს, მეგობრებთან ერთად ვერთობი.

— როცა ნაციონალების გუნდიყანა, ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი დააპატიმრეს, თქვენ და თქვენი ქმარი მის მიმართ მხურვალე მხარდაჭერას იჩენდით, მისი გათავისუფლების მოთხოვნებს უერთდებოდით. თქვენი ქმრის ბიზნესზე, თქვენდამი საზოგადოების დამოკიდებულებაზე ეს უარყოფითად არ აისახა?

— ეს პოლიტიკოსისთვის განკუთვნილი კითხვებია და არა — მომღერლისთვის. ვთვლი, რომ საინტერესო არ არის ჩემი მეუღლის ბიზნესი, როგორ ვცხოვრობ, გამიჭირდა თუ არა... ვანო ჩემი მეგობარია და, რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობ, მაგრამ პოლიტიკური კომენტარებისგან თავს შევიკავებ, რადგან ამ საქმეში ჩახედული არ ვარ. მთელი მისი ოჯახი ჩემი მეგობარია და, კიდევ ერთხელ ვამბობ, ვგულშემატკივრობ, მაგრამ ამის გამო არანაირი პრობლემა არ შემქმნია.

„პოლიტიკის ხსენებაც კი აღარ შემიძლია, ძალიან მომბეზრდა. პოლიტიკაში ჩართვას არც არჩევნების დროს ვაპირებ და არც სხვა შემთხვევაში. მართლა ბევრი საქმე მაქვს და ვთვლი, რომ ეს დროის ტყუილი ხარჯვაა".

შემიძლია იმის შესახებ ვისაუბრო, რაც ჩემ გარშემო ხდება. ვმუშაობ, ვმღერი, ჩემი ალბომები იყიდება. რაც შეეხება ვანოს, ჩემი მეუღლის ბიზნესს და მეგობრებს, ისეთი საინტერესო არ არის, რომ საჯარო განცხადებები ვაკეთო.

— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავტოავარიაში მოყვით. დაშავდით?

— ეს ავტოსაგზაო შემთხვევა დაახლოებით 2 კვირის წინ მოხდა, როცა ვაკეში მივდიოდი. სამარშრუტო ტაქსი ვარაზისხევიდან ამოდიოდა და დაგვეჯახა. მძიმე ავარია არ ყოფილა, უბრალოდ იმ წუთში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გამოიარა და კომენტარი ჩაწერა. შემდეგ ეს ინფორმაცია ინტერნეტში აიტვირთა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა, სხვადასხვა საიტებმა გაიზიარეს. ზოგმა თქვა, რომ ძალიან მძიმედ დავშავდი, ზოგან ისიც კი დაიწერა, მოკვდაო. საგანგაშო ავარია არ ყოფილა.

— საჭესთან თქვენ იჯექით?

— არა, ჩემი მენეჯერი იჯდა. მანქანა ოდნავ დაზიანდა. საპატრულო პოლიცია ჩაერთო და გამოიკვლიეს, ვისი ბრალი იყო. რაც დაზიანდა, ყველაფერი აგვინაზღაურდა.

— სხვა დროსაც შეგმთხვეულათ ავარია?

— ბევრი ინციდენტი მქონია, მაგრამ სერიოზული — არაფერი. ასეთი რაღაცეები უფრო თავიდან ხდებოდა, როცა მანქანის ტარებას ვსწავლობდი და უყურადღებო ვიყავი. ახლა კი მართვის 12 წლიანი სტაჟი მაქვს. ადრე, მანქანის ტარებისას ხან სარკეში ვიყურებოდი და წინ მანქანას ვარტყამდი, ხან ბორდიურს ვეჯახებოდი, მაგრამ ამ ბოლო 6 წლის განმავლობაში მსგავსი არაფერი მომხდარა. მახსოვს, დაახლოებით 6 წლის წინ, როცა საჭესთან ჩემი ქმარი იჯდა და კახეთში მივდიოდით, ძალიან სერიოზულ ავარიაში მოვყევით, ძლივს გადავრჩით. ტვინის შერყევა მქონდა, ხელი მომტყდა, ცხვირი გამიტყდა, სერიოზულად დავშავდი. საერთოდ, სიჩქარე მიყვარს, მაგრამ ფრთხილი მძღოლი ვარ.

— ზაფხულს დედაქალაქში ატარებთ თუ უკვე იყავით სადმე წასული?

— ჯერჯერობით დასვენებას არ ვაპირებ, რადგან ვმუშაობ. ალბომი გამოვუშვი და, სხვათა შორის, ძალიან კარგად იყიდება, რასაც არ ველოდი. რაც კი ალბომი გამომიშვია, ყველაზე კარგად პირველი ალბომი გაიყიდა და ახლა ამითაც კმაყოფილი ვარ. ეს ალბომი მოთხოვნადი და წარმატებული აღმოჩნდა. ამას გარდა, პატარ-პატარა კორპორაციული კონცერტები მაქვს.

შარშანაც არ დამისვენია. ზაფხულში დასვენება არ მიყვარს, მირჩევნია, ამ დროს ვიმუშაო. დასვენება შემოდგომაზე და ზამთარში მიყვარს ევროპაში. ზღვა, მზე და წყალი არ მიყვარს.

— თქვენი შვილი მარიამიც თბილისში გყავთ?

— მარიამი დედაჩემთან და მამაჩემთან ერთად ზღვაზეა.

— თქვენს ქორწინებას გიორგი კორახაშვილთან უკვე საკმაო „სტაჟი“ აქვს. რა გასწავლათ ოჯახურმა ცხოვრებამ?

— 10 წელი დიდი დროა. ცოლ-ქმრის ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი თავიდან არის, სანამ მიეჩვევი, კარგად გაეცნობი. თანაცხოვრება სულ სხვა რამეა. ხასიათები იკვეთება. ცხოვრებაში ბევრი ეტაპია, მერე კი დგება ეტაპი, როცა არანაირი კითხვა აღარ გაქვს, ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით ხდება, ყველაფერს მასთან ერთად აკეთებ, გეგმებს და მომავალს ერთად აწყობთ. ახალშეუღლებულებივით არ იქცევი, არ ჩხუბობ. მე და ჩემს მეუღლეს უფრო მეგობრული და თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

— არ დადგა მეორე შვილის გაჩენის დრო?

— ზოგადად გვინდა, მეორე შვილი გვყავდეს, მაგრამ ამ ეტაპზე — არა, რადგან სხვა გეგმები მაქვს. ერთი წელი მაინც იმის დრო არ მექნება, რომ ორსულად ვიყო.

— ისე კი ალბათ ბიჭი გინდათ.

— სულ ერთია, სქესს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ჯანმრთელი იყოს. არასდროს დავიწყებ იმის გამოძიებას, ვინ მეყოლება, თუმცა თავისთავად მინდა, რომ ბიჭიც მყავდეს, ოღონდ მე უნდა მგავდეს. მარიამი ჩემს ქმარს ძალიან ჰგავს, მისი ასლია. მინდა, რომ არ დავიჩაგრო და ბიჭი მაინც დამემსგავსოს.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

ერექციის პრობლემის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები

მამაკაცის სექსუალური პრობლემები რამდენიმე წლის წინ ერთგვარი განაჩენი იყო, დღეს კი მედიცინის განვითარებისა და სრულიად ახალი ტიპის პრეპარატების აღმოჩენით სექსუალური დისფუნქცია დასაძლევი წინაღობა აღმოჩნდა. მთავარია, სექსოლოგთან კონსულტაციის შემდეგ გაირკვეს მამაკაცის პრობლემების სათავე, რომ მკურნალობამ შედეგიანი სახეს მიიღოს.

სექსუალური დისფუნქციების ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული ერექციული დისფუნქციაა და იგი სტატისტიკურად 40 წლის ზევით ყოველ მეორე მამაკაცს აღენიშნება. ამ ტიპის პრობლემები გახშირდა ახალგაზრდულ ასაკშიც, რაშიც ხშირ შემთხვევაში დამნაშავე არაჯანსაღი ცხოვრების წესია. თუ როგორია მამაკაცური ჯანმრთელობის თავისებურებანი, რა შემთხვევაში უნდა მივაკითხოთ სპეციალისტს და როგორ დავამარცხოთ ერექციული დისფუნქცია მოკლე დროში, ამაზე პროფესორი, სექსოლოგი ანდრო კანდელაკი გვიამბობს.

ანდრო კანდელაკი:

— ტერმინი იმპოტენცია, როგორც „განაჩენი“ მამაკაცისათვის, კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. სექსუალური დისფუნქცია დღეს დაძლევადი პრობლემაა. სექსუალური დისფუნქციის ფორმებიდან ამჯერად ყურადღებას ერექციულ დისფუნქციაზე შევაჩერებ. ეს არის პრობლემა, როდესაც მამაკაცს არ შეუძლია მიაღწიოს ან შეინარჩუნოს სათანადო დონეზე ერექცია სრულფასოვანი სექსუალური აქტის ჩასატარებლად. ასაკის მატებასთან ერთად მამაკაცებში ერექციული დარღვევების სიხშირე მატულობს. მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით 40-70 წლის მამაკაცების 50 პროცენტში ერექციული დისფუნქცია სახეზეა, თუმცა ეს პრობლემა 20-40 წლის მამაკაცებშიც საკმაოდ ვლინდება. ჩვენი კლინიკის უკანასკნელი 5 წლის მონაცემების მიხედვით ამ ასაკობრივ დიაპაზონში სექსოლოგიურ პაციენტთა მომართვიანობა შეადგენს თითქმის 65%. ეს ის ასაკობრივი დიაპაზონია, როცა ახალგაზრდა მამაკაცთა უმრავლესობა იწყებს რეგულარულ სქესობრივ ცხოვრებას, ქორწინდება, იმედით შეჰყურებს მომავალს და ამ ფონზე სექსუალური რეაქციების შესუსტება ძალზე მტკივნეულად აისახება მათ პიროვნებაზე. იშვიათია მამაკაცი, რომელსაც ერექციული შეფერხება ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ ჰქონია. ეს პრობლემები შეიძლება იყოს დროებითი, სიტუაციური, სტრესებთან, გადაღლასთან, ჭარბ ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებული. მამაკაცის ყველა ეს პრობლემა წარმავალია, თუ მოინდომებს, მიაკითხავს ექიმს და შეიცვლის ცხოვრების წესს.

— ერექციული პრობლემები ძირითადად ფსიქოლოგიური წარმოშობისაა თუ ფიზიკური?

— 20-30 წლის წინ ერექციული პრობლემების 90 პროცენტს ფსიქოლოგიურ დარღვევად განიხილავდნენ, დღეს კი, როცა ერექციის ფიზიოლოგიური მექანიზმები სრულად იქნა შესწავლილი და შესაბამისად დაიხვეწა დიაგნოსტიკური მეთოდები, გაიზარდა ორგანული მიზეზებით განპირობებული ერექციული დისფუნქციების წილი. აქაც ჩვენი მონაცემებით ორგანული ტიპის სექსუალური დარღვევები შეადგენს 71%, ვინაიდან მამაკაცთა ღირებულებათა სისტემაში სექსუალური ცხოვრების ხარისხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერექციის კუთხით ნებისმიერი ხარვეზი მწვავე ფსიქოლოგიური ტრავმის ხასიათს იღებს და აისახება წყვილის ურთიერთობაზე. ამიტომ აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც ორგანიული, ასევე ფსიქოლოგიური ასპექტები რათა მკურნალობა წარმატებული იყოს.

— რა შეიძლება იყოს ერექციული დისფუნქციის ფიზიკური მიზეზი?

— მაღალი არტერიული წნევა, სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე, დიაბეტი, ჰორმონული დარღვევები, ზურგის ტვინის ტრავმები, სხვადასხვა ტიპის მედიკამენტები: ანტიდეპრესანტები, ბეტაბლოკატორები, რომლებიც წნევის დამწევ საშუალებებად გამოიყენება. უარყოფითად მოქმედებს ასევე შარდმდენი საშუალებები, ალკოჰოლი და ნარკოტიკები. ძირითადად ეს ყველაფერი რისკის ჯგუფში შედის. თუ ეს რისკები გამოირიცხა, მაშინ მხოლოდ ფსიქოლოგიური მომენტი რჩება, სადაც წამყვანი ადგილი სტრესებს უკავია, არა აქვს მნიშვნელობა, სამსახურებრივი იქნება თუ ოჯახური. არიან ადამიანები, რომლებსაც შინაგანი შფოთვის მაღალი დონე აქვს, რაც ყოველთვის აისახება სექსუალურ ცხოვრებაზე.

ამ მამაკაცურ პრობლემაში ძალიან დიდ როლს თამაშობს პარტნიორი ქალი, რადგან თანამედროვე სექსოლოგია პაციენტად განიხილავს წყვილს და არა ინდივიდს. როდესაც მამაკაცს ერექციული დისფუნქციის ნიშნები აქვს, მნიშვნელოვანია, როგორ რეაგირებს ქალი ამ პრობლემაზე — დელიკატურად, სიმშვიდით თუ პირიქით, ის მამაკაცს ფსიქოსექსუალურ ტრავმას აყენებს, მკვახედ მიუთითებს რა პრობლემაზე. ბუნებრივია, ეს პრობლემას აღრმავებს.

— ძირითადად რა შეცდომას უშვებენ მამაკაცები, როცა ამ პრობლემას სათანადოდ არ აფასებენ?

— თუ ერექციულმა ჩავარდნებმა ხშირი ხასიათი მიიღო, მან აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს. რაც უფრო მალე მოგვარდება ეს პრობლემა, მით უფრო ეფექტური იქნება მკურნალობის მეთოდები. ძალიან მნიშვნელოვანია მამაკაცებში ასოს სისხლძარღვოვანი სისტემის როგორც არტერიული, ისე ვენური სისტემის გამოკვლევა, რადგან ის პირდაპირ ახდენს გავლენას ერექციის ხარისხზე.

— ერექციული დისფუნქციის დროს ხშირად თვლიან, რომ ეს მათი განაჩენია და უნდა შეეგუონ.

— ეს არის წმინდა პიროვნული ნევროზული რეაქცია პრობლემაზე. დღეს ეს რეალობას ნამდვილად აღარ შეესაბამება. არსებობს თანამედროვე პრეპარატები, რომლებიც ხელს უწყობენ და აძლიერებენ სისხლის მიწოდებას ასოში. თანამედროვე მედიცინამ და ამ ტიპის მედიკამენტებმა ძალიან ბევრს მამაკაცს მიანიჭა ბედნიერება, იცხოვროს სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრებით. ყველაზე დიდ შეცდომას მამაკაცი მაშინ უშვებს, როდესაც ერექციული დისფუნქციის პირველივე ნიშნებზე თვლის, რომ ის დაბერდა და აღარ შეუძლია სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება. ჯანსაღი ცხოვრებით თუ იცხოვრებ, უარს იტყვი ჭარბ ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, სწორად იკვებები და ბევრს იმოძრავებ, სექსუალური ჯანმრთელობის ღრმა სიბერემდე შენარჩუნება იქნება შესაძლებელი. თანამედროვე მედიცინაში სიბერე არ ნიშნავს სექსუალური ფუნქციის მიტოვებას.

ანდრო კანდელაკი

— რა შეიძლება იყოს ერექციული დისფუნქციის ფიზიკური მიზეზი?

— 1998 წელს პირველად მსოფლიო მედიცინაში შეიქმნა ახალი პრეპარატი, მეხუთე ტიპის ფოსფოდიასთერაზის ინჰიბიტორი სილდენაფილი, რომელიც უფრო ცნობილია ვიაგრის სახელწოდებით. ეს იყო რევოლუციური გარღვევა ერექციული პრობლემების მოგვარების საკითხში. წლების განმავლობაში შეიქმნა ამ ტიპის ახალი ეფექტური საშუალებები — ტადალაფილი და ვარდანაფილი. რამდენიმე თვეა, ჩვენს ბაზარზე შემოვიდა ახალი ტიპის სილდენაფილი, სახელწოდებით ტორეო, რომელიც წარმოადგენს სპრეის ტიპის პრეპარატს. რამდენიმეხნიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პირის ღრუში ექიმის მიერ განსაზღვრული დოზის შესხურების შედეგად ის ეფექტურად მოქმედებს მამაკაცის ერექციულ ფუნქციაზე.

— არ არის ტორეოს უპირატესობა სხვა მსგავსი ტიპის პრეპარატებთან შედარებით?

— პირველ რიგში ის, რომ ადვილად მოხმარებადია. არ გჭირდება აბის დალევა, წყლის მიყოლება. თანაც ამ შემთხვევაში შედარებით წრაფად იწყებს მოქმედებას. თუ სხვა პრეპარატები სექსუალურ აქტამდე ერთი საათით ადრე უნდა დალიო, ამ პრეპარატის შესხურება 15-30 წუთით ადრეც საკმარისია. პრეპარატის გვერდითი მოვლენები შედარებით უფრო მსუბუქად ვლინდება. ამასთანავე, პაციენტისათვის გაცილებით ადვილია დოზირების მართვა. ის გამოიყენება როგორც უშუალოდ სექსუალური აქტის წინ, ასევე სამკურნალო მიზნით სპეციალისტის მიერ დადგენილი დოზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სხვა პრეპარატების, ასევე ტორეოს დანიშვნამდე მამაკაცებმა (განსაკუთრებით ცხოვრების მეორე ნახევარში მყოფებმა) უნდა ჩაიტარონ სრული სექსოლოგიური გამოკვლევა, რათა თავიდან ავიცილით თვითმკურნალობით გამოწვეული შესაძლო გართულებანი.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, მოგვმართოთ:

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური კლინიკა

ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 17

კლინიკის ტელეფონი: 237-11-89;

მობ.: 577-41-15-71.

Cyan Magenta Yellow Black

სტალინის ძეგლი — შემოსავლიანი ადგილი გორისთვის

„არ დაიჯერებთ და, ყველაზე მეტი დამთვალიერებელი სტალინის სახლ-მუზეუმს ჰყავს“

სტალინის ძეგლი, რომელიც საწარმოს ეზოში დაგდებული და ამოყირავებულიც კი, გორელებისთვის მაინც შემოსავლის წყაროა. უცხოელი ტურისტები საოცარ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ბელადის მიმართ, გორში სპეციალურად ჩადიან და ტაქსის მძღოლებს დიდ ფულს უხდიან, რომ იმ ადგილას მიიყვანონ, სადაც „ფოლადის კაცის“ ქანდაკება გდია. ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნით, ძეგლი ალბათ მალე ისევ დაიდგმება, ოღონდ არა — ძველ ადგილას, არამედ სტალინის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე, სწორედ რომ შესაფერის ალაგას, მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებას პრეზიდენტმა სააკაშვილმა ემოციური გამოსვლა მიუძღვნა და კომუნისტურ წარსულში დაბრუნება გვიწინასწარმეტყველა. მართლაც, რატომ უნდა დაიკარგოს შემოსავლიანი ტურისტული ადგილი? ყველაზე მეტი უცხოელი თბილისის შემდეგ თურმე სწორედ გორში ჩასვლას ითხოვს. ხომ შეიძლება ცოტა მეტი პრაგმატულობა გამოვიჩინოთ და მსოფლიო ტურიზმის გამოცდილებიდან რაღაც ჩვენც ვისწავლოთ?

რედაქციისაგან

❖

ბრინჯაოს მონუმენტი, რომელიც 5 ტონას იწონის, ამაჟამად გორში, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის ტერიტორიაზე ამოყირავებული ძევს. ნაციონალების ხელისუფლებამ თავის დროზე მისი გაყიდვა მოინდომა, მაგრამ ვერ მოასწრო.

„სტალინის ძეგლის აღდგენას არ მივესალმები, ვგმობ. სტალინი არის ყველაზე საშინელი მოვლენა მე-20 საუკუნისთვის და აბსოლუტურად გაიგივებულია ჩემთვის ფაშიზმთან და ჰიტლერთან“, — თქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ. მის მსგავსად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, მაგრამ გორის საკრებულომ გადაწყვიტა, გორელების ნება შეასრულოს და ქალაქს ყველაზე ცნობილი გორელის ძეგლი დაუბრუნოს. ამისთვის, გაგიკვირდებათ და, ნაციონალებს ჯერ კიდევ გასულ წელს გამოუყვიათ ბიუჯეტიდან 25 ათასი ლარი.

სტალინის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გორის მუნიციპალიტეტმა ჯერ კიდევ 2010 წლის 16 ივნისს მიიღო, მაგრამ გორელები ამბობენ, რომ სააკაშვილმა ისინი მოატყუა. ახლა კი კულტურის სამინისტრო წინააღმდეგი არ არის, სტალინის ძეგლი მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატი გახდეს და მის წინ მდებარე სკვერში დაიდგას. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თითქმის ყველა თანხმდება, რომ მონუმენტი ძველ ადგილზე აღარ უნდა დაბრუნდეს. „არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება სტალინის ძეგლი დაუბრუნდეს ძველ ადგილს!“ — ამბობს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია.

გორის მცხოვრებლებს შორის ვერავინ ვნახეთ, ვინც სტალინის ძეგლის აღდგენის წინააღმდეგია. გორი იქით იყოს და მთელი მსოფლიოც კი დაობს, უნდა აღდგეს თუ არა სტალინის ძეგლი საქართველოში. მაგალითად, ესტონეთის პარლამენტის წევრმა, ვინმე ანდერს ჰერკელმა თქვა, თუ სტალინის ძეგლს აღადგენთ, ეს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობაზე უარყოფით გავლენას მოახდენსო. არსებობს აზრი, რომ დასავლეთი არასოდეს მიიღებს თავის ოჯახში ქვეყანას, რომელიც ლეგიტიმურს ხდის სტალინის სისხლიან რეჟიმს და ააღორძინებს მის კულტს.

გორი ლამაზი და განსაკუთრებული არქიტექტურული ნაგებობებით არ გამოირჩევა. ერთადერთი გამორჩეული შენობა ქალაქის ცენტრში აღმართული სტალინის სახლ-მუზეუმია, რომელმაც, მაგალითად, შარშან 32 ათას ტურისტს უმასპინძლა. წელს კი ბევრად მეტი სტუმარი მიდის მის დასათვალიერებლად.

სტალინის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი, ქალბატონი ქეთევან ახობაძე ამბობს, რომ სტალინური რეპრესიები მისმა ოჯახმაც გამოსცადა, მაგრამ თავად ის ბელადის ბიოგრაფიის, პიროვნების შესწავლამ ისე გაიტაცა, რომ მუზეუმში მუშაობას თავი ვერ დაანება.

აღეკო ღურსმანაშვილი: „ეხთი-ეხთი აზიური სახელმწიფოს ნარმომადგენლებს ამ ძეგლის ყიდვა უნდოდათ. თქვეს, რომ 7 მილიონს გადაიხდიდნენ, ესენი ჯი 10-ს სთხოვდნენ და იმიტომ ვეი მოხეხდა ძეგლის გაყიდვა".

ქეთევან ახობაძე: 1978 წლიდან ამ მუზეუმში ვმუშაობ. მთელი მსოფლიოდან მოდიოდნენ და მოდიან აქ. კომუნისტებისგან არც დედაჩემის მხარეს დაჰკლებია ცუდი და არც მამაჩემის. 1924 წელს ჩემი ბაბუა, გოგლა ყანჩელი, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად იბრძოდა, დახვრიტეს. მეორე მხრიდან

ქეთევან ახობაძე: „ეხ ეხსებობს, დღეში ებიაეღების სამი ჯგუფი მაინც ჰომ ეხ მივიღოთ. თავისი მინუსებითა თუ პღუსებით, სტაღინი მაინც ყველას აინტეხესებს. გვეკითხებიან მისი მშობღების შესახებ, მეწაღის შვიღმა სნავღა ჰოგოჰ შეძღო...".

მელქისედეკ მეორის შთამომავალი ვარ. წესით, ამ მუზეუმში არ უნდა მემუშავა, მაგრამ თავიდან აქ იყო გიდის ადგილი და მოვედი. მერე კი იმდენად საინტერესო მეჩვენა ყველაფერი, რომ თავი ვეღარ დავანებე.

ბებიაჩემი 23 წლის დარჩა ორი შვილით მარტო — 1924 წელს ქმარი დაუხვრიტეს, მაგრამ სტალინი რომ გარდაიცვალა, ბებია თავს იკლავდა, ისე ტიროდა, რა გვეშველებაო.

საბჭოთა პერიოდში იმდენი ხალხი მოდიოდა მუზეუმში, დილის 5 საათზე გვირეკავდნენ და დარბაზების გაღებას გვთხოვდნენ. თითოეული გიდი დღეში 7 ლექციას ატარებდა. 120 კაცი იყრიდა თავს დარბაზში და 120 კიდევ დაბლა გველოდებოდა. თუ, მაგალითად, ევროპული ქვეყნიდან მოდიოდა ჯგუფი საბჭოთა კავშირში და უნდა ენახათ გარკვეული ქალაქები, რომელთა შორისაც არც საქართველო იყო და არც გორი, ზედმეტს იხდიდნენ იმისთვის, რომ აქ მაინც მოხვედრილიყვნენ.

ახლაც უამრავი ტურისტი მოდის. არ არსებობს, დღეში ებრაელების სამი ჯგუფი მაინც რომ არ მივიღოთ. თავისი მინუსებითა თუ პლუსებით, სტალინი მაინც ყველას აინტერესებს.

— მის შესახებ ძირითადად რას გეკითხებიან?

— გვეკითხებიან მისი მშობლების შესახებ, მეწაღის შვილმა სწავლა როგორ შეძლო. ჩვენთან ინახება მისი ულამაზესი კალიგრაფიით დაწერილი წერილები, ერთ-ერთს სასულიერო სემინარიის რექტორს სწერს: „სურვილი მაქვს რა გავაგრძელო განათლების მიღება, გავბედავ მოგმართოთ თხოვნით თქვენო მაღალღირსებავ, დამიშვათ განმეორებით გამოცდაზე. ამასთან, გავბედავ და დავამატო, რომ გორის სასულიერო სემინარიის მმართველობა რეკომენდაციას მაძლევს ჩავაბარო სასულიერო სემინარიის პირველ კლასში. დედაჩემი იმყოფება უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში. არ გააჩნია რა ქონება არც უძრავი და არც მოძრავი, ის ცხოვრობს და მინახავს მე ხელსაქმით, რომელსაც ხშირად ვერ პოულობს. ამის შედეგად ის ხშირად განიცდის სხვადასხვა გასაჭირს და ხელმოკლეობას. მით უმეტეს, რომ აღზრდას მაძლევს თქვენს მიერ რწმუნებულ სემინარიაში. ამიტომ, უმდაბლესად გთხოვთ თქვენო მაღალღირსებავ, გამომიყოთ ზამთრის ტანსაცმელი და ამით შემიმსუბუქოთ ჩემი დედის სავალალო მდგომარეობა. მაქვს სრული იმედი, რომ თქვენ აუცილებლად გამიწევთ მე მამობრივ წყალობას და მიხსნით მე გაციებისა და სიცივისაგან“. ეს წერილი 1894 წლის 22 სექტემბრით არის დათარიღებული.

— ახლა სტალინის ძეგლის აღდგენას რომ აბარებენ, რას ფიქრობთ?

— ეს ჩვენი ისტორიაა. მომხრე ვართ, რომ ეს ძეგლი ჩვენი მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატი გახდეს.

❖

გორის საკრებულოში ცოტა ხნის წინ 7 ათასი ხელმოწერა შევიდა. ხელმომწერები გორში სტალინის ძეგლის აღდგენას ითხოვენ. ინიციატორია „სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოება“. „სარკე“ ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, ალეკო ლურსმანაშვილს ესაუბრა, რომელმაც ძეგლის ამჟამინდელ სამყოფელში მიგვიყვანა.

ალეკო ლურსმანაშვილი: ცუდად ვხდები, გული მისკდება, სტალინს ასეთ მდგომარეობაში

Cyan Magenta Yellow Black

რომ ვხედავ. ვინც სტალინს უხეშად და უპატივცემულოდ მოეკიდა, ყველა დამარცხდა! დამისახელეთ საქართველოში პიროვნება, რომლის გამოც თვითმფრინავებს ქირაობენ და ჩამოდიან, რომ მისი სახლ-მუზეუმი ნახონ. მთაწმინდის პანთეონშიც კი, სადაც უამრავი ჩვენი სათაყვანებელი პიროვნებაა დასაფლავებული, უცხოელები განსაკურთებულ ყურადღებას სტალინის დედის, ეკატერინე ჯუღაშვილის საფლავის მიმართ იჩენენ.

— როცა ვორის ცენტრიდან სტალინის ძეგლი აიღეს, მწერალმა დათო ტურაშვილმა თქვა ვორში ტონობით ღვინოა დალეული სტალინის სადღეგრძელოსთვის და ძეგლის აღების დროს ხმა არავის ამოუღია. შიშის გამო ვერ ამოიღეს მაშინ ვორეულებმა ხმა?

— ტონობით ღვინო კია დალეული, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, რომ ხმა არავის ამოუღია. იმ ღამით, როცა ძეგლი აიღეს, უცებ მოახდინეს მთელი ქალაქის ოკუპირება უამრავი პოლიციელით და ერთ საათში მორჩნენ ყველაფერს. მეორე დღეს გავაპროტესტეთ, 200 კაცამდე გამოვედით ქუჩაში, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა.

— რით არის თქვენთვის ასე ძვირფასი საბჭოთა ბელადი?

— ის იყო ქართული ნიჭის გამობრწყინება, მთელ მსოფლიოს მართავდა. მსოფლიოში სულ თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ხალხი, ვინც უზარმაზარი იმპერია შექმნა და აქედან ერთი ქართველია. იმის შნო არ უნდა გვქონდეს, რომ მისი ძეგლი იყოს მშობლიურ ქალაქში?! უამრავი სიკეთე აქვს სტალინს საქართველოსთვის გაკეთებული. რამდენი საწარმო და ფაბრიკა აშენდა მის დროს?! დახვრეტებს არ ვამართლებ, მაგრამ ყველა რეპრესირებულის პირადი საქმე არქივებშია დაცული. ისინი, ვინც სტალინს ებრძვიან, შედიან არქივებში, აფიქსირებენ, რომ, მაგალითად, ვინმე პეტრიაშვილი რეპრესირებულ იქნა, მაგრამ რა დანაშაული ჩაიდინა, ამაზე არაფერია ნათქვამი, რომ გავიგოთ, სამართლიანად დაიჭირეს თუ უსამართლოდ.

ჩემთვის სტალინი იდეოლოგიური ბელადია! არც ვარ მომხრე, რომ სტალინის ძეგლი ძველ ადგილზე დაიდგას, მაგრამ მუზეუმის ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა იყოს! დიდი სიამოვნება მივიღე იმით, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა. იქ არ იყო სტალინის ქება-დიდება, სიმართლე თქვა. ასეთი ბუმბერაზი ადამიანი აფასებს სტალინს, ზოგიერთი ვაიჭკუის პატრონი კი ათას სიბინძურეს იგონებს. ნაციონალებს უარესი რეპრესიები ჰქონდათ.

ხრუშჩოვის დროს, 1956 წელს, მთავრობამ ამ ძეგლის აღება გადაწყვიტა. მაშინ ამ ამბავს ადამიანები შეეწირნენ, დახვრიტეს ხალხი. ხრუშჩოვმა თქვა, რაც უნდათ, ის ქნანო და ძეგლს თავი დაანებეს. ახლაც, გორელებს რომ გაეგოთ, სტალინის ძეგლს იღებდნენ, დარწმუნებული ვარ, ქუდზე კაცი გამოვიდოდა. როცა ძეგლი წამოიღეს, ჩვენი ხალხი გამოჰყვა, რომ ენახათ, სად მიიტანდნენ. ამ ტერიტორიაზე დადეს და ვყარაულობდით, რომ არსად წაეღოთ.

— ინფორმაცია გქონდათ, რომ სადმე უნდა წაეღოთ?

— გავრცელდა ხმები, რომ ერთ-ერთი აზიური სახელმწიფოს წარმომადგენლებს ამ ძეგლის ყიდვა უნდოდათ. თქვეს, რომ 7 მილიონს გადაიხდიდნენ, ესენი 10-ს სთხოვდნენ და იმიტომ ვერ მოხერხდა ძეგლის გაყიდვა. ვერ გეტყვით, ეს რამდენად მართალია. ამ ტერიტორიაზე მოსვლაც აკრძალული გვქონდა. სისტემატურად ყარაულობდა პატრული და შიგნით არავის უშვებდნენ. ჩვენთვის ეს ძეგლი შეუფასებელია!

თავის დროზე სააკაშვილის მთავრობამ გადაწყვიტა და დადგენილებაც მიიღო, რომ ძეგლი მუზეუმის ტერიტორიაზე დაედგათ. ჩვენ ამ დადგენილების შესრულებას ვითხოვთ. საძირკველიც გათხარეს, ბანერიც დააყენეს, რომ იქ სტალინის ძეგლი იქნებოდა. მერე სკვერის რეკონსტრუქცია გააკეთეს და იმ გათხრილ საძირკველსაც მიწა მიაყარეს. ნაციონალებმა ძეგლის მოხსნის მიზეზად დაასახელეს, რომ მოაგროვეს 1500 ხელმოწერა ძეგლის გადაადგილების მოთხოვნით და ხალხის ნება უნდა შეესრულებინათ. ჩვენ კი 7 ათასზე მეტი ხელმოწერა 3 კვირაში შევაგროვეთ. თუ 1500-მა კაცმა გთხოვა და შეასრულე, 10 ათასი და მეტი რომ ითხოვს შენ მიერვე მიღებული დადგენილების შესრულებას, არ უნდა გააკეთო?!

დავით ხაზმაძე: „სტალინის მუზეუმს სეიმიოზური შემოსავალი მოაქვს ჩვენთვის და ახალი დაშავდება, თუ მუზეუმის ტერიტორიაზე ამ ძეგლს აღვადგენთ".

ბიუჯეტიდან ფული უკვე გამოყოფილია ძეგლის აღსადგენად. საკრებულომ ამოიღო ის დადგენილებები, რომლებიც არ შესრულდა ნაციონალების მმართველობის პერიოდში, გაანალიზა და გადაწყვიტა, ეს ყველაფერი შესასრულოს და ფულიც გამოყო.

შეგვპირდნენ, რომ 21 დეკემბრისთვის ძეგლი აღდგენილი იქნება. თუ ამ დაპირებას არ შეასრულებენ, იძულებულები გავხდებით, საპროტესტო გამოსვლა მოვაწყოთ, რომ შვილებმა და შვილიშვილებმა არ გვითხრან, მხდალები იყავით და სტალინი ვერ დაიცავითო. გადავრჩით, რომ ახალი ხელისუფლება მოვიდა, თორემ სტალინის სახლ-მუზეუმისთვის ჯერ სახელი უნდა შეეცვალათ — სტალინის მიერ რეპრესირებულთა მუზეუმი უნდა დაერქმიათ და მერე გაეყიდათ. რესტორნის გაკეთებას ფიქრობდნენ ამ შენობაში.

❖

გორის საკრებულოს თავმჯდომარე, **დავით რაზმაძე,** ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილების შესრულებას აპირებს, მაგრამ ბიუჯეტის ფული ენანება და იმედი აქვს, ამას თავად სტალინელები შეძლებენ.

— ბატონი დავით, მართალია, რომ სტალინის ძეგლის აღდგენას პირადად თქვენ აპირებთ?

— წინა მოწვევის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ძეგლის დემონტაჟის და სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე მისი გადატანის შესახებ. არაოფიციალურად ვიცით, რომ სააკაშვილმა დარეკა და ბრძანა, ეს ძეგლი არსად დაედგათ. წინა ხელისუფლებამ ბიუჯეტში 25 ათასი ლარი ჩადო სტალინის ძეგლის მონტაჟისთვის. მე რომ ამირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარედ, ეს ბიუჯეტი უკვე მიღებული იყო. მგონი, 2013 წლის მარტში შემოვიდა 6.700 კაცის ხელმოწერა, რომლებიც მიღებული დადგენილების შესრულებას ითხოვდნენ. გორის რაიონის მოსახლეობის ალბათ 70% მომხრეა სტალინის ძეგლის აღდგენისა. მესმის სახელმწიფო პოლიტიკა, მაგრამ ჩვენ ხალხის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. სტალინი ისტორიული პიროვნება იყო, რომელმაც სერიოზული კვალი დატოვა მსოფლიო მასშტაბით. მისი ძეგლი თუ მუზეუმის ტერიტორიაზე დაიდგმება, ამით არაფერი დაშავდება. ტაქსის მძღოლებმა მითხრეს, უცხოელები მათ 50 ლარს აძლევენ, რომ სტალინის ძეგლთან მიიყვანონ და იქ სურათებს იღებენ.

— ვადაყრაუებელი სტალინის ძეგლთან?

— დიახ. არ დაიჯერებთ და, საქართველოში თბილისის მერე გორში ჩამოდის ყველაზე მეტი ტურისტი. ჩვენს მუნიციპალიტეტში შედის უფლისციხე, ატენის სიონი და სხვა, მაგრამ ყველაზე მეტი დამთვალიერებელი სტალინის სახლ-მუზეუმს ჰყავს.

— თუ სააკაშვილმა ბრძანა, რომ ძეგლი არ აღიდგინათ, რატომდა გამოიყო ბიუჯეტიდან მისი მონტაჟისთვის ფული?

— ეს იყო პიარი, გორელების გულის მოგება უნდოდათ. სააკაშვილის თანამებრძოლები ამბობენ, რომ სტალინის ძეგლის აღებაში მას ფული გადაუხადეს. მაშინდელი გუბერნატორის, ლადო ვარძელაშვილისთვის უთქვამს, თუ მინისტრობა გინდა, სტალინის ძეგლი აიღეო. მართლაც, აიღეს თუ არა ძეგლი, ვარძელაშვილი მინისტრი გახდა.

— რიდისთვის არის დაგეგმილი ძეგლის კვლავ აღმართვა?

— გორში არის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ჩვენს ხელისუფლებაზეც ნაწყენია და ამბობენ, არ გვინდა თქვენი გაკეთებული, ჩვენ თვითონ დავდგამთო. ისე, ჩვენი მწირი ბიუჯეტისთვის ცუდი არ იქნება, თუ მართლა თვითონ გააკეთებენ. თუ არა და, ჩვენ უნდა გავაკეთოთ. სტალინის მუზეუმს სერიოზული შემოსავალი მოაქვს ჩვენთვის და არაფერი დაშავდება, თუ მუზეუმის ტერიტორიაზე ამ ძეგლს აღვადგენთ.

— ამ ყველაფერს რომ ეწინააღმდეგებიან ხელისუფლებაში? მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრი. თქვენ რა მითითება გაქვთ ამ მხრივ?

— ჩვენ თვითმმართველობა ვართ, დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურა. პატივს ვცემ ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს, მაგრამ ეს ხალხის ნებაა და, ვიმეორებ, ამით არაფერი დაშავდება. მე ორი მოწვევის საკრებულოს დეპუტატი ვიყავი და მახსოვს, როგორ წყდებოდა ყველაფერი მესამე სართულზე. ყველაფერს უსაფრთხოების დეპარტამენტი, ვინმე დუჩიძე წყვეტდა, მთელ მუნიციპალიტეტს მართავდა. დამლაგებელს ვერავინ მიიღებდა მისი თანხმობის გარეშე. ახლა კი ჩვენც შეგვიძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მივიღოთ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

ამ პრობლემებით სავსე საუკუნეში თუ ბევრი გასაჭირი დაგაწყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კახინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს. ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უხუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს. მიმართეთ ქალბატონ ნელის და მისი წინასწარმეტყველების წყალობით თქვენ ჯერ გაოცებული დარჩებით, ხოლო შედეგით – ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი.

ჩაწერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black

„სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც საყვარელ მამაკაცს ელოდა...“

მინდა, ჩემს მეგობარზე მოგწეროთ, რომელიც რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. ამ თემაზე საუბარი ძალიან მიჭირს, რადგან ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით, ვმეგობრობდით, ჩემს ქორწილში მეჯვარე და ბავშვის ნათლია იყო. ძალიან ლამაზი, ჭკვიანი და კეთილი ადამიანი გახლდათ. სულ ვფიქრობ, რა იყო მისი სიცოცხლე, რა გაიხარა ან უფალმა რატომ წაიყვანა ასე მალე. ღმერთმა ყველაფრით დააჯილდოვა — სილამაზით, ჭკუით, სიკეთით, მაგრამ სიყვარულში არ მისცა ბედი.

ბავშვობიდან ერთი ბიჭი უყვარდა, რომელიც მისი ძმის დიდი ხნის მეგობარი იყო. ჩემი მეგობარი 17 წლის იყო, როცა ძმამ სცემა, როგორ გაბედე და ჩემი ძმაკაცი შეიყვარეო. იმ ბიჭსაც უყვარდა, მაგრამ მან საყვარელი გოგოს დაკარგვა ამჯობინა ძმაკაცისა და სამეგობროს მიტოვებას. მათი ამბავიც ასე დამთავრდა. ჩემმა მეგობარმა ის ვერ დაივიწყა, მაგრამ ამ თემაზე მხოლოდ მაშინ ვილაპარაკეთ, როცა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

საავადმყოფოში მის სასთუმალთან ვიჯექი და წიგნს ვუკითხავდი. უცებ კითხვა შემაწყვეტინა და მითხრა: „მოვკვდები, არა? ნუ დარდობ, ალბათ ასეა საჭირო. გული იმაზე მწყდება, რომ შვილის გაჩენა ვერ მოვასწარი“. მე დავაწყნარე, ვუთხარი, ჯერ 26 წლის ხარ, იმდენი შვილი გეყოლება, რამდენიც გინდა-მეთქი. ამაზე პასუხი არ გამცა. მერე კი მითხრა, მინდა, რომ ის ვნახო, გთხოვ, დაურეკე, ჩამოვიდესო. მისი ერთადერთი სიყვარული რამდენიმე წელი უცხოეთში ცხოვრობდა, ცოლი და შვილები იქ ჰყავდა.

ჩემმა მეგობარმა ამის შემდეგ კიდევ 6 დღე იცოცხლა. ყოველთვის, როცა პალატის კარი იღებოდა, თავს მაღლა სწევდა და იყურებოდა. ვიცოდი, თავის სიყვარულს ელოდა. ბოლოს ლაპარაკი უჭირდა, გულიდან ყელსაბამი მომახსნევინა და მითხრა, ეს მას მიეციო. თავის დროზე ის ყელსაბამი იმ ბიჭმა აჩუქა.

ბოლოს წერილი მე დამაწერინა, რადგან თვითონ ველარ წერდა: „მიყვარხარ! შენი დავიწყება ვერ შევძელი. უფალმა გვაპატიოს ის, რაც ერთმანეთს დავუშავეთ უერთმანეთოდ ცხოვრებით“.

ჩემი მეგობრის ერთადერთი სიყვარული ჩამოვიდა მის სანახავად, მაგრამ ცოცხალს ვერ მოუსწრო. საყვარელი ქალის გარდაცვალება საშინლად განიცადა, სიმწრით მიწაზე ხოხავდა და ღრიალებდა.

მინდა, ამ წერილით ყველას ვუთხრა, რომ უაზრო პრინციპების გამო ადამიანებს ნუ დაღუპავენ, სიყვარულს ყველა გაუფრთხილდით. იმ ბიჭს თავისი სიყვარულისთვის რომ ებრძოლა და არ დანებებულიყო, შეიძლებოდა ჩემს მეგობარს ვერ ეცოცხლა, მაგრამ რამდენიმე წელს ხომ მაინც ბედნიერად გაატარებდა.

დღემდე არ მჯერა, რომ ჩემი ლამაზი და კეთილი მეგობარი ჩვენ გვერდით აღარ არის. მაპატიეთ, თუ დაგასევდიანეთ, მაგრამ მისი ამბის მოყოლა და თქვენთვის გაზიარება ძალიან მინდოდა.

პატივისცემით, თქვენი მკითხველი

„ფრანგ გოგონას ემიგრანტმა ქართველმა დედებმა საქართველო შევაყვარეთ“

ცხოვრება მართლაც რომ მოულოდნელობებითაა სავსე. წლების წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იტალიაში მომიწევდა ცხოვრება, თანაც ფრანგ გოგონასთან ერთად. მარლინი საფრანგეთიდან იტალიაში ჩამოვიდა სასწავლებლად, წინაპრები იტალიელები ჰყავს. ასე რომ, ცოტა იტალიური იცოდა. ბინას ეძებდა და ჩვენ, ემიგრანტმა ქართველებმა, შევიკედლეთ. როგორც კი დავინახე, ჩემს შვილს მივამსგავსე და მის მიმართ მაშინვე დადებითად განვეწყვე, თითქოს ჩემს გულში შემოვიდა.

მარლინი რაღაცით ქართველს ჰგავდა. ინსტიტუტი და სახლი — ეს იყო მისი ცხოვრება. ქალაქსაც ჩვენთან ერთად ათვალიერებდა. ერთ დილას თვალცრემლიანი ვნახე. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა, შეყვარებული და დედა მენატრებიანო. მეც მეტი რა მინდოდა, მასთან ერთად ავტირდი. მერე ვუთხარი, შენ რა გიჭირს, ერთ წელიწადში უკან დაბრუნდები, ჩვენ კი როდის წავალთ აქედან, არ ვიცით-მეთქი.

მარლინი ქართველ ქალებს ფრანგულს ასწავლიდა, ჩვენ მას — ქართულს. ყოველ დილით ქართულად გვესალმებოდა. ქართულ კვებაზე გადავიყვანეთ, კერძების სახელებიც ისწავლა, დღეს აჯაფსანდალს შევჭამთო. ქართველი ემიგრანტი დედები მასში ჩვენს მონატრებულ შვილებს ვხედავდით და წარმოიდგინეთ, როგორ მოვეფერებოდით. ჩვენ მიმართ ისიც დიდ სითბოს გამოხატავდა. ამბობდა, თქვენ ჩემი ქართველი დედები ხართ იტალიაშიო.

მარლინმა სწავლა რომ დაამთავრა, დიდი ზარ-ზეიმით გავაცილეთ. მერე ჩემი შვილებიც ჩამოვიყვანე იტალიაში. ერთხელ მარლინი დედასთან ერთად გვესტუმრა. მას ჩემი შვილებიც დაუმეგობრდნენ. ხშირად ვესაუბრებით ინტერნეტით. ამას წინათ სურათი გადმოგვიგზავნა, ტატუ გაუკეთებია ქართული ასოებით — ანდრე. ანდრე მის ბიძას ერქვა, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ეს ტატუ მის ხსოვნას მიუძღვნა, ქართული ასოებით კი ქართველებისადმი სიყვარული გამოხატა. ამ ამბავმა ძალიან გამაოცა, ალბათ მართლაც შევძელით ფრანგი გოგონას გულში საქართველოს მიმართ სიყვარულის გაღვივება. თითქოს განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია, უბრალოდ ჩვენებურად მოვეფერეთ.

ლია, რომი

„შეყვარებული გამომიტყდა, რომ რაღაც ნარკოტიკს ეწევა“

24 წლის ვარ. ორი წელია ერთ ბიჭს ვხვდები, მიყვარს. ისიც უნდა ვაღიარო, რომ არ არის ისეთი ადამიანი, როგორზეც ვოცნებობდი. ბევრი დადებითი თვისება აქვს და ამის გამო მზად ვარ, მთელი ცხოვრება მასთან გავატარო, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთმა ფაქტმა ძალიან დამაფიქრა.

შეყვარებული გამომიტყდა, რომ მეგობრებთან ერთად ხშირად ეწევა რაღაცას და ეს არ არის მხოლოდ მარიხუანა, ამ მოსაწევს „ბიოთს“ უწოდებს, რომელსაც თურმე ძირითადად საზღვარგარეთ ყიდულობენ. ეს უკვე ჩვეად ექცა, ყოველდღე ეწევა და მერე სიამაყით ამბობს, რომ მისი რამდენიმე მეგობარი ცუდად გახდა, თვითონ კი ძალიან კარგად გრძნობდა თავს.

ვსაყვედურობ და ვეუბნები, რომ ნარკომანივით იქცევა. ამ სიტყვაზე საშინლად ღიზიანდება, თვლის, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია თავის დანებება და მოწევაზე უარის თქმა. ვაფრთხილებ, რომ ყველა ნარკომანი თავიდან ასე იმშვიდებს თავს. ამ დროს კი მპასუხობს, რომ მე მას კარგად არ ვიცნობ და ამიტომ ვფიქრობ ასე. არც ის მინდა, ძალიან გავუბრაზდე, რადგან მერე დამიმალავს, რაღაცას კიდევ რომ გააკეთებს. ვფიქრობ, ცოტა დრო მივცე და თუ ისევ იგივენაირად მოიქცევა, მაშინ მოვთხოვ, საყვარელ ქალსა და ნარკოტიკს შორის არჩევანი გააკეთოს.

ყველაზე საშინელება ის არის, რომ ზოგჯერ საკუთარ თავს ვარწმუნებ, დღეს ასეთი საქციელი ნორმალურია, ყველა ახალგაზრდა კაცი ასე აკეთებს და საგანგაშო არაფერია-მეთქი. არ მინდა, საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშით რეალობის შეგრძნება გამიქრეს. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემი შვილი ცოლის ყოფილ შეყვარებულთან ძმაკაცობს“

ჟურნალ „სარკის“ 32-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „ქმარს ეჭვი აქვს, რომ შვილს მისგან არ ველოდები“. გოგონა წერს, რომ ყოფილ შეყვარებულს შეხვდა და ქმარი ამის გამო დაეჭვდა, შვილი ნამდვილად მისია თუ არა. ამ წერილის ავტორს ვუთანაგრძნობ, მჯერა, მართალს ამბობს და ქმარს თავის სიმართლეში დაარწმუნებს, შვილს კი ორივე ერთად გაზრდის. მე კი მინდა, ჩემი შვილის და რძლის ამბავი მოგიყვეთ, რომელიც ამ გოგონას ნაამბობისგან აბსოლუტურად განსხვავდება.

ჩემი მომავალი რძალი ჩემ თვალწინ იზრდებოდა, ჩემი სამსახურის გვერდით ცხოვრობდა და პატარაობიდან ვიცნობ. რომ წამოიზარდა, შეყვარებული გაიჩინა და მუდამ მასთან ერთად ვხედავდი. იმ ბიჭს სულ ხელი ჰქონდა გადახვეული და ყველას დასანახად კოცნიდა. არავის ხათრი არ ჰქონდათ, პირიქით, უფროსები აქეთ ვერიდებოდით, რომ არ შეგვეხედა.

კინაღამ ინფარქტი მივიღე, როცა გავიგე, რომ ჩემს შვილს ის უყვარდა. ვეხვეწე, კარგად დაფიქრებულიყო, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა. მოვუყევი, რომ იმ გოგოს სულ შეყვარებულთან ვხედავდი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ერთ დღეს სახლში მომიყვანა და მითხრა, აქ დარჩება, ჩემი ცოლიაო.

ბედს შევეგუე. თავს შემოვუძახე, შენი ოჯახის წევრია და პატივი უნდა სცე-მეთქი. ასეც ვიქცევი, მაგრამ ბევრი რამ არ მესმის და მოთმენაც აღარ შემიძლია. რამდენიმე თვეა, რაც ჩვენს სახლში რძლის ყოფილმა შეყვარებულმა მოუხშირა სიარულს. ჩემი ვაჟი კი ეძმაკაცება. დასხდებიან მაგიდასთან, ხან ჯოკერს თამაშობენ და ხან ქეიფობენ.

შვილის ძალიან მიკვირს. იცის, რომ მის ცოლს წლების განმავლობაში ის ბიჭი უყვარდა და როგორ შეუძლია მასთან მეგობრობა?! ვითომ ისე ჩამოვრჩი დროს, რომ ასეთი რაღაცეები არ მესმის? ძალიან ვბრაზობ და ჩემებს საყვედურებით ვავსებ, მაგრამ ჩემს სიტყვებს არაფრად აგდებენ. მითხარით, მართალი ვარ თუ ვცდები. თქვენ ასეთ რამეს აიტანდით?

ერთგული მკითხველი

„ვნანობ, რომ დედამთილის გამო ოჯახი დავანგრიე“

ჟურნალ „სარკის“ 32-ე ნომერში ახალგაზრდა ქალი წერდა, დედამთილი იძულებულს მხდის, ოჯახის დანგრევაზე ვიფიქროო. მინდა, მას ვუთხრა, რომ ოჯახი უნდა გადაარჩინოს. ასე ადვილი არ არის, ქმრისგან წახვიდე და ყველაფერი ის დატოვო, რაც შენთვის ძვირფასია.

თავის დროზე მეც წამოვედი ოჯახიდან, დედამთილს ვეღარ გავუძელი. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა. ახლაც არ ვიცი, ჩემს სიყვარულს როგორ შევეღიე. ჩვენ ხომ ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარდა. დედამთილთან კინკლაობაში კი ქმარი სულ გადამავიწყდა. ერთ დღესაც გადაწყვეტილება მივიღე, მისგან წამოვედი და ახლა მარტო ვარ.

ყოფილი ქმარი მენატრება, ვგრძნობ, რომ ისევ მიყვარს, მაგრამ მასთან ვეღარ დავბრუნდები, რადგან უკვე სხვა ცოლი ჰყავს და შვილსაც ელოდება. მისგან რომ წამოვედი, დიდხანს მეხვეწებოდა, დაბრუნდიო, მაგრამ უარი ვუთხარი. მერე დაიღალა და სიმშვიდე სხვა ქალის მკლავებში იპოვა. ასე რომ, სანამ დროა, დაფიქრდი და დედამთილის გამო ოჯახს ნუ დაანგრევ, საყვარელ ადამიანს ნუ მიატოვებ!

მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

SAMSUNG

SAMSUNG-ის პრეზიდენტმა საქართველოში კომპანიის პირველი მაღაზია და სმარტ სკოლა გახსნა

9 აგვისტოს საქართველოს საგანგებო ვიზიტით კომპანიაSAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი (Boo-Keun Yoon) ესტუმრა. მსოფლიოში ტექნიკის ბაზარზე ლიდერი კომპანიის პრეზიდენტმა ერთდღიანი ვიზიტის დროს საქართველოში SAMSUNG-ის პირველი ოფიციალური მაღაზია და კომპანიის ინვესტიციით გაკეთებული სმარტ სკოლა გახსნა.

ვიზიტის ფარგლებში ბი ქეი იუნმა საზეიმო ვითარებაში სრულიად ახალი კონცეფციის მქონე პრემიუმ კლასის მაღაზია ჭავჭავაძის 48-ში გახსნა. ახალ მაღაზიაში წარმოდგენილი ტელევიზორების, მობილურების, ფოტოაპარატებისა და სხვა ტექნიკის ასორტიმენტი წარმოადგენს მოწინავე ტექნოლოგიებსა და პრემიუმ კლასის მოდელებს. „ამ მაღაზიაში აქცენტი გაკეთდება არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე. მომხმარებლებს მოემსახურებიან SAMSUNG-ის კონსულტანტები ე.წ. ელჩები, რომლებიც დაწვრილებით გააცნობენ და აუხსნიან პროდუქციის უპირატესობებსა და ფუნქციებს. ამ მაღაზიით ჩვენ წარმოვადგენთ ახალ ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს პრემიუმ კლასის მაღაზია და მომსახურება“, — აცხადებს SAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი.

მაღაზიის გახსნის ცერემონიის შემდეგ „სამსუნგის“ პრეზიდენტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაინაცვლა, სადაც განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესთან, ვიცეპრემიერთან, ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და რექტორის მოვალეობის შემსრულებელ ალექსანდრე კვიტაშვილთან ერთად სმარტ სკოლის კლასი გახსნა.

კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ეს არის პირველი პროექტი, რომელიც SAMSUNG-მა საქართველოში განახორციელა. სმარტ სკოლა წარმოადგენს სასწავლო აუდიტორიას, რომელიც აღჭურვილია SAMSUNG-ის მაღალი ტექნოლოგიის „თაჩ სქრინით“ და ქსელურად მასზე მიბმული პლანშეტებით. სექტემბრისთვის ანალოგიურ კლასს SAMSUNG-ი GIPA-შიც გახსნის. მსგავსი კლასების მოწყობა პირველ საჯარო სკოლაში და პროფესიულ სასწავლებლებშიც იგეგმება.

— მოხარული ვართ ბატონი ბი ქეი იუნის საქართველოში სტუმრობით, მივესალმებით კომპანია SAMSUNG-ის მიერ განხორციელებულ პროექტს და სამომავლო გეგმებს. განათლების სფეროში კერძო სექტორის ჩართულობა განათლების სამინისტროს სტრატეგიულ ნაწილს წარმოადგენს. ვფიქრობ ახალგაზრდების სწავლის დონის ამაღლებაში კომპანია დიდ წვლილს შეიტანს, — განაცხადა განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

— მოხარული ვართ, რომ სმარტ სკოლის პირველი კლასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპანია „სამსუნგის“ მხარდაჭერით გაიხსნა. ეს არის კერძო კომპანიის და უნივერსიტეტის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი და იმედი გვაქვს, სმარტ სკოლის გახსნა უნივერსიტეტში ჩვენი გრძელვადიანი თანამშრომლობის დასაწყისი იქნება. ეს სიახლე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის განვითარებაში, — განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

— მოხარული ვარ საქართველოში სტუმრობით. სოციალური პასუხისმგებლობის პლატფორმის ფარგლებში სმარტ სკოლა არის ჩვენი პირველი პროექტი, რომელსაც ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და უფრო მასშტაბურს გავხდით. ვაპირებთ ასევე, დავაწესოთ SAMSUNG-ის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის და ხელი შევუწყოთ განათლების დონის ამაღლებას, — განაცხადა SAMSUNG-ის პრეზიდენტმა ბი ქეი იუნმა.

ბი ქეი იუნი SAMSUNG-ის გენერალურ დირექტორად და პრეზიდენტად 2012 წელს დაინიშნა. სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გახდა SAMSUNG-ი LED ტელევიზორების, მონიტორების, მოწინავე ტექნოლოგიების, 3DTV, Smart TV-ს და სხვა მიმართულებების მხრივ პირველი კომპანია მსოფლიოში.

კომპანია SAMSUNG-ი 1938 წელს შეიქმნა და დღეს ელექტროტექნიკის მწარმოებელ უდიდეს კომპანიას წარმოადგენს.

Cyan Magenta Yellow Black

ელენე ფოჩხუა

ელენე ფოჩხუა: „ჩემი ძმის მკვლელობაში ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობდნენ“

გიორგი ფოჩხუას საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა

ახალგაზრდა მსახიობისა და რეჟისორის, გიორგი ფოჩხუას მკვლელობიდან ერთი წელი გავიდა. ის შარშან, 2012 წლის 14 ივლისს, ანაკლიაში სასტიკად აწამეს და მოკლეს. მისი ცხედარი ზღვაში იპოვეს. ეჭვმიტანილი ბექა ცობეხია მალევე დააკავეს და გაასამართლეს. განზრახ მკვლელობა 16 წლიდან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს, ბექა ცობეხიას კი 9 წელი და 9 თვე მიუსაჯეს.

გიორგი ფოჩხუას ოჯახი თვლის, რომ გამოძიებაც და სასამართლოც ერთი მთლიანი სპექტაკლი იყო, რადგან ცობეხიას მფარველები ჰყავდა და სასჯელი შეუმსუბუქეს. გიორგის და, მომღერალი ელენე ფოჩხუა ამბობს, რომ ბევრ მნიშვნელოვან დეტალს, რაც საქმეში იდო, გამოძიებამ და სასამართლომ იგნორირება გაუკეთეს, ბევრ საგულისხმო კითხვას გვერდი აუარეს, რათა ყველაფერი მხოლოდ ერთ ადამიანს — ცობეხიას დაბრალებოდა. ელენე დარწმუნებულია, რომ მისი ძმის მკვლელობაში სხვა პიროვნებებიც მონაწილეობდნენ. გიორგის ოჯახი საქმის თავიდან გამოძიებას ითხოვს.

ელენე თავისი ოჯახის დიდ ტკივილზე და იმ ეჭვებზე გვესაუბრა, რაც ფოჩხუებს საფუძველს აძლევთ, სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ენდონ და ხელახალი გამოძიების შედეგებს დაელოდონ.

— ელენე, შეგიძლიათ გკითხოთ, რა ახალი დეტალები მოიპოვეთ, რამაც ხელახალი გამოძიების აუცილებლობა განაპირობა?

— გამოძიება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უამრავი ახალი დეტალი და მასალა გვაქვს, ამ ყველაფერს ჯერ დაზუსტება სჭირდება. რაღაცეებზე ლაპარაკისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, რადგან შეიძლება ამან გამოძიებას ხელი შეუშალოს. მირჩევნია, ყველაფერი სამართალდამცავებს მივანდო.

— უკვე ჩატარებულ გამოძიებას რატომ არ ენდეთ?

— წინა გამოძიება ძალიან ზერელედ ჩატარდა. ამ მკვლელობას ფაქტობრივად მოწმე არ ჰყავს. ყველაზე დიდი მოწმე ბექა ცობეხიაა, მან იცის ყველაფერი და იმ ადამიანმაც, ვინც გალში გადააცილა. ის კაცი კი უკვე თავისუფალია.

— როგორც ვიცით, ამ კაცს 4 წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა და რის საფუძველზე გაათავისუფლეს?

— კი, წესით, 4 წელი უნდა მოეხადა, მაგრამ დროზე ადრე გაათავისუფლეს, ოღონდ არ ვიცით, რატომ. სასამართლოზე ცობეხიას ბიძა დაკითხეს. საქმის გახსნა ამ ადამიანითაც თავისუფლად შეიძლებოდა. მის გარდა, ყველა მომზადებული, ერთი და იმავე ტექსტით იყო მოსული, მაგრამ მაინც ეშლებოდათ. ბექა ცობეხიას ბიძა კი აბსოლუტურად მოუმზადებლად, გულუბრყვილოდ ლაპარაკობდა. ბექამ მკვლელობის ღამეს გასაქცევად ფული მას სთხოვა. ეს კაცი სასამართლოზე ამბობდა, მკვლელობა არამხოლოდ მის მიერ არის ჩადენილიო. მოსამართლემ და პროკურორმა კი იქ გააჩერეს, როცა ძალიან ბევრი რამის თქმას აპირებდა. არ ვიცი, სათქმელი რატომ არ დაასრულებინეს, ალბათ ასე აწყობდათ.

სასამართლო პროცესზე, როგორც მათ გვითხრეს, დაზარალებულებს არაფრის თქმის უფლება არ გვქონდა. მილიონი შეკითხვა გაგვიჩნდა და ვერაფერს ვამბობდით. სასამართლო პროცესი მთლიანად სიცრუე იყო. ან ძალიან უვიცები იყვნენ, ან დავალება იყო, რომ დებილები ყოფილიყვნენ. ცობეხიას გარდა, სხვა მკვლელები დაიმალნენ. გიორგის მეგობარმა ის ფოტოზე რომ ამოიცნო, მისი დამალვის შანსი აღარ იყო და ორ დღეში დაიკავეს, ვითომ ოპერატიულად იმოქმედეს, ვითომ გალში იყო გადამალული და იქიდან გადმოიყვანეს, ვითომ გიორგის ძებნაში წყალში რამდენიმე კაცი დაიხრჩო. ზუგდიდის პოლიციამ ბექა ცობეხიას ბოლომდე უპატრონა.

— ესე იგი სერიოზული ეჭვი გაქვთ, რომ არამხოლოდ ბექა ცობეხიაა მკვლელი. თქვენი აზრით, კიდევ ვინ უნდა ყოფილიყო მასთან ერთად?

— რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთის ჩადენილი მკვლელობა არ არის. ძალიან ბევრი ვერსია არსებობს იმის შესახებ, რომ მკვლელობაში ზუგდიდის პოლიციის რამდენიმე თანამშრომელიც ფიგურირებს. მათი გვარებიც ვიცით. თავს შევიკავებ ამ ყველაფერზე დაწვრილებით საუბრისგან, ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ოჯახს ძალიან გვეჩქარება, ყველა დაისაჯოს. ღვთის დიდი იმედი მაქვს, რომ დაუსჯელი არავინ დარჩება. გამოძიებას შემოდგომიდან განვაახლებთ, გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებთ.

> **„ბექა ცობეხიას ბიძა აბსოლუტურად მოუმზადებლად, გულუბრყვილოდ ლაპარაკობდა. ეს კაცი სასამართლოზე ამბობდა, მკვლელობა არამხოლოდ მის მიერ არის ჩადენილიო. მოსამართლემ და პროკურორმა კი იქ გააჩერეს, როცა ძალიან ბევრი რამის თქმას აპირებდა“.**

ბევრ ადამიანს შევხვდით, ვინც იმ დღეს ანაკლიაში შორიდან ყველაფერს ხედავდა... მეგონა, გიორგის თავისი ქალაქი ასე არ გაწირავდა, მეგონა, მის მკვლელობას გულთან ახლოს მიიტანდნენ და საქმეს ძირფესვიანად შეისწავლიდნენ, მაგრამ გამოძიება ნულის ტოლი იყო. როცა მიცვალებული სახლში გყავს, გათიშული ხარ და პროკურატურაში გიბარებენ, დაუჯერებელ ზღაპრებსაც იჯერებ. ვითომ ეს იყო ძარცვა. გიორგისნაირი ფოტოაპარატები 9-10 წლის ბავშვებს უჭირავთ. ძალიან უბრალო ტელეფონი ჰქონდა. ისეთი არაფერი გააჩნდა, რომ სასიკვდილოდ გაემეტებინათ.

— ექსპერტიზის დასკვნასაც არ ენდობით?

— არც ექსპერტიზაა მართალი! სასამართლოზე ექსპერტიზა ბექას ადვოკატის მოთხოვნით მოვიდა და განაცხადა, რომ გიორგი წყალში დაიხრჩო. ეს როგორ შეიძლება მომხდარიყო, როცა ჩემი ძმა ზღვაში მკვდარი ჩააგდეს? როცა საავადმყოფოში მიასვენეს, იმ წამსვე ითქვა, რომ გრამი წყალი არ ჰქონდა გადაყლაპული. ზუგდიდის საავადმყოფოში ბევრი ახლობელი გვყავს და ეს დანამდვილებით ვიცით.

> **„მეგონა, გიორგის თავისი ქალაქი ასე არ განიხავდა, მეგონა, მის მკვლელობას გულთან ახლოს მიიტანდნენ და საქმეს ძირფესვიანად შეისწავლიდნენ, მაგრამ გამოძიება ნულის ტოლი იყო“.**

— მკვლელობის მიზეზად გიორგის და ბექა ცობეხიას ჩხუბს აცხადებენ. თქვენი აზრით, სხვა მიზეზიც შეიძლებოდა ყოფილიყო?

— რა თქმა უნდა. თუკი ბექამ გაარტყა, გიორგი პასუხსაც გასცემდა. ცხვირში გაარტყა ხელი, ორივე ნესტო გაუტეხა, ძალიან მწარე იქნებოდა. ამას რომ თავი დავანებოთ, გიორგის ფეხის ფრჩხილიდან დაწყებული თავამდე საღი ადგილი არ ჰქონდა დარჩენილი, მთელი ტანი დალურჯებული იყო. ამას კი ერთი კაცი ვერ გააკეთებდა. ასეთ მდგომარეობაში ხომ ვერ დატოვებდნენ? ამიტომ ტანსაცმელი გახადეს და სანაპიროზე კოხტად დაკეცილი დადეს, რამაც კიდევ უფრო დაგვაეჭვა. გიორგი ტანსაცმელს სახლში არ ალაგებდა. დედაჩემი იხსენებს ხოლმე, რასაც გაიხდიდა, სულ აქეთ-იქით ყრიდაო. თავისი ტანსაცმელი არასოდეს დაუკეცავს და ზღვის ნაპირზე დაკეცავდა და წყალში ისე ჩავიდოდა?! კოჭებზე ჯაჭვებით ქვები ჰქონდა მიბმული. ეს ყველაფერი თუ მომზადებული არ იყო და თუ ვილაცამ არ მიუტანა ჯაჭვი, ისე როგორ მოხდებოდა?!

— სასამართლო პროცესზე ბრალდებულის დედაც იმყოფებოდა?

— არა. ბოლოს სასამართლოზე მე დამიბარეს და უარი განვაცხადე. რა უნდა მომეყოლა, როგორ გავიგე ეს საზარელი ამბავი? სასამართლო პროცესზე მე უფრო მნიშვნელოვანი ვიყავი თუ ბექას დედა? დღესაც არ ვიცი, ბექა ცობეხიას დედა სასამართლო პროცესზე მოწმის სახით რატომ არ ჰყავდათ. ბექამ მკვლელობის შემდეგ დედამისს წერილი დაუტოვა, იქნებ იქ რა ეწერა? ის ქალი დღემდე დადის და ამბობს, საქმე მალე გაიხსნება, მარტო ჩემი შვილის მოკლული არ არისო. ამ წერილის შინაარსი ჩვენთვის დღემდე უცნობია. განზრახ მკვლელობა 16 წლიდან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. უვადოს თუ არ აძლევენ, 16 წელი მაინც მიუსაჯონ! ის კი მხოლოდ 9 წელს და 9 თვეს მოიხდის.

— ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს?

Cyan Magenta Yellow Black

— არა, თავს დამნაშავედ არ ცნობს. მაშინ თქვას, სინამდვილეში რა მოხდა!

— თქვენი აზრით, პოლიციამ მაინცდამაინც ბექა ცობენია რატომ გაწირა თუ სხვებიც იყვნენ ამ მკვლელობის მონაწილენი?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. პოლიციამ ყველაფერი იცოდა, ამიტომაც არ გამოიძიეს.

— ახლა, როცა უკვე ახალი მთავრობა მოვიდა, იმედი გაქვთ, რომ გამოძიება სწორად წარიმართება?

— ძალიან ბევრი ხელჩასაჭიდი ინფორმაცია არსებობს და ამის იმედი გვაქვს. ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე იმდენი მასალა მოგვიგროვდა, მჯერა, რომ საქმეს ძირფესვიანად გამოვიძიებთ. მთელი ცხოვრება სულ იმის ფიქრში არ უნდა ვიყო, რომ ჩემი ძმის მკვლელობისთვის მხოლოდ ერთი ადამიანი დაისაჯა.

— 14 ივლისს გიორგის დაღუპვიდან ერთი წლისთავი შესრულდა. ალბათ ამ დღეს ჭირლობა ასმაგად განგიახლდათ.

— ეს დღე საშინლად გადავიტანე. მეგონა, ისევ დაკრძალვის დღე იყო, ყველაფერი განმიახლდა. არავინ თქვას, დრო ყველაფრის მკურნალიაო. უბრალოდ დროსთან ერთად ამ ყველაფერს ეჩვევი. ასეთ ადრეულ ასაკში გიორგის სიკვდილს ვერასდროს წარმოვიდგენდი...

ხომ ხედავთ, სახლში მისი ერთი ფოტოც არ მაქვს. არ შემიძლია გიორგის სურათს ჩარჩოში ჩასმულს ვუყურო. ზუგდიდში მისი ფოტო თითქმის ყველა ოთახში დევს, იქ რომ ჩავდივარ, ცუდად ვხდები. ხანდახან გიორგის ფოტოების და ვიდეოების ნახვა ძალიან მინდება და მერე ტირილი მივარდება... სულ მინდა, გიორგი ისეთი მახსოვდეს, როგორიც იყო. ასე მგონია, სადღაც წავიდა და ოდესმე ჩამოვა. ჩემი შვილი მალ-მალე მეკითხება გიორგიზე და მასაც ასე ვეუბნებით.

— გიორგის შვილი, ლუკა, ბებია-ბაბუასთან არის?

— კი, ლუკას დედაჩემი ზრდის, რადგან ჩემი რძალი ბანკში მუშაობს. დედაჩემი ლუკათი ცოცხლობს. სასწაული ქალი ყოფილა, ყველაფერს გაუძლო ბავშვის გამო. ჩვენ რომ ჩავდიოართ და მამაჩემი გიორგის რომ ვერ ხედავს, ტირილს იწყებს... ლუკა უკვე 2 წლის და 4 თვისაა. ძალიან ჭკვიანი ბიჭია, აბსოლუტურად გამართულად ლაპარაკობს, გიორგის საოცრად ჰგავს. მამამისი დღემდე ახსოვს. არ მინდა, გიორგის ცოლს, რუსოს, რძალი ვუწოდო, ჩვენ ძალიან ახლო მეგობრები, დაქალები ვართ. გიორგი თვეების გარდაცვლილი იქნებოდა, როცა რუსო მოიყვა, ერთ ღამეს მე და ლუკა დასაძინებლად დავწექით. ბავშვი ისეთ შეკითხვებს მისვამდა, ყველაფერზე „კი“ უნდა მეპასუხაო. ბოლოს კი ჩუმად და ძალიან მორიდებით უკითხავს, დედა, მამა ხომ მოვაო. რუსომ მითხრა, გავქვავდიო.

გიორგი ცოლს რუსოს ეძახდა. ლუკამ ერთ დღეს დედამისს ზუსტად ასე დაუძახა. დედამისს ძალიან გაუკვირდა. ლუკას უთქვამს, ასე ხომ მამიკო გეძახდაო. ლუკა ამ ამბის შემდეგ სულ მიზეზობს და ტირის. გიორგის მეჯვარე, მისი ნათლია რომ მოდის სტუმრად, ბავშვი მამამისსაც ელოდება, გამუდმებით ნაღვლიანი თვალები აქვს.

— ლუკა გიორგის სასიათითაც ჰგავს?

— კი, ძალიან. ჩაცმითაც კი მამამისს ჰგავს. გიორგის კარგად ჩაცმა უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ფულის პატრონი არ იყო, ტანსაცმელში უაზროდ ხარჯავდა, ყოველთვის ძალიან შეძლებული ოჯახის შვილივით იცვამდა. ლუკასაც კარგად ჩაცმა უყვარს. სადმე რომ მიგვყავს და გამოვპრანჭავთ, ისე ჰგავს მამამისს, სულ მინდა, დავდგე და ვუყურო, დგომა და სიარულის მანერაც კი მამამისის აქვს. სულ ვფიქრობ, ლუკა რომ წამოიზრდება და გაიგებს, მამა მოუკლეს, ეს მისთვის საშინელი სტრესი იქნება, მით უმეტეს, როცა დავაუკაცდება.

— ელენე, თქვენს შემოქმედებაში არის საახლეები თუ ტრაგედიის გამო ყველაფერმა უკან გადაინაცვლა?

— პროფესიული თვალსაზრისით, დიდი გეგმები მაქვს. ყველა ინტერვიუში ვამბობ, რომ გიორგის წამოწყებულ პროექტს, 12 ქვეყნის იავნანას, მალე განვახორციელებ, სპონსორებთან შეხვედრას ვგეგმავ. კონკურსებში მონაწილეობა აღარ მინდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ თავი ვარსკვლავად მომაქვს. ვთვლი, რომ ალბომი და კარგი სოლო კონცერტი მჭირდება, ახლა უკვე მეტი მევალება. ჩემი ოჯახის ასეთი ტრაგედიის შემდეგ მაინც მაგრად ვდგავარ, თურმე ძალიან ძლიერი ვყოფილვარ. შეიძლება გულს არ ემღერება, მაგრამ თავს ძალას ვატან და ვმღერი. ამას ჩემი ძმის სიყვარულით და პატივისცემით ვაკეთებ. ერთადერთი, მისთვის რისი გაკეთებაც შემიძლია, სიმღერაა და ვიცი, მის სულს ეს უზომოდ გაუხარდება. ვგრძნობ, რომ ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა.

■ გიორგი ფოჩხუა

● „გიოჩგის ფეხის ● ფიჩხილიდან დანყებული ● თავამდე სალი ადგილი ● არ ჰქონდა დარჩენილი, ● მთელი ტანი ● დაღეჩეებული იყო. ამას ● ეი ეითი ეაცი ვეი ● გააკეთებდა. ეოქებზე ● ეაქვებით ქვები ჰქონდა ● მიბმული. ეს ყველაფეი ● თუ მომზადებული არ იყო ● და თუ ვილაცამ არ ● მიუტანა ეაქვი, ისე ● ოგოო მოხდებოდა?!".

— როგორ გრძნობთ გიორგის თანადგომას?

— სახლში მარტო თუ ვარ, გიორგის სულ ვესაუბრები. როცა ის ძალიან მჭირდება, ვეძახი და მშველის.

რამდენიმე ხნის წინ ჩემთან სტუმრად ჩამოვიდნენ მამიდა, მამა და დედა. სამსახურში მივდიოდი და მათ დასაძინებლად ვაბინავებდი. ამ დროს დავინახე, რომ კაცმა გაიარა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, მამაჩემი ან ჩემი სიძე მეგონა. ოთახში შემოვბრუნდი და ყველა იქ დამხვდა. ვიკითხე, აივანზე ვინ გავიდა-მეთქი და არავინო, მიპასუხეს. მთელი ოჯახი ერთად რომ ვიყავით, გიორგიც ჩვენთან იყო. შეიძლება ვიღაცას სასაცილოდ არ ეყოს ეს, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ გიორგი დავინახე.

— სად მუშაობთ?

— ახალგახსნილ, ძალიან კარგ რესტორანში ვმუშაობ ყოველ საღამოს. უამრავი ადამიანი მაკრიტიკებდა, ამ უბედურს რა ემღერებაო. პირიქით, ეს ყველაზე მეტად მეხმარება. ღმერთს დიდი მადლობა, რომ ეს პროფესია მაჩუქა! იმიტომ არ ვმღერი, რომ სცენაზე დგომა მინდა, ეს ბავშვობის ოცნება და ჩემი პროფესიაა. ექიმი ან იურისტი რომ ყოფილიყავი, ჩემს საქმიანობას ხომ აუცილებლად გავაგრძელებდი. ამ ყველაფერს იმიტომ გეუბნებით, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი, ან ახლა იმღერებ, ან არასოდეს-მეთქი. ამ ტრაგედიის შემდეგ რომ აღარ მემღერა, ამას არც საკუთარ თავს ვაპატიებდი და არც გიორგის ვაკადრებდი. დარწმუნებული ვარ, მას ის უფრო ეწყინებოდა, რომ არ მემღერა.

ისე არ გავნადგურდები, რომ ვინმეს შევეცოდო. ქუჩაში რომ გავივლი, არ მინდა, ვიღაცამ ჩემზე თქვას, საწყალიაო. ეს არც გიორგის გაუხარდება. მე ყოველთვის ვიამაყებ, რადგან მართლა ძალიან კარგი ძმა მყავდა.

— ტრაგედიის შემდეგ პირველად როცა იმღერეთ, ალბათ მაინც ძალიან გაგიჭირდათ.

— კი, ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ შევძელი და პირველი სიმღერა ვიმღერე. ერთ-ერთ სიმღერაზე ისე ავტირდი... ალბათ ტირილიც არ ერქვა, უფრო ვბღაოდი. გულში გიოს დახმარებას ვთხოვდი და მართლა დამეხმარა, ამ ტირილში ბოლომდე მღერა მოვახერხე. იქ უკვე მივხვდი, რომ ის ჩემ გვერდით იყო. გიორგი ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი იყო. ჩემს კარიერაში რაც კი მოხდებოდა, პირველად მას ვურეკავდი. მეუბნებოდა, მშიშარა ხარ და ვერ რისკავ, როგორ მინდა, ცოტა სხვანაირი იყო, ბევრს მიაღწევდიო. ჩვენი საუბარი სულ ჩხუბით სრულდებოდა, მერე დედაჩემს ეტყოდა, დღეს ელენეს ჭოჭი მივეცი და ახლა ნახე, ისე თუ არ მოიქცევაო.

ახლა უკვე აღარავის არაფერს ვეკითხები, ისე ვიქცევი, როგორც გიორგის მოეწონებოდა. შეიძლება ბევრი ვიცინო, ბავშვთან ვიმაიმუნო. მთელ ოჯახს მსახიობობა გვიწევს, ცხოვრება დიდი სპექტაკლი ყოფილა...

გიორგი სულ ჩქარობდა, ზუგდიდში ერთი დღის განმავლობაში მას რამდენიმე ადგილას ნახავდით. მისი გასვენების დღესაც ამას ვამბობდი, იმ დღეს ტაძარშიც ესვენა და თეატრშიც. მის დაკრძალვაზე ხალხი საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა, გაოგნებული დავრჩი! დედაჩემს ვეუბნებოდი, საშინელება გვჭირს, მაგრამ ბედნიერი ხარ, რომ შენი შვილი ხალხმა ასე დაიფასა-მეთქი. გიორგი არ იყო დიდი საზოგადო მოღვაწე, რომ ხალხს ასე გაეცილებინა. მან ამ ახალგაზრდა ასაკში თავისი ადამიანობითა და სიკეთით დაიმსახურა ხალხის სიყვარული.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მამუკა არეშიძე: „გამოდის, სააკაშვილი რუსეთთან საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციით ვაჭრობდა“

„აფხაზეთთან ფედერაციის ან კონფედერაციის გზით უნდა ვიაროთ“

აგვისტოს ომის 5 წლისთავზე უფლებათადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამ ომის მიზეზ-შედეგების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის საიდუმლო მასალების გასაჯაროებას ითხოვს. თავად იგი ნაციონალების ხელისუფლების დროს ამ კომისიის წევრი გახლდათ, რომელსაც პარლამენტის მაშინდელი ვიცესპიკერი პაატა დავითაია ხელმძღვანელობდა. კომისიის კითხვებს 22-მა მაღალი სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირმა უპასუხა. ლორთქიფანიძე თვლის, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ომის დაწყების გარემოებებთან დაკავშირებით სკანდალური განცხადებები გააკეთა რუსეთის პრემიერმინისტრ მედვედევის ინტერვიუს საპასუხოდ, ახალი ხელისუფლება ვალდებულია, ის საიდუმლო მასალები გასაჯაროს, რომლებიც კომისიის მუშაობის შედეგად იქნა მოპოვებული.

პოლიტიკური ექსპერტი მამუკა არეშიძე დავითაიას კომისიის მასალებს არცთუ ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს. მისი აზრით, უმჯობესია, ახალი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია შეიქმნას, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომს ობიექტურად შეისწავლის.

მამუკა არეშიძე:

— გასაჯაროება არ არის მთავარი, მნიშვნელოვანი ის არის, რომ პარლამენტში ახალი კომისია შეიქმნას, რომელიც ამ ყველაფერს რეალურად შეისწავლის. ახალმა კომისიამ დავითაის კომისიის მასალები შეიძლება გამოიყენოს, მაგალითად, საუბრები, მაგრამ მათი ანალიზი და დასკვნები, არა მგონია, რეალობას შეეფერებოდეს.

— ეჭვის საფუძველს ხედავთ?

— არ ვთვლი, რომ ახლა საჭიროა იმაზე საუბარი, რა გააკეთა დავითაიამ. შეიძლება მას ძალიანაც უნდოდა, რომ რეალური სურათი შექმნილიყო, მაგრამ სიტუაცია მაშინ სხვანაირი იყო და შესაბამისად, დაიდო ის, რაც დაიდო.

— ხშირად საუბრობენ, რომ სამოქალაქო პირების მხრიდან იყო სამხედრო ოპერაციებში ჩარევა.

— თვითონ სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით მართლაც არის კითხვები. გასარკვევია, რატომ შეიცვალა გეგმა ცხინვალში შესვლასთან დაკავშირებით. გეგმის მიხედვით, სამხედრო ოპერაცია დილის 5 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ღამის 2 საათზე დაიწყო, ამან გარკვეული არეულობა გამოიწვია. საინტერესო ისიც არის, რომ რუსეთის მხარეს ყველანაირი ინფორმაცია ჰქონდა, ქართული მხარე რას აპირებდა, უფრო მეტიც, იგივე სახელი ერქვა მათ ოპერაციას, რაც ჩვენთან. ერთადერთი მოულოდნელობა რუსებისთვის სენაკის ქვეგანაყოფის გამოჩენა იყო ბრძოლის ველზე, რითაც ფაქტობრივად კოდორი დაუცველი დარჩა. ამან ისინი დააბნია და მოხდა ის, რაც მოხდა.

— თქვენ ყოველთვის აღნიშნავთ, რომ ომი სააკაშვილს არ დაუწყია, მაგრამ ომის აცილება შეეძლო?

— ამის გაკეთება 2007 წლამდე შეეძლო, რადგან მანამდე რუსეთი ომისთვის ასე ინტენსიურად არ ემზადებოდა. კი ამბობს პუტინი, 2006 წელს დავიწყეთ მზადებაო, მაგრამ მე რაც მინახავს, ეს იყო 2007 წლის მარტი. მანამდე ამის აცილება შეიძლებოდა, თუ ქართული მხარე შეწყვეტდა საომარ რიტორიკას და, ასე ვთქვათ, მოახერხებდა დიალოგის გარკვეული ფორმატის შექმნას რუსეთის ხელმძღვანელობასთან. მაგრამ ეს არც რუსულმა მხარემ მოინდომა და არც ქართულმა, ეს შედეგი ამიტომაც მივიღეთ.

— სააკაშვილმა თქვა, ომი რომ ამეცილებინა თავიდან, რუსეთთან ნატო-ზე უარიც კი ვთქვი, მაგრამ არ მოინდომაო. რამდენად რეალურია ეს აღიარება?

— არა მგონია, ასე ყოფილიყო. საქართველოს მხრიდან ნატო-ზე უარის თქმა იქნებოდა რუსეთისთვის საჩუქარი და სიურპრიზი. ალბათ სააკაშვილმა გაკვრით რაღაც თქვა, მაგრამ არა მგონია, მას ამ საკითხის პედალირება მოეხდინა. თუ ეს მართლაც იყო, მაშინ გამოდის, რომ სააკაშვილის ცინიზმს საზღვარი არ აქვს. ესე იგი, ერთი მხრივ, რუსეთთან ვაჭრობდა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციით და, მეორე მხრივ, ყოველდღიურად ჩაგვჩიჩინებდა, რომ ნატო-ს ალტერნატივა არ ჰქონდა.

> **„ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში აფხაზეთს არავინ მიიღებდა გაეროში იმ დისკრიმინაციული კონსტიტუციით, რაც მათ აქვთ — რომ მხოლოდ აფხაზი შეიძლება იყოს ქვეყნის მეთაური. ამიტომ ბევრი ჩამ შეიცვლებოდა და შესაძლებელი იქნებოდა, ეს ქვეყანა ისევ აქეთ შემოერთებოდა საქართველოს“.**

— რატომ უპასუხა მედვედევს სააკაშვილმა ისევ ინტერვიუთი, რა იკითხებოდა მის სიტყვებში?

— ეს იყო თავის გადარჩენის ნიუანსები და გარკვეული მესიჯებიც, რომ შემიძლია უფრო მეტი ვილაპარაკო, თუ მხარს არ დამიჭერთო. საერთო ჯამში, ეს იყო აბსურდული ინტერვიუ, სადაც სააკაშვილმა საკუთარი თავის დამცირების შესახებ უფრო გვაუწყა. მან კიდევ ერთხელ შეარყია თავისი ავტორიტეტი საქართველოს მოსახლეობის თვალში. ის ინტერვიუ უფრო ჭკუაარეული კაცის ნალაპარაკევად მეჩვენა.

— ისევ კონდოლიზა რაისს კი გაჭრა მწარედ კბილი, არ სჯერიოდა, რომ რუსეთი ომს დაიწყებდაო.

— ძნელი დასაჯერებელია, რომ კონდოლიზას არ სცოდნოდა, რაც მოხდებოდა, უბრალოდ ცდილობდა, სააკაშვილი დაერწმუნებინა, სიტუაცია არ დაეძაბა.

— მაინც ვერაფრით ვხვდები, რუსეთმა ამ ინტერვიუნაით რა მოიგო.

— შორეულ პერსპექტივაში ვერაფერი, უბრალოდ მიიღო ოკუპანტის სახელი, რომელიც გარკვეულ დისკომფორტს ნამდვილად უქმნის. რაში აწყობდა? ეს არის ის კითხვა, რომელიც მეც მაწუხებს და რუსეთის პოლიტელიტამაც ვერაფრით ამიხსნა.

> **„გამოდის, რომ სააკაშვილის ცინიზმს საზღვარი არ აქვს. ესე იგი, ერთი მხრივ, რუსეთთან ვაჭრობდა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციით და, მეორე მხრივ, ყოველდღიურად ჩაგვჩიჩინებდა, რომ ნატო-ს ალტერნატივა არ ჰქონდა“.**

რუსეთი არის ძალიან რთულ სიტუაციაში, ფუნდამენტური ისლამის სახით სერიოზული საფრთხე ემუქრება და მასთან ბრძოლაში ერთადერთი მისი მოკავშირე შეიძლებოდა საქართველო ყოფილიყო. თუ ეს კავშირი არ მოხდება, მაშინ რუსეთს სერიოზული პრობლემები შეექმნება და საქართველო იძულებული გახდება, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს.

რუსეთის ხელისუფლებას რომ ნდომოდა თავისი პოზიციის გამაგრება, ეს ვარდების რევოლუციამდეც შეეძლო, ანუ საკითხი დაეყენებინა ისეთი ფორმით, როგორიც მიღებულია ცივილიზებულ მსოფლიოში — რაღაც ერთობლივი სამუშაო სივრცე შეექმნა და არა ისე, რომ ჯარი გამოეყვანა. არ მოინდომეს და მივიღეთ სურათი, როცა ქვეყნები დაშორებულია ერთმანეთთან, ამასობაში კი ის ძალა, რომელიც ძალიან სახიფათოა — პოლიტიკური ისლამი, ყოველდღიურად, საათობრივად ძალას იკრებს.

— მედვედევმა თქვა, საქართველომ ოსებთან და აფხაზეთთან თვითონ უნდა მოაგვაროს საქმეები. იმიტომ — არა, რომ ეს მედვედევმა „ვეირჩია“, მაგრამ მართლაც ხომ არ დადგა დრო, ამაზე სერიოზული ფიქრი დავიწყოთ?

— თავის დროზე ჩვენ ფედერაციაზე უარი ვთქვით. როგორც კი ვიღაცამ ამაზე ხმა ამოიღო, ზოგიერთი პოლიტიკასთან ახლოგავლილი ადამიანი ისტერიკაში ჩავარდა და ერთი ამბავი ატეხა, ფედერაციაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო. დღეს კი გვაქვს ის სურათი, რაც გვაქვს, ხვალ კიდევ უარესი გვექნება და სახვეწარი გვექნება ფედერაცია. შეიძლება ასეთი იდეა წამოვიდეს — კონფედერაცია. ახლა, რასაკვირველია, ამასაც ხიშტებით შეხვდებიან ვითომ პატრიოტები, თბილისში რომ არიან. ამ ხალხს კითხვას ვუსვამ ხოლმე, გამოსავალი რა გვაქვს-

Cyan Magenta Yellow Black

მეთქი. ვერაფერს მეუბნებიან, ერთის გარდა — რომ ძალით დაკარგული ძალით უნდა დაიბრუნო. ტაში! ვერ ვიბრუნებთ და რა ვქნათ? აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მოწყობა, რომელიც ქვეყანას წაადგება და ქვეყნის მთლიანობის აღდგენაზე მიანიშნებს, ჩვენთვის მისაღებია. ჩვენ ამ გზით უნდა ვიაროთ.

2003 წელს, როცა ამ საკითხთან დაკავშირებით იყო ჭაობი, მინდოდა, ხელისუფლებისთვის ახალი ინიციატივა შემეთავაზებინა — აფხაზებთან დაგვეწყო დამოუკიდებლობაზე მოლაპარაკება. მათთვის ასეთი რამ გვეთქვა — თუ ისინი რუსულ ჯარს გაიყვანდნენ თავიანთი ტერიტორიიდან და დაბრუნებდნენ ლტოლვილებს, მათ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი შესაძლებელი გახდებოდა. ამით ვაძლევდით შანსს მსოფლიო დამოუკიდებელ ოჯახში შესვლის. თუ ჩვენს ლტოლვილებს დავაბრუნებდით, ეს განხორციელდებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის, გაერო-ს კომისრის ეგიდის ქვეშ და ჩვენ უარეს შემთხვევაში მივიღებდით ორ სახელმწიფოს — ქართულს და ქართულ-აფხაზურს, რომელსაც რეფერენდუმის შედეგად შეიძლებოდა პოლიტიკურ ორიენტაციაზე სულ სხვა გადაწყვეტილება მიეღო.

ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში აფხაზეთს არავინ მიიღებდა გაერო-ში იმ დისკრიმინაციული კონსტიტუციით, რაც მათ აქვთ — რომ მხოლოდ აფხაზი შეიძლება იყოს ქვეყნის მეთაური. ამიტომ ბევრი რამ შეიცვლებოდა და შესაძლებელი იქნებოდა, ეს ქვეყანა ისევ აქეთ შემოერთებოდა საქართველოს. უკეთეს შემთხვევაში კი — ჩვენ ვთავაზობდით დამოუკიდებლობას და ის გვეუბნებოდა „არა“-ს. ხომ ადვილი მოსახვედრია, რომ რუსეთი ასე მარტივად არ გაიყვანდა ჯარს? საქართველო კი დანარჩენი მსოფლიოს თვალში იქნებოდა ზედმოკრატიული ქვეყანა, რომელიც თავის ერთ-ერთ პროვინციას სთავაზობს დამოუკიდებლობას, ის კი უარს ამბობს. მომგებიან მდგომრეობაში ჩვენ ვიქნებოდით.

არ ვამბობ, რომ ეს იყო ერთადერთი იდეა, მაგრამ ეს იყო კარგი სვლა. ამ სვლის გამო კი აქ ისეთ ისტერიკაში ჩავარდნენ ვაი პატრიოტები, რომ... საიტერესოა, რომ იგივე რეაქცია ჰქონდათ მოსკოვსა და სოხუმში. თუ მართლა გიყვარს შენი ქვეყანა, უნდა მიხვდე, სოხუმსა და მოსკოვში ასეთი რეაქცია რომ არის, სხვა რამეა ჩაფიქრებული. ინტერნეტთან ჯდომა კარგია, მაგრამ საქმის კეთება ყველას ეზარება. თუ არ დავიწყეთ საქმის კეთება და ინიციატივების ხელში აღება, ვერასოდეს დავიბრუნებთ ვერც აფხაზეთს, ვერც ოსეთს და საერთოდ ქვეყანა თავზე დაგვექცევა.

— დღეს რისი შეთავაზება შეიძლება მათთვის?

— მხოლოდ კონფედერაციაზე შეიძლება საუბარი, ამაშიც უკვე ეჭვი მეპარება, რადგან სააკაშვილმა შესთავაზა ვიცეპრეზიდენტის პოსტი აფხაზებს, მაგრამ უარი თქვეს. ესეც ცუდად იქნა გაკეთებული. ისეთი სიტუაცია უნდა შექმნა, რომ მოწინააღმდეგეს გამოსავალი არ დაუტოვო. ქართულმა მხარემ შესთავაზა, მათ უარი თქვეს და მორჩა.

— ახალი მთავრობა რას სთავაზობს?

— კონკრეტულს ჯერ არაფერს და, სხვათა შორის, სწორად იქცევა, რადგან ამ ეტაპზე არ არის მზად, რომ წინადადებათა პაკეტი შესთავაზოს. აქედან გამომდინარე, იმას მაინც არ ამბობს გაუთავებლად, გინდა თუ არა, ჩვენს შემადგენლობაში შემოდი და ხვალ ცხინვალში მნახავთ და 8 მარტს სოხუმში შევხვდებიო.

მანანა ნაჭყებია: „ვერ ვხედავ ვერც ერთ მიზეზს, რატომ შეიძლება ივანიშვილი წავიდეს“

«ახალი მემარჯვენეები პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს ვუჭერთ მხარს»

„ახალი მემარჯვენეების“ წევრს, პარტიის საორგანიზაციო მდივან მანანა ნაჭყებიას, ეჭვი არ ეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ ხელდასმული საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტი გახდება, მაგრამ ასევე დარწმუნებულია, რომ ქვეყნისთვის ეს არჩევანი წამგებიანი გამოდგება. ასევე მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილს ამ ეტაპზე ხელისუფლებიდან წასვლის უფლება არ აქვს და იმ შეცდომებზე საუბრობს, რომლებიც პრემიერ-მინისტრმა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში დაუშვა.

— ქალბატონო მანანა, აგვისტოს პირველი ორი კვირა ქართველი ხალხისთვის მძიმე მოგონებებთან არის დაკავშირებული. როგორ გადაფასდა 8 აგვისტოს ტრაგედია 5 წლის შემდეგ, სწორი დასკვნები იყო, თქვენი აზრით?

— ჩემთვის და საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც მყარად ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ რუსეთი ოკუპანტია და იმპერიალისტურ ზრახვებს ახორციელებს, არაფერი შეცვლილა. ჩვენ ამ დღეებში მოვისმინეთ ტყუილიც, მართალიც, განსაკუთრებით სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტების ინტერვიუებს ვგულისხმობ, რომლებიც ხანდახან გამაოგნებელიც იყო. მედვედევის ინტერვიუ იყო დასტური, რომ არც უნდა ვიოცნებოთ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე, რომ არ უნდა ვიოცნებოთ ნატო-ზე და, თუ ქართველი ხალხი კარგად მოიქცევა და ნატო-ზე უარს იტყვის, რუსეთი წყალობას გაიღებს. ამიტომ ამაში ბევრი საკამათო და სალაპარაკო არაფერია. ამ ინტერვიუებმა კიდევ ერთხელ აჩვენა და ვისაც ეჭვი ჰქონდა რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებთან დაკავშირებით, მგონი, დარწმუნდნენ, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა არ გამოვა, თუ ამ დათმობებზე არ წავალთ. საქართველო კი ამ დათმობებზე რომ არ უნდა წავიდეს, ამაში ეჭვი არ მეპარება.

— მაგრამ სააკაშვილმა თქვა, რომ მზად იყო, ესეც დაეთმო.

— სააკაშვილმა ბევრი საოცარი რამ თქვა, ეს დეტალი კი ჩემთვის ყველაზე გამაოგნებელი აღმოჩნდა. პრეზიდენტი, რომელსაც დემოკრატიაზე პრეტენზია აქვს, აცხადებს, რომ მზად იყო, რეფერენდუმით გადაწყვეტილი თემისთვის — ხალხის ნებისთვის ხაზი გადაესვა და ხალხის გარეშე მიეღო გადაწყვეტილება. სააკაშვილმა ამ აღიარებით თავისი ნამდვილი სახე წარმოაჩინა და დარწმუნებული ვარ, მართლა ყველაფერს გვერდზე გასწევდა, ოღონდ საკუთარი მიზნები შეესრულებინა.

— ხომ დაამატა, ამას მხოლოდ საქართველოს მთლიანობისთვის ვაკეთებდიო.

— რაც უნდა დაარქვას, ეს არის ხალხის ნება და როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებს, უნდა მიიღოს საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე. ქართველი ხალხი, რომელმაც ასეთი მძიმე წლები გამოიარა დამოუკიდებლობისთვის, ასე მარტივად არ დათმობს.

— სააკაშვილის სიტყვებით, ამის მერეც კი რუსეთმა უარი თქვა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დათმობაზე.

— ისედაც ცხადია, რომ რუსეთი ამ ტერიტორიებს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში დათმობს: თუ საქართველო კვლავ იქნება უმცროსი ძმის როლში, ევრაზიულ კავშირში შევალთ და მასზე ვიქნებით დამოკიდებული, ანუ საქართველოს არ ექნება საგარეო პოლიტიკა. ამიტომ, დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ ვიყოთ, დავიბრუნოთ ტერიტორიები და აღვიდგინოთ მთლიანობა, საჭიროა, გავერთიანდეთ ნატო-ში და მიმზიდველი სახელმწიფო გავხდეთ ჩვენი მეგობარი აფხაზებისა და ოსებისთვის. თუ საქართველო იქნება დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო, სადაც ადამიანი ღირსეულად იცხოვრებს, დარწმუნებული ვარ, მათაც გაუჩნდებათ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი.

„ბუჩჯანაძე, ჰა თქმა უნდა, ნონაღი ფიგურაა, მაგრამ მას ჰი აქვს შანსი, მით უმეტეს, ჯობა დავითაშვილის გამოჩენის შემდეგ. ჯობა ზუსტად იმ ელექტორატს წაიყვანს, ჰომელიც, სავარაუდოდ, ნინო ბუჩჯანაძეს უჭერს მხარს“.

ამ დღეებში ორი ვიდეო გავრცელდა სოციალურ ქსელებში — სინოპიდან ბაზრამდე ტროლეიბუსიდან გადაღებული ვიდეო და ფოტოები, რომლებმაც აჩვენა, გაგრაში რა ხდება. შემიძლია გითხრათ, რომ იქ არაფერი შეცვლილა, ანუ ხალხის ყოფა ისევე მძიმეა, როგორიც იყო. ვნახე ასევე გასული წლის თებერვლის კადრები — სახალხო აქტივობა, რაც რუსეთის გადაწყვეტილებას მოჰყვა. თუ მათი სუვერენიტეტი შეიზღუდებოდა, არ უნდოდათ რუსეთი. დარწმუნებული ვარ, აფხაზი ამაყი ერია და მიხვდება, რომ არ უნდა იყოს დამოკიდებული რუსეთზე და ისეთ სახელმწიფოში და ისეთი ავტონომიური უფლებებით უნდა იცხოვროს, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მათ სიამაყეს. ეს არის ჩვენი თანაცხოვრების ყველაზე კარგი ფორმულა.

— ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკური კურსი რუსეთთან დამოკიდებულებაში ფუნდამენტურად განსხვავებულია სააკაშვილის ხელისუფლებისგან. არის ეს კურ-

→18

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

სი ისეთი, როგორიც რუსეთთან ურთიერთობას დაარეგულირებს?

— მე არ ვარ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგი. მემარჯვენეები ყოველთვის ვამბობდით, რომ კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობები უნდა იყოს, მაგრამ არა — ჩვენი ინტერესების დათმობის ხარჯზე. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ახლო მომავალში პუტინის რუსეთი ველიკოდერჟავულ შეხედულებებს შეიცვლის, ამიტომ გვმართებს სერიოზულად დაფიქრება, გვინდა კი, იმ სახელმწიფოს ნაწილად ვიქცეთ, სადაც ადამიანის უფლებებს პატივს არ სცემენ, სადაც ადამიანები იდევნებიან თავიანთი აზრისთვის? რა თქმა უნდა, არ გვინდა. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ არჩევანი გავაკეთოთ და დავიწყოთ ყოველი გაურკვეველი მოძრაობა, რომელიც ილუზიას უქმნის რუსეთს, რომ საქართველომ შეიძლება დათმოს. ეს ასაზრდოებს რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს. თუ მათ დავანახვებთ, რომ პოზიციას არ ვცვლით, მათი მხრიდანაც უფრო სერიოზული დათმობები წამოვა.

„ოცა პრეზიდენტობის კანდიდატად მარგველაშვილი დასახელდა, კითხვის ნიშანიც არ იყო მეორე ტურთან დაკავშირებით, მაგრამ მერე ჰქონდა რამდენიმე შეცდომა — მეტყველების სტილი, საუბრის ტონი, მისი შეფასებები საპრეზიდენტო კანდიდატისა არ იყო და დაინია მისმა რეიტინგმა".

— 10 თვის თავზე როგორ შეაფასებთ მმართველი პარტიის მუშაობას?

— 1 ოქტომბერი ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო ქვეყნისთვის, რადგან ყოველგვარი სისხლის გარეშე, ანუ არჩევნების გზით, მოხერხდა ცვლილება, რაშიც უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ბიძინა ივანიშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციაში ვართ, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ, რაც ამ ადამიანმა თავისი გავლენით, ავტორიტეტით, ფინანსებით გააკეთა... ამავდროულად ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მისთვის სასურველებად და არასასურველებად დაყო.

უნდა დავივიწყოთ ზღაპრები, შეთქმულების თეორიები, რომ ვიღაცა ვიღაცასთანაა შეკრული. ეს არის მხოლოდ მიზეზი შენთვის არასასურველი პოლიტიკური პარტიის მოსაცილებლად. კი, ბატონო, შეეძლო ეთქვა, მე მომწონს ეს პარტიები და ისინი იქნებიან ჩემთანო, მაგრამ არამც და არამც არ უნდა დაეკიდებინა სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის იარლიყი ისე, როგორც ამას თავის დროზე ააკაშვილი აკეთებდა. ეს იყო მისი ძალიან დიდი შეცდომა და კიდევ ის, რომ „შუა უნდა გაიკრიფოს". არ უნდა გაკრეფილიყო და ჩვენ გვექნებოდა ბევრად უფრო ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები, პარლამენტში სხვა პოლიტიკური პარტიები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ რას ვიზამთ, მოხდა ის, რაც მოხდა. ახლა მთავარია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღებას და ისეთი არჩევნები ჩავატაროთ, სადაც ადამიანები სურვილის შესაბამისად გააკეთებენ არჩევანს და არა იმიტომ, რომ მერე მის ოჯახს რამე არ დაუშავდეს.

მემარჯვენეები ხელისუფლებას ყველანაირად შევუწყობთ ხელს არჩევნების სამართლიან გარემოში ჩასატარებლად. ხანდახან ისე გამოდის, რომ ოპოზიციაში მყოფები ხელისუფლების პოზიციას უფრო ვიჭერთ, ვიდრე კოლეგა ოპოზიციონერების, მაგრამ მთავარია ქვეყნის ინტერესები და არა ის, რა მოეწონება ნინო ბურჯანაძეს, კახა კუკავას თუ სალომე ზურაბიშვილს.

— რას ფიქრობთ საპრეზიდენტო კანდიდატებზე?

— სიმართლე გითხრათ, კანდიდატებთან დაკავშირებით ვისურვებდი, ბევრად უფრო წონადი პოლიტიკური ფიგურები და ბევრად უფრო დამოუკიდებელი მოთამაშეები ყოფილიყვნენ. დღევანდელი კონსტიტუციით, პრეზიდენტს არ აქვს ის უფლებები, რასაც ჩვენ ვიყავით მიჩვეული. ის არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, არ განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სამაგიეროდ არის არბიტრი პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. ამიტომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი ფიგურა — არც პრემიერის კაცი და არც პარლამენტის. თუ განსაკუთრებული შეცდომა არ დაუშვა კოალიციამ ან თვითონ მარგველაშვილმა, ის გავა და გახდება პრეზიდენტი, მაგრამ ეს ქვეყნისთვის არ იქნება კარგი. უკეთესი იყო, ალასანიას გადაედგა ეს ნაბიჯი და მისი კოალიციაც გაგებით მოჰკიდებოდა მის სურვილს. ეს ქვეყნისთვისაც ბევრად უკეთესი იქნებოდა, როგორც უფრო დამოუკიდებელი კანდიდატურა, მაგრამ ასე არ მოხდა.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, ბურჯანაძე, რა თქმა უნდა, წონადი ფიგურაა, მაგრამ მას არ აქვს შანსი, მით უმეტეს, კობა დავითაშვილის გამოჩენის შემდეგ. კობა ზუსტად იმ ელექტორატს წაიყვანს, რომელიც, სავარაუდოდ, ნინო ბურჯანაძეს უჭერს მხარს. ამიტომ ამბობენ, რომ მარგველაშვილი გაიმარჯვებს, მაგრამ ერთი რამ ძალიან მაწუხებს — თქვენ ხედავთ, რომ 27 კანდიდატია, არადა 5 თითიც საკმარისია, ჩამოვთვალოთ, ვინ იმსახურებს კანდიდატობას. დანარჩენებიდან ზოგიერთს ფსიქიატრის დასკვნაც სჭირდება და ამის გამო შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს. ქვეყნის კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს ბარიერს იმისთვის, რომ არაადეკვატური ადამიანი არ მოხვდეს კანდიდატადაც კი. კანდიდატი ხომ პოტენციური პრეზიდენტია.

„ივანიშვილმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მისთვის სასურველებად და არასასურველებად დაყო... და ეიდევ ის, რომ „შუა უნდა გაიკრიფოს". არ უნდა გაჯერფილიყო და ჩვენ გვექნებოდა ბევრად უფრო ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები".

— მეორე ტურს ვარაუდობთ?

— თავიდან, როცა მარგველაშვილი დასახელდა, კითხვის ნიშანიც კი არ იყო მეორე ტურთან დაკავშირებით, მაგრამ მერე ჰქონდა რამდენიმე შეცდომა — მეტყველების სტილი, საუბრის ტონი, მისი შეფასებები საპრეზიდენტო კანდიდატისა არ იყო და დაიწია მისმა რეიტინგმა. მას ამაგრებს კოალიციის რეიტინგი და ის ბერკეტები, რაც „ოცნებას" აქვს — ადგილი ადმინისტრაციაში, ფინანსური ბერკეტები. ეს კი სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა, მეორე ტურის გარეშე მოიპოვოს გამარჯვება. მაგრამ ერთი რამ უნდა აღვნიშნო, არ მომწონს, რომ მას სახელმწიფოს წილით დაარსებული კომპანიები აფინანსებენ, იგივე რკინიგზა. თუ ამ გზას დაადგა მმართველი პარტია, ცუდად დაამთავრებს.

— დავით ბაქრაძის შანსებზე რას ფიქრობთ?

— მარგველაშვილს ვერ გაუწევს კონკურენციას, მაგრამ შესაძლოა ბურჯანაძეს მეორე ადგილი არ დაუთმოს. ვაღიაროთ, რომ იყო და არის საზოგადოება, მყარი ელექტორატი, რომელსაც მოსწონდა ნაცმოძრაობა დასავლური ღირებულებების გამო, თუმცა ააკაშვილმა ამასაც გადაუსვა ხაზი ერთი ინტერვიუთი. მიმაჩნია, რომ ნაციონალების შიგნით მყოფი მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები არ უნდა დაიკარგონ. ამ მოძრაობამ უნდა მოახერხოს განახლება, უფრო სწორად, ჯანსაღი ნაწილისა და დასავლური ღირებულებების პარტიებიდან შეიქმნას ერთი მსხვილი დასავლური ორიენტაციის პარტია, რომელიც ისევ იმ ადამიანების მხარდაჭერას მოიპოვებს, ვინც მიხეილ ააკაშვილს მხოლოდ დასავლური ორიენტაციის გამო უჭერდა მხარს. ეს იქნება კარგი ჩვენი ქვეყნისთვის.

დღეს საოცარი სიჭრელეა კოალიციაში, ნაწილი აცხადებს, რუსეთიო, ნაწილი — დასავლეთიო. ასეთი ჭრელი მმართველი კოალიცია არ გვაწყობს. გვინდა, მყარად იყოს გარანტირებული, რომ საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ ნატო-ზე და ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე იქნება ორიენტირებული.

— აპირებთ, რომელიმე კანდიდატს დაუჭიროთ მხარი?

— არა, მთავარ კომიტეტზე ვიმსჯელეთ ამაზე და ვთქვით, რომ არც კანდიდატი გვეყოლება და არც რომელიმეს დავუჭერთ მხარს. თუ გინდათ, ზედმეტ არათავმდაბლობად ჩამითვალეთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: „ახალი მემარჯვენეები" ძალიან იშვიათი გამონაკლისი ვართ, რომელიც არ ცვლის პოზიციას და არ ერგება კონიუნქტურას. ყოველთვის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვიღებთ გადაწყვეტილებას. ამით მხოლოდ ვიზარალეთ, მაგრამ სხვანაირად არ შეგვიძლია. ვერ დავუჭერთ მხარს კანდიდატს, ვისთვისაც რუსული ვექტორი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასავლური. ბურჯანაძემ ასეთი რამ პირდაპირ თქვა, რაც მისი დონის პოლიტიკოსისგან გასაკვირია. ასევე, ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის ბევრად მნიშვნელოვანია ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნები. მათზე დიდ იმედებს ვამყარებ. თუ ხელისუფლება არ გაიმეორებს წინა ხელისუფლების შეცდომებს, ქვეყანაში ყველაფერი ისე დალაგდება, როგორც უნდა იყოს.

— დაბოლოს, რას მოუტანს ქვეყანას ააკაშვილის და ივანიშვილის თითქმის ერთდროულად წასვლა ხელისუფლებიდან?

— ეს აბსოლუტურად გაუგებარი და მოულოდნელი იყო. მართალია, ივანიშვილი ამბობდა, წავალო, მაგრამ ვფიქრობდი, რომ წავიდოდა, როცა თავის ციკლს დაასრულებდა. ასეთ განცხადებებს სერიოზული პოლიტიკოსები არ აკეთებენ. ამ საკითხის ნებისმიერი ინტერპრეტაცია ძალიან ცუდია, მაგრამ რომ წავა და მაინც გააკონტროლებს, ეს ყველაზე საშიშია, რაც შეიძლება წარმოიდგინო. დეკემბრამდე რომ დაალაგებს და ისე წავა, ეს უამრავ კითხვას აჩენს. იმდენი რამეა დასალაგებელი, რომ ცხადია, დეკემბრამდე ვერ მოესწრება. ამიტომ ვერ ვხედავ ვერც ერთ მიზეზს, რატომ შეიძლება ივანიშვილი წავიდეს. არ უნდა წავიდეს და თუ მაინც წავა, მისმა პოლიტიკურმა გუნდმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ხალხმა ხომ ბიძინა ივანიშვილს მისცა ხმა და არა — კოალიციის პარტიებს, ამიტომ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნება და ბიძინა ივანიშვილმა ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ვაშაძე: „ციხეებში არეულობა თუ გაგრძელდა, ხელისუფლებას ისევ მოუნევს ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადება“

ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ჩარხი უკუღმა დაატრიალოს და ის 10 თვე, რაც ხელისუფლება დაკარგა, თავის სასარგებლოდ შემოატრიალოს. მათი საარჩევნო კამპანია იმაზეა აგებული, რომ „ოცნებამ“ „დანგრია ყველაფერი, რაც მათ აშენეს“ და ქვეყანაში შევარდნაძის პერიოდი ბრუნდება. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ცვლილებების ძალიან დაბალი ტემპი, პროფესიონალი კადრების დეფიციტი... ნაციონალები ამ „მომგებიან კარტს“ სულ უფრო და უფრო თამამად აფრიალებენ და ფიქრობენ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა გამარჯვების ყიჟინას დასცემენ. საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გიორგი ვაშაძე, „სარკესთან“ ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი სალაპარაკოც არ არის, ნაციონალები მხოლოდ პირველს უმიზნებენ.

— ბატონო გიორგი, ომთან დაკავშირებით რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა „რუსთავი 2“-ს, რა ამოიკითხეთ მედვედევის მესიჯებში?

— რუსეთს თავისი პოლიტიკა აქვს საქართველოსთან დაკავშირებით, რასაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ანარმოებს და 2008 წლის 8 აგვისტოც ამ ომის გაგრძელება იყო. იმ ცინიკურ ინტერვიუში კარგად ჩანდა, რომ ძალიან კონკრეტული ინტერესი აქვს და საერთოდ არ აწუხებს ჩვენი არჩევანი. ამიტომაც ეს ომი ჩვეულებრივი აგრესია გახლდათ და მიმართული იყო იმისკენ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები არ გავმხდარიყავით.

— თქვენი მხრიდანაც ცინიკურია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხსენება მაშინ, როცა საკაშვილმა აღიარა, რომ მზად იყო, რუსეთისთვის ეს საკუთარი ხალხის ნების გვერდის აყლით დაეთმო.

— კონტექსტი გაზვიადებულია, ასე ნამდვილად არ უთქვამს. მე სხვაგვარად გავიგე პრეზიდენტის ნათქვამი. მან სცადა, გაეგო, რუსეთის მხრიდან დათმობის ფასი რა იყო, მაგრამ რუსეთი ამაზეც არ წამოვიდა.

— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მედვედევის ინტერვიუდან?

— ყველას, ვინც მოისმინა, ცალსახა განწყობა ჰქონდა, რომ პირდაპირ გვატყუებდა — ვითომ მშვიდობისმყოფელებს ხოცავდნენ ქართველი მშვიდობისმყოფელები. კარგად ვიცით, რუსის ჯარი რაც არის. ასევე პასპორტიზაციის საკითხი, თითქოს რუსეთის მოქალაქეები იქ ჰაერიდან გაჩნდნენ და მათი დაცვის მიზეზით შემოვიდა რუსეთი ამ ტერიტორიაზე. ყველაზე უარესი იყო მისი მესიჯი, რომ არ აინტერესებს საქართველოს პოზიცია, მისი მიზანია, ნატო არ გაფართოვდეს და საქართველო არ გახდეს ალიანსის წევრი. ბირთვული შეიარაღების ეს აბსურდული მუქარაც საერთოდ გაუგონარი იყო. სტანდარტული მოქმედების გეგმაა, რომელიც რუსეთს ისტორიულად ახასიათებს და იმას ამტკიცებს, რომ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება საქართველოს მთავრობაში, მათ აქვთ თავიანთი გეგმა და ის უნდა შეასრულონ.

— ხალხი ომის შედეგებში საკაშვილსა და ნაცმოძრაობას ერთნაირად ადანაშაულებს. ეს კარგად გამოჩნდა „იმედის“ ეთერში ვანო სანაიას გადაცემაში.

— „იმედის“ ეთერი შეფასების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა, პირდაპირ გეტყვით, რომ ამ გადაცემასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს. სპეციალურად მიყვანილი ხალხი, ვინც აგრესიულად არის განწყობილი კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით... ეს ცალკე თემაა. ნუ ვიმსჯელებთ გადაცემაზე, რომელიც სპეციალურად იგეგმებოდა მმართველთა ოთახებში.

— იგივე კითხვები, რაც გადაცემაში დაისვა, სახიგადოებასაც აქვს — რატომ აქცია სახარბაზნე ხორცად ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობა.

— ხელისუფლებას მოსახლეობა არ დაუტოვებია, უზარმაზარი საორგანიზაციო სამუშაოები ჩატარდა, პირადად მე ვარეგისტრირებდი ამ ლტოლვილებს და ასობით მოხალისე გვყავდა ჩართული, რომ მათთვის დახმარება მიგვეწოდებინა. იყო თუ არა დაგვიანებული? ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელისუფლება საერთოდ არ გეგმავდა იმ პერიოდში ფართომასშტაბიანი ომის წარმოებას ამ ტერიტორიაზე. საბოლოო ჯამში, დევნილებისთვის დახმარების კუთხით საქართველოში მსგავსი ორგანიზება არასოდეს ყოფილა. მესმის, რომ ამ ადამიანებს გაცილებით უკეთესი პირობები ეკუთვნით, მაგრამ გავიხსენოთ, როგორ ცხოვრობდნენ აფხაზეთის ომის დევნილები. სახელმწიფომ მათ ელემენტარული პირობებიც კი არ შეუქმნა. 8 აგვისტოს ომიდან რამდენიმე თვეში კი ჩვენმა ხელისუფლებამ დევნილებს მეტნაკლებად მოწყობილი საცხოვრებელი სახლები გადასცა, სადაც, მინიმუმი, წყალი მოდიოდა.

რაც შეეხება ხელისუფლების მოქმედებას, კონკრეტულად ეს შეკითხვა მე ნაკლებად მეხება, მაგრამ ვიცი, რომ ასევე ორგანიზებულად დაიწყო ამ ხალხის გამოყვანა. ისინი არავის მიუტოვებია. გორიც რომ დაიცალა, მერე გამოვიდა ხელისუფლება იქიდან. მე თვითონ იქ ვიყავი, სანამ რუსული ჯარი შემოვიდოდა.

— როგორ მიმდინარეობს თქვენი პარტიის კანდიდატის, დავით ბაქრაძის საარჩევნო კამპანია, ხვდებით ხალხს, რას გეუბნებიან?

— საარჩევნო კამპანია დაწყებულია, დავით ბაქრაძე ხვდება ხალხს. მეც დავდივარ და ხალხს ველაპარაკები, ვეკითხები, მეკითხებიან.

„ქართულმა ოცნებამ“ ძალიან ბევრი ადამიანი მოატყუა თავისი დაპირებებით. ბევრია უკმაყოფილო მათი მოქმედებით. უფრო გაუჭირდათ, ვიდრე მანამდე, ზოგმა სამსახური დაკარგა, ზოგს ბიზნესის ბრუნვა შეუმცირდა. მოსახლეობა ასევე შეშფოთებულია მზარდი კრიმინალით და ძალიან ცუდად ჟღერს შსს-ს განცხადება, რომ დანაშაულის მაჩვენებელი შემცირდა.

ჩვენ მიმართ ამ მხრივ კითხვის ნიშანსაც არ სვამენ, რადგან მაშინ საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა იყო. მანქანის მოპარვა და ქურდობა დაავიწყდა ხალხს. ახლა რა ხდება? გაგარინზე სროლა იყო, მოკლეს ადამიანი, ვაკეში კაფეში დაამტვრიეს ყველაფერი, იქ აჭარაში, პიაცაზე მოკლეს ვიღაცა, გოგო დაიკარგა... ამ დროს შსს გამოდის და ამბობს, მინიკუპერით მოძრავმა პატრულმა შენიშნა მკვლელი და დაიკავა. ეს არაპროფესიონალიზმია და თუ ჰგონიათ, სტატისტიკის გაყალბებით და მინიკუპერით უშველიან მზარდ დანაშაულს, ძალიან ცდებიან.

— თქვენ რას სთავაზობთ, ისევ ნულოვან ტოლერანტობას?

— ყველამ კარგად იცის კრიმინალთან ბრძოლაში ჩვენი ეფექტური მექანიზმები. იცით, რისი მეშინია? ციხეში სერიოზული არეულობაა, ისევ კონტროლდება მაყურებლების მიერ და თუ ციხე აირია, მერე იქიდანაც დაიწყებენ დანაშაულის გაკონტროლებას. და მერე იცით, რა მოხდება? ვინც ამათ შეცვლის ხელისუფლებაში, ისევ ნულოვანი ტოლერანტობის გატარება მოუნევს, რადგან სხვაგვარად ასეთი მზარდი კრიმინალური სიტუაციის შეჩერება შეუძლებელი იქნება.

— ახლანდელი ხელისუფლება ამის პასუხად იმ მეთოდებს გაგახსენებთ, რაც ციხეში თქვენს დროს იყო დამკვიდრებული წესრიგის დამყარების ლიზენგით.

„იმიტომ ხარ მინისტრი, პრემიერი, მთავრობის წევრი, რომ ტვინი გქონდეს და სისტემა მართო. ჰამდენი ხანი უნდა აბრალო 9 წელიწადს და ნაცმოძრაობას შენი უნიათობა და უსუსურობა?!"

— ამას ვერ დავეთანხმები. სამწუხაროა, რომ ციხის, ე.წ. ცოცხის კადრები არ გამოიძიეს და უშუალო მონაწილეები გაათავისუფლეს. ერთი ვიკითხოთ, რატომ გაათავისუფლეს 9 პიროვნება, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ სწორედ წამებასთან დაკავშირებით დაიკავა? ყველას მიუსაჯეს 6-9 თვე და ძირითადი ნაწილი გარეთაა. აქ არ არის ბედუკაძის გათავისუფლებაზე საუბარი. ჩანს, ვიღაც იყო დაინტერესებული, ამ ადამიანებს ეს ეკეთებინათ. ჩვენი ხელისუფლების დროს 200 ადამიანია გასამართლებული იმავე ბრალდებით, ბევრი მათგანი დღეს სამსახურებში დააბრუნეს და ვინ აბრუნებს? სამწუხაროდ, გაცილებით უარესი მენეჯმენტის მქონე ხალხი მოვიდა, იციან წამება, დაძალება, იარაღის ჩადება... ნაციონალური მოძრაობის დროს გადაცდომები იყო და სამწუხაროა, რომ დროულად პასუხი არ აგეს, მაგრამ ასეთი ქაოსი და მარაზმი არ ყოფილა.

— ამაზეც შემოგიკავშირებთ, სამგზეარად ორაკელი ლარიბაშვილი მკვლელებს ხელს არ აფარებსო.

— პირდაპირ ვთქვათ, რობაქიძის, გირგვლიანის საქმეები ბილომდე ვერც ახლა გამოიძიეს, სასამართლომდე ვერ მიიტანეს. ესე იგი ისე არ არის, როგორც ყვებიან. ჩვენ ცალსახად ვამბობთ, რომ ყველაფერი გამოიძიონ და ყველაფერს სახელი დაარქვან, მაგრამ ერთი წელიც არ გასულა ახალი ხელისუფლების პირობებში და რამდენი ფაქტი გვაქვს?

— პოლიციასა და პროკურატურაში არსებული პრობლემები ისევ თქვენს ვამოზრდილ კადრებს ბრალდებათ, ერთ დღეში როგორ შეცვალოთო.

— ბოდიში! რაც ახლა ხდება, ამათ მიერ მოყვანილი კადრებითაა ჩადენილი. იმიტომ ხარ მინისტრი, პრემიერი, მთავრობის წევრი, რომ ტვინი გქონდეს და სისტემა მართო. სხვებზე გადაბრალებას თავი უნდა დაანებონ. ესეც მობეზრდა ხალხს. რამდენი ხანი უნდა აბრალო 9 წელიწადს და ნაცმოძრაობას შენი უნიათობა და უსუსურობა?

— არჩევნებზე დიდ იმედებს ამყარებთ, გეტყობათ.

— საინტერესო საარჩევნო კამპანია იქნება, გვყავს საკმაოდ ძლიერი კანდიდატი. რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

— რას გულისხმობთ, პრეზიდენტობას?

— აუცილებლად პირველ ადგილს, დამარცხებისთვის არ ვაპირებთ ბრძოლას.

— მეორე ადგილი დამარცხებაა? ექსპერტები ამბობენ, რომ მეორე ადგილი თქვენთვის გამარჯვება იქნება.

— მეორე ადგილზე კითხვის ნიშანიც არ არის, რომ გავალთ. ჩვენ უნდა გავიდეთ პირველზე!

— ვანო მერაბიშვილის შემცვლელსაც დაასახელებთ?

— არა, სანამ საქმე სასამართლოშია, მერაბიშვილი გენმდივნის პოსტს შეინარჩუნებს.

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ექიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

Cyan Magenta Yellow Black

ირაკლი კაკაბაძე მდიდრების დაყაჩაღებას იწყებს

„თუ ბიძინა ივანიშვილი ცუდად მოიქცევა, ისიც უნდა განჯეპლო!"

მწერალი, პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე თანამედროვე არსენა ოძელაშვილებს ეძებს. მდიდრისთვის წართმევა და ღარიბისთვის მიცემა, მისთვის იდეაფიქსად იქცა. ამ იდეის განსახორციელებლად მზადაა, ციხეშიც კი წავიდეს. პირველ რიგში, კახა ბენდუქიძის დაყაჩაღებას აპირებს, როგორც მდიდრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის. „ბენდუქიძინაირი მსხვილი ფინანსური დუნდულის მქონე ადამიანს უნდა ჩამოეჭრას დუნდული და დაურიგდეს ქართული გეტოების, ქართული სოფლის მოსახლეობას", — დაუფარავად აცხადებს კაკაბაძე.

„დუნდულის ჩამოჭრის" პრინციპი კი ასეთია — თუ გაჭირვებული ხალხის დახმარებაზე უარს იტყვიან ისინი, ვისაც ბიზნესიდან დიდი მოგება აქვთ, შესაძლოა ერთ დღეს თავიანთ საბანკო ანგარიშებზე იმდენი თანხა აღარ დახვდეთ, რამდენიც ეგულებათ. ირაკლი კაკაბაძე და მისი მეგობრები ჰაკერების ჯგუფს ამზადებენ, რომლებიც ამ ანგარიშებიდან თანხებს მოხსნიან და გაღატაკებული მოსახლეობისთვის გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხავენ.

ეს ყველაფერი ალბათ ხუმრობად გეჩვენებათ. თავიდან ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ ირაკლი კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები სრული სერიოზულობით არიან მომართული.

— ირაკლი ბატონო, რას ერჩით ბენდუქიძის დუნდულებს?

— მე და ჩემს მეგობარს, ნიკო თოფურიძეს, გვინდა, გავაკეთოთ რესტორნების ქსელი და დავარქვათ „ბენდუქიძის დუნდულები". ხალხი ივლის და შეჭამს! ბენდუქიძის და, საერთოდ, ბურჟუების დუნდულებზე დიდი მოთხოვნაა. კაპიტალისტები მშრომელი ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ. მშრომელი ადამიანი მხოლოდ ხელფასს იღებს, ის კი — ზედმეტ ღირებულებას. ეს ზედმეტი ღირებულება იმ ხალხს უნდა დარჩეს, რომელიც შიმშილობს. ბურჟუებს უნდა შევთავაზოთ, რომ იმ ზედმეტი ღირებულების ნაწილი ხალხში ჩადონ.

ამერიკაში დღეს 41 მილიონ ადამიანს საჭმლის ფული არ აქვს და სახელმწიფო აჭმევს. ჩვენთან კი დღესაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც მიშას დროს იყო. არაფერი გაუმჯობესებულა. კობა დავითაშვილი რამდენს ყვიროდა, ბოლოს გამწარდა და გამოვიდა პარტიიდან, რადგან არანაირი სოციალური უკეთესობა არ შეინიშნება. უბრალო ხალხი ისეთივე გაჭირვებაშია, როგორშიც იყო. ასეა დაახლოებით 90%. 10% კი ერთმანეთში ინაწილებს რაღაცეებს. რა მნიშვნელობა აქვს, მიშა იქნება თუ გრიშა?! ქონება უნდა გადანაწილდეს!

ბევრი თვლის, მდიდარი ქვეყნების მაგალითები რომ მომყავს, ეს დემაგოგიაა. არა, ისინი ჯერ შეგნებულები გახდნენ და მერე — მდიდრები. ისე არ ყოფილა, რომ ჯერ გამდიდრდნენ და მერე შეგნებულები გახდნენ. ნორვეგიამ სოციალური დემოკრატიის აშენება გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. გერმანიამ სრულ სიღარიბესა და სიღატაკეში დაიწყო ეს პროცესი. ჩვენ კი ჯერ ისევ ღორების გასუქების პროცესში ვართ. მთელი ქონება მათ ხელშია და კიდევ უფრო გასუქება უნდათ. როგორ შეიძლება ბენდუქიძეზე მეტად ღორი გაასუქო?! შეუძლებელია! აქედან გამომდინარე, ბენდუქიძე კარგი სიმბოლოა ღორი კაპიტალისტისა და მას მადლობას ვუხდი არსებობისთვის.

ბევრი ჩემი ნაცნობი არსებობისთვის იბრძვის. ადამიანი 50 თეთრს რომ გთხოვს, ესე იგი, პურის ფული არ აქვს.

— როგორია თქვენი პროგრამა?

— ჩვენ შესაძლებლობების და სიმდიდრის უფრო სამართლიანი გადანაწილების პროექტი გვაქვს. ზედმეტი ღირებულება, რაც რჩებათ კაპიტალისტებს, უნდა დაიბეგროს სახელმწიფოს მიერ.

— როგორ უნდა განისაზღვროს ეს „ზედმეტი ღირებულება"?

— თუ კაპიტალისტს მოგება 10-15%-ზე მეტი აქვს, ეს უკვე ძალიან ზედმეტია და ხალხს უნდა დაურიგდეს. ასეთი სისტემაა მთელ დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით — შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ქალბატონი სანდრას სამშობლოში — ჰოლანდიაში. ამ ქვეყნებში სოციალურად დაუცველი ფენები აღარ არსებობს.

„ჩვენ დავიწყეთ ხალხის მომზადება, რომ მათ შეძლონ ჯობჰიუტერულ ანგარიშებზე შეღწევა, ნებისმიერი ბანკის დაყაჩაღება და იქიდან ფულის წამოღება. ჩვენ ვლოცულობთ და მივესალმებით ყველას, ვინც გაძარცვავს ბენდუქიძისნაირ ადამიანებს".

— თუ ადამიანმა ისწავლა, იშრომა, საკუთარი ჭკუით ბიზნესი აწყო, არ აქვს უფლება, გამდიდრდეს? იქნებ სულაც არ არის ბუნებით ქველმოქმედი ძალაა?

— იმ სიმდიდრეს, გარშემომყოფები რომ არ ჰყოლოდა, ვერ დააგროვებდა. იმას კი არ ვამბობ, რომ ყველაფერი წავართვათ, მაგრამ შეუზღუდავი ფუფუნება გარყვნილებაა! ყველა ოლიგარქი მეტნაკლებად გარყვნილია. ბევრი ფული გარყვნილებაა! ეს პირდაპირ სახარებაში წერია. მეც, როცა ზედმეტი მქონია... ბევრი არასოდეს მქონია, მაგრამ... ბიზნესმენების ქონება გროვდება ათასობით და ხანდახან მილიონობით ადამიანის შრომის ხარჯზე. ვინც ზემოთ არის, ის ყველაზე ნაკლებს შრომობს. ვინც ქვემოთ არის, ის შრომობს და იმას აქვს ცოტა.

— თქვენი პრინციპით, ბიძინა ივანიშვილიც „გარყვნილია"?

— როცა ზედმეტ ფულს ქველმოქმედებაში დებს და იშორებს, მაშინ აღარ არის იმდენად გარყვნილი. ივანიშვილი ყოველთვის რაღაც ფულს გასცემდა. მას ბევრი კარგი რამ აქვს გაკეთებული. ვინც არ გასცემს, ის უფრო გარყვნილია. ზედმეტი სწორედ ის არის, რომელიც შენ არ გჭირდება და იმ საზოგადოებას უნდა დაუბრუნო, რომლისგანაც აიღე. ამორალურია, როცა ხალხი შიმშილით კვდება და შენ მილიარდს ინახავ.

შრომის კოდექსი ადამიანებს არ იცავს. ახლა ცოტა უკეთესი შრომის კოდექსი მიიღეს, ვიდრე მიშას დროს იყო. მიშას დროს ფაშისტური იყო, ახლა ნახევრად ფაშისტურია, მაგრამ მაინც ფაშისტურია. როცა სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, სოციალ-ეკონომიკური სამართალი უნდა აღდგეს და მერე უნდა დაისაჯონ იმ პოლიციური სახელმწიფოს წარმომადგენლები, რადგან ისინი იმ ქონებას იცავდნენ და იმიტომ აუპატიურებდნენ ხალხს.

— თქვენ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით მოქმედებთ თუ მარტო?

— მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტის თავმჯდომარე ვარ კავკასიაში. ეს ამერიკული ორგანიზაციაა, რომელთანაც დიდი ხანია ვმუშაობ. ამ საკითხზე სხვა არასამთავრობოებიც გვიერთდებიან და ქართველ ხალხთან ერთად ვმუშაობთ, ანუ დაახლოებით 3 მილიონ ადამიანთან ერთად.

— თქვენზე წერენ სოციალურ ქსელებში, ამერიკული ორგანიზაციების გამშმაგებულია და ამაში იღებს ფულსო.

— ჩავიდნენ ქართულ სოფლებში და ნახავენ, ვის აზრს ვახმოვანებ. გორის რაიონში, სოფელ კარბში ვარ გაზრდილი. კარბელი ძიძა მყავდა და იქ მზრდიდა. სულ არ მჭირდება არც ამერიკელი და არც იაპონელი, იმის გასაგებად თუ როგორ ცხოვრობს ჩვენი ხალხი. „ფეისბუქში" რომ სხედან, დარწმუნებული ვარ, ზოგი მათგანი ქართულ სოფელში არც ყოფილა, ზოგს ალბათ გლდანიც არ უნახავს. უბრალო, ღარიბ ხალხს ახლოს არ ეკარებიან. მე კი დავდივარ ქართულ სოფლებში და ვიცი, როგორ ცხოვრობენ. ტელეკომპანია „იმედმა" ამ თემაზე სიუჟეტი გაუშვა და იცით, რამხელა კონტრასტი იყო პოლიტიკოსების და ხალხის გამოსვლებს შორის? ხალხმა თქვა, რა კარგია, ხალხის დახმარებას თუ აპირებენო. პოლიტიკოსებმა და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ეს კანონის დარღვევად შეაფასეს. ეს საია პოლიტიკოსების მსგავსად ლაპარაკობს. ნათლად გამოჩნდა სურათი — ჩვენი პოლიტიკური ელიტა სიმდიდრის და კაპიტალიზმის მსახურია.

— ბიზნესმენს ჩამოართვა ქონება თუნდაც ღარიბებისთვის დასარიგებლად, კანონის დარღვევა არ არის?

— ეს კანონები მდიდრების მიერაა დაწერილი მდიდრებისთვის და, მაქსიმუმი, მოსახლეობის 2 ან 5%-ს იცავს, რომ მათ ეს ნაქურდალი ქონება შეინარჩუნონ.

ჩვენ დავიწყეთ ხალხის მომზადება, რომ მათ შეძლონ კომპიუტერულ ანგარიშებზე შეღწევა, ნებისმიერი ბანკის დაყაჩაღება და იქიდან ფულის წამოღება. ჩვენ ვლოცულობთ და მივესალმებით ყველას, ვინც გაძარცვავს ბენდუქიძისნაირ ადამიანებს. მოგების 15% დაიტოვონ და დანარჩენი გადასცენ გაჭირვებულ მოსახლეობას!

ამ პრობლემას თუ სახელმწიფო არ მიხედავს ისე, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხდება, იძულებულები ვიქნებით, ასე მოვიქცეთ. შეიძლება ორგანიზაციებთან მისვლა და თხოვნა, რომ ზედმეტი ღირებულებები ამ ანგარიშებზე ჩარიცხონ. თუ არა და, ჩვენ მოვუვლით. რომ გითხრათ, ზუსტად რას ვაპირებთ, მერე აღარ გააქურდინებენ თავს. კარგი, ინოვაციური მეთოდებია, რამდენიმე ქართველის მიერ არის მოგონილი. ისლანდიაში და სხვა ქვეყნებშიც აკეთებენ ამას. საკმაოდ დახვეწილი მეთოდებია. ამას სოციალურ მეწარმეობას უწოდებენ. მეთოდია თუ როგორ ჩამოათალონ მდიდარს 85% მოგება და გადაუნაწილონ სათემო განვითარებას. ჩვენ ჯერ მივდივართ და ვეუბნებით ბიზნესმენს, დადეთ ამდენი ფული. თუ არ დადებენ, მერე ჩავუტარებთ კონფისკაციას. ექსპროპრიაციას ვუტარებთ შემოქმედებითი მეთოდებით, ხელოვნების გამოყენებით. ეს იქნება ხალხის უხილავი ხელი, რათა ბანკირებს, მდიდრებს, სააკაშვილის ბანდის წევრებს მუდმივად ჰქონდეთ შიში, რომ შეიძლება ნებისმიერი მხრიდან განხორციელდეს მათზე შეტევა. გაუმარჯოს ყველას, ვინც სამართლიანობას მოემსახურება და ამ 85%-ს დაურიგებს ხალხს. 15%-ს კი, როგორც ხელფასს, ისე დავუტოვებთ.

— ამით ხალხს ფაქტობრივად დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებთ.

Cyan Magenta Yellow Black

— თუ ზედმეტ ღირებულებას ართმევ, დანაშაული არ არის.

— რა არის ზედმეტი ღირებულება კანონში არის დაფიქსირებული?

— ჩვენ არ ვცნობთ იმ კანონს, რომელიც თავად არ სცნობს ზედმეტ ღირებულებას! ჩვენი ქმედება არ იქნება დანაშაული. ეს იქნება დანაშაულებრივი კანონის დარღვევა. როცა კანონი უსამართლოა, პატიოსანი კაცის ადგილი ციხეშია. ჩვენ ამ კანონს სამოქალაქო დაუმორჩილებლობით შევცვლით, თორემ პარლამენტში რომ მივიდეთ და მოვთხოვოთ შეცვლა, ეს არ მოხდება, არ გვაქვს ამის ილუზია. ბიზნესმენებს მთელი პარლამენტი ჰყავთ ნაყიდი. ამიტომ ვიწყებთ დაუმორჩილებლობის კამპანიას და ხალხს მოვუწოდებთ, რაც მეტ მდიდარ ღორს გაძარცვავენ, მით უფრო დაილოცებიან.

— თქვენ მიერ დალოცული ჰაკერები რომ ციხეში მოხვდებიან, ეს თქვენს სინდისზე იქნება.

— ჩვენ თვითონაც წავალთ ციხეში! რა უფრო ღირებულია, ადამიანის სიცოცხლე თუ ქონება? იაპონიაში, ტაივანში უსახლკაროები არ ჰყავთ. ჩვენთან კი იპოთეკით დაზარალებულთა რაოდენობა უკვე 100.000-ს სცილდება. ბევრს ძალადობით გააფორმებინეს ხელშეკრულება ბანკის კრედიტზე, ბევრი მოატყუეს. ნანა კაკაბაძეს აქვს აღწერილი, რომ დაახლოებით 25 ათას კაცს ციხეში მოაწერინეს ხელი საბანკო კრედიტებზე. ჩვენ ყველას მოვთხოვთ პასუხს, მათ სახლებთან, მაგალითად, ახალაიას სახლთან, პერმანენტულ აქციებს მოვაწყობთ და ვაიძულებთ, მათი ოჯახები საქართველოდან წავიდნენ.

ლადო გურგენიძეს რომ შეხედავ, ეგრევე იფიქრებ, რომ გასაძარცვია. ეს ადამიანი გასაძარცვიც არის და გასატყეპიც! ამ კაპიტალისტებზე ერთი წესიც უნდა შემოვიღოთ — უნდა გავწკეპლოთ ხალხის თანდასწრებით! ასეთი რამ ირანში ხდება. ახმედი ნეჯადი გაწკეპლეს. მე ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ გაწკეპვლა არ იქნება ცუდი. წკეპლა რომ მიარტყა, თუნდაც მტკივნეული არ იყოს, მაგრამ ეს ხალხის თანდასწრებით გააკეთო, ეს ძალიან კარგი იქნება. თუ ბიძინა ივანიშვილი ცუდად მოიქცევა, ისიც უნდა გაწკეპლო. ახლა მილიარდი მისცა საზოგადოებას და იმ მილიარდის დახარჯვის მეთოდს ველოდებით, თვის ბოლომდე ვაცდით. მერე ვნახოთ.

— რიცა ბენდუქიძის დუნდულებზე საუბრობთ და ამით ადამიანის ვარგისობას ეხებით, რამდენად ეთიკურია? რამდენადაც ვიცი, ეს მისი ჯანმრთელობის პრობლემის შედეგია. ოკანიშვილს უფრო მეტი ფული აქვს, მაგრამ ფიზიკურად გამხდარია.

— ბენდუქიძეს ფიზიკური ნაკლი არ აქვს, მშვენივრად გამოიყურება, მისი ნაკლი მისი კაცთმოძულე იდეოლოგიაა. ჩინეთში ბენდუქიძისნაირი ქალები ქალღმერთებად არიან აღიარებულნი. ნანა კაკაბაძე, ხომ იცით, რამხელაა? მისნაირი ქალი ჩინეთში სექსსიმბოლოდ ითვლება. ბენდუქიძე მშვენივრად გამოიყურება, ღაჟღაჟა ლოყები აქვს და იფიქრებ, რა კარგად გამოუკვებავთო. ბენდუქიძე პატიოსანი კაცია, რადგან არ მალავს თავის ფილოსოფიას. არავითარ შემთხვევაში არ არის ლაპარაკი ფიზიკურ ნაკლზე — სიმსუქნესა თუ სიგამხდრეზე, საუბარია მის იდეოლოგიაზე. ამ კაცის ფილოსოფიაა — მდიდარმა იბატონოს და ღარიბი იყოს მონა. ბენდუქიძე ამას პატიოსნად ამბობს, სხვები მალავენ. ამიტომ ბენდუქიძის დუნდული არის კარგი სიმბოლო, კაპიტალიზმს განასახიერებს კარგად! ამბობს, ღორი ვარ და საერთოდ ადამიანი ღორიაო. ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანი ღორი არ არის და შეუძლია გასცეს და სხვასაც დაეხმაროს.

ამერიკაში მაღაზიაშიც მიმუშავია, ნაგვის გადამზიდავადაც და ეს ყველაფერი ძალიან დამეხმარა. ხვდები, როგორ მუშაობს დაუნდობელი კაპიტალიზმი. ნამდვილი მონა ხარ. არ იქნები მონა და გაგიშვებენ და ვიღაც სხვას მოიყვანენ. რომ არ მემუშავა, შეიძლებოდა შიმშილით მოვმკვდარიყავი. თუ შენს სექციაში ყველაფერი დალაგებული იყო და გაჩერდებოდი, უნდა აგერია და ისევ დაგელაგებინა. სამუშაოს დაკარგვას იქ უფრო დიდი შიში ახლავს თან, ვიდრე ციხეში მოხვედრას. მამაჩემი (ცნობილი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე. ავტ.) რომ წერდა ბურუუაზიაზე რაღაცეებს და ვკითხულობდი, ვფიქრობდი, ვაიმე, ეს საიდან მოიტანა-მეთქი.

სსრკ-ში ყველაზე კარგი ის იყო, რომ უმუშევრობა ისჯებოდა, ყველა მუშაობდა. ახლა ბენდუქიძისნაირები დაიწყებენ სიცილს, სსრკ მოუნდაო. სსრკ ჩვენ დავანგრიეთ, ბენდუქიძეს კი არ დაუნგრევია. ჩვენ სსრკ-ში ვებრძოდით იმპერიალიზმს და არა — სოციალიზმს.

— ირაკლი ცოტა ხნის წინ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს ეჩხუბეთ პრესკონფერენციაზე — კაპიტალიზმის „პროსტიტუტკა“ უწოდეთ. იმ ჟურნალისტს რას ერჩოდით?

— სიმართლე ვუთხარი! მერე არკვევდა, პროსტიტუცია კი ვიცი, მაგრამ კაპიტალიზმი რაღა არისო. პრესკონფერენციაზე საუბარი უნდა ყოფილიყო ბანკებისგან დაზარალებულ, გაუბედურებულ ხალხზე. მან კი ლაპარაკი დაიწყო ბედუკაძეზე და აღარ გაჩერდა, ნახევარი საათი საუბრობდა. ამ კომპანიის ჟურნალისტებიდან ბევრს ვიცნობ და პირად საუბრებში აღიარებენ, რომ პროსტიტუციით უწევთ ფულის კეთება. მას ის ვუთხარი, რასაც „რუსთავი 2“ დიდი ხანია იმსახურებს. „რუსთავი 2“-ს არ აწყობდა ჩვენი პრესკონფერენციის თემა, რადგან მათ „საქართველოს ბანკი“ აფინანსებთ. პრესკონფერენციის ჩაშლა უნდოდა.

✓ **რუსუდან ადვაძე**

კომპანია „ნატახტარის“ მოსახერხებელი და ფასით მიმზიდველი სიახლე

ლუდი „ნატახტარი“ 1 ლარად, ლიმონათი — 50 თეთრად

კომპანია „ნატახტარი“ ყველაზე ცხელ სეზონზე თავის მომხმარებელს ორ სიახლეს სთავაზობს. ლუდის მოყვარულებს ნატახტარის დაგემოვნება შეუძლიათ 0,33 ლიტრიან თუნუქის შეფუთვაში. კომპაქტური, ცივი და გემრიელი ლუდი ზაფხულის განუყრელი ატრიბუტია. სიახლეა ლიმონათის სფეროშიც, „ნატახტარის“ ლიმონათის მოყვარულებს ახლა საყვარელი სასმელი ასევე 0,33 ლიტრიან თუნუქის შეფუთვაში შეუძლიათ გასინჯონ და თან მხოლოდ 50 თეთრად. კომპანია „ნატახტარმა“ ეს სიახლე მომხმარებელს აქციის ფასში შესთავაზა. ახალმა კომპაქტურმა შეფუთვამ უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა მომხმარებლებში. უფრო მოსახერხებელი და ფასითაც მიმზიდველია, ასე შეაფასეს „ნატახტარის“ სიახლე ლუდისა და ლიმონათის მოყვარულებმა.

თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:

— ჩვენი მომხმარებელი განებივრებული გვყავს მუდმივი სიახლეებით, არც ეს ზაფხული არის გამონაკლისი. ლუდი „ნატახტარის“ და ლიმონათი „ნატახტარის“ მოყვარულებს საშუალება აქვთ, საყვარელი სასმელი 0,33 ლიტრიან თუნუქის ქილით მიირთვან. ასეთ შეფუთვას ძალიან ბევრი პლუსი აქვს, პირველ რიგში, კომპაქტურია, მინის ბოთლთან შედარებით უკეთესად ინარჩუნებს სიცივეს და სანამ სვამ, არ თბება. მისი მოცულობა ადამიანს საშუალებას აძლევს, ძალიან სწრაფად მიიღოს გასაგრილებელი საშუალება. ჩვენ ახალი ბაზრის ლიდერები ვართ, ყოველთვის იმაზე ორიენტირებულები, რომ მომხმარებელს მაქსიმალური კომფორტი შევთავაზოთ. გარდა ამისა, თუნუქის ქილებში ჩამოსხმა უფრო მეტ შესაძლებლობებს გვაძლევს საექსპორტო მიმართულებით. ბევრი ბაზარი ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან შესაბამისი შეფუთვა არ გვქონდა.

— ნარტახტარის ლუდისა და ლიმონათის ახალი შეფუთვა ფასის მიხედვით რამდენად განსხვავებულია სხვა შეფუთვებისგან?

— ლიმონათი „ნატახტარი“ თუნუქის ქილაში კარგა ხნის განმავლობაში აქციის ფარგლებში გაიყიდება და მხოლოდ 50 თეთრი ეღირება. გვინდა, მომხმარებელი მივაჩვიოთ, რომ გემრიელი და გამაგრილებელი სასმელი ყველგან მოითხოვოს — სწრაფი კვების ობიექტებში, მგზავრობისას და ყველგან, სადაც მოისურვებენ. ლიმონათი „ნატახტარი“ თუნუქის ქილებში ამ ეტაპზე სამი გემოთი არის წარმოდგენილი — ტარხუნა, საფერავი და მსხალი. ლუდში კი მხოლოდ „ნატახტარი“ გვაქვს. ლუდის ფასი 0,33 ლიტრიან შეფუთვაში 1 ლარია. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ჩვენი სიახლე მისაღები აღმოჩნდება მომხმარებლებისათვის და მომავალში სხვა სახეობის ლუდსაც ჩამოვასხამთ. ჩვენთვის ძალიან მნაიშვნელოვანია მაღალი ხარისხი, ამიტომაც მომხმარებელს ახალი, მაღალი კლასის პროდუქტს იმ ფასში ვთავაზობთ, რასაც ხარისხი მოითხოვს.

Cyan Magenta Yellow Black

სალომე გოგიაშვილი ქმარს გოგონას უჩენს

„ვახოს უნდა, ჩემს ბიჭსაც თავისი გვარი მისცეს“

პოპულარული სახე, რომელიც პერიოდულად ტელეგადაცემების წამყვანად გვევლინება, ამჟამად კი რადიოწამყვანი, სალომე გოგიაშვილი ნანატრ მესამე შვილს ელოდება. ის და მისი მესამე ქმარი, ვახო ნიკოლაიშვილი, რაც შეუღლდნენ, ანუ დაახლოებით სამი წელი, ამ ბავშვზე ოცნებობენ. ორივეს ჰყავთ შვილები წინა ქორწინებიდან, ახალ კი საერთო გოგონას მშობლები გახდებიან.

ფეხმძიმობა სალომეს ხელს არ უშლის, ტელევიზიაში დაბრუნებაზე იფიქროს. როგორც გვითხრა, შეთავაზება უკვე აქვს, თუმცა ბოლომდე შეთანხმება ჯერ არ მომხდარა.

— სალომე, იმ იმედგაცრუებების შემდეგ, რაც წინა ორ ქორწინებაში გამოსცადეთ, ვახოსთან ცოლქმრობის სამ წელს როგორ შეაფასებთ?

— სულ მგონია, რომ ვახო მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით იყო, ერთმანეთთან შეგუება არ გაგვიჭირდა. ახლა სიმშვიდის და სტაბილურობის შეგრძნება გვაქვს. ამ სამ წელიწადში მივხვდი, რა არის ოჯახი და არ ვიცი, ეს ასაკის ბრალია თუ იმის, რომ მე და ვახოს სრული ჰარმონია გვაქვს. ახლა ვხვდები, რომ ქმარი ისეთი უნდა იყოს, როგორიც ვახოა. მისგან არანაირი შეზღუდვა არ მაქვს. მხოლოდ ის უნდა, შინდაბრუნებულს ჩემი ხელით გაკეთებული ვახშამი დახვდეს. ვცდილობ, კერძები მისი გემოვნებით გავაკეთო. მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია მთელი დღე როგორც მინდა, ისე გავატარო, როცა ვახო შინ ბრუნდება, მის გვერდით უნდა ვიყო.

„თამარ ჩერგოლეიშვილი წერს, ნახეთ, ჰომოფობი სალომე გოგიაშვილი სამსახურიდან როგორ გაათავისუფლესო. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებმა ერთხმად გამოხატეს ბედნიერება, კომენტარებს წერდნენ, ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა, რომ მათ სამსახური დაეტოვებინათო და ტელეკომპანია „იმედი“ ამ ყველაფერში დაეხმარა. მათთვის პასუხის გაცემა არ ღირს“.

ახლა ვიგრძენი, რომ ნამდვილი ოჯახი მაქვს. საღამოს ჩვენს სახლში რომ შემოიხედოთ, ერთ დიდ იტალიურ ოჯახს ვგავართ — სტუმრებით და მხიარულებით.

— ერთმანეთის შვილებთან შეგუების პერიოდმა როგორ ჩაიარა?

— ვახოს ჩემი შვილები უზომოდ უყვარს. ჩემს უფროს შვილს, მაშკას, ჰყავს მამა, რომელიც მასზე ზრუნავს და კარგ მამობას უწევს, ვახოს სახით კი მან კარგი მეგობარი შეიძინა. ერთხელ მე და ვახომ რაღაცაზე ვიკამათეთ, მაშკამ ეს ძალიან განიცადა და, რაც მთავარია, მე დამადანაშაულა, ამის გამო ორი დღე არ მელაპარაკებოდა. მისი პოზიცია მომეწონა. ჩემთვისაც და ვახოსთვისაც მნიშვნელოვანია, მაშკა ჯანსაღ გარემოში გაიზარდოს. ჩემი ბიჭის, ციბკასთვის კი ვახო არის მამა.

— როგორც ვიცი, ვახოს სურდა, მისთვის თავისი გვარიც მიეცა.

— ამის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ კანონით ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ. ორივე ვცდილობთ, რომ ციბუკა ნიკოლაიშვილი გახდეს. რაც გაიზარდა, მისი აღმზრდელი ვახოა, უყვარს და ჰბაძავს მას. ვახო საძინებლიდან რომ ჩამოდის, ციბუ ქვემოთ ხვდება და ეკითხება, „კრასავჩიკ“, მალე მოხვალო. ხშირად მთხოვს, რომ თმა ისე გავუკეთო, როგორც ვახოს აქვს, ისეთი საათი და სუნამო უნდა, როგორიც ვახოს აქვს... ჩემი ქმარი ამ ყველაფერს ხვდება, სიამოვნებს და ბავშვებს ორმაგად თბილად ექცევა.

— რამდენამე თვეში საერთო შვილი გეყოლებათ. ამ საახლეს როგორ შეხვდით?

— ღვთის წყალობით, იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ჩემი შვილები მოუთმენლად ელოდებიან მის დაბადებას. ციბუს ძალიან უნდოდა, ძმა ჰყოლოდა. რომ გაიგო, გოგოს ველოდებით, ვერ მიხვდა, უნდა გახარებოდა თუ არა. მაშკა თავის კაბებს უკვე უნახავს პატარას. ჭიდაობაა იმ თემაზე, თუ ვისთან დაიძინებს ახალშობილი. დიდი რიგი დგას, მუცელზე ვინ მაკოცებს.

მე ცოტა სხვანაირად ვემზადები, ჩემთვის მესამე შვილია და ფრთხილად ვარჩევ კლინიკას, ექიმს. აღარ მინდა, ის ტკივილი ვიგემო, რაც უფროსი შვილების გაჩენაზე განვიცადე. ციბუკაზე მშობიარობის დროს ექიმის უყურადღებობის გამო ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შემექმნა. ვაპირებ, ფიზიოლოგიურად ვიმშობიარო.

— თქვენს ქმარსაც პირველი ქორწინებიდან ორი ბიჭი ჰყავს. რა რეაქცია ჰქონდა, როცა გაიგო, რომ გოგონას მამა გახდებოდა?

— ჩვენს დიდ ოჯახში იქნება სამი ძმა და ორი და. ვახოს ეს ახარებს და უკვირს კიდეც, ნიკოლაიშვილებს მეტწილად ბიჭები გვყავსო. როგორც კი გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, ვახოს მაშინვე ვუთხარი, გოგო გვეყოლება-მეთქი. არ დამიჯერა და ამაზე ბევრი ვიკამათეთ. ამ რამდენიმე დღის წინ ექოსკოპიაზე რომ წავედი სქესის გასაგებად, სამწუხაროდ, ვახო თან არ მახლდა, იტალიაში საქმიანი ვიზიტი ჰქონდა. იქ მოუთმენლად ელოდა პასუხს. ექოსკოპიიდან გამოსული არ ვიყავი, რომ დამირეკა და მკითხა, ვინ არისო. ვახოს რომ ვუთხარი, მალე გოგოს მამა გახდები-მეთქი, დიდი პაუზა გააკეთა, ბოლოს მკითხა, როგორ უნდა მოვეფეროო. იმდენად დიდი იყო ჩემი ემოცია, როცა ეკრანზე ჩემი შვილი დავინახე, ცრემლები ვერ შევიკავე. ახლახან ვახომ მითხრა, ყოველთვის ვოცნებობდი, გოგო მყოლოდაო.

— როგორი ორსულობა გაქვთ?

— 19 წლის ვიყავი, მაშკა რომ გავაჩინე, 25 წლის ასაკში ბიჭი მეყოლა. ბიჭის სიყვარული სულ სხვა რაღაც ყოფილა. ახლა 30 წლის ვარ და სულ სხვა ემოცია მაქვს, ყველაფერს შეგნებულად ვუდგები. სამი თვის ორსული ვარ, პირველი პერიოდი საშინლად გადავიტანე, ტოქსიკოზი მქონდა. ახლა ყველაფერი კარგად მიდის. წინა ორ ორსულობაზე 18 კილო მქონდა მომატებული, ახლა ექიმმა კატეგორიულად გამაფრთხილა, რომ 10-12 კილოზე მეტი არ უნდა მოვიმატო.

— ბავშვის სახელი მოფიქრებული გაქვთ?

— თებერვალში ჩვენს ოჯახში თინიკო დაიბადება. გადავწყვიტე, მეორე გოგონას ჩემი დედიკოს სახელი დავარქვა. ჩემი ორივე შვილი და ვახოს შვილი სანდროც თებერვალში არიან დაბადებული. ვნახოთ, რომელ მათგანს გაუკეთებს საჩუქარს თინიკო — იქნებ რომელიმეს დაბადების დღეზე გაჩნდეს.

— ქმარი დაესწრება თქვენს მშობიარობას?

— კატეგორიულ უარზეა, არ სურს, რომ იმ დროს სამშობიარო ბლოკში იყოს. ვემუქრები, მაინც დაგიძახებ და მშობიარობას დაგასწრებ-მეთქი. მითხრა, როგორც კი გავიგებ, რომ მეძახი, საქართველოდან წავალო. მას ასეთი რაღაცეების პანიკური შიში აქვს, სამაგიეროდ ჩემი მეგობრები დგანან რიგში. ასე რომ, მარტო არ ვიქნები... ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და თუ ღმერთი მომცემს, მეოთხე შვილსაც გავაჩენ. ჩემი ოცნებაც ეს იყო — დიდი ოჯახი, ქმარი, შვილები, შვილიშვილები.

— ზაფხულს თბილისში ატარებთ?

— არა, ამ ინტერვიუს რომ მოვრჩებით (ინტერვიუ 9 აგვისტოს ჩაიწერა. ავტ.), რამდენიმე საათში მე, ვახო და ბავშვები თურქეთში გავფრინდებით. ძალიან გვჭირდება განტვირთვა, დასვენება.

— რაღაც გეგმები გქონდათ მუშაობასთან დაკავშირებით. ფეხმძიმობის გამო საქმეები გადაიდო?

— არა მგონია. ერთ-ერთი არხიდან მივიღე შემოთავაზება, მაგრამ ჯერ არ გეტყვით, რადგან საბოლოოდ არ შევთანხმებულვართ.

— თუმცა ეს ალბათ აღარ იქნება ის ტელეკომპანია, საიდანაც თქვენ და დავით ქაცარავა ჰომოფობიის მიზეზით გაგათავისუფლეს.

— მე და დათო ქაცარავა „იმედიდან“ გასაგები მიზეზების გამო გაგვათავისუფლეს. „ფეისბუქის“ გვერდზე დღეს თამარ ჩერგოლეიშვილი წერს, ნახეთ, ჰომოფობი სალომე გოგიაშვილი სამსახურიდან როგორ გაათავისუფლესო. მისი სტატუსის ქვემოთ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებმა ერთხმად გამოხატეს ბედნიერება, კომენტარებს წერდნენ, ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა, რომ მათ სამსახური დაეტოვებინათო და ტელეკომპანია „იმედი“ ამ ყველაფერში დაეხმარა. მათთვის პასუხის გაცემა არ ღირს, არ ვთვლი, რომ მათ დონემდე უნდა დავეცე.

■ სალომე და ვახო

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

დაიბრუნეთ ჩვეული სილალე და თვითდაჯერებულობა

არსებობს პრობლემები, რომლებიც შეუმჩნეველია გარშემომყოფთათვის, მაგრამ შესამჩნევად ცვლიან ადამიანის აქტიური ცხოვრების რითმს. ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება ფეხის ტერფის სოკოვანი დაავადება, რომლის დროსაც თითებშუა კანის შეწითლებას, აქერცვლას, სინოტივეს თან ერთვის აუტანელი წვის, ქავილის შეგრძნება და უსიამოვნო სუნი. ეს კი, გარდა იმისა, რომ არაესთეტიური და ულამაზოა, აგრეთვე მტკივნეულიცაა.

საბედნიეროდ, შესაძლებელია ამ არასასიამოვნო პრობლემისგან სწრაფად და ეფექტურად გათავისუფლება, და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ცხოვრების ჩვეულ რითმში დაბრუნება.

ტერბიზილი® კრემი

ტერბინაფინი

ეფექტური

↓

სწრაფი

↓

საიმედო და უსაფრთხო

ტერბიზილის კრემი - შექმნილი სპეციალურად კანის სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ სულ რაღაც **1-2 კვირაში** ახდენს ტერფის სოკოსგან სრულ განკურნებას და იცავს კანს განმეორებითი ეპიზოდების განვითარებისაგან ხანგრძლივი დროით.

გამოყენების წესი: წინასწარ გასუფთავებულ და მშრალი კანის დაზიანებულ უბნებზე წაისვით ტერბიზილი კრემის თხელი ფენა 1-2 ჯერ დღეში

- **უზრუნველყოფს სწრაფ, ეფექტურ განკურნებას.**
- **ანადგურებს კანის სოკოს ყველა ძირითად გამომწვევს.**
- **ახდენს სრულ განკურნებას (ტერფის სოკოს დროს 1-2 კვირაში).**
- **დაგცავთ რეციდივის განვითარებისაგან.**

იკითხეთ აფთიაქებში

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ღსს "გედეონ რიხტერი"-ს (უნგრეთი) წარმომადგენლობა საქართველოში.
მის.: თბილისი, კანდელაკის №8, ტელ/ფაქსი: 237-11-00; 237-71-00

რეკლამა

Cyan Magenta Yellow Black

დავით ბაქრაძე: „ვნაობ, რომ ჩემი ცოლის მოტანილ ჭორებს არ ვუჯერებდი“

მაკა მეტრეველი: „იმის გაფიქრებაც მზარავს, რომ შეიძლება პირველი ლედი გავხდე!“

ძველი ხელისუფლების მეორე პირი, ახლა უკვე პრეზიდენტობის კანდიდატი ნაციონალებიდან, დავით ბაქრაძე, წარსულში დაშვებულ პოლიტიკურ შეცდომებზე ალაპარაკდა. ახლა მისთვის ყველაზე მტკივნეული მისი თანაგუნდელების მიმართ საზოგადოების მიერ გამოხატული აღშფოთება და სიძულვილია. თუმცა, როგორც „სარკესთან“ საუბარში ამბობს, ასეთ დამოკიდებულებას პირადად მისი მისამართით ნაკლებად გრძნობს, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ პრაიმერის დღეს მისი მანქანისთვის მოზრდილი ქვა უსვრიათ.

ის ახლა მთლიანად წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული. თავის შესაძლებლობებს რეალურად აფასებს, ამიტომ მარცხისთვისაც მზად არის და გამარჯვებისთვისაც. მისი ცოლი, მაკა მეტრეველი და შვილები, 14 წლის კატო და 9 წლის ნიტა, ჯერჯერობით მხოლოდ ოჯახის უფროსის განწყობის ამაღლებაზე ფიქრობენ, წინასაარჩევნო კამპანიაში კი ჩართული არ არიან. ცოლის საზრუნავი ქმრის ჩაცმულობაა, რაშიც ზოგადად სიმშვიდით ცნობილი პოლიტიკოსი თურმე დიდ სიჯიუტეს იჩენს.

ბაქრაძე-მეტრეველის წყვილს „სარკესთან“ სასაუბრო თემებში თავი არ შეუზღუდავს. ცოლ-ქმარმა ბევრ რამეზე ისაუბრეს — შეცდომებზე, განვლილ წლებზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, დღევანდელ ყოფაზე.

— ბატონი დავით, წაგებული არჩევნებიდან დაახლოებით 10 თვეა გასული. რა დასკვნები გააკეთეთ?

დავითი: თურმე ოპოზიციის ლიდერობას ბევრად უფრო მეტი დრო და ენერგია უნდა. როცა ხელისუფლებაში ხარ და თან პარლამენტის თავმჯდომარე, ყველაფერი უფრო მარტივად ლაგდება. ხელისუფლებაში ყოფნას თავისი დისციპლინარული ბერკეტები გააჩნია. აი, ოპოზიციაში კი ბევრად რთული აღმოჩნდა. როგორც უნდა გესმოდეს, რომ არჩევნებში წაგება ქვეყნისთვის კარგია, ადამიანური თვალსაზრისით და ემოციურად ძალიან ძნელია... ბევრი რამ, მათ შორის სტატუსი, ცხოვრების პირობები, კონკრეტული სიტუაციები იცვლება, ფსიქოლოგიურად ბევრი რამის გადალახვა გიწევს. ყველაზე რთულია მომენტი, როცა შენს თავს ეკითხები: „რა მოხდა? წაგება, აგრესია, უკმაყოფილება რამ გამოიწვია? სად გადავედით ზღვარის მიღმა, რომლის იქითაც საზოგადოებას უკმაყოფილების და აგრესიის განცდა გაუჩნდა?“. ამაზე მუდმივად ვფიქრობ.

— ამ ყველაფერზე არჩევნებში წაგების შემდეგ დაიწყეთ ფიქრი?

დავითი: ეს ყველაფერი წაგების შემდეგ ბევრად უფრო კარგად ჩანს. ამაზე ფიქრს მას შემდეგ იწყებ, როცა გაკვეთილს მიიღებ. ორი გზა გაქვს — ან ეს გაკვეთილი არ შეიმჩნიო და თქვა, რომ ყველაფერში მართალი იყავი და უმადურმა ხალხმა არ დაგიფასა, ან ეს გაკვეთილი უნდა მიიღო და იმაზე ფიქრი დაიწყო, ხალხს რა არ მოეწონა და რა უნდა გააკეთო. მეორე გზა უფრო სწორად მიმაჩნია. გულწრფელად გეუბნებით, მთელი ეს თვეები ამაზე ვფიქრობდი.

— წელან თქვით, ცხოვრების პირობები, კონკრეტული სიტუაციები შეიცვალა. ადამიანური ურთიერთობები იგულისხმეთ? თქვენმა წრემ შეცვალა თქვენდამი დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც ქვეყნის მეორე პირი აღარ ხართ?

— ხელისუფლებაში, მაღალ თანამდებობაზე როცა ხარ, ძალიან ბევრი ადამიანის მხრიდან სულ სხვანაირ დამოკიდებულებას ხედავ და გრძნობ, ვიდრე მაშინ, როცა ოპოზიციაში გადადიხარ. ამ შემთხვევაში უკვე შენთან ურთიერთობა სარისკო ხდება, ამისათვის შეიძლება ვიღაც დასაჯონ, მაგრამ ერთი, რაშიც გამიმართლა, არის ის, რომ გვერდით ყოველთვის ის ადამიანები მყავდა, ვინც თანამდებობის გამო არ მეგობრობდნენ ჩემთან. ბევრია ისეთიც, ვინც ერთი წლის წინ ამ დროს თვალებში შემომციცინებდა, დღეს კი ჩემს დანახვაზე შეიძლება თავი გვერდზე შეატრიალოს. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრების ყველა ეტაპიდან მომყვებიან მეგობრები. ეს წრე რომ არ მყოლოდა, ბოლო თვეები ძალიან რთული გადასატანი იქნებოდა.

— და მაინც, როცა საკუთარ თავს ეკითხებით, „რა მოხდა?“, რა პასუხს იღებთ საკუთარივე თავისგან?

დავითი: როცა ხელისუფლებაში ძალიან დიდხანს ხარ და ძლიერი და საქმიანი კრიტიკა არ გესმის, არავინ გყავს, ვინც შეგეწინააღმდეგება, ასეთ დროს შეცდომების დაშვებას იწყებ. დუნდები, ბევრ რამეს ყურადღებას აღარ აქცევ, ბევრი რამის აღქმის უნარი გეკარგება და აქედან ძალიან ბევრი შეცდომა მოდის, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის პირველ ერთ წელიწადში არ დაუშვებდი. როცა ძლიერი ოპონენტი გყავს, ფორმაში ხარ, პრობლემას ხედავ და ადეკვატურად რეაგირებ. დღეს ვაღიარებ, რომ

დავითი: „მაკა ტვინს მიჭამს, ეს ჯინსი ჰატომ გაცვია და იმ ჰალსტუხს ჰატომ არ იკეთებო. ჯეჰჯეჰობით მისი ჰოლი საარჩევნო კამპანიაში ნეჰვების მოშლით გამოიხატება“.

ბევრი პროცესი შეიძლება პირდაპირ მე არ მეხებოდა, მიშვებული მქონდა, ისეთ თემებში არ ვერეოდი, რაც ჩემი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, საქმე არ იყო და გვერდზე ვიდექი.

— რთული ვადასატანია, როცა შეცდომებზე მიგითითებენ?

დავითი: შეცდომებზე საუბარი რთულია, მაგრამ მე ეს არ გამჭირვებია. მაშინაც კი, როცა პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი და როცა მაკა ან ჩემი შვილები გრძელვადიან გეგმებს აწყობდნენ, სულ მეცინებოდა. ვეუბნებოდი, ეს დროებითია, თავმჯდომარე დღეს ვარ, ხვალ არ ვიქნები, ამიტომ ისეთ გეგმებს ნუ აწყობთ, რაც ჩემს თანამდებობაზე ყოფნას უკავშირდება-მეთქი.

მაკა: ისე გამოდის, რომ მე გეწინააღმდეგებოდი.

დავითი: არა, უბრალოდ ქალის ბუნებაა ასეთი. თან, გეგმების დაწყობა შენ უფრო გიყვარს, ვიდრე მე, ბავშვებს — კიდევ უფრო მეტად. უმცროსი, ნიტა, 9 წლისაა და ფაქტობრივად, ბოლო 4 წელი, რაც მას თავისი თავი ახსოვს, მუდმივად ესმის, რომ პარლამენტის თავმჯდომარის შვილი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახის მანქანა, დაცვა თუ ძალიან ბევრი საყოფაცხოვრებო რამ ჰქონდა. ამიტომ ბავშვებსაც სულ ვეუბნებოდი, ამ ყველაფერს ნუ მიიჩვევით, ეს დროებითია-მეთქი. ცხოვრებაში კარგიც დამთავრდება და ცუდიც, მთავარია, შენ გვერდით მყოფთათვის მისაღები დარჩე.

— მაკა, თქვენ რაოგორი ემოციებით გადასულხართ პარლამენტის თავმჯდომარის ცოლის სტატუსიდან ოპოზიციის ლიდერის ცოლის სტატუსში, გაგიჭირდათ რეალობასთან შეგუება?

მაკა: შეიძლება იმას უფრო მეტი პლუსი აქვს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე არ ვარ, მეტი თავისუფლება მაქვს. ჩემთვის გაცილებით რთული შესაგუებელი იყო ის რეჟიმი, როცა დათო პარლამენტის თავმჯდომარე გახდა. დაცვა გვყავდა, სხვა სახლში გადავედით, ეს ძალიან რთული იყო. დაცვა უკან რომ აღარ დამყვება, სადაც მინდა, იქ მივდივარ, ყველაფერს თავისუფლად ვაკეთებ და ეს მსიამოვნებს.

დავითი: რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ყველაზე მეტად დაცვა მაწუხებდა. წინ სირენებიანი ავტომობილები რომ მიმყვებოდნენ, გზას რომ მითავისუფლებდნენ და ხალხი მიყურებდა, ვინ მოდისო, ეს მართლა მაწუხებდა. მაკა აქამდეც ახერხებდა, დაცვას გაძრომოდა, მე უფრო თავს ვიკავებდი, მაგრამ ახლა თქვენთან ვაღიარებ, რომ ერთხელ დაცვას მეც გავეპარე. ჩემს მეგობართან ვიყავით სახლში, სუფრა ჰქონდა. დაცვას გამოვეპარე და მეგობრებთან ერთად ლუდის დასალევად წავედი. სახლს ორი გასასვლელი აქვს, დაცვა პირველ სართულზე მელოდებოდა, მე კი მესამე სართულიდან გავედი. იმ მომენტში ძალიან მომინდა, ჩემს მეგობრებთან ერთად მარტო, დაცვის გარეშე წავსულიყავი. უკან ისე დავბრუნდი, დაცვას არაფერი გაუგია, მაგრამ მერე ეს ვინანე. მართლა რამე რომ მომხდარიყო, იმ ბიჭებს პრობლემას შევუქმნიდი.

— როგორ აისახა პოლიტიკური ცვლილებები თქვენს ოჯახურ ცხოვრებაზე? ბატონ დავითს სახლში მკაცრად დაეტყო ხასიათზე?

მაკა: წაგება არაფერშია ადვილი. ამ ყველაფერმა მის ხასიათზე იმოქმედა. ოჯახი მაქსიმალურად ვედექით მხარში. როცა ვხვდებოდით, რომ ხმა არ უნდა ამოგვეღო, არ ვიღებდით; როცა ვხვდებოდით, რომ უნდა გაგვემხიარულებინა, შეძლებისდაგვარად ამას ვცდილობდით.

დავითი: ახალ გარემოსთან შეგუება უფრო რთული იყო, ვიდრე იმასთან, რომ თანამდებობაზე აღარ ხარ. ვგულისხმობ იმ დამოკიდებულებას, რაც წინა ხელისუფლების მიმართ არის. ბუნებით აგრესიული არ ვარ და კონფლიქტი, დაპირისპირება არ მიყვარს. სიმართლე გითხრათ, ჩემი მისამართით აგრესიულობას ნაკლებად შევეხვედრივარ. ძალიან ცუდად მახსენდება გასული საუკუნის 90-იანი წლები. როცა ჩემი ცხოვრების ყველაზე კარგი წლები კარგად უნდა გამეტარებინა, მიტინგებზე ვიყავი. დღეს ჩემი ცოლი დამცინის, ცეკვა რატომ არ იციო. იმიტომ არ ვიცი, რომ, როცა ბარში და დისკოტეკაზე უნდა მევლო, იმ დროს მიტინგებზე ვიყავი, თბილისში სროლა და სამოქალაქო ომი იყო. ეს იმდენად ცუდად მაქვს ჩაყოლილი, შინაგანად ძალიან მეშინია და არ მიყვარს, როცა საზოგა-

Cyan Magenta Yellow Black

დოება დაპირისპირებულია.

საწუწუნო დღესაც არაფერი მაქვს, პარლამენტის წევრი, უმცირესობის ლიდერი ვარ, ხელფასიც მაქვს, მანქანაც მემსახურება. ამ ქვეყანაში, სადაც ბევრს უჭირს, ჩემი მხრიდან ძალიან დიდი უსინდისობა იქნება, ვიწუწუნო, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არ ვარ.

— ქალბატონო მაკა, როცა ნაციონალების მისამართით აღშფოთება, ღანძღვა წყდება ვესმით, თქვენ და თქვენს შვილებს რა რეაქცია გაქვთ?

მაკა: შვილებს ეს ყველაფერი ნაკლებად ესმით, ისინი მხოლოდ სწავლით არიან დაკავებული. ჩემთან ცდილობენ, ასე არ ღანძღონ ხოლმე. მეგობრები მყავს, რომელთაც ჩემგან განსხვავებული პოზიციები აქვთ, მაგრამ ეს ჩვენს მეგობრობას ხელს არ უშლის. ისინი დათოსთანაც მეგობრობენ. არჩევნებზე რომ მიდიოდნენ, ვიცოდი, რომ 5-იანს არ შემოხაზავდნენ. აუცილებელი არ არის, ადამიანს მაინცდამაინც ქვა ესროლო და აზრი ასე გამოხატო. ამასაც ნელ-ნელა შევეჩვიეთ. დათოს მისამართით კი აგრესია არ მიგრძვნია.

დავითი: მაკა ცდილობდა, სახლში ჭორები მოეტანა, რომელთა ძალიან დიდ ნაწილსაც არ ვიჯერებდი და, როგორც აღმოჩნდა, ეს ჩემი მხრიდან შეცდომა იყო, რადგან იმ ჭორების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სიმართლე აღმოჩნდა. ამ ერთ საკითხში მაკამ მაჯობა. როცა ქართველი საზოგადოების ჭორებს იგებ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მათ დიდ ნაწილში სიმართლის მარცვალი არის, რასაც ერთი წლის წინ სერიოზულად არ აღვიქვამდი. დღეს მოარულ ხმებს უკვე სერიოზულად ვუყურებ.

— მაშინ იმაზეც გვიპასუხეთ, როცა ითქვა, რომ თქვენი ოჯახის წევრების სატელეფონო საუბრები თვის განმავლობაში ათასებს აღწევდა, რაც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა მიდის კვირეულიც, რომლის ორგანიზატორიც ქალბატონი მაკა იყო — ამაში იყო „სიმართლის მარცვალი“ თუ არა?

დავითი: ჩემი ოჯახის წევრებს სახელმწიფოს ბიუჯეტით არასოდეს უსარგებლიათ. მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, სატელეფონო საუბრები პარლამენტის ბიუჯეტიდან მინაზღაურდებოდა, მათ შორის, როცა უცხოეთში ვიყავი და როუმინგით ვსარგებლობდი. ჭორია, რომ ჩემი ოჯახის წევრების სატელეფონო საუბრები უზარმაზარი თანხა ჯდებოდა.

ამას გარდა, ჩემს თავზეც ძალიან ბევრი ჭორი გამიგია. მაგალითად, 4 თუ 5 ადამიანი შემიძლია დაგისახელოთ, რომლებიც თავს ჩემს დებად ასაღებდნენ და ამით თბილისის სხვადასხვა რაიონებში საქმეებს იკეთებდნენ, არადა სინამდვილეში დედისერთა ვარ. ერთი ქალი კი საერთოდ ჩემს ცოლობას იბრალებდა.

მაკა: ასეთიც იყო?!

დავითი: კი, სხვათა შორის, ისიც მეტრეველი იყო. ერთი ქალი ამბობდა, რომ ჩემი და იყო და ცდილობდა, მეზობლის ფართი დაესაკუთრებინა. ერთი პერიოდი თანამდებობის პირების უკანონო სახლებზე აქცია ტარდებოდა. გამოაჩინეს ჩემი სასახლე კოჯორში. სინამდვილეში, ეს ჩემი სიმამრის სახლია, რომელიც მან 1990 წელს აიშენა. მაშინ მე ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი და პლეხანოვიდან საბურთალოზე ფეხით დავდიოდი, საწვავის ფულიც კი არ მქონდა. მაინც მე მომაწერეს, ბაქრაძის არის, ოღონდ სიმამრის სახელზე აქვს გაფორმებული. ეს სახლი სასახლეს იმდენად არ ჰგავს, შერცხვათ და სხვა სახლის ფოტო დადეს. თავიდან ვფიქრობდი ხოლმე, შევეწინააღმდეგები, ვიტყვი, რომ ასე არ არის-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი — რაც უფრო მეტად უარვყოფდი, მით მეტ სალაპარაკოს მივცემდი.

მაკა: ძმა მყავს გარდაცვლილი. სასაფლაოზე წყალი არ იყო, მამაჩემმა გააკეთა და, იცით, რა თქვეს? ბაქრაძემ წყალი გააკეთა, მაგრამ ვერც ერთი ჭირისუფალი ვერ სარგებლობს, მარტო მის ჭირისუფლებს შეუძლიათ იმ წყლით სარგებლობაო. არადა სოკოს ფორმის „შადრევანზეა“ საუბარი, საიდანაც ნებისმიერი სვამს წყალს. ჩემი აზრით, როცა სისულელეს გაბრალებენ, ბევრ რაღაცაზე პასუხის გაცემა ჯობს. სანამ სიმართლე გაირკვევა, ხალხს ნაძირალა ჰგონიხარ.

დავითი: აგვისტოს ომის დროს ხმა გამივრცელეს, ბაქრაძემ თქვა, თავი ჩანგლებით დაიცავითო. ერთადერთი ჭორია, რომელზეც ვნანობ, რომ პასუხი არ გავეცი, რადგან ეს ჩემთვის ძალიან ემოციურ თემას ეხება. ომის დროს ჩემს ოჯახს დავემშვიდობე და ისე წავედი, დარწმუნებული ვიყავი, რუსეთი თბილისში შემოვიდოდა და ჩემს ოჯახს ვეღარ ვნახავდი.

— ქალბატონო მაკა, თქვენი ქმარი ოჯახშიც შეკედი, გაწონასწორებულია?

მაკა: პრინციპში კი, თუ წყობიდან არ გამოიყვანეს.

— რას გამოჰყავს წყობიდან?

დავითი: რას თუ ვის?

მაკა: ძირითადად მე. ადამიანი ემოციებისგან უნდა დაიცალოს, არ შეიძლება სამსახურშიც, საზოგადოებაშიც, სახლშიც გაწონასწორებული იყოს. ამიტომ იყვიროს და მერე გაჩერდება. შეიძლება საერთოდ არაფერზე გაბრაზდეს, უბრალოდ ხასიათზე არ იყოს.

დავითი: ისე გამოდის, სახლში მოვდივარ და

მაკა: „ადამიანი ემოციებისგან უნდა დაიცალოს, ის შეიძლება სამსახურშიც, საზოგადოებაშიც, სახლშიც განონასწორებული იყოს. ამიტომ იყვიროს და მეხე გაჩეხდეს".

აქ ვყვირი. როდის ვყვირი? როცა ცუდ ხასიათზე ვარ, იციან, რომ ჩემთვის მარტო, წყნარად უნდა ვიყო და რაღაც პერიოდის შემდეგ გადამივლის. ამის შემდეგ ბავშვებთან თამაშს ვიწყებ, ყველაზე მეტად მათ გამოვყავარ რთული მდგომარეობიდან.

— ქალბატონო მაკა, მიდის კვირეულს ჯერ კიდევ ხელისუფლებაში თქვენი მეუღლის ყოფნის დროს ჩამოშორდით, არადა მაზეზი არ დაგისახელებია. ახლა მასაც გეკითხებით, რატომ.

მაკა: ის 2 წელი და 4 პროექტი ჩემგან მაქსიმალური იყო. საზოგადოებამ ჩვენი პროექტით ძალიან ბევრი დიზაინერი გაიცნო, ბევრმა ქვეყანამ დაინახა ამ კუთხით საქართველო. გაიგეს, რომ პაპუასები არ ვართ და ჩვენთანაც არის საკმაოდ გემოვნებიანი და კარგი მოდა. ამის შემდეგ ამ პროექტის გაგრძელება ჩემ გარეშეც თავისუფლად შეიძლებოდა, ამიტომაც მასზე უარი ვთქვი. მივხვდი, რომ ჩემს ოჯახს უფრო ვჭირდებოდი.

დავითი: რაც შეეხება ამ სფეროს დაფინანსებას, გულწრფელად გეტყვით, არსად არაფერში ჩავრეულვარ. ეს სუფთა კომერციული პროექტი იყო. რაღაც ნაწილის დაფინანსებაში მათ კულტურის სამინისტროც ეხმარებოდა ისევე, როგორც ბევრ სხვა პროექტს ეხმარებიან. 50 პროცენტი კერძო სპონსორები იყვნენ, რომლებიც ამ საქმეში ფულს რეკლამის გამო დებდნენ. სიმართლე გითხრათ, თბილისში მაკა ჩემზე ბევრად მეტ ბიზნესმენს იცნობს.

— ბატონო დავით, თქვენს ვარეგნელ ამხანაგს ჩაცმულობაზე ცოლი ზრუნავს?

დავითი: ამაზე სულ ვჩხუბობთ და ვყვირით. ჩაცმაში არაპრეტენზიული ვარ. იმ კატეგორიის მამაკაცებს არ მივეკუთვნები, რომლებიც სარკეში თავს ერთი საათი ათვალიერებენ. ჩემი მთავარი ამოცანაა, სწრაფად გავემზადო, მოწესრიგებულად და ესთეტიკურად გამოვიყურებოდე. მაკა თავის არშემდგარ დიზაინერულ სურვილებს, როგორც წესი, ჩემზე ტეხს და სულ მეჩხუბება, იმას რატომ არ იცვამ, იმ ჰალსტუხს რატომ იკეთებო და ასე შემდეგ.

მაკა: ამას წინათ ვუყურე და ყველა სიუჟეტში ერთი და იგივე პერანგი ეცვა. როცა გაქვს, ხომ შეიძლება სხვადასხვა რამე ჩაიცვა?

— ქალბატონო მაკა, ქრის საარჩევნო კამპანიაში თქვენი როლი რიგორია?

მაკა: ჯერ აქტიურად არ ვარ ჩართული.

დავითი: ჯერჯერობით ტვინს მიჭამს, ეს ჯინი რატომ გაცვია და იმ ჰალსტუხს რატომ არ იკეთებო. ამჟამად მისი როლი ნერვების მოშლით გამოიხატება.

— ქალბატონო მაკა, თქვენი თავი პირველი ლედის რანგში წარმოგიდგენიათ?

მაკა: რთულად. დედას ვფიცავარ, გაფიქრებაც კი მზარავს! პირველი ლედობა ალბათ ყველა ქვეყანაში რთულია, მაგრამ საქართველოში — კიდევ უფრო მეტად. სადაც სამი ადამიანი დავჯდება, ქარ-ცეცხლში უნდა გაგატარონ.

დავითი: მე და მაკამ ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ. ცხოვრებაში ყველაფერს ჩემით მივაღწიე, თუმცა მშობლებმა განათლების თვალსაზრისით ბევრი რამ გამიკეთეს. ისინი ლექტორები იყვნენ, ლექციებს ფიზიკაში კითხულობდნენ. მამაჩემის ხელფასი ბოლოს იქამდე ჩამოვიდა, სახლში 2 ცალი „სნიკერსი“ მოჰქონდა. ყველაფერს იმ საფუძვლით მივაღწიე, რაც მშობლებმა მომცეს, განათლებას ვგულისხმობ.

— ფინანსურად რიგორ ეასახა თქვენს ოჯახზე ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ადარ ხართ?

მაკა: ფულს მანამდეც ფრთხილად ვხარჯავდით.

დავითი: ოჯახში საქმეები მაკას აბარია, ოღონდ, რა თქმა უნდა, მეც ყველაფერი ვიცი. ყოველ თვეს ჩემი ხელფასიდან რამდენი მიდის კვებაში, ბავშვების მასწავლებლებში, გადასახადებში, ამას მაკა განკარგავს. ფული მას გამოაქვს, მაგრამ ჩემი მობილურით საბანკო ოპერაციებს თვალს მეც ვადევნებ.

— ქალბატონო მაკა, ამჟამად თქვენი სამსახური რა არის?

მაკა: ჩაჩავას კლინიკაში მარკეტინგის სამსახურის უფროსი ვარ. ახლა შვებულებაში ვიმყოფები.

დავითი: ბევრი ჭორი გამიგია, ჩაჩავას კლინიკაში მაკას წილი აქვსო, მაგრამ ამის მთქმელებს აქაც იმედი უნდა გავუცრუო. მაკა 1993 თუ 1994 წელს გავიცანი.მაშინ ის ჩაჩავას კლინიკის სტაჟიორი იყო. ღამე იქ მორიგეობდა და ჩუმ-ჩუმად ვაკითხავდი კიდეც. ეგონათ, რადგან პარლამენტის თავმჯდომარის ცოლი იყო, იქ ამიტომ მუშაობდა ან წილი ჰქონდა.

✓ ეკა ლემონჯავა

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ნანა მჭედლიძის იმერული შედევრი

„ფილმში ყველა ისტორია რეალურია, არაფერი მომიგონია“

„იმერული ესკიზები“ — 1979 წელი
დამდგმელი რეჟისორი: ნანა მჭედლიძე
სცენარის ავტორი: ნანა მჭედლიძე
დამდგმელი ოპერატორი: გიორგი ჭელიძე
დამდგმელი მხატვარი: ბორის ცხაკაია
კომპოზიტორი: მერაბ ფარცხალაძე
ხმის რეჟისორები/ოპერატორები: ეთერ ჯებაშვილი, თამარ ბურდული
მემონტაჟე: ჯულიეტა ბეზუაშვილი
მონაწილეობენ: ნანა მჭედლიძე (ბებია), ნანა ქვათელაძე (ანა ბავშვობაში), მაგდანა მჭედლიძე (ანა ქალიშვილობის ასაკში), სოსო ჭეიშვილი, ბადრი კაკაბაძე (ბარნაბა), მარინე გიორგაძე, გრიგოლ წიტაიშვილი (ანას მამა), ჯუმბერ ძიძავა, რიმა ჭუმბურიძე, ლია სულაქველიძე, გოჩა ყურაშვილი, შალვა მშველიძე, კახა ჭკადუა, ლელა გოფოძე, ნინო ჩუტიშვილი, თამილა ქვათელაძე, ფრიდონ ყურაშვილი, ნინო ლორია, ავთანდილ კუბლაშვილი, მარინა ლორია, ნუნუ კირკიტაძე, ბორის მაკარიძე და სხვები.

ფილმ „იმერული ესკიზების“ შექმნის ისტორია ისეთივე კომიკური და მხიარული ისტორიებითაა სავსე, როგორიც თავად ფილმია. 30 წლის წინ რეჟისორმა ნანა მჭედლიძემ გადაწყვიტა, თავისი მშობლიური კუთხისთვის, იმერეთისთვის, უფრო კონკრეტულად კი ხონისთვის, ფილმი მიეძღვნა. ამბები, რომლებიც ფილმშია ასახული, მისი ბავშვობიდან არის აღებული და სრულიად რეალურია. სცენარის ავტორიც ქალბატონი ნანა გახლავთ და ფილმში მთავარი როლიც მან შეასრულა. რა ხდებოდა გადასაღებ მოედანზე და მის მიღმა, 87 წლის რეჟისორი თავად გვიამბობს.

საჩქარი მშობლიის ეთხეს

— ხონში დავიბადე და გავიზარდე. რეპრესირებული ოჯახის შვილი ვარ, 1937 წელს დედაჩემი გადაასახლეს, მანამდე მამაც დააპატიმრეს და გადაასახლეს... იქაურობა ძალიან

ნანა მჭედლიძე: „სცენარს ჰომ ვწერდი, იმაზე აჩქ მიფიქრია, ჰომ შეიძლებოდა მეც მეთამაშა. მახიამის ჰოლისთვის ნამდვილ იმერელ ბებიას ვეძებდი, მაგრამ სადაც ჩავედი, ყველგან ჰუტუნა ქალები დამხვდნენ. გადავწყვიტეთ, ეს ჰოლი სესილია თაყაიშვილს შეესრულებინა, მაგრამ ავად გახდა და მუშაობა ვეღარ შეძლო“.

მიყვარდა და გადავწყვიტე, რომ ჩემს მშობლიურ მხარეზე ფილმი გამეკეთებინა. სხვათა შორის, ხონში პირველად ჩვენ ჩავიტანეთ კინოს გადასაღები აპარატურა. მანამდე იმ ადგილებში ფილმი არავის გადაუღია. ჩემი კუთხის მიმართ დიდი ნოსტალგია მაქვს. ახლა, მით უმეტეს, ძალიან მინდა, რომ სიბერე იქ გავატარო.

რაც შეეხება „იმერული ესკიზების“ სცენარს, მასში მთლიანად რეალური ისტორიებია ასახული. შევეცადე, რომ იმერული ყოფა მეჩვენებინა. მოგონილი თითქმის არაფერია. ეს ყველაფერი მართლაც მოხდა ხონში, მის გარშემო სოფლებში და ის ამბები ბავშვობიდან ვიცოდი. უბრალოდ, როცა ამის შესაძლებლობა მომეცა, ყველაფერს ერთად მოვუყარე თავი და ფილმს, იმერლების პატივსაცემად, „იმერული ესკიზები“ დავარქვი.

■ ნანა მჭედლიძე

ფილმის გადაღებისას ხელი არაფერში შემშლია. ჩემი იდეა ყველამ ნორმალურად მიიღო და დასრულების შემდეგაც ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ, კინოსტუდიას ვგულისხმობ. მაშინ „ქართული ფილმის“ დირექტორი რეზო ჩხეიძე გახლდათ. მას რომ ვუთხარი, რის გადაღებასაც ვაპირებდი, მაშინვე დამთანხმდა. პირველი შემოქმედებითი გაერთიანების ხელმძღვანელი კი თენგიზ აბულაძე იყო, რომელმაც მითხრა, არც კი წავიკითხავ სცენარს, გადაღებაზე თანხმობას ისე გეტყვიო. რეზოს და თენგიზს არ უკითხავთ, რას ვაკეთებდი, დიდი ნდობა გამომიცხადეს. რეზოს უთქვამს, ნანამ ტელეფონის წიგნაკი რომ მომიტანოს დასადგმელად, იმაზეც დავთანხმდებიო.

დაახლოებით ერთი წელი ვიღებდით. ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. გადასაღებ მოედანზე დიდი მხიარულება იყო. გადაღებები ძირითადად ხონში მიმდინარეობდა და ასევე, იმერეთის სხვადასხვა ადგილებში. რაიკომის მდივნიდან დაწყებული უბრალო ხალხით დამთავრებული — ყველამ დიდი პატივი მცა და ხელი შემიწყვეს. ჩემს ფილმში რამდენიმე მსახიობმა ითამაშა, მასობრივ სცენებში კი სულ ადგილობრივი მცხოვრებნი დამეხმარნენ. თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი იყო ანზორ ბურჯანაძე, რომელმაც ასევე ძალიან შემიწყო ხელი. იმერლებმა ამით მხოლოდ მე კი არა, ქართულ ფილმს სცეს პატივი. მართალია, გადაღებების დაწყება ზაფხულის მიწურულს დაემთხვა და ხალხი ამ დროს მუშაობდა, მაგრამ თუკი ვინმეს ვთხოვდით გადაღებაზე მოსვლას, აუცილებლად გვეხმარებოდნენ.

ნითელთმიანი გოგო

— ნანა ქვათელაძე, რომელიც შვილიშვილის, ანას როლს ასრულებს, მაშინ მხოლოდ 7 წლის იყო. ხონში ცხოვრობდა. როდესაც სცენარი დავწერე, უკვე ვიცოდი, როგორი ბავშვი მჭირდებოდა. მე და გადამღები ჯგუფის რამდენიმე წევრმა მთელი საქართველოს სკოლები შემოვიარეთ და ისეთი ტიპაჟის ბავშვი ვერა და ვერ ვიპოვეთ. არ მინდოდა, ძალიან ლამაზი ყოფილიყო. ჩემთვის მთავარი იყო, დასამახსოვრებელი სახე ჰქონოდა და ყველასგან გამორჩეული ყოფილიყო. თბილისის პიონერთა სასახლიდან რომ დავიწყეთ ბავშვების ძებნა, სხვადასხვა სოფლებში გავაგრძელეთ.

ერთხელაც ხონში ვიყავით. იქ ჩვენი გადასაღები აპარატურა ჩავიტანეთ და სკოლის მოსწავლეებს ვათვალიერებდით. ამ დროს ჩემთან სურათის დირექტორი რევაზ ნიკოლაიშვილი და ასისტენტი ნუგზარ ლორია მოვიდნენ. მითხრეს, ზუსტად ისეთი ბავშვი ვნახეთ, შენ რომ ეძებო. დავინტერესდი და გავყევი. ასეთი სურათი დამხვდა: გადასაღები აპარატურის წინ იდგა წითელთმიანი, ხუჭუჭა, პატარა გოგონა და გაფართოებული თვალებით უცქერდა. მოკლე პალტო და გაცვეთილი ფეხსაცმელები ეცვა, მხარზე კი ზურგჩანთა ეკიდა. ყველასგან გამოირჩეოდა. რომ დავინახე, მივხვდი, ზუსტად ისეთი იყო, როგორი მსახიობიც მჭირდებოდა. ხელი მოვკიდე და სინჯები გადავუღეთ.

იცით, რამ გამაოცა? ხონელი ბავშვი, მეორე-მესამე კლასის მოსწავლე, რომელიც გადაღებაზე არასდროს ყოფილა, ისე საოცრად იქცეოდა, გეგონებოდა, გადასაღებ მოე-

ნანა მჭედლიძე: „აპარატურის წინ იდგა წითელთმიანი, ხუჭუჭა, პატარა გოგონა. მოკლე პალტო და გაცვეთილი ფეხსაცმელები ეცვა, მხარზე კი ზურგჩანთა ეკიდა. ზუსტად ისეთი იყო, როგორი მსახიობიც მჭირდებოდა“.

დანზე გაიზარდაო. აპარატის წინ ბევრი პროფესიონალი მსახიობიც კი ლელავს, პატარა ნანა კი საერთოდ არ ნერვიულობდა, ლაღად თამაშობდა. რაც ვუთხარით, ყველაფერი ისე გააკეთა. გამიმართლა, რომ ჩემი ფილმისთვის ასეთ კარგ და ჭკვიან ბავშვს შევხვდი. ცელქი და აქტიური გოგონა იყო, მაგრამ ამით გადაღებებზე ხელი არ შეგვშლია. ანას დიდობის როლი კი ჩემმა ქალიშვილმა მაგდანა მჭედლიძემ შეასრულა.

„იმერული ესკიზების“ გადაღების შემდეგ ნანა მოვნათლე. თბილისში რომ ჩამოდიოდა, ეკლესიაში დამყავდა ხოლმე. ძალიან ნიჭიერი გოგონა იყო და მისგან კარგი მსახიობი დადგებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ცუდი დრო დაემთხვა, არეულობა იყო. ამის შემდეგ მე კიდევ ერთ ფილმში „უკვდავების თეთრი ვარდი“ გადავიღე, რომელშიც თავადის ქალის როლი შეასრულა. მას მერე ფილმში

Cyan Magenta Yellow Black



■ კადრები ფილმიდან

აღარ უთამაშია. სულ სხვა პროფესია აირჩია. ქუთაისში ცხოვრობდა და ოჯახიც იქ შექმნა. ახლა რამდენიმე წელია საზღვარგარეთ სამუშაოდ არის წასული. მის ოჯახთან დღემდე მაქვს ურთიერთობა.

ბებია

— სცენარს რომ ვწერდი, იმაზე არც მიფიქრია, რომ შეიძლებოდა მეც მეთამაშა. მარიამის როლისთვის ნამდვილ იმერელ ბებიას ვეძებდი, მაგრამ სადაც ჩავედი, ყველგან პუტკუნა ქალები დამხვდნენ. მე კი გამხდარი ქალი მინდოდა, რადგან ტიპური იმერელი ბებიები ასეთები არიან. სოფლებში შესაფერისი კანდიდატურა რომ ვერ აღმოვაჩინეთ, გადავწყვიტეთ, მარიამ ბებიას როლი სესილია თაყაიშვილს შეესრულებინა. მართალია, ის უფრო გურული ბებია იყო, მაგრამ იმერელ ბებიასაც არანაკლებ კარგად ითამაშებდა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ იმ პერიოდში ავად გახდა და მუშაობა ვეღარ შეძლო, ანუ ბოლო მომენტში ისევ ბებიის გარეშე დავრჩით. ამდენი სამუშაო შესრულებული იყო და ეს იმას ნიშნავდა, რომ ფილმი ვეღარ გაგრძელდებოდა, რადგან არ გვყავდა მთავარი როლის შემსრულებელი. ყველანი ძალიან შევწუხდით. რეზო ჩხეიძეს ვუთხარი, გამიშვით და მარიამის როლის შემსრულებელს მოვძებნი-მეთქი. კიდევ ერთხელ დავიარე საქართველო, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ერთხელაც ხონში რეზო ესაძეს შევხვდი, რომელსაც შევჩივლე, მთავარი როლის შემსრულებელი არ მყავს და უკან დაბრუნებას ვაპირებ-მეთქი. რეზომ ხელი ჩემკენ გამოიშვირა და მითხრა, შენ თვითონ ითამაშეო. გამიკვირდა, ვუპასუხე, ამას ვერ შევძლებ-მეთქი. სამუშაო ჯგუფის წევრებიც შემიჩნდნენ, შენ ითამაშეო. მეც ნელ-ნელა დავფიქრდი ამაზე, თანაც უკვე დრო გადიოდა, კინოსტუდიაშიც ღელავდნენ. ფილმი წარმოებაში იყო ჩაშვებული და დიდი თანხები იყო დახარჯული. ყოველ ორშაბათს რეზო ჩხეიძეს ყველა გადამღებ ჯგუფთან ჰქონდა შეხვედრა. მას ვუყვებოდით, თუ რა მდგომარეობა იყო გადასაღებ მოედანზე. ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე რევაზ ნიკოლაიშვილი გავგზავნე. მას ბატონი რეზოსთვის უთქვამს, ქალბატონი ნანა თავად ითამაშებს ამ როლს, ყველამ ასე გადავწყვიტეთო. თურმე დარბაზში ყველამ ტაში დაუკრა. ასე დამამტკიცეს საკუთარ ფილმში ბებიის როლზე.

პირველად ის ეპიზოდი გადავიღეთ, როდესაც ბებია სოფლის კლუბში სპექტაკლს

ბადრი კაკაბაძე: „ჰოცა ფილმი დასრულდა და უნდა გაგვეხმოვანებინა, პატარა ნანაც ჩამოიყვანეს თბილისში. ახიგებდნენ, ხა და ხოგოს ეთქვა. მან კი ყველას უთხრა: „იქანა კადრში ხაც ვთქვი, მაგას თქვენ მასწავლით?!" მგონი, ჩვენ უფრო გაგვიჭირდა გახმოვანება, ვიდრე ნანას".

ესწრება და უცებ სცენაზე ავარდება. ეს დუბლი ყველას მოეწონა. ამის მერე გადაღებები ჩვეულებრივად დაიწყო და გაგრძელდა. არ გამჭირვებია, მეთამაშა იმ ფილმში, რომლის სცენარის ავტორი და რეჟისორიც თავად ვარ. მე თავის დროზე თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტთან ერთად სამსახიობოც დავამთავრე. ასე რომ, მსახიობის ოსტატობა ჩემთვის უცხო არ ყოფილა.

„მიცვალებული ადგა!.."

— „მიცვალებულის" ადგომის სცენა სახალისო გადასაღები იყო. სხვათა შორის, ასეთი ამბავი ხონში სინამდვილეში მოხდა. ერთი კაცი გარდაიცვალა. სამძიმარზე სხვადასხვა სოფლებიდან ჩავიდა ხალხი, მათ შორის — ერთი მოხუცი კაცი. ოთახში რომ შევიდა, ამ კაცმა, როგორც იმერეთშია მიღებული, ძალიან ბევრი იტირა. შემდეგ მეორე ოთახში გაიყვანეს. რადგანაც მგზავრობისგან დაღლილი იყო, ტახტზე დააწვინეს და ზეწარი გადააფარეს, რომ ბუზებს არ შეეწუხებინათ. როცა ამ კაცს მშვიდად ეძინა, ერთი ქალი მივიდა სამძიმრის სათქმელად, ოთახი აერია და მიცვალებულის ოთახის ნაცვლად, იმ მოხუც კაცთან შევიდა. მანაც, წესისამებრ, ერთი დაიკივლა და ტირილის დაწყება ვერ მოასწრო, ისე წამოხტა ის კაცი. ამ ქალს საშინლად შეეშინდა, ეგონა, მიცვალებული ადგაო.

ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ სამი ათეული წლის გასვლის შემდეგ ეს ფილმი ხალხს ისევ უყვარს და ინტერესით უყურებენ. „იმერული ესკიზები" ბევრ ქვეყანაში ჩავიტანე, მათ შორის, უნგრეთში. როცა იქაურებმა უყურეს, ძალიან მოეწონათ და მკითხეს, ასეთი ხალხი სად იპოვეთ, ასეთები სად ცხოვრობენო.

ჯამაგირიანი ჯოხი

ბადრი კაკაბაძე, მსახიობი:

— ნანა მჭედლიძესთან მუშაობა პირველად 1976 წელს მომიწია, როცა ფილმში „გასეირნება თბილისში" გადამიღო. შემდეგ კი ახალ ფილმში მიმიწვია. როლზე სინჯების გავლის გარეშე დამამტკიცეს. იმ პერიოდში გასტროლი მქონდა ქუთაისში. იქ დამიკავშირდნენ და ხონში ჩასვლა მთხოვეს. სასიამოვნო იყო გადაღებების პროცესი, მით უმეტეს, რომ ჩემი გვარი იმერეთის სოფელ ქუხიდან არის.

მაშინ ძალიან ახალგაზრდა, 25-26 წლის ვიყავი. ნანასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნო იყო. ის არაჩვეულებრივი რეჟისორია. ძალიან დამთმობი და ამყოლია. მსახიობებს დიდ თავისუფლებას გვაძლევდა. ზუსტ მითითებას მოგვცემდა, როგორ გვეთამაშა და ჩვენც კარგად ვუგებდით. ადგილობრივები დიდ პატივს გვცემდნენ. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ხან ერთი ოჯახი გვეპატიჟებოდა, ხან — მეორე.

გადაღებაზე ბევრი სახალისო რამ ხდებოდა. ჯორი, რომელთან ერთადაც სცენები მქონდა, გურიაში აარჩიეს და მანქანით ჩამოიყვანეს. იმერეთშიც ბევრი ჯორი ჰყავდათ, მაგრამ ქალბატონ ნანას გურული უფრო მოეწონა. მის პატრონს უთხრეს, თქვენი ჯორი კინოში უნდა გადავიღოთო. გურულმა კაცმა უპასუხა, სად სცალია ჩემს ჯორს საგლახაოდ, ათასი საქმე აქვს საკეთებელიო. უთხრეს, ხელფასს მივცემთო და ჯორი გადასაღებ მოედანზე ავტომობილით ჩამოაბრძანეს. მე დღეში ათ მანეთს მაძლევდნენ, ჯორს კი — თხუთმეტ მანეთს და თან ერთი კაცი მას უვლიდა.

ფილმში არის ასეთი ეპიზოდი — ჯორი მირბის. ქალბატონმა ნანამ მითხრა, მინდა, ამ დროს კისერზე მოეხვიოო. როგორც კი მოვეხვეოდი, ჩერდებოდა. ჩვენ კი ეს არ გვინდოდა. ამის გამო რამდენიმე დუბლი გაგვიფუჭდა. ოპერატორმა გიორგი ჭელიძემ თქვა, ამ დუბლს ვერ გადავიღებთ, რადგან ჯორს შეუყვარდი, რამდენჯერაც მოეხვიე, იმდენჯერ გაიტრუნაო. ამ სიტყვებზე ყველას ძალიან გაეცინა. მერე რომ დავაკვირდი, მართლაც დედალი ჯორი იყო და ალბათ მოვწონდი.

ფილმში პროფესიონალი მსახიობები, ქალბატონი ნანას გარდა, მე და გრიგოლ წიტაიშვილი ვიყავით, დანარჩენები სულ არაპროფესიონალები იყვნენ. უმეტესობა იქაური იყო. ის ბავშვი (ნანა ქვათელაძე) ნამდვილი საოცრება გახლდათ. ძალიან ნიჭიერი გოგონა იყო და დიდი იმპროვიზაციის უნარი ჰქონდა. გადასაღებ მოედანზე ისეთ რაღაცეებს აკეთებდა, სულ გვეღიმებოდა. როცა უკვე ფილმი დასრულდა და უნდა გაგვეხმოვანებინა, პატარა ნანაც ჩამოიყვანეს თბილისში. არიგებდნენ, რა და როგორ ეთქვა. მან კი ყველას უთხრა: „იქანა კადრში რაც ვთქვი, მაგას თქვენ მასწავლით?!" მგონი, ჩვენ უფრო გაგვიჭირდა გახმოვანება, ვიდრე ნანას, საქმეს ძალიან ადვილად გაართვა თავი.

ბადრი კაკაბაძე: „ჯოხის პატრონს უთხრეს, თქვენი ჯოხი კინოში უნდა გადავიღოთო. გურულმა კაცმა უპასუხა, სად სცალია ჩემს ჯოხს საგლახაოდ, ათასი საქმე აქვს საკეთებელიო. უთხრეს, ხელფასს მივცემთო და ჯოხი გადასაღებ მოედანზე ავტომობილით ჩამოაბრძანეს. მე დღეში ათ მანეთს მაძლევდნენ, ჯოხს კი — თხუთმეტ მანეთს".

✓ თეონა კენჭოაშვილი

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

„მამას ჰგონია, რომ ვეწევი“

მთელ ზაფხულს რაჭაში, სოფელში, ბებიასთან და ბაბუასთან ვატარებ ხოლმე. უმრავი ბავშვი ერთად ვიკრიბებით და კარგად ვერთობით. განსაკუთრებით გოგოები ვმეგობრობთ ერთმანეთთან. სკოლის პერიოდში ერთიმეორეს ვურეკავთ და ყველა იმაზე ვოცნებობთ, არდადეგები როდის მოვა, რომ რაჭაში წავიდეთ. ზოგი თბილისიდან ჩამოდის, ზოგი ქუთაისიდან, კახეთიდანაც კი მოდიან ხოლმე. ყველა კარგი ბავშვია, ცუდს არავინ აკეთებს, პირიქით, კარგადაც სწავლობენ და წესიერებიც არიან...

იმ საშინელ საღამოს კი დაუფიქრებლად მოვიქეცი. ბიჭები სიგარეტს ეწეოდნენ. ერთ-ერთმა სიმინდის გარჩევა დაიწყო, რომ შეგვეწვა და ანთებული სიგარეტი ხელში მომაჩეჩა. მეც ინსტინქტურად გამოვართვი. ჩემდა სამ-წუხაროდ მამა ამ დროს დამადგა თავზე. წინა დღით ჩამოვიდა, ცოტა ხნით აპირებდა დარჩენას და ეს რომ დაინახა, გადაირია. ხელი წამავლო, ეზოში შემათრია და ეგრევე მანქანაში ჩამსვა. ჩემი ნივთები მომაყარა, ბებიას გასძახა, სახლში მიმყავსო და თბილისში წამომიყვანა.

გზაში ვარწმუნებდი, რომ ეს შემთხვევით მოხდა და იმ ბიჭმა თავისი სიგარეტი მომაჩეჩა ხელში. ის კი არც მალაპარაკებდა, მლანძღავდა, ცხოვრებაში არაფერს გაღირსებ, სოფელში თავს მჭრი, თითისხელა გოგო ყველას თვალწინ სიგარეტს აბოლებო. ამბობს, თუ სიმართლეს მეუბნები და იმ ბიჭმა მოგაჩეჩა ხელში, მაინც დამნაშავე ხარ, წესიერი გოგოსთვის ეს არ უნდა გაებედაო. მოკლედ, მასთან არანაირი სიტყვა არ ჭრის. დამემუქრა, რაჭაში შენი ფეხი აღარ იქნება და სახლიდანაც ფეხს არ გაადგამო.

ჩემი ძმა რაჭაში დარჩა. იქიდან მირეკავენ და მეუბნებიან, რომ კარგ დროს ატარებენ, მე კი აქ გამოკეტილი ვარ. თანაც რისთვის? მართლა არაფერი დამიშავებია! სიგარეტი ცხოვრებაში არ მომიწევია. ბებიამ თავის შვილს დაურეკა და აუხსნა, ყველაფერი გავარკვიე, ბავშვებმაც იგივე მითხრეს, შენი გოგო არ გატყუებსო, მაგრამ მამას მაინც ვერაფერი გააგებინა. ამბობს, რომ აღარ მენდობა და ჩემი გართობა დასრულდა. ძალიან ძნელი ყოფილა, როცა შენი სიმართლის არ სჯერათ.

„სარკის“ მკითხველი, 16 წლის

„მეგობრების შერჩევა არ გამომდის“

14 წლის გოგო ვარ და ვერ ვახერხებ, კარგი მეგობრები ავირჩიო. ჩემს ზოგიერთ დაქალზე დედა მეუბნებოდა, რომ მათთან ურთიერთობა არ ღირდა, მაგრამ არასდროს ვუჯერებდი. ამ ბოლო დროს ერთ ადამიანს დავუახლოვდი. დედა მაფრთხილებდა, რომ ის კარგი პიროვნება არ იყო, მაგრამ მის დარიგებას ყური არ ვათხოვე. მერე კი ჩემმა დაქალმა ისეთი რამ ჩაიდინა, დედაჩემის სიტყვები ვირწმუნე. მივხვდი, რომ ის ცუდს არასდროს მირჩევს და მხოლოდ იმას მეუბნება, რაც მომავალში გამომადგება.

ახალმა მეგობარმა არაფრად ჩამაგდო და საშინლად მომექცა. ყველაფერს ვერ მოვყვები, მაგრამ გული ძალიან მატკინა. ამის შემდეგ დედის აზრს გავითვალისწინებ და მეგობრებს გულმოდგინედ შევარჩევ.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„მშობლებს ტყუილად ეშინიათ, რომ რაგბის გამო სწავლას მივატოვებ“

ჩემი ცხოვრების მთავარი სიყვარული რაგბია. ეს სპორტი ისე მიყვარს, სიზმარშიც კი ვთამაშობ. მამას ბევრი ვეხვეწე, რაგბიზე მივეყვანე. როგორც იქნა, ეს თხოვნა შემისრულა და ვარჯიში დავიწყე. ჩემი მწვრთნელი ამბობს, რომ კარგი მონაცემები მაქვს. ამას მეც ვატყობ, თამაში კარგად გამომდის. ვარჯიშიდან რომ მოვდივარ, სახლშიც არ ვისვენებ, მატჩებს ვუყურებ, ვცდილობ, დავიხვეწო და კარგი მორაგბე დავდგე.

ჩემთან ერთად ძალიან მაგარი ბავშვები დადიან. ყველა საუკეთესო ადამიანია, ერთ გუნდად ვართ შეკრული. ერთი სული მაქვს ხოლმე, ვარჯიშის დრო როდის მოვა. ბოლო ვარჯიშზე კი ცუდი რაღაც შემემთხვა. თავს ვერ გავუფრთხილდი და ხელი მოვიტეხე. საერთოდ, ამ სპორტში ტრავმები ხშირია და ამას ყველა შეგუებულია. ჩემი მშობლები კი ამაზე გაგიჟდნენ. გამომიცხადეს, მორჩა, აღარ ივლიო. სხვა ბავშვებსაც აქვთ ტრავმები მიღებული, მაგრამ ვარჯიშს განაგრძობენ. სპორტის ყველა სახეობა ასეთია, დაზღვეული არასოდეს ხარ, რომ არ დაშავდები.

ჩემი მშობლები კატეგორიული წინააღმდეგები არიან, რომ რაგბი ვითამაშო. მწვრთნელსაც დაურეკეს და უთხრეს, ჩვენი შვილი აღარ ივლისო. მე კი ეს ვერ წარმომიდგენია. ვუხსნი, რომ სულაც არ მტკენია და საშიში არაფერია. ისინი კი გაიძახიან, ერთადერთი შვილი გვყავს და არ გვინდა, დალეწილმა იაროსო. დედა იმასაც ამბობს, რაგბის გადაჰყვები და სწავლაზე აღარ იფიქრებ, შეიძლება ვერც სპორტსმენი გამოხვიდე და გაუნათლებელიც დარჩეო. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ რაგბიში წარმატებას მივაღწევ. თანაც არ ვაპირებ, სწავლაზე ხელი ავიღო. ამას მშობლებსაც ვეუბნები, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. თქვენი საშუალებით იქნებ ვინმემ აუხსნას მათ, რომ რაგბი საშიში არ არის და სრულიად შესაძლებელია, სპორტის პარალელურად კარგი განათლებაც მივიღო.

„სარკეში“ კალათბურთელ ზაზა ფაჩულიას ინტერვიუ რომ დაიბეჭდა, ჩემებს კი წავაკითხე, მაგრამ მაინც იმავეს გაიძახიან. აღარ ვიცი, როგორ დავარწმუნო, რომ ძალიან ცდებიან.

თქვენი ერთგული მკითხველი, 14 წლის

„ბიჭი, რომელიც აღარ მიყვარს, ახლა გააქტიურდა“



გამარჯობა! მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. ჩემ მეზობლად ერთი ბიჭი ცხოვრობდა, ძალიან მომწონდა. მისი მზერით ვხვდებოდი, რომ ჩემ მიმართ გულგრილი არ იყო, გრძნობა ჰქონდა. დროთა განმავლობაში თავდავიწყებით შემიყვარდა. ის 23 წლის იყო, მე — 14-ის.

ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით. გადავწყვიტე, სოციალური ქსელის საშუალებით გამეცნო. როცა დავინახავდი, რომ საიტზე იყო შემოსული, ვწერდი, კითხვებზე კი მპასუხობდა, მაგრამ თვითონ არაფერს მეკითხებოდა. ბოლოს გავბრაზდი და დავბლოკე. მასთან არავითარი კავშირი არ მქონდა, ქუჩაში რომ შემხვდებოდა, გამარჯობას არ ვეუბნებოდი, ისიც ასე იქცეოდა.

თურმე მართალი ყოფილა გამოთქმა — დრო ყველაფრის მკურნალიაო და ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. მე უკვე 18 წლის ვარ, ის — 27-ის. ახლა ის აქტიურობს, მეუბნება, მიყვარხარ და ცოლად გამომყევიო, მაგრამ უარს ვამბობ, რადგან აღარ მიყვარს. როცა მიყვარდა, მაშინ რომ მოექცია ყურადღება, უკეთესი იქნებოდა. არ მავიწყდება მასზე ფიქრით თეთრად გატარებულ ღამეები...

მე ახლა სხვა მიყვარს და არ ვაპირებ, ჩემზე 9 წლით უფროს ბიჭთან რომანი გავაბა.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააჭაკაუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„ორსულად ვარ და ვერავის ვუმხელ!“

ჩემს სატკივარს ვერავის ვეუბნები, ვერც ჩემს დაქალებს, ვერც დედას და მამაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა. ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში ვსწავლობ და კარგი მოსწავლეც ვარ. რამდენიმე თვის წინ ჩემს სკოლაში გადმოვიდა სიმპათიური, მაღალი და თავაზიანი ბიჭი. ყველა გოგოს მოეწონა. ბევრს უნდოდა, მისი შეყვარებული ყოფილიყო, მაგრამ არავის არაფერი გამოუვიდა, მე კი გამიმართლა. ჩვენ შეყვარებულები გავხდით.

ერთხელ მეგობარმა დაბადების დღეზე დაგვპატიჟა, ცოტა დავლიეთ და კარგადაც გავერთეთ. მე შეყვარებულთან ერთად წამოვედი. ერთი ადგილიდან ძალიან ლამაზი ხედი მოჩანს. იქ ასვლა და გარემოს დათვალიერება ძალიან მიყვარს. იმ საღამოსაც იმ ადგილას მივედით. ერთმანეთს ვაკოცეთ, გრძნობებს ავყევით და ის მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო... ერთი სულელური დღის გამო მთელი ცხოვრება დავინგრიე. ეს კიდევ არაფერი, ფეხმძიმედ ვარ და ეს ძალიან მაშინებს, ჯერ ხომ მხოლოდ 16 წლის ვარ. შეყვარებული მპირდება, სკოლას როგორც კი დავამთავრებთ, ცოლად მოგიყვანო, მაგრამ მანამდე რა გავაკეთო? ძალიან ცუდად ვარ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

გამოხმაურება

„ვნანობ, რომ მამას ვერ მოვეფერე“

ჟურნალ „სარკის“ 30-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ერთადერთი ნატვრა მაქვს — მამა ჩემ გვერდით იყოს“. ამ გოგონას მივმართავ, ვერ წარმოიდგენ, ეს ტკივილი როგორი ნაცნობია ჩემთვის; ვერ წარმოიდგენ, შენი რა კარგად მესმის. მამა მეც დავკარგე, თანაც მაშინ, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა. იმ დღეს სახლიდან ჩვეულებრივად გავიდა, ძალიან ჯანმრთელი და მხიარული, მაგრამ გზაში ავარია მოუვიდა და...

ზაფხულის დილა იყო. მე ძილბურანში ვიყავი, მაგრამ გავიგე, მამა ჩემს ოთახში როგორ შემოვიდა. გარდერობში თავის პერანგს ეძებდა. გასვლისას მაკოცა, ჩაიჩურჩულა, ჩემი ლამაზი გოგოო. მე თვალიც არ გავახილე. ასე ხშირად იქცეოდა, ძალიან თბილი ადამიანი იყო, ყველას ეფერებოდა, კოცნიდა. მის ასეთ საქციელს ყველა მიჩვეული იყო, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. როცა ჩვენგან წავიდა, მაშინ მივხვდით, რომ თურმე ჩვეულებრივ ადამიანთან არ გვქონდა საქმე, თურმე ჩვენ გვერდით ნამდვილი მზე ანათებდა და მის სითბოს ისე ვიყავით შეჩვეული, რომ ვერც ვხვდებოდით, ვინ გვყავდა.

მთელი ცხოვრება სანანებლად მექნება, რომ იმ დილით თვალი არ გავახილე და მამას არ მოვეფერე. როგორ ვნანობ, რომ გულში არ ჩავიკარი, იქნებ ერთი წუთი რომ მოვფერებოდი, ხიფათსაც აშორებოდა, იმ ერთ წუთში შეიძლებოდა იმ მანქანას მისთვის გვერდი აევლო, არ დასჯახებოდა... როგორ მინდა იმ ერთი წუთის დაბრუნება, მაგრამ აბა, როგორ შევძლებ!

ყველა ბავშვს ვთხოვ, მამებს მოეფერეთ! ნუ იფიქრებთ, რადგან ახალგაზრდები არიან, მათ ყურადღება არ სჭირდებათ. დრო რომ უკან დაბრუნდებოდეს, მამას ფერებით თავს მოვაბეზრებდი, უამრავ თბილ სიტყვას ვეტყოდი. გულში ჩავიკრავდი და კოცნით სახეს დავულურჯებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ლამაზ წლებს ვერავინ დამიბრუნებს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„კაცების საპირფარეშოში შევედი და სირცხვილით დავიწვი“

ვიცი, რატომ ხდება, რომ ყველაფერი უცნაური მე მემართება. უკვე დიდი გოგო ვარ, მალე 16 წლის გავხდები, მაგრამ ჭკუა ვერ ვისწავლე. დაუფიქრებელი ადამიანი ვარ, ამიტომაც სასაცილო მდგომარეობაში ხშირად ვვარდები. კლასელები და ახლობლები გამუდმებით დამცინიან. იუმორი არ მაკლია და სიცილში მათ მეც ვყვები, მაგრამ ახლა ისეთი რამ შემემთხვა, სასაცილოდ ნამდვილად არ მაქვს საქმე, პირიქით, სირცხვილისგან ალმური მედება სახეზე.

ამას წინათ ნათესავები რესტორანში შევიკრიბეთ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩემი ბიძაშვილი გათხოვდა და მისი ქმრის ოჯახიც დაპატიჟებული იყო. საქმე ის არის, რომ ბიძაშვილის მაზლს ვეპრანჭები, ეგრე ბიჭი არ მომწონებია. ქორწილში გავიცანი და მას შემდეგ სულ მასზე ვფიქრობ, უფრო სწორად, უკვე ძალიან მიყვარს. ერთმანეთს ინტერნეტითაც ვეკონტაქტებით, მაგრამ ჯერ ახლო ურთიერთობა არ გვაქვს. ვიცოდი, რომ იმ დღეს ისიც იქ იქნებოდა, ამიტომ საგულდაგულოდ გამოვეწყვე. ამ პრანჭიაობაში საშინელება ჩავიდინე, კაცების ტუალეტში შევბოდიალდი და ვინ დამხვდა იქ? ის ბიჭი, ვისზე ფიქრშიც ვიღვიძებ და ვიძინებ! იმას კი ვერ მივხვდი, რომ მე შემეშალა, ხელსაბანთან გაშტერებული ვიდექი და ვფიქრობდი, ქალების ტუალეტში რა უნდა-მეთქი. ისიც გაოცებული მიყურებდა. ამასობაში ნათესავის კაცი შემოვიდა და ისიც გაშრა, ორივე ერთად პირისპირ რომ დაგვინახა. მთვრალმა ჩაიბურტყუნა, უი, უი, ხელს არ შეგიშლითო და უკან გავარდა. ახლაც არ ვიცი, რა იფიქრა, ალბათ საშინელება...

ის ბიჭი მთელი საღამო თვალებში ვერ მიყურებდა, მაგრამ რამდენჯერაც გავხედე, ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა. ნეტა, რა იფიქრა? ხომ არ ჰგონია, რომ ტუალეტში შევუვარდი? იქნებ ფიქრობს, რომ მას უკან დავყვები? ამ ყველაფერზე ვნერვიულობ. ის ნათესავის კაციც ვინ იცის, რას ფიქრობს და სხვებთან რას ლაპარაკობს ჩემზე...

ფიქრისგან თავი მისკდება. იქნებ მითხრათ, როგორ მოვიქცე, რომ ჩემზე ცუდი არ იფიქრონ. ალბათ ჯობია, ყველას მოვუყვე, მაგრამ შეიძლება ხალხი უარესად ავალაპარაკო. გთხოვთ, რამე მირჩიეთ!

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მაია ბარათაშვილი: „იყო მინიშნებები, რომ ბიძინა ივანიშვილმა ფული გადამიხადა“

ჰატომ შესჰულდა უხაჰისხოდ მომღეჰილის მიეჰ საქაჰთველოს ჰიმნი ამეჰიკის საელჩოში

ჯაზის ცნობილი ქართველი შემსრულებელი, მაია ბარათაშვილი, ცოტა ხნის წინ ერთი შემთხვევის გამო კრიტიკისა და ქილიკის სამიზნე გახდა. საქმე ეხება 4 ივლისს, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, ამერიკის საელჩოში მის მიერ შესრულებულ საქართველოს ჰიმნს, რომელმაც სოციალურ ქსელებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. როგორც კომუნიკაციის ამ სფეროს ახასიათებს, მრავლად იყო მომღერლის შეურაცხმყოფელი კომენტარებიც. იმასაც წერდნენ, რომ ის ახალი ხელისუფლების ფავორიტია და საელჩოში ამიტომაც მიიწვიეს და ა.შ. ამ ყველაფერს ჯაზშემსრულებელი დიდი სიმშვიდით და იუმორით შეხვდა. ის ძველებურად აგრძელებს მუშაობას. 11 აგვისტოს ბულგარეთში ჯაზფესტივალზე გაემგზავრა, სექტემბრიდან კი თბილისის საკონცერტო ორკესტრთან ერთად განახლებული პროგრამით წარდგება თაყვანისმცემლების წინაშე.

რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, მომღერალი სიყვარულის მოლოდინშია და სჯერა, რომ დიდი გრძნობა აუცილებლად ეწვევა. თვლის, რომ მისი ძლიერი ხასიათი ბევრ კაცს აფრთხობს, მაგრამ დარწმუნებულია, არსებობენ ისეთებიც, ვისთვისაც ეს ბარიერს არ წარმოადგენს. მაია ბარათაშვილს გვერდით სწორედ ასეთი მეორე ნახევარი წარმოუდგენია.

— ქალბატონო მაია, რა საფრთხეებია თქვენს შემოქმედებაში?

— ჩემს შემოქმედებაში პაუზა არასდროს არის, ყოველთვის საინტერესო პერიოდი დგას. მუშაობის პროცესში ვარ, სულ ვცდილობ, ახალი ვისწავლო და რეპერტუარი გავამდიდრო. სექტემბრიდან თბილისის საკონცერტო ორკესტრთან ერთად ახალი ენერგიით დავიწყებ მუშაობას. მერიამ ივნისში შესანიშნავი პროექტი წამოიწყო, კონცერტები სკვერებში გავმართეთ, ყველას შეეძლო დასწრება ბილეთების გარეშე. ეს ტრადიცია ევროპაში მუდმივად არის, რომ ხალხს შეეძლოს ხარისხიანი მუსიკის მოსმენა. ასეთი აქციები საქართველოში კიდევ იქნება.

— თქვენ არასოდეს გისაუბრიათ ქართულ შოუბიზნესში არსებულ ე.წ. შავ სიებზე. თქვენი შემოქმედების გზა პოლიტიკას არასოდეს გადაუკვეთია?

— ყოველთვის დიდი პატივისცემით ვეპყრობოდი ჩემს კოლეგებს. ვინ ვისი ფავორიტი იყო ან არის, ჩემი საქმე არაა. ასე კენედის ფავორიტი მერილინ მონრო იყო. მე ყოველთვის მქონდა კონცერტები საზღვარგარეთ თუ საქართველოში. არასოდეს არავინ მოსულა ჩემთან და არ შემოუთავაზებია, რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის მხარი დამეჭირა. თამამად შემიძლია ვთქვა, ვინც უნდა მოსულიყო ან მოვიდეს, მე მსმენელს ვუმღერი და არა — რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. მუსიკოსი ვარ და პოლიტიკის არაფერი გამეგება. ადამიანი, რომელიც მუშაობს და საქმეს აკეთებს, საკუთარი თავის რეალიზებას აუცილებლად მოახერხებს. ჩვენი ქვეყნის ბაზრის მასშტაბის სიმცირის მიუხედავად, ადამიანს მაინც შეუძლია არ გაჩერდეს და მუდმივად ძიების პროცესში იყოს. წარუმატებლობას სხვას ნუ დავაბრალებთ.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური ცვლილებები საზოგადოების ყურადღებას იწვევს და კულტურა დროებით კულისებში გადადის. მე, პირადად, ძალიან აპოლიტიკური ვარ, მაგრამ მაქვს ჩემი პრიორიტეტები, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს. მიყვარს წესრიგი და გამჭვირვალობა. 21-ე საუკუნემ თავისუფლების დიდი ილუზია შემოიტანა, არასწორი ღირებულებები წამოვიდა წინ. საქართველოში აუცილებლად უნდა განვითარდეს წარმოება. მდიდარი ქვეყანა გვაქვს და არ შეიძლება, პომიდორი თუ კიტრი თურქეთიდან შემოდიოდეს. თურქეთს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, თავად განვავითაროთ წარმოება.

„ახის ჯგუფი, ჰომეიოს „ქჰთუი ოცნებას“ ეჰჩის. მათთან შეხება მანამდე ჰასოდეს მქონია, ჰოც ვიცოდი, ჰას ნიშნავდა სიტყვა ქოცი. მეჰე ამიხსნეს, ჰომ ქოცი ჰის „ქჰთუი ოცნების“ აღმნიშვნელი“.

— წელს, 4 ივლისს, ამერიკის საელჩოში თქვენ მიერ შესრულებულმა საქართველოს ჰიმნმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. დაიწერა, რომ თქვენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ხართ და იქ გამოსვლის პატივიც ამიტომ გერგოთ.

— იქ ამერიკის საელჩოს თხოვნით შევასრულე ჰიმნი და არა — „ქართული ოცნების“. საელჩოები ხშირად მთხოვენ თავიანთი ჰიმნის შესრულებას. როცა ამერიკის სავაჭრო პალატამ დაბადების დღე გადაიხადა, მე ამერიკის ჰიმნი ვიმღერე. 4 ივლისს საელჩომ გადაწყვიტა, რომ ამერიკის ჰიმნს ამერიკელი იმღერებდა, ქართული კი მე შევასრულე. ამის მერე „იუთუბიზე“ დაიდო ვიდეო, სადაც ბიძინა ივანიშვილი ჩანს და ფონად გასდევს ჩემ მიერ შესრულებული საქართველოს ჰიმნი. სამწუხაროდ, ჩანაწერი იყო ძალიან ცუდი. სალაპარაკო მიკროფონით ვიმღერე. ასევე იყო ქარი და ამიტომ ჩანაწერში ბევრი ჭუჭყი იყო. ეს ვიდეო გაუსუფთავებელი სახით გამოაქვეყნა ვიღაც ახალგაზრდამ. შემდეგ კი ვიდეოს 50 კაცის ძალიან არასასურველი შეფასება მოჰყვა.

კრიტიკა სასარგებლოა, არც შეიძლება ყველას ყველაფერი მოეწონოს, მაგრამ როცა დაუმსახურებელია და ვერბალური გამოხატვის ეთიკის ნორმებს სცდება, ეს მიუღებელია. როგორც ჩანს, არის ადამიანების ჯგუფი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ერჩის. მათთან შეხება მანამდე არასოდეს მქონია. არც ვიცოდი, რას ნიშნავდა სიტყვა ქოცი. მერე ამიხსნეს, რომ ქოცი არის „ქართული ოცნების“ აღმნიშვნელი. კომენტარებში მინიშნებები იყო, რომ თურმე მე ბიძინა ივანიშვილმა ფული გადამიხადა. ვიმეორებ, კრიტიკა მისაღებია — შეიძლება ვიღაცას ჩემი შესრულებული ჰიმნი არ მოსწონებოდა, მაგრამ ადამიანის ლანძღვა იმის მანიშნებელია, რომ აშკარად რაღაცაზეა მიბმული ეს ყველაფერი. მინდა, იმ ადამიანებს ვუთხრა, ასე რომ აღიზიანებთ ჩემი გამოსვლები, ნუ მოვლენ ჩემს კონცერტებზე ან მარტივად — გადართონ სხვა არხზე! ეს ხომ ძალიან ადვილია.

— მანამდე იცნობდით ბიძინა ივანიშვილს ან მერე თუ გაიცანით?

— არათუ მანამდე არ ვიცნობდი, საელჩოშიც კი არ გამიცვნია. კონტაქტის საშუალება არ იყო. პირადად ერთ პოლიტიკურ ლიდერსაც კი არ ვიცნობ.

„მამაჯაცებს აფჰთხობთ, ჰოცა ქალი მატეჰიალუჰად დამოუკიდებელია, იცის, ჰა უნდა, აქვს მიზანი, ჰრინციპები და გაჰკვეული მოვლენებზე საკუთაჰი აზჰიც“.

— თქვენს ცხოვრებას რომ გადავხედოთ, ყველაზე მძიმე მოგონება რა არის?

— ყველაზე რთული იყო, როცა დედა გარდამეცვალა. მაშინ 15 წლის ვიყავი. დედა, ზეინაბ მგალობლიშვილი, გამორჩეული იყო, ყველას უყვარდა, საზოგადოების სული და გული იყო. ბრწყინვალედ მღეროდა და უკრავდა. პროფესიით სტომატოლოგი გახლდათ. დედასთან გატარებული პერიოდი მახსოვს არამარტო როიალთან, სტომატოლოგიურ კლინიკაშიც. დედას უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ მერე არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავბარე.

მამა და სარწმუნოება დამეხმარა რთული პერიოდის დაძლევაში. ფანტასტიკური მამა მყავდა — ლევან ბარათაშვილი. ის ბრწყინვალე იურისტი და ძალიან განათლებული პიროვნება გახლდათ. სამწუხაროდ, არ მქონდა საშუალება, მასთან ბევრი დრო გამეტარებინა. ორივე ვმუშაობდით და მხოლოდ საღამოს ვახერხებდით კონტაქტს. ძალიან ბევრი სიბრძნე გამიზიარა მამამ, რომელიც დღესაც მადგება. თუნდაც ის, რომ კატეგორიულ უარს ამბობდა, რომელიმე პარტიის წევრი გამხდარიყო. რთულ პერიოდში მას აზრს ყოველთვის ვეკითხებოდი.

— რაც შეეხება კარგ პერიოდს, ალბათ სიყვარულის ისტორიას გაიხსენებთ.

— სიყვარულის ისტორია გვერდზე გადავდოთ. ყველაზე კარგი პერიოდი 1995 წლიდან მქონდა, როცა თბილისში ჯაზსტუდია გაიხსნა და ფანტასტიკურ მუსიკოსებთან დავიწყე მუშაობა. მაშინ ავიდგი ფეხი ამ ჟანრში და თითოეული დღე ძალიან კარგად მახსენდება.

„ბევრ ჩამეს ვუმადლი დათო ლოლაძის და გია მანჯგალაძის ჯაზსკოლას.

— სიყვარულზე მაინც გკითხავთ. ალბათ ფლობთ ისტორიებს, რომლებზეც ახლა გეტყვით.

— კიდევ კარგი, არ მახსენდება ისტორია, რომელზეც ამეტირება. რა თქმა უნდა, იყო სიყვარული... ვთვლი, რომ გრძნობას თუ ქორწინებამდე არ მიჰყავხარ, სადაც წყვილი მზად არის, ერთმანეთისთვის თავი გაწიროს, არანაირ ურთიერთობას აზრი არ აქვს.

— უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, ამ ისტორიაში რამეს შეცვლიდით?

— არაფერს შევცვლიდი. ყველაფერი ისე მიდის, როგორც ღმერთს უნდა.

— ისევ ელოდებით სიყვარულს?

— რა თქმა უნდა! როგორ შეიძლება, ეს არ მოხდეს?! ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ეძლევა შანსი, რომ შეუყვარდეს.

— ძლიერი ქალად მიგაჩნიათ თავი?

— ძლიერი ვარ, მაგრამ, როგორც ყველა ქალს, მეც მახასიათებს სისუსტეები — მეტირება კარგ ფილმზე, წიგნზე და რომანტიკულ ურთიერთობებზე. ძლიერი ვარ მაშინ, როცა საქმე უნდა ვაკეთო. ამ დროს ვიცი, რომ ყველა სისუსტე უნდა დავივიწყო და წინ ვიარო.

— ძლიერი ქალისთვის რთულია პირადი ცხოვრების აწყობა?

— ნამდვილად რთულია. მამაკაცებს აფრთხობთ, როცა ქალი მატერიალურად დამოუკიდებელია, იცის, რა უნდა, აქვს მიზანი, პრინციპები და გარკვეულ მოვლენებზე საკუთარი აზრიც.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

ზურა ხაჩიძე: „ქართველ მომღერლებს ჩვენი დაბრუნება არ გაუხარდათ“

რა მესიჯს უგზავნის „ქუჩის ბიჭი“ „სარკიდან“ ემიგრანტებს

ომღერალი ზურა ხაჩიძე ორი თვის განმავლობაში რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად იბრძოდა — ახალ რეპერტუარზე მუშაობდა, რეპეტიციებს გადიოდა და ბათუმში დაგეგმილი კონცერტის დეტალებს ათანხმებდა. გარჯა დაუფასდა — ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ ღირსეულად დაბრუნდა სცენაზე. მათ კონცერტს პიაცაზე 3000 ადამიანი დესწრო.

„ქუჩის ბიჭი“ ყოველთვის ხაზგასმით ამბობს, რომ მისი ოჯახის დახმარების გარეშე ამდენს ვერ შეძლებდა. როცა ჯგუფის ცხოვრებაში პაუზა დადგა და საყვარელი საქმის მიღმა აღმოჩნდა, რთული პერიოდი სწორედ ოჯახის წევრების ხელშეწყობით გადალახა. ახლა კი მის ცხოვრებაში სხვა ეტაპი დაიწყო, საბერძნეთში ბიზნესი აანყო, საქართველოში კი მსმენელი დაიბრუნა.

„ამდენ ქალთან უთითეთობა დიდი ტომფოხტია, მაგრამ ითუეიცაა, ხადგან ოჯახში ტომუნიკაციისთვის მამაკაცი გჭიხდება. მაგალითად, ზოგჯერ შინ ხომ დაღლილი დაბრუნდები, გინდა, ფეხბურთს ჩაუჯდე, ლუდი დალიო და ვილაცას კაცურ თემებზე ელაპარაკო“.

— ზურა, დავიწყოთ ყველაზე ახალი მოვლენით თქვენს ცხოვრებაში — სცენაზე დაბრუნებით. კმაყოფილი ხართ ბათუმში ჩატარებული კონცერტით?

— კი, კმაყოფილი ვარ. აქვე უნდა ვთქვა, რომ არა ორგანიზატორები, თემურ ინწკირველი და ზვიად ცირაბიძე, ეს კონცერტი არ შედგებოდა. მადლობა მათ! ასევე, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა სტუმარს, ვინც პიაცაზე მობრძანდა, ბენდის ბიჭებს, რომლებიც გვერდით დაგვიდგნენ. მადლობა „სარკეს“, რომელსაც ჩვენი კონცერტის შესახებ მკითხველამდე ინფორმაცია მიჰქონდა...

ჩვენი კონცერტის შემდეგ პიაცაზე ჯგუფ „სერებროს“ ჰქონდა კონცერტი, რომელსაც 200 ადამიანი დაესწრო. ჩვენი პროექტი კი ძალიან კარგად იყო შეფუთული, ჩვენზე სიუჟეტი ყველა ტელეარხმა გააკეთა. მოგეხსენებათ, ამ სფეროში პიარგეგმას რამხელა მნიშვნელობა აქვს. საკუთარ თავზეც ბევრი რამ ავიღე, თბილისიდან ვგეგმავდი და ვკარნახობდი, რა როგორ უნდა ყოფილიყო. ბოლოს კი ნერვებმა შემომიტია, მაგრამ ფორმიდან მაინც არ ამოვვარდი. ორთვიანი მზადების შემდეგ „ქუჩის ბიჭებს“ ღირსეული დაბრუნება გამოგვივიდა. კონცერტის მსვლელობის დროს, როგორც მითხრეს, 2000-მდე ბილეთი გაიყიდა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია.

— შემთავაზებები თუ გაქვთ?

— რასაკვირველია. იმავე კონცერტის გაკეთება უნდათ სამეგრელოში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში. აღარაფერს ვამბობ იმ გამოხმაურებაზე, რაც „ქუჩის ბიჭების“ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე ხდება. თურმე როგორ მოვნატრებივართ მსმენელს. ვაპირებთ, ახალი სიმღერები ჩავწეროთ, კლიპები გადავიღოთ. ერთ-ერთი კლიპის პრემიერა მალე შედგება. ერთი სიტყვით, ჩვენს კარიერაში უმოქმედობის ხანა დასრულდა, წინ მივდივართ.

— როგორ ატყობთ, სიმღერა თქვენი შემოსაჯლის წყარო ვახდება?

— ჯგუფის ყველა წევრს გვაქვს დამატებითი შემოსავალი. სიმღერა გვიყვარს და ამიტომ ვმღერით, ამ ეტაპზე აქცენტს შემოსავალზე არ ვაკეთებთ. შოუბიზნესი ადრე იყო მომგებიანი, როცა ბადრი პატარკაციშვილი ქართველ მომღერლებში მნიშვნელოვან ინვესტიციას დებდა. სამწუხაროდ, არაპროფესიონალებმა ეს ყველაფერი თავიანთი შემოსავლის წყაროდ აქციეს და „არტ იმედი“ ამიტომ დაიშალა. ჩემი და გურამიკოს (ლომიძე) ძალისხმევით და დანაზოგით თავიდან წამოვიწყეთ სიმღერა, რადგან ამის გარეშე არ შეგვიძლია.

— ერთი სიტყვით, ხელოვნურად შექმნილი ბარიერი გაარღვიეთ.

— ნამდვილად ასეა. წლების განმავლობაში ვიბლოკებოდით, არსად ვჩანდით, რადგან „სასტავის“ მომღერლები არ ვიყავით. ახლა კი „ქუჩის ბიჭებმა“ ძალიან მაღალი დონის კონცერტი ვაჩვენეთ მაყურებელს.

— ჯგუფის პაუზა რამდენიმე წელი გრძელდებოდა. არ ვაგაჭირდათ ხელახლა შეკერა ერთ გუნდად, ხმების შეწყობა? ვოკალის პედაგოგის დახმარება ხომ არ დაგჭირდათ?

— ფორმაში რომ არ ვიყავით, ამიტომ დაგვჭირდა 2 თვე რეპეტიციები. თუკი მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ რომელიმე კონკურსში ვცადოთ ბედი, მაშინ ვოკალის პედაგოგიც დაგვჭირდება.

— რომელ კონკურსს უმიზნებთ?

— არ ვიცი, ამაზე სამომავლოდ ვილაპარაკოთ. სურვილი ყოველთვის გვქონდა, მაგრამ არავის მოუმართავს, არავის შემოუთავაზებია, რომ მონაწილეობა მიგვეღო. მაგრამ ხომ იცით, ნათქვამია, თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი მიდის მთასთანო, ჩვენც ასეთ რაღაცას ვაპირებთ.

— კოლეგებმა სცენაზე დაბრუნება მოგილოცეს?

— რამდენიმემ მოგვილოცა. გასაკვირია, რომ დიდი ხნის მეგობრებმაც კი არ აკრიფეს ჩვენი ტელეფონის ნომრები და სოლო კონცერტის გამართვა არ მოგვილოცეს. ეტყობა, ჩვენი დაბრუნება არ გაუხარდათ. ერთ ქართველ მომღერალსაც ვერ დამისახელებთ, რომლის მისამართითაც ჩვენ ოდესმე ერთი გადაბრუნებული სიტყვა მაინც გვეთქვას. პირველად ვამბობ თქვენთან, მაშინ, როცა საპარლამენტო არჩევნებში დავმარცხდი (2012 წლის არჩევნებში დიდუბის რაიონში მაჟორიტარად იყრიდა კენჭს. ავტ.), ტელეფონი ავიღე და ვახტანგ ხმალაძეს გამარჯვება მივუსურვე. დღეს ადამიანებს რაღაცეები ეშლებათ... ყველა ჩემს კოლეგას ვუსურვებ, როცა წარმატებას აღწევენ, რაღაც ახალს ქმნიან და არ აქვს მნიშვნელობა, ამ დროს საქართველოში ვარ თუ საზღვარგარეთ.

„გასაკვირია, ხომ დიდი ხნის მეგობრებმაც კი არ აკრიფეს ჩვენი ტელეფონის ნომრები და სოლო კონცერტის გამართვა არ მოგვილოცეს“.

— კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობები სხვადასხვა პოლიტიკურმა შეხედულებებმა ხომ არ გააცივა?

— არა მგონია. ზოგადად ერის დეგრადაციის პროცესი მიმდინარეობს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვის მხარეზეა? ყოველთვის ვერიდებოდი, ის ადამიანები, მუსიკოსები დამესახელებინა, ვინც კონცერტებზე არ გვიწვევდნენ, მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილება.

— ხან ჰოლანდიაში იყავით, ხან საბერძნეთში. საბოლოოდ დაუბრუნდით სამშობლოს?

— მე ვარ ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი სამშობლო და სხვა ქვეყანაში ვერასოდეს იცხოვრებს. მინდა, ემიგრაციაში მყოფ ქართველებს, ვინც მყარად დგანან ფეხზე, მოვუწოდო, ჩვენი კონცერტი შეუკვეთეთ და არ შეგარცხვენთ! ეს არის მესიჯი იმ ემიგრანტი ქართველებისთვის, რომლებიც „სარკეს“ ყოველთვის კითხულობენ.

— იქნებ ახლა მაინც გაგვამხელით, საბერძნეთში თქვენი აქტიური მიმოსვლა რას უკავშირდებოდა?

— ჩემს ბიზნესს, რომელიც კარგად მიდის, ამჯერად მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

— ამ წარმატებაში ოჯახიც დაგეხმარათ?

— ძალიან დიდი მადლობა ჩემს ოჯახს მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებით კი ჩემს ცოლს, ხათუნას. მერაბი (ზურას ცოლისძმა, მერაბ ყორდანია, ავტ.) ჩემი ძმაა და ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა.

— სოციალურ ქსელში ბევრს საუბრობენ თქვენი შეუღლის შესახებ, ნინი ქარსელაძის და ნანეკა ყორეყოლიანის დაბრისპირებაზე იქნებ გვითხრათ, რეალურად რა მოხდა, ისინი პროკურატურაში დაკითხვაზე რატომ დაიბარეს?

— ქალების ურთიერთობების განხილვა და მასზე საუბარი არ მიყვარს. დავით ევგენიძის კონცერტზე შეკამათების დონეზე გაუგებრობა მოხდა, პრესამ კი სხვადასხვა ინტერპრეტაცია მისცა. ეს არის გაზვიადებული ამბავი. მე არ ვყოფილვარ იმ დროს ბათუმში, ამიტომ ბევრს ვერაფერს გეტყვით. ნინი რომ პროკურატურაში დაებარებინათ, ეს უეჭველად მეცოდინებოდა.

— ხათუნა, ნინი, ანასტასია — სამი ქალის გვერდით ცხოვრება ალბათ დიდი ფუფუნებაა.

— არამარტო სამის ქალის! ხათუნას დედა, ქალბატონი ნუნუ, არაჩვეულებრივი პიროვნებაა და გვყავს ძაღლი მიმი, რომელიც ქალია. ამდენ ქალთან ურთიერთობა დიდი კომფორტია, მაგრამ რთულიცაა, რადგან ოჯახში კომუნიკაციისთვის მამაკაცი გჭირდება. მაგალითად, ზოგჯერ შინ რომ დაღლილი დაბრუნდები, გინდა, ფეხბურთს ჩაუჯდე, ლუდი დალიო და ვილაცას კაცურ თემებზე ელაპარაკო.

✓ ლანა კენკაძე

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ასმათ ტყაბლაძემ ფრანგ მზარეულს ტირამისუს მომზადება ასწავლა

ქართველი მსახიობის მთიულურ–ფრანგული მენიუ

ხინკალი, ხაბიზგინები, ტკბილი ქადა, ქათმის სტეიკი და ხახვის სუპი ფრანგულად... — მსახიობ ასმათ ტყაბლაძის კულინარიული შედევრები მის საახლობლოში ცნობილია. ამ საქმის ინტერესი ჯერ კიდევ ძალიან პატარას გაუჩნდა და ცნობისმოყვარე ბავშვმა პირველივე ცდაზე შესანიშნავი ტორტი გამოაცხო. მას შემდეგ კერძების რეცეპტებს უფრო და უფრო ხვეწს. განსაკუთრებით ფრანგული კერძების „გაქართულება“ უყვარს. მისი რჩევებით პროფესიონალი მზარეულებიც კი ხელმძღვანელობენ. დუშეთში დაბადებულმა და გაზრდილმა მსახიობმა შეუდარებელი ხინკლის მოხვევა იცის და ჩვენს მკითხველსაც სიამოვნებით ასწავლის. კარგი კულინარები მასთან ინტერვიუში ბევრ საგულისხმო ინფორმაციას ამოიკითხავენ.

ასმათ ტყაბლაძე:

— ფრანგული და ქართული სამზარეულო კარგად ვიცი. ტრადიციული კერძებიდან ყველაფრის გაკეთება შემიძლია და თან ექსპერიმენტებსაც ვატარებ. ვერ ვიტყვი, რომ გურმანი ვარ, უბრალოდ ინტერესიანი ადამიანი გახლავართ, მაინტერესებს, რის გაკეთებას შევძლებ და რისას — ვერა. მეოთხე კლასში ვიყავი, როდესაც დავინტერესდი, ტორტის გამოცხობას თუ შევძლებდი. მეზობელს ვკითხე, როგორ კეთდებოდა და გამოვაცხვე. პირველივე ჯერზე არაჩვეულებრივი გამომივიდა.

— ვისგან გერგოთ გემრიელი ხელი?

— ბებიისგან. დუშეთიდან იყო და ძალიან კარგ ხინკალს და ხაბიზგინებს აკეთებდა. ტრადიციულის გარდა, ბევრ უცხო საჭმელსაც ამზადებდა.

— მისი ხაბიზგინების რეცეპტი თქვენც იცით?

— ხაბიზგინები ოსურია. ზოგი ყველით აკეთებს, მაგრამ ბებია ჭარხლის ფოთლით და მწვანილებით ამზადებდა. ცომს საფუარს არ უკეთებდა, ცოტა სოდას, მარილს, ერბოს ან კარაქს უშვრებოდა. ისეთი გამოდიოდა, რომ პირში დნებოდა! შიგთავსისთვის ჭარხლის ფოთლებს ხარშავდა, ჭყლეტდა, მწვანე ხახვით და მწვანილით გემოვნებით აზავებდა. ზოგი მწვანილს სულ არ უშვრება. ბებია მარილით შეანელებდა და ზოგჯერ ყველსაც ამატებდა, ბოლოს შიგთავსშიც ერბოს დებდა, ცომს ხაჭაპურივით კრავდა და აცხობდა. თუ გინდათ, რომ ხაბიზგინი გემრიელი გამოვიდეს, ბევრი კამა და მწვანე ხახვი უყავით.

ბებია არაჩვეულებრივ ხაჭაპურს აკეთებდა. თუ ყველი არ გვქონდა, მხოლოდ ხაჭოთი აცხობდა. ჩვენთან მთიულურ ქადებს აცხობდნენ და ბებიაც ხშირად გვიკეთებდა. მეც ვაკეთებ ხოლმე, ჩემს შვილს ძალიან მოსწონს.

— მთიულური ქადები როგორია?

— ხაჭაპურის ცომში ქადის გულს ვდებ და ეგაა. ქადის გული კი ასე მზადდება: კარგ ერბოს, რომელიც ძროხის რძისგან კეთდება და ქვიშასავით არის, დავადნობთ და ფქვილში ნელ-ნელა ავურევთ. ნელ ცეცხლზე უნდა იდგეს, რომ არ დაგვეწვას. ზოგი შაქარს არ უშვრება და მხოლოდ მარილით აკეთებს, მაგრამ მე ყოველთვის ტკბილ ქადებს ვაცხობ. გულში ვანილსაც ვამატებ და ცოტა მარილსაც. უგემრიელესია, მაგრამ ძალიან ასუქებს, ამიტომ ახლა უკვე აღარ ვაცხობ. ახალგაზრდობაში თამამად ვჭამდი.

კერძების მომზადებას ყოველთვის ვუყურებდი და ასე ვსწავლობდი, არასოდეს არავისთვის მიკითხავს, როგორ მზადდებამეთქი. ხინკლის გაკეთებაც ასე ვისწავლე. მაგარ ცომს ზელდნენ, რომ ხინკალი არ ჩაშლილიყო. ახლა მე „დავამხეცე“ — წყალში ცოტა ზეთს ვურევ, რომ ხინკლები ერთმანეთს არ მიეწებოს. ბრინჯის და მაკარონის ხარშვის დროსაც ასე ვიქცევი, ცოტა ზეთი აუცილებელია.

— ხინკლის ფარშს როგორ აზავებთ?

— ზოგჯერ მხოლოდ ხახვით, წიწაკით და მარილით ვაზავებ. ასე უფრო მომწონს, ვიდრე მწვანილით. მთიულური ხინკალი უმწვანილოა, მწვანილიანს ქალაქურს ეძახიან. ხინკალს ყოველთვის ცოტა წიწაკას ვუშვრები. აუცილებელია, კარგი ხორცი

> **„დედა ახლა 100 წლისაა და 92 წლამდე სულ ის აკეთებდა ხაჭაპურს, ხაჭოს ან კარტოფილის ხინკალს. ყველა კითხულობდა, სუფრაზე დედაშენის გამომცხვარი ხაჭაპურები თუ იქნებაო“.**

იყოს. ცხვრის და ღორის ხორცის ქონი ჩემთვის ძალიან მავნებელია, ამიტომ მხოლოდ საქონლის ხორცით ვაკეთებ. სტუმრებისთვის ძალიან ცოტა ღორის ხორცს ვურევ. ხორცს ძარღვებისგან ვათავისუფლებ. ერთ კილო ხორცს ნახევარი კილო ხახვი უნდა, გემოვნებით შავი წიწაკა, მარილი და ძალიან ცოტა ძირა, რომ თავის გემოზე არ წაიყვანოს. ესაა მთიულური ხინკალი. ქალაქურს მწვანილებს დავამატებთ, ოღონდ ცოტას, რომ ხინკალს თავისი გემო ჰქონდეს და არა — სუპის. რა თქმა უნდა, ფარშს წყალი უნდა, რადგან სწორედ მასში იხარშება ხორცი.

— ხინკლის მოხარშვასაც თავისი წესები აქვს.

— მდუღარე წყალში რომ ჩავყრი, მაშინვე ქვაბს ვატრიალებ, რომ ძირზე არ მიეკრას და ზემოთ წამოვიდეს. ქვაბი ჯერ დახურული უნდა იყოს, 10 წუთის შემდეგ, წამოდუღდება თუ არა, მაშინვე უნდა ავხადოთ. ხინკალი ჯერ იბერება და ზემოთ ამოდის, მერე იჩუტება და ხელახლა რომ დაიწყებს დაბერვას, უკვე მზად არის, უნდა ამოვიღოთ. მანამდე ცივ წყალს ვასხამ და მხოლოდ ამის შემდეგ ამომაქვს წყლიდან.

— ძნელი წარმოსადგენი არ არის, სხვის მომზადებულ ხინკალს რამდენ ტესტს ჩაუტარებთ.

— ხინკალს არც ერთ სახინკლეში არ ვჭამ! ცოტა ხნის წინ ახალგახსნილ რესტორანში შევედით, ვიფიქრეთ, რომ კარგი

> **„დიასახლისთან რომ მიხვალ და გაუხეხავ ქვაბს მოჰკრავ თვალს, ბევრი ლაპარაკი რად უნდა, იმაში მოხარშული საჭმელი არაჰიგიენური რომ იქნება“.**

ხინკალი ექნებოდათ, მაგრამ ისეთი წითელი წვენი ჰქონდა, ვერ ვჭამეთ. ერთხელ ერთ-ერთ დიდ სუპერმარკეტში ვნახე კაცი, რომელსაც ღორის ქონი და ტყლარჭი (თხელი ხორცი, რომელსაც გარშემო წებოვანი აპკი აქვს. სიტყვა „ტყლარჭს“ უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში ხმარობენ. ავტ.) ტომრებით მიჰქონდა. გამიკვირდა, ნუთუ ძაღლს ამდენს აჭმევენ-მეთქი. მითხრეს, რა ძაღლი, სახინკლის მეპატრონეა და იქ მიაქვსო. მას შემდეგ როგორ შეიძლება, რესტორნის ხინკალი გემრიელად ვჭამო?! პროდუქტის ხარისხი ყველაზე მთავარია!

— უცხო კერძს რომ სინჯავთ, ხედებით, რა ინგრედიენტებისგან შედგება?

— აბა, რა! კარგი რესტორნის მენიუში წერია, რომელი კერძი რა ინგრედიენტებისგან შედგება. მერე სახლში ვცდილობ, ჩემით მოვამზადო, რაღაცას მეტს ვუშვრები, რაღაცას — ნაკლებს და უკეთესი გამომდის. მე მაქვს ფრანგული კაფე. შესანიშნავი მზარეული მყავს, მას ვუყურებდი, რას როგორ აკეთებდა. გემოს რომ ვსინჯავდი, ჩემს იდეებს ვთავაზობდი, რომელი ინგრედიენტი რამდენი გვექნა. ჩემი კარნახით რომ ამზადებდა, უფრო გემრიელი გამოდიოდა.

— მაგალითად, რა კერძი გადააკეთებინეთ?

— ტირამისუს ამარეტოთი და ბეილისით აკეთებდა, ორივე სასმელს თანაბრად უშვრებოდა, მაგრამ მე ვუთხარი, ამარეტო მძაფრია და ამიტომ ნაკლები უქენი, ბეილი-

Cyan Magenta Yellow Black

სი კი — მეტი-მეთქი. რომ გავსინჯეთ, ასე უფრო გემრიელი იყო. საკვებს ყველაფერი თავისი დოზით უნდა ჰქონდეს. არ შეიძლება, რომელიმე ინგრედიენტმა თავის გემოზე წაიყვანოს. ყნოსვაც გამძაფრებული მაქვს და ესეც მეხმარება.

— ფრანგული სამზარეულოთი როდის დაინტერესდით?

— ფრანგი ახლობლები მყავს და მათ შემაყვარეს. ისინი დამეხმარნენ კაფეს გახსნაში და მენიუს შედგენაში. მას შემდეგ დავინტერესდი ფრანგული კერძებით და შევისწავლე. ფრანგებს ძალიან გემრიელი სოუსები აქვთ. ხბოს სტეიკი სოუსით უგემრიელესია. კარგი სუპები აქვთ — სოკოს კრემსუპი, ხახვის, ზღვის პროდუქტების სუპები. ვერ გეტყვით, რომ ქართველმა მომხმარებელმა ფრანგული სამზარეულო მთლიანად მოიწონა. ჩემსავით ბაყაყს ბევრი ვერ მიირთმევს, მაგრამ ვინც სიამოვნებით ჭამს, ყველა ამბობს, რომ წიწილის გემო აქვს.

— თქვენ რა გიყვართ ყველაზე მეტად ფრანგული სამზარეულოდან?

— სოუსები და კრევეტები. თევზეული ძალიან მიყვარს, მიდიები პირველად საფრანგეთში ვჭამე 1980 წელს, ნივრით და ქინძით იყო გაკეთებული. ისე მომეწონა, მას შემდეგ სიამოვნებით გეახლებით.

— შედარებით მარტივად მოსამზადებელი ფრანგული კერძების რეცეპტები იქნებ ჩვენც ჩაგვაწერინოთ.

— ხახვის სუპს გასწავლით: ხახვის დიდი თავები უნდა ავიღოთ და მრგვალად დავჭრათ. მოვშუშავთ და შემდეგ შავ ღვინოში მოვხარშავთ. დავამატებთ მწვანილს და თუ გვინდა, ყველს ან ორცხობილებს ვუზამთ.

ფრანგებს ქათმის სტეიკიც გემრიელი აქვთ. ქათამს შევწვავთ, ცალკე ნაღების სოუსს გავაკეთებთ. დაჭრილ ქამა სოკოს მოვშუშავთ. წყალი რომ ჩაშრება, ზემოდან ნაღებს დავასხამთ, ცოტა რძეს დავუმატებთ და მერე თეთრ პილპილს ჩავაყრით. მე ცოტა პიტნასაც ვუკეთებ, ძალიან უხდება. ამ მასას შემწვარ ქათმის ნაჭრებს დავასხამთ და კერძი მზადაა.

— ფრანგული და ქართული სამზარეულოები ღვინის გარეშე წარმოუდგენელია. თქვენ რომელ ღვინოს მიირთმევთ?

— სასმელი არ მიყვარს. შემიძლია ერთი ჭიქა კარგი კახური ტანინიანი ღვინო დავლიო ნელ-ნელა. არაყი მაღე მათრობს და მაშტერებს. სუფრასთან სულ მხიარულად ვარ, საინტერესო ამბებს, ანეკდოტებს ვყვები, ხალხს ვახალისებ. ამიტომ ზოგჯერ ჰგონებიათ, რომ მთვრალი ვიყავი და უკითხავთ, საჭესთან როგორ უნდა დაჯდეო. კარგ ხასიათზე მოსასვლელად სასმელი ნამდვილად არ მჭირდება.

— სწრაფი ხელი გაქვთ?

— კი. რაც ყველაზე მთავარია, სწორად უნდა დაიწყო კეთება. თუ სამნაირი საჭმელი მაქვს მოსამზადებელი, პირველად იმის კეთებას ვიწყებ, რასაც დიდი დრო უნდა, მერე უკვე ერთდროულად ყველაფერი მზადაა. დედასაც სწრაფი ხელი ჰქონდა. ახლა უკვე 100 წლისაა. 92 წლამდე სულ ის აკეთებდა ხაჭაპურს, ხაჭოს ან კარტოფილის ხინკალს. ყველა კითხულობდა, სუფრაზე დედაშენის გამომცხვარი ხაჭაპურები თუ იქნებაო.

ერთხელ ჩემს სახლში 15 კაციანი სუფრა სრულიად მარტომ გავამზადე. საღამოს 5 საათისთვის ყველაფერი გაკეთებული იყო, მაგრამ ისეთი დაღლილი ვიყავი, აღარაფრის თავი მქონდა. სუფრასთან ჩუმად ვიჯექი. სესილია თაყაიშვილი გაკვირვებული მიყურებდა, ხმა ამოიღეო, მეუბნებოდა. რომ ვუთხარი, ძალიან დაღლილი ვარ-მეთქი, მითხრა, ერთი ჭიქა დალიეო. კახეთიდან გამოგზავნილი ტანინიანი წარაფი მქონდა და დავლიე. ისეთ კარგ ხასიათზე მოვედი, ვეღარ მაჩერებდნენ.

— როგორც დიასახლისი, ყველაზე დიდ მნიშვნელობას რას ანიჭებთ?

— სისუფთავეს. მაგალითად, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, დიასახლისი მწვანილს როგორ რეცხავს. ის სათითაოდ უნდა გადაარჩიო და გარეცხო. ზაფხულში ზოგჯერ „მარგანცოვკიან“ წყალსაც კი გადავავლებ ხოლმე. მწვანილიდან შეიძლება ათასნაირი ბაქტერიით დაავადდე, ამიტომ დიდი ყურადღებაა საჭირო. სხვათა შორის, ძალიან ადვილი შესანახია, კარგად გავრეცხავთ, გავაშრობთ და ხელსახოცებში გადავახვევთ. მთელი თვე ინახება... დიასახლისთან რომ მიხვალ და გაუხსავ ქვაბს მოჰკრავ თვალს, ბევრი ლაპარაკი რად უნდა, იმაში მოხარშული საჭმელი არაჰიგიენური რომ იქნება.

✓ ქეთი დინოშვილი

„მსიამოვნებს, როცა ვხედავ, ქალი საჭესთან როგორ იპრანჭება“

პაატა იაკობაშვილი „გიჟივით მოძრაობამ“ დაღლაჰვას გადაარჩინა

თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ ავტომოყვარულია, ერთ-ერთი ალბათ ტელეჟურნალისტი პაატა იაკობაშვილია. მანქანის ძრავის ხმაც კი ჟრუანტელს ჰგვრის. აქვს ბედნიერება, ავტომობილების პრეზენტაციებზე რეპორტაჟის გასაკეთებლად უცხოეთში ხშირად წავიდეს და ახალი მოდელების თვალიერებით უდიდეს სიამოვნებას იღებს. მანქანა და სწრაფი რბოლა მისთვის განმუხტვის ყველაზე კარგი საშუალებაა. ერთხელ გერმანიაში 270 კმ/სთ-ითაც კი იარა. რამდენიმე თვის წინ ესპანეთის ერთ-ერთი კუნძული ახალი „ტოიოტა კოროლათი“ მოიარა. მის ხელში რა მარკის მანქანას არ გაუვლია, მაგრამ საოცნებოდ მაინც „პორშე“ რჩება. ამჟამად „აუდი“ ჰყავს. ამბობს, რომ მას კარგად იცნობს და იმასაც იოლად ხვდება, რა დროს რა უჭირს. სისწრაფის მოყვარული მძღოლი არაერთ ხიფათს არის გადარჩენილი და მისთვის ესეც გარკვეული ექსტრემია.

„მანქანას ვესნიებდი, მან კი საჭე გვეჭიდით ისე აილო, მანიშნებელიც არ ჩაუთავს. იმდენად სწრაფად ჩავუქროლე, ბოლომდე მოჯახება ვერ შეძლო... ჯიდევ ჯარგი, გიჟივით ვმოძრაობდი, თოჩემ უეჭველად ამომატრიალებდა და დღეს სხვასთან იჯდებოდით ინტერვიუზე“.

— პაატა, დიდი ხანია, რაც საჭესთან ზიხართ?

— არც ისე, 10-12 წელი იქნება, რაც მანქანას ვმართავ. პირველი ავტომობილი — „ოპელ ასტრა“ ჩემი ხელფასით და ცოტა კრედიტით ვიყიდე. მშვენიერი მანქანა იყო, ბევრი მატარა და მასიამოვნა. ერთი წელი მართვის მოწმობის გარეშე დავდიოდი და არავის გავუჩერებივარ. მერე კი მოწმობა იოლად ავიღე.

— თავიდანვე კარგი მძღოლი იყავით?

— თავიდანვე ვცდილობდი, მოძრაობის წესები ნაკლებად დამერღვია, სხვებისთვის დისკომფორტი არ შემექმნა. როგორც ახალბედა მძღოლების უმეტესობას, ორი თვის თავზე პატარა ავარია მეც მომივიდა, ოღონდ მართლა უმნიშვნელო იყო. →32

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ეკიმი. ქალბატონი დეა

Cyan Magenta Yellow Black

ეს კი გამოუცდელ მძღოლებს მაშინ ემართებათ, როცა ფიქრობენ, რომ სიტუაციას ფლობენ და მანქანასაც კარგად მართავენ. ამ დროს თამამდებიან. მე, მაგალითად, ავარიის მომენტში სიგარეტს ვუკიდებდი.

— „ოპელ ასტრას“ შემდეგ რა შეიძინეთ?

— 3 წლის მერე „ბეემვე ე 38“ გამომიგზავნეს ჩემმა დამ და სიძემ საფრანგეთიდან. ძალიან კარგი მანქანა იყო, სწრაფიც, კომფორტულიც და უყვარდა ბევრი საწვავი, გაუმაძღარი გახლდათ. წელიწადზე მეტ ხანს მყავდა.

— გამოდის, რომ სისწრაფის მოყვარული ხართ.

— მიყვარს, მაგრამ ქალაქში სწრაფად სიარული არ გამოდის. მუღამი არ აქვს, ერთი წამით გაზს მიადგა ფეხი და მერე დაამუხრუჭო.

— ქალაქგარეთ დადიხართ სწრაფად?

— საქართველოში იმდენად — არა, გერმანიაში კი 270 კმ/სთ სიჩქარით მივლია. ასეთი სისწრაფე არც იქ შეიძლება, რისკთან არის დაკავშირებული. მაშინ სიუჟეტს ვიღებდით და „აუდი ერ ეს 6“-ით ვმოძრაობდით. ამხელა სიჩქარით სიარულის საშუალებას მანქანაც იძლეოდა, მეტსაც კი ავწევდი. ამ ყველაფერს თან კამერით ვიღებდით, ჩემს ოპერატორს, ლექსოს, უნდა გადაეღოსიჩქარის მაჩვენებელი 0-დან 100-მდე რა სისწრაფით აიწეოდა. ის უკან იჯდა. ვკითხე, მზად თუ ხარ-მეთქი. კიო, მიპასუხა და მანქანა დავძარი. გაზს ფეხი მივადგი თუ არა, ლექსო უკან გადავარდა. მეორე დუბლზე სავარძელს ჩაეჭიდა და ისე იღებდა. ეს საკმაოდ ექსტრემალური სიტუაცია იყო.

საერთოდ ვცდილობ, მშვიდად ვიმოძრაო, მაგრამ ხანდახან გიჟობებიც მახასიათებს, სწრაფადაც დავდივარ. საქართველოში 200 კმ/სთ სიჩქარითაც მივლია.

— მერე საეჭვოო სიტუაციებში არ ხვდებით ამის გამო?

— ერთხელ აეროპორტის ტრასაზე მანქანას ვუსწრებდი, მან კი საჭე გვერდით ისე აიღო, მანიშნებელიც არ ჩაურთავს. დიდი სისწრაფით მივდიოდი და იმდენად სწრაფად ჩავუქროლე, ბოლომდე მოჯახება ვერ შეძლო, თორემ უეჭველად ამომატრიალებდა და დღეს სხვასთან იჯდებოდით ინტერვიუზე. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ექსტრემალური მომენტი იყო. მთელ ტანში დამაჟრიალა. როგორც აღვნიშნე, კიდევ კარგი, გიჟივით მივქროდი, თორემ...

— რეპორტაჟების გასაკეთებლად სხვადასხვა მარკის მანქანების პრეზენტაციებზე ხშირად დადიხართ უცხოეთში. ყველაზე შთამბეჭდავი რომელი იყო?

— ერთხელ „ფერარი-იტალია 458“-ის გადაღებაზე ვიყავით. ძალიან მაგარი მანქანაა! ყველაფერი მომეწონა, სწრაფია და მაგრადაც დაქრის. ამ ავტომობილის ძრავის ხმა დაქოქვისა და სიჩქარის დადაბლების მომენტში არასდროს დამავიწყდება!

4 წლის წინ ფრანკფურტის ავტოშოუზე გადაღებაზე ვიყავი. „პორშემ“ ოთხკარიანი სედანი „პორშე პანამერა“ გამოუშვა, რომელიც იქ პირველად ვნახე. ფოტოები მქონდა ნანახი, მაგრამ ძალიან მაინტერესებდა, სინამდვილეში როგორი იყო. ვფიქრობ, რომ დიზაინის თვალსაზრისით იდეალური მანქანაა, რაც კი შეიძლება არსებობდეს. სამწუხაროდ, არ გამიტარებია. გამოფენაზე რომ მივედი, ჩავჯექი მანქანაში და იმდენ ხანს ვათვალიერებდი, ფანჯარაზე მომიკაკუნეს, ახალგაზრდავ, დიდი ხანია, რაც მანქანაში ზიხართ და გეყოფათო. „პორშე“ ჩემი საოცნებო მანქანაა. მალე გერმანიაში „პორშე 911“-ის 50 წლის იუბილეა და შეიძლება გადაღებაზეც წავიდე.

„ქალი მძღოლების მესმის და მშვიდად ვეღოდები, როდის დაასრულებენ თავიანთ მანევრს. ქალი როცა ფეხით მიდის, ხომ ეტყობა, რომ ქალია? მანქანითაც რომ მოძრაობს, შორიდანვე ამჩნევ. მანქანას არალოგიკურად ატარებენ. როცა მგონია, რომ პირდაპირ მიდის, უცებ მოუხვევს. ქალური ხასიათი მის მოძრაობაშიც აისახება. რამდენიმე გოგო ვიცი, რომლებიც ისე მაგრად მართავენ მანქანას, ბიჭებს შეშურდებათ. ხშირად შემინიშნავს, როცა ქალი საჭესთან იპრანჭება. ამაზე მეღიმება და ასეთი რაღაცის დანახვა მსიამოვნებს კიდეც.

— ბატრულმა რის გამო შეიძლება დაგაჯარიმოთ?

— ბოლოს 3-4 თვის წინ დამაჯარიმეს. „მომიარა“ და უცებ გზაზე რაღაცეები ჩავიდინე, გავვარდ-გამოვვარდი. მანამდე წელიწადნახევრის წინ მანქანას ნასვამი ვმართავდი და მაშინაც დამაჯარიმეს. რადგან „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი ვარ და მცნობენ, გგონიათ, არ მაჯარიმებენ? პირიქით, უფრო მაჯარიმებენ და ასე რომ არ მოხდეს, შეიძლება მეწყინოს კიდეც. ჩემი მაქსიმალური ჯარიმა 200 ლარი იყო და მას შემდეგ საჭესთან აღარც დავმჯდარვარ ნასვამი.

„ქალი მძღოლების მესმის და მშვიდად ველოდები, როდის დაასრულებენ თავიანთ მანევრს. ქალი როცა ფეხით მიდის, ხომ ეტყობა, რომ ქალია? მანქანითაც რომ მოძრაობს, შორიდანვე ამჩნევ. მანქანას არალოგიკურად ატარებენ. როცა მგონია, რომ პირდაპირ მიდის, უცებ მოუხვევს. ქალური ხასიათი მის მოძრაობაშიც აისახება. რამდენიმე გოგო ვიცი, რომლებიც ისე მაგრად მართავენ მანქანას, ბიჭებს შეშურდებათ. ხშირად შემინიშნავს, როცა ქალი საჭესთან იპრანჭება. ამაზე მეღიმება და ასეთი რაღაცის დანახვა მსიამოვნებს კიდეც.

— ავტოშოუზე ბოლოს სად იყავით?

— რამდენიმე თვის წინ ესპანეთის ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე, პალმა დე მალიორკაზე ახალი „ტოიოტა კოროლას“ პრეზენტაციაზე ვიყავი. შესანიშნავი კუნძულია, გადარეული ვარ! იმ ადამიანებისთვის, ვისაც ურბანისტული დასვენება უყვარს, არაჩვეულებრივი ადგილია. მე და ჩემს ოპერატორს მანქანა ორი დღის განმავლობაში გვყავდა, ნახევარი კუნძული შემოვიარეთ. ტესტდრაივზე რომ გყავს მანქანა, ხომ უნდა გაიგო, რა შეუძლია? იქაც მოვინდომე სწრაფად სიარული და, მგონი, რადარმა დამაფიქსირა, მაგრამ არა უშავს, ჩემს ჯარიმას „ტოიოტა“ გადაიხდის, გულუხვები არიან. ძველი „ტოიოტა კოროლას“ მფლობელებისგან ყველაზე დიდი საყვედური რაც მომისმენია, ის იყო, რომ სალონი არ მოსწონდათ. ახალ მოდელს კი შესანიშნავი სალონი აქვს უამრავი ფუნქციით. გარეგნულად ცოტა იაპონელის შთაბეჭდილება შემიქმნა, ნინძასავით მომეჩვენა. ამ მოდელის პრეზენტაცია თბილისშიც იყო.

„ჰიდგან „ჩუსთავი 2“-ის ჟურნალისტი ვარ და მცნობენ, გგონიათ, არ მაჯარიმებენ? პირიქით, უფრო მაჯარიმებენ და ასე რომ არ მოხდეს, შეიძლება მეწყინოს კიდეც.

— მანქანის ნაწილებშიც ალბათ კარგად ერკვევით.

— წვრილმანი რაღაცეების გაკეთება შემიძლია. როცა მანქანას ეჩვევი, უკვე იცი, მას რა „დაავადება“ აქვს და რა ახასიათებს, ხმითაც ყველაფერს ხვდები.

— თქვენს პირად მანქანაზე გვიამბეთ.

— უკვე მეოთხე წელია, რაც 2003 წელს გამოშვებული „აუდი ა 4 ბ 6“ მარკის ავტომობილი მყავს 1,8 ტურბო ძრავით, ოთხივე თვალი წამყვანია. ჩავთვალე, რომ მისი თაობის ხელმისაწვდომ ავტომობილებს შორის ეს ყველაზე ლამაზი იყო და ამიტომაც შევიძინე. „მაზდა 6“-ც მომწონდა, მაგრამ იმ ძრავით, რომლითაც მინდოდა, მაშინ აუქციონზე ვერ ვიშოვე. ჩემს „აუდის“ ბევრი მოვლა სჭირდება, სამაგიეროდ თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ.

— მანქანის მოვლას რა დროს უთმობთ?

— შეძლებისდაგვარად ვუვლი. თქვენთან ინტერვიუზე სანამ წამოვიდოდი, გავრეცხე. მანქანა შიგნიდანაც და გარედანაც სუფთა უნდა იყოს და ისიც გასიამოვნებს. აქსესუარების განსაკუთრებული სიყვარულით არ გამოვირჩევი. ავტომობილში მოსაცმელი და კეპი ყოველთვის მიგდია. როცა „კურიერის“ ეთერში ვარ, კვირის პირველ დღეს სახლიდან სამსახურში რამდენიმე პერანგი მომაქვს.

— თქვენი ოჯახის წევრებს რამდენად ადგებათ თქვენი ავტომობილი?

— ძალიან ადგებათ. დედაჩემი მეტყვის ხოლმე, დღეს ხომ არ მუშაობო და დიდ სავაჭრო ცენტრებში მიმყავს.

— თბილისურ მოძრაობაზე რას ფიქრობთ?

— თბილისში რაც ყველაზე მეტად მაღიზიანებს, ის არის, რომ მძღოლები ზოლში არ მოძრაობენ. ბოლო დროს წითელ შუქნიშანზე კიდევ უფრო ხშირად გადიან, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. ვფიქრობ, ამაზე მეტი სიმკაცრეა საჭირო.

— ყველა მამაკაცს ვეკითხები, ქალ მძღოლებზე რას ფიქრობენ, რადგან თითქმის ყველას აქვს მათ მიმართ პრეტენზიები. თქვენც თვლით, რომ საშიშები არიან?

— ქალი მძღოლების მესმის და მშვიდად ველოდები, როდის დაასრულებენ თავიანთ მანევრს. ქალი როცა ფეხით მიდის, ხომ ეტყობა, რომ ქალია? მანქანითაც რომ მოძრაობს, შორიდანვე ამჩნევ. მანქანას არალოგიკურად ატარებენ. როცა მგონია, რომ პირდაპირ მიდის, უცებ მოუხვევს. ქალური ხასიათი მის მოძრაობაშიც აისახება. რამდენიმე გოგო ვიცი, რომლებიც ისე მაგრად მართავენ მანქანას, ბიჭებს შეშურდებათ. ხშირად შემინიშნავს, როცა ქალი საჭესთან იპრანჭება. ამაზე მეღიმება და ასეთი რაღაცის დანახვა მსიამოვნებს კიდეც.

— თქვენ ოჯახის წევრებს რამდენად ადგებათ თქვენი ავტომობილი?

— ძალიან ადგებათ. დედაჩემი მეტყვის ხოლმე, დღეს ხომ არ მუშაობო და დიდ სავაჭრო ცენტრებში მიმყავს.

— თბილისურ მოძრაობაზე რას ფიქრობთ?

— თბილისში რაც ყველაზე მეტად მაღიზიანებს, ის არის, რომ მძღოლები ზოლში არ მოძრაობენ. ბოლო დროს წითელ შუქნიშანზე კიდევ უფრო ხშირად გადიან, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. ვფიქრობ, ამაზე მეტი სიმკაცრეა საჭირო.

— ყველა მამაკაცს ვეკითხები, ქალ მძღოლებზე რას ფიქრობენ, რადგან თითქმის ყველას აქვს მათ მიმართ პრეტენზიები. თქვენც თვლით, რომ საშიშები არიან?

— ქალი მძღოლების მესმის და მშვიდად ველოდები, როდის დაასრულებენ თავიანთ მანევრს. ქალი როცა ფეხით მიდის, ხომ ეტყობა, რომ ქალია? მანქანითაც რომ მოძრაობს, შორიდანვე ამჩნევ. მანქანას არალოგიკურად ატარებენ. როცა მგონია, რომ პირდაპირ მიდის, უცებ მოუხვევს. ქალური ხასიათი მის მოძრაობაშიც აისახება. რამდენიმე გოგო ვიცი, რომლებიც ისე მაგრად მართავენ მანქანას, ბიჭებს შეშურდებათ. ხშირად შემინიშნავს, როცა ქალი საჭესთან იპრანჭება. ამაზე მეღიმება და ასეთი რაღაცის დანახვა მსიამოვნებს კიდეც.

— ბატრულმა რის გამო შეიძლება დაგაჯარიმოთ?

— ბოლოს 3-4 თვის წინ დამაჯარიმეს. „მომიარა“ და უცებ გზაზე რაღაცეები ჩავიდინე, გავვარდ-გამოვვარდი. მანამდე წელიწადნახევრის წინ მანქანას ნასვამი ვმართავდი და მაშინაც დამაჯარიმეს. რადგან „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი ვარ და მცნობენ, გგონიათ, არ მაჯარიმებენ? პირიქით, უფრო მაჯარიმებენ და ასე რომ არ მოხდეს, შეიძლება მეწყინოს კიდეც. ჩემი მაქსიმალური ჯარიმა 200 ლარი იყო და მას შემდეგ საჭესთან აღარც დავმჯდარვარ ნასვამი.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ქართველი სამურაის იაპონური ცხოვრება

„იაპონელი ოხსული ქალები თავიანთ მუცელზე ხელს მადებინებდნენ, ჰომ ბავშვი ჯანმრთელი და სულიერად ძლიერი დაბადებულიყო"

332 ბრძოლიდან 197 მოგება — ეს 33 წლის ქართველი სუმოისტის, ლევან ცაგურიას, იაპონელებისთვის კოკაის, მიღწევაა. მას კომოსუბის წოდება აქვს, რაც ძალიან დიდი აღიარებაა სუმოში. ლევანი იაპონიაში დაახლოებით 12 წელი ცხოვრობდა და პროფესიულ სუმოში ასპარეზობდა. ამომავალი მზის ქვეყანაში ყველა ცნობდა, პატივს სცემდნენ, განსაკუთრებულად ესალმებოდნენ.

ლევანმა კარიერა ნახევარი წლის წინ დაასრულა ტრავმების გამო. ის ახლა საქართველოში იმყოფება და ცდილობს, ჩვენს ქვეყანაშიც შეუწყოს ხელი სპორტის ამ სახეობის განვითარებას. რამდენიმე ხნის წინ ქართველ სუმოისტს იაპონიაში საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენლის, ანუ ტურიზმის ელჩის სტატუსი მიენიჭა.

— ლევან, როდის და რატომ დაინტერესდით სპორტის ამ სახეობით, რომელიც ქართველებისთვის ნაკლებად პოპულარული და უცნოც კია?

— პირველად ეს ორთაბრძოლა ტელევიზიით ვნახე. მანამდე თავისუფალ სტილში ვჭიდაობდი. წონითი კატეგორიების შეცვლის შემდეგ გადავწყვიტე, სუმოში გადავსულიყავი. ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ლევან ებანოიძემ, რომელიც მანამდე ჭიდაობდა, სუმოში მსოფლიო პირველობა მოიპოვა, ფინალში იაპონელს მოუგო. სწორედ მაშინ დაინტერესდნენ იაპონელები ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენებით. ლევანმა მითხრა, რომ პერსპექტივა მქონდა, არამხოლოდ მოყვარულთა, არამედ პროფესიონალთა სუმოში მოვხვედრილიყავი. ამის შემდეგ ამ სპორტზე სერიოზულად დავიწყე ფიქრი.

აფხაზეთიდან ვარ, ჯერ კიდევ სოხუმში დავიწყე ვარჯიში 12-13 წლის ასაკში. მამაჩემი მერაბ ცაგურია და ჩემი ძმა გიორგიც ჭიდაობდნენ. მამა საბჭოთა კავშირის პრიზიორი იყო, ტურნირების ჩემპიონი. შვილებიც სპორტს გავყევით. ომის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით და 14-15 წლის ასაკში აქტიური სპორტით დავკავდი.

— იაპონიაში როდის წახვედით?

— 2001 წლის 1 იანვარს. იაპონიაში ჩასვლისთანავე ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, რადგან სუმო მხოლოდ სპორტი არ არის, ის ცხოვრების წესია.

— ცნობილია, რომ სუმო იაპონელებისთვის არამარტო სპორტის სახეობა, არამედ ტრადიციაა, ფილოსოფია და ეროვნული იდენტობის ნიშანია. ქართული კულტურის, მენტალობის ადამიანს მის წესებთან შეგუება არ გაგიჭირდათ?

— იაპონიაში სუმოს 55 კლუბია და მხოლოდ იმპერატორის თასზე ჭიდაობენ, პროფესიონალები არიან. კლუბში ცხოვრობენ სპორტსმენები და კლუბის პრეზიდენტი თავის ოჯახთან ერთად. ერთ-ერთ ასეთ კლუბში მეც ვცხოვრობდი. სუმო ძველი ტრადიციების მატარებელი სპორტია. ჩასვლისთანავე კიმანო ჩამაცვეს და ერთ წელიწადში თმა რომ გამეზარდა, ჩომაკიც გამიკეთეს. კლუბში ვინც შენზე უფროსია, იმას სხვანაირად უნდა ელაპარაკო, სხვანაირი მიდგომა უნდა გქონდეს. უფროსობაში ასაკს არ ვგულისხმობ. შეიძლება სპორტსმენი შენზე უმცროსი იყოს, მაგრამ კლუბში შენზე ადრე იყოს შესული, ამიტომ ის უფროსია.

თავიდანვე მქონდა გადაწყვეტილი, ამ სპორტში როგორი სიძნელეებიც უნდა შემხვედროდა, გადამელახა და იმისთვის მიმეღწია, რაც დღეს მაქვს. პირველ რიგში, ენის და სამზარეულოს პრობლემა მქონდა. ჩვენი და იმ ქვეყნის სამზარეულოები ძალიან განსხვავდება. იაპონელები რთულები არა, მაგრამ ძალიან მომთხოვნები არიან საკუთარ თავთანაც და მით უმეტეს, უცხოელებთან. რადგან სუმო მათი სპორტია, უცხოელებს უფრო მეტს სთხოვენ.

— როგორი გრაფიკით, რეჟიმით ცხოვრობდით და ვარჯიშობდით?

— ჩემი დღე დილის 5 საათზე იწყებოდა. ამ დროს სავარჯიშო დარბაზში ჩავდიოდი. კლუბში 2-3 ახალი წევრი ვიყავით და სავარჯიშო დარბაზის დალაგება, მოწყობა ჩვენ გვევალებოდა, რათა ჩვენზე უფროსები ჩამოსულიყვნენ და ვარჯიში დაეწყოთ. ეს პროცესი ვარჯიშთან ერთად დილის 11 საათამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ უფროსები ჩვენზე პირველები შედიოდნენ აბაზანაში. მაშინ 19 წლის ქართველი ბიჭი ვიყავი და ამ ყველაფერს ვიტანდი.

„წარმოიდგინეთ ორი ბუმბერაზი ადამიანი, თითო, მინიმუმი, 150-160 კილოა. მათი ყოველი შეჯახება დაახლოებით ერთ ტონას უდრის. ეს ძალიან სახიფათო სპორტია".

საერთოდ, ძნელია სამურაის ცხოვრება და სწორედ ასეთი ცხოვრება გავიარე იაპონიაში 12 წლის განმავლობაში. დილით საჭმელსაც კი ჩვენ ვამზადებდით. კლუბში მხოლოდ სპორტსმენები ვცხოვრობდით და ყველაფერს ჩვენ ვაკეთებდით. თავიდან ყველაზე დაბალ ადგილზე ვიყავი, მაგრამ 2 წელში ელიტაში გადავედი. სუმოს პროფესიონალებში 1000 კაცია მოჭიდავე. აქედან მხოლოდ 70-ია ელიტურ ჯგუფში. ეს ნიშნავს, რომ 70 უძლიერესი სპორტსმენის ჯგუფში შედიხარ. მე ამ ჯგუფში ვიყავი. კომოსუბის წოდება მქონდა.

— სამურაის ცხოვრების წესზე მანამდე თუ იცოდით რამე?

— ტელევიზორში კი მქონდა რაღაცეები ნანახი, მაგრამ სამურაის ცხოვრების სტილზე და წესზე ბევრი არაფერი ვიცოდი, მასთან შეჩვევა ჩემთვის ყველაზე ძნელი იყო. კიმანოს გარეშე ქალაქში სიარულის უფლება არ მქონდა. იაპონიაში სუმო ერთადერთი სპორტი და კულტურაა შემორჩენილი, რომელიც ძველი სამურაების წესს მიჰყვება. ამ ყველაფრის დაცვა ჩემთვის ძალიან რთული იყო. დაახლოებით 3-4 თვე ძალიან გამიჭირდა.

— არ გიფიქრიათ, ყველაფრისთვის თავი დაგეანებებინათ და საქართველოში ჩამოსულიყავით?

— არა. ხომ გითხარით, თავიდანვე მქონდა მიზნად დასახული, ყველა სიძნელეს გავმკლავებოდი. იქიდან წაგებულის სტატუსით რომ ჩამოვსულიყავი, პირველ რიგში, ჩემს ოჯახთან არ ვიქნებოდი მართალი, შემდეგ კი — ჩემი ქვეყნის წინაშე. ძმაც იაპონიაში მყავდა წაყვანილი 2-3 წელი, იქ ვარჯიშობდა სუმოს, ოღონდ სხვა კლუბში. როცა მამა გარდაგვეცვალა, დედა აქ მარტო დარჩა და გადავწყვიტეთ, ჩემი ძმა ჩამოსულიყო.

— იმ სამოსს თუ შეეჩვიეთ, რომელსაც ატარებდით?

— იქ გარეთ ასეთი სამოსით რომ გამოდიხარ, ყველა აღფრთოვანებული გიყურებს. როცა ხედავენ, რომ მათ კულტურას უცხოელი ინარჩუნებს, მეტი პატივისცემით გეპყრობიან. ორსული ქალები მოდიოდნენ, თავიანთ მუცელზე ხელს გვადებინებდნენ, რომ ბავშვი ჯანმრთელი და სულიერად ძლიერი დაბადებულიყო.

— წარმატებას მალე მიაღწიეთ?

— წელიწადში 6 შეჯიბრი, ანუ ბაშო ტარდება. თითო ბაშო 15 დღიანია. →36

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იძონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

დაახლოებით 2 წელში 11 თუ 12 ბაშოთი ელიტურ ჯგუფში გადავედი. გამოდის, რომ პირველ დივიზიონში ჩემპიონი გავხდი, ასევე მესამე და მეოთხე დივიზიონშიც. ელიტაში

„მათ შეეძლოთ, ჩემს წინსაფარზე თავიანთი ფირმის რეკლამა გაეკეთებინათ, მაგრამ ჩემი თხოვნით საქართველოს დროშა და გერბი გამოსახეს. პირველი სიყვარული და ემოციები იაპონელების მიმართ სწორედ მაშინ გამიჩნდა“.

■ ლევან ცაგურია ერთ-ერთი ბრძოლის წინ

გადასვლის შემდეგ კი მეხუთე დივიზიონში გავხდი ჩემპიონი. იქ სპორტსმენს პრივილეგიები არ აქვს, მაგრამ არასდროს დამავიწყდება ერთი რამ. როცა ელიტაში გადადიხარ, იქ კეშომალაშს, ანუ წინსაფარს გიკეთებენ, რომელსაც სპონსორები ამზადებენ. მათ შეეძლოთ, ამ წინსაფარზე თავიანთი ფირმის რეკლამა გაეკეთებინათ, ამ წინსაფრებით მთელი 15 დღე გამოვდიოდით, მაგრამ ჩემი თხოვნით საქართველოს დროშა და გერბი გამოსახეს. პირველი სიყვარული და ემოციები იაპონელების მიმართ სწორედ მაშინ გამიჩნდა.

— იაპონელი სუმოისტები ძალიან დიდი წონასანი არიან, თქვენ კი განსხვავებულად გამოიყურებით.

— ყველაფერი ორგანიზმზეა დამოკიდებული. სუმოში ფიზიკურად დიდებიც არიან და პატარებიც. მთავარია, იჭიდაო და მოიგო. როცა ამ სპორტში შედიხარ, პირველ რიგში, სუმოს ფედერაციას და კლუბის პრეზიდენტს მოთხოვნა აქვთ, რომ სპორტსმენი ძლიერი უნდა იყოს არამარტო ფიზიკურად, სულიერადაც და ხალხს თავისი საქციელით თავი შეაყვაროს.

„როცა იაპონიაში ჩავედი, კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, შენ ლევანი კი გქვია, მაგრამ აქ სუმოისტები მეტსახელებით გამოდიან, ამიტომ კოკაი გერქმევაო. რუკაზე შავი ზღვა მანახეს, კოკაი ეს არისო“.

— იაპონიაში კოკაი გიწოდეს. რას ნიშნავს ეს სახელი?

— ეს სახელიც პირველი დღეების ერთ-ერთი მოსაგონარია. როცა იაპონიაში ჩავედი, კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, შენ ლევანი კი გქვია, მაგრამ აქ სუმოისტები მეტსახელებით გამოდიან, ამიტომ კოკაი გერქმევაო. რუკაზე შავი ზღვა მანახეს, კოკაი ეს არისო.

— 12 წელი ემსახურებოდით სუმოს. რა გახდა მიზეზი, რომ თავი დაანებეთ ამ სპორტს?

— სუმო სპეციფიკური და ტრავმული სპორტია. წარმოიდგინეთ, ორი ბუმბერაზი ადამიანი, თითო, მინიმუმი, 150-160 კილოა. მათი ყოველი შეჯახება დაახლოებით ერთ ტონას უდრის, ასე რომ, ეს ძალიან სახიფათო სპორტია. კარიერის ბოლოს მარჯვენა მუხლის მყესების ტრავმა მივიღე, ორი მყესი გამიწყდა. აღვიდგინე, მაგრამ მარცხენა ფეხზე კუნთი გამიწყდა. სწორედ ამ ტრავმების გამო თავი დავანებე. გული დამწყდა, რადგან ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარი იაპონიაში გავატარე, მაგრამ იქ ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე. მთავარია, რომ იქ საქართველოს დროშას ვაფრიალებდი. ჩვენმა პრეზიდენტმა 2010 წელს ბრწყინვალების ორდენით დამაჯილდოვა, პირველი სპორტსმენი ვიყავი, რომელმაც ეს ორდენი მიიღო.

— როგორც ვიცი, არც ისე დიდი ხანია, რაც დაქორწინდით. გვიამბეთ თქვენს ოჯახზე. ვინა არის თქვენი მეორე ნახევარი?

— 2011 წელს ავსტრალიაში, სიდნეიში ვიყავი ჩასული ჩემს მეგობართან, ახალ წელს იქ შევხვდი. მისი ცოლი „სკაიპით“ თავის მეგობარს თბილისში ახალ წელს ულოცავდა. ჩემი მომავალი ცოლი კომპიუტერიდან დავინახე და ასე დაიწყო ყველაფერი. არჩევანი მაინც ქართველზე გავაკეთე. დაქორწინების შემდეგ წელიწადნახევარი თუ ორი წელი კიდევ ვვარჯიშობდი. ცოლიც იქ მყავდა. შვილი საქართველოში შემეძინა, მაშინ შეჯიბრი ტარდებოდა და მის დაბადებას ვერ დავესწარი, იაპონიაში ვიყავი. მას მამაჩემის სახელი, მერაბი დავარქვით. ერთი წლის არის.

— რამდენიმე დღის წინ საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტმა იაპონიაში საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენლის, ანუ ელჩის სტატუსი მოგანიჭათ. საქართველოში კიდევ რა კუთხით აპირებთ საქმიანობას?

— ეს სტატუსი ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. მოგეხსენებათ, საქართველო ტურისტებისთვის საინტერესო ქვეყანაა, ბევრ იაპონელს უნდა ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა. იქ ბევრი ნაცნობი, მეგობარი მყავს, თითქმის მთელი იაპონია მიცნობს. საქართველოში მოყვარულთა შორის სუმოს ფედერაცია გვაქვს, მინდა, რომ ეს სფერო ჩვენთანაც წინ წავიდეს. მსოფლიო ჩემპიონატები, ევროპის პირველობები ტარდება, დიდი პოტენციალია, რომ სუმოც ოლიმპიურ სახეობაში შევიდეს. ძალიან ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ სუმოშიც კარგი სპორტსმენები გვყავდეს.

✓ ეკა ლემონჯავა

დიმიტრი ლორთქიფანიძე და მისი ცოლი მერვე შვილის მშობლები ხდებიან

ხათუნა კეკელია: „ეს ბავშვი ღვთის საჩუქარია“

ცნობილი უფლებათადამცველი, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, დიმიტრი ლორთქიფანიძე, 45 წლის ასაკში მერვე შვილს ელოდება. მას და მის ცოლს, 43 წლის ხათუნა კეკელიას, ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავთ. უფროსი შვილი, 23 წლის ნიკა, ეტყობა, არ აპირებს, მშობლებს ჩამორჩეს და უკვე ორი შვილის მამაა — 3 წლის დიმიტრი და 1 წლის ანანო ჰყავს.

ახალგაზრდა ბებია და ბაბუა სექტემბერში კიდევ ერთხელ გახდებიან მშობლები. ისინი ბიჭს ელოდებიან და სახელიც შერჩეული აქვთ — მეხუთე ვაჟს რომელიმე წმინდანის სახელს დაარქმევენ. ცოლ-ქმარი ამ სიახლით ძალიან ბედნიერები არიან. ამ ორსულობას ღვთის წყალობად მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ხათუნას რთული ორსულობა აქვს და მუდმივად ექიმის კონტროლის ქვეშაა.

— ქალბატონო ხათუნა, გილოცავთ ამ სასიხარულო ამბავს და ბედნიერ დედობას გისურვებთ. რა ასაკისანი არიან თქვენი შვილები?

— უფროსი შვილი 23 წლისაა, მეორე ვაჟი 22 წლის, მესამე — 13 წლის. გოგონები 20, 19 და 11 წლისანი არიან. ნაბოლარა ვაჟი 6 წლისაა.

— უკვე მოფიქრებული გაქვთ, მერვე ბავშვს რას დაარქმევთ?

— წინასწარ არ გვიყვარს ხოლმე ამაზე ლაპარაკი. გიორგი გიორგობას დაიბადა, შესაბამისად, ეს სახელი თვითონ დაირქვა. ლუკაც ლუკა მახარებლის ხსენების დღეს გაჩნდა, მისთვის სხვა სახელი გვქონდა შერჩეული, მაგრამ ლუკა დავარქვით. ვნახოთ, ახლა რა იქნება. ანდრიას დარქმევას კი ვფიქრობთ, მაგრამ შეიძლება რომელიმე წმინდანის ხსენების დღეს დაიბადოს და სახელი თვითონ მოიტანოს.

„მთელ ოჯახს ხელისგულზე დავყავარ. დედას მიეხმარე, დედა არ შენეხდესო, ეთმანეთს ეუბნებიან. ჩვენი უფროსი ვაჟი ამბობს, ბიძა ძმისშვილებზე პატარა იქნებაო და ამით აღფითოვანებულია“.

— კარგი სურვილი იყო მერვე შვილის ყოლა?

— დიმიტრისაც ძალიან უნდოდა და მეც, რომ კიდევ ერთი შვილი გვყოლოდა და ღმერთმა გვაჩუქა. მოუთმენლად ველით მის დაბადებას. ოჯახში დიდი ზეიმია. ჩვენი მშობლები, ბავშვები ამ პატარას მოვლინებას დიდი სიხარულით ელოდებიან.

— როცა შვილებმა გაიგეს, რომ კიდევ ერთი დედმამიშვილი ეყოლებოდათ, რა რეაქცია ჰქონდათ?

— ისეთი დიდი სიყვარული გამოხატეს,

Cyan Magenta Yellow Black

■ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲣᲜᲐ

„დიმას დამსახუჩებაა, რომ ამდენი შვილი გვყავს... ის ინჩაჩვეულებრივი, თითით საჩვენებელი მამაა. ჩემი გოგონებიც სულ ამბობენ, ღმერთმა ასეთი ქმარი შეგვახვედროსო".

ცოტა არ იყოს, უფროსებისგან გამიკვირდა კიდეც. ისეთ ასაკში არიან, მეგონა, სხვანაირი რეაქცია ექნებოდათ, მაგრამ მთელ ოჯახს ხელისგულზე დავყავარ. ცდილობენ, ბევრი საქმე შემომსუბუქონ, დედას მიეხმარე, დედა არ შეწუხდესო, ერთმანეთს ეუბნებიან. ჩვენი უფროსი ვაჟიც ძალიან გახარებულია. წარმოგიდგენიათ, ბიძა ძმისშვილებზე პატარა იქნებაო, ამბობს და ამით აღფრთოვანებულია. დანარჩენ შვილებსაც ძალიან უხარიათ ეს ამბავი. რა ნელა გადის დროო, მეუბნებიან. ამათ უკეთესად იციან, რამდენი კვირის ვარ, მშობიარობამდე რამდენი დღე დამრჩა და ასე შემდეგ.

— თქვენს ქმარს, ბატონ დიმიტრის, რა რეაქცია ჰქონდა, როცა გაიგო, რომ მერვე შვილის მამა ხდებოდა?

— ისიც გახარებულია. საერთოდ, მისი დამსახურებაა, რომ ამდენი შვილი გვყავს. ყოველთვის მხარში მიდგას. ბავშვების გაზრდაში, აღზრდაში ძალიან დიდ მონაწილეობას იღებდა და იღებს. სულ მამხნევებს, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო. მე უფრო მეშინია, ამდენი ბავშვის მოვლას ვერ შევძლებ-მეთქი, მაგრამ დიმა მუდამ გვერდში მიდგას და მაქსიმუმს აკეთებს.

— მერვე შვილი დაგეგმეთ?

— არა. დაგეგმილი არ გვქონდა, ისე კი, კიდევ ერთი შვილი ძალიან გვინდოდა. მანამდეც ვიყავი ორსულად, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ორსულობა ცუდად დამთავრდა, რაც ძალიან მძიმედ გადავიტანეთ.

— ისევ ვაჟი გინდოდათ თუ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს?

— ამას არასოდეს ჰქონია ჩვენთვის მნიშვნელობა. მთავარია, ჯანმრთელი ბავშვი დაიბადოს.

— ამდენი შვილი დიდი საზრუნაგია. ქმრის გარდა მათ აღზრდაში ვინ გეხმარებათ?

— დედაჩემი და დედამთილი გვეხმარებიან ძალიან.

— როგორც ცნობილია, მრავალშვილიან ოჯახებში თავად ბავშვები ზრდიან ერთმანეთს. ალბათ არც თქვენი ოჯახია გამონაკლისი.

— კი, ბავშვები ამ ყველაფერში ძალიან აქტიურად არიან ჩართული. ვფიქრობ, რომ მათ ცხოვრებაში მარტო ყოფნა არ გაუჭირდებათ. ჩვენი შვილები ძალიან დამოუკიდებლები არიან და ასე ბევრი რამე ისწავლეს. ისინი ნამდვილად შეძლებენ ცხოვრების ღირსეულად გაგრძელებას. საყოფაცხოვრებო პრობლემებს, სახლის საქმეებს თუ ბავშვების მეცადინეობას, ყველაფერს თვითონ აგვარებენ. 6 წლის ნაბოლარას მოვლაში მთელი ოჯახია ჩართული, განსაკუთრებით — და-ძმები.

— სანამ უფროსები წამოიზრდებოდნენ, ალბათ მაშინ უფრო გიჭირდათ.

— რა თქმა უნდა, თან პირველი ოთხი შვილი მიყოლებით გავაჩინე. ის პერიოდი ჩემთვის გაცილებით რთული იყო, ვიდრე ახლა, რადგან უფროსები პატარების გაზრდაში მეხმარებიან.

— 40 წლის შემდეგ ორსულობას რა ემოციები ახასიათებს, ხომ არ გეშინიათ?

— პირიქით. იცით, როგორი განცდა მაქვს? ახლა უფრო სხვანაირად ვარ მზად დედობისთვის, ვიდრე მაშინ, როცა პირველი შვილი შემეძინა. მაშინ 19 წლის ვიყავი და სხვა გრძნობები მქონდა. რა თქმა უნდა, მაშინაც დიდი სიხარული განვიცადე, მაგრამ სტუდენტობა, ოჯახის საქმეები ერთად რთული იყო. ახლა უკვე ჩვენც გავიზარდეთ, ცხოვრებას სხვანაირად ვუყურებთ და ამიტომ ეს ტვირთიც არაფრად მიგვაჩნია. ეს მხოლოდ ტვირთი კი არა, უზარმაზარი სიხარულია.

■ ᲝᲯᲐᲮᲘ

„ჩვენი შვილები ძალიან დამოუკიდებლები ხარან. ისინი ნამდვილად შეძლებენ ცხოვრების ღირსეულად გაგრძელებას. საყოფაცხოვრებო ჰრობლემებს, სახლის საქმეებს თუ ბავშვების მეცადინეობას, ყველაფერს თვითონ აგვარებენ".

— საერთოდ, ვგიან ასაკში შეძენილ ბავშვებს ათამაშებენ ხოლმე.

— მეოთხე შვილი, ელენე რომ შეგვეძინა, გვეგონა, რომ ის იქნებოდა ნაბოლარა, მაგრამ ეს სტატუსი მასაც ჩამოერთვა და შემდეგებსაც. ბოლოს ლუკა გვეგონა ნაბოლარა და აღმოჩნდა, რომ არც ისაა ბოლო. გათამამებას რაც შეეხება, არ ვიცი, რა გითხრათ. ზედმეტი შენიშვნების მიცემა არ გვიწევს, დამჯერი და ძალიან კეთილშობილი ბავშვები არიან. ღვთის წყალობის იმედი მაქვს, რომ ამ ბავშვების ფეხზე დაყენებას შევძლებთ.

— წარმომიდგენია, რამხელა ფინანსური რესურსია საჭირო ამდენი შვილის მოვლისა და სწავლა-განათლებისთვის. როგორ ახერხებთ ცოლ-ქმარი, რომ ამ ყველაფერს თავი გაართვათ?

— ნამდვილად დიდი რესურსია საჭირო. სწავლის გარდა სხვადასხვა წრეზე დადიან. რაღაცეებში თავს ვიზღუდავთ, მაგრამ დიმა მაქსიმუმს აკეთებს, რომ შვილებს არაფერი მოაკლოს. უფრო მეტის საშუალება რომ გვქონდეს, ძალიან ბევრ რაღაცას გავუკეთებდით. ამას ბავშვებიც გაგებით ეკიდებიან. დიმა არაჩვეულებრივი, თითით საჩვენებელი მამაა. ჩემი გოგონებიც სულ ამბობენ, ღმერთმა ასეთი ქმარი შეგვახვედროს, ჩვენს შვილებს კარგი მამა ეყოლებათო.

— ეტყობა, უფროსი ვაჟი აპირებს, მრავალშვილიანობაში მამას მიბაძოს.

— ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ალბათ მასაც ბევრი შვილი ეყოლება. ჯერ მხოლოდ 23 წლისაა და უკვე ორი შვილი ჰყავს.

— ბატონი დიმიტრი ყურადღებიანი ქმარია?

— ის სახლში არის თუ არა, ყურადღებას ყოველთვის მაქცევს. როცა ვიტყვი, რომ დავიღალე, სულ მამხნევებს. სხვა ორსულობებს რომ ვადარებ, ეს ცოტა მიჭირს, ამიტომ დიმა ცდილობს, ოპტიმისტურად განმაწყოს. ცოტაც მოითმინეო, მეუბნება ხოლმე.

— რთული ორსულობა გაქვთ?

— დიახ. სულ ექიმის კონტროლის ქვეშ მიწევს ყოფნა.

— უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, როგორი მეთოდით გააჩენთ ბავშვს?

— გააჩნია, სამედიცინო ჩვენება როგორი მექნება. ახლა აგარაკზე ვისვენებთ... შვილიშვილთანაც ბებიობის განცდა არ მაქვს. დედა, მოდი აქ-მეთქი, უცებ დავუძახებ ხოლმე, იმდენადაა ჩემში ეს სიტყვა გამჯდარი.

— ახლობლებს არ გაუკვირდათ თქვენი ეს გადაწყვეტილება?

— ყველა გაკვირვებული დარჩა, შენ კიდევ შვილი უნდა გეყოლოსო. ღმერთმა ინება, კიდევ ერთი შვილის მშობლები გავმხდარიყავით. რამდენიც მოგვეცემა, იმდენ ბავშვს ვიყოლიებთ. 6 წლიანი შუალედი ჯერ არ გვქონია. ყოველთვის მიყვარდა პატარები, მათ ოჯახში განსხვავებული სიყვარული შემოაქვთ. პატარა და უსუსური შენზე რომ არის დამოკიდებული, ეს შეგრძნება ისე მენატრება, ერთი სული მაქვს, ჩვენი ბიჭი როდის გაჩნდება!

✓ ეკა ლემონჯავა

ᲒᲐᲘᲐᲓᲕᲘᲚᲔᲗ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲚᲔᲑᲐ

ᲘᲫᲝᲜᲘᲔᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ

ᲙᲠᲔᲖᲐᲛᲘ

ᲗᲘᲗᲝ ᲙᲐᲤᲡᲣᲚᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲭᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

დათო იმედაშვილი: „17 წლის ასაკში მამობა ჩემთვის სიურპრიზი იყო“

ტელეპროდიუსერი სოფო ნიჟარაძის მონაწილეობით ფილმის გადაღებას აღარ აპირებს

ტელეპროდიუსერმა დათო იმედაშვილმა საკუთარ თავზე და ოჯახზე ზრუნვა 13 წლის ასაკში ითავა. ფიზიკურ შრომაზეც არ ამბობდა უარს, რომ სახლში პურის ფული შეეტანა და მშობლებს დახმარებოდა. იმ წლებმა ბევრი საჭირო რამ ასწავლა, რაც მომავალში გამოადგა. აღიარებს, რომ სულსწრაფია, მიზნის მიღწევა უმოკლეს დროში სურს. ზოგჯერ გამოსდის, ზოგჯერ — არა, მაგრამ არასოდეს თვლის, რომ ყველაფერი დამთავრდა.

პირველად ოჯახს ადრეულ ასაკში მოეკიდა. ეს ქორწინება მალევე დაირღვა. არც მეორე ოჯახი აღმოჩნდა მყარი. რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო, მაგრამ არაფერს ნანობს. ამბობს, რომ ურთიერთობაც თავის დროზე დაიწყო და დროულადაც დაასრულა. ორივე ქორწინებიდან თითო-თითო შვილი ჰყავს — 16 წლის ლუკა და 11 წლის ელენე. 17 წლის ასაკში უკვე მამა იყო, მაგრამ მშობლის პასუხისმგებლობა მოგვიანებით შეიგრძნო. სულ ახლახან მესამე ცოლთან, ანნა იმედაშვილთან, ვაჟი, პეტრე ეყოლა. მესამე შვილს სულ სხვა, გამძაფრებული ემოციებით შეხვდა. თავად ამბობს, რომ უკვე სტაჟიანი მამაა.

— დათო, რომელ წლებში ჩაიარა თქვენმა ბავშვობამ, როგორ გახსენდებათ ეს პერიოდი?

— ბავშვობის წლებში თითქოს გაუცნობიერებლად ცხოვრობ, გიხარია, გწყინს. მე საპასუხისმგებლო ასაკი ძალიან ადრე, 13 წლიდან დამიდგა. სერიოზულ მონაწილეობას ვიღებდი ოჯახის განვითარებაში, ფიზიკურად ვშრომობდი, შამპანურის ცეხში ვმუშაობდი. იმ დროს ჩემი ინტელექტუალური პროდუქტი ნამდვილად არ გაიყიდებოდა. ამიტომ სხვა გზა არ იყო, ფიზიკურად უნდა მეშრომა, რომ სახლში ორი პური შემეტანა. ეს იყო 90-იანი წლების დასაწყისი და ორ პურზე შეიძლებოდა მთელ ოჯახს გადაევლო. სტუდენტური გაგიჟება ჩემი ცხოვრებიდან ამოჭრილია.

„ჩემთვის ეს ახსებობს ეგზემენტი, ომელიც დამეხმარებენს, ომ ალაც ომეჭომისზე უნდა ნავიდე ოჯახის შესანახჩენებლად. ფასი ეს მჭიდება, მით უმეტეს, ომ იმ დამთავებული უთიეთობების გამო თავს ცუდად ეავინ გძნობს“.

— ეს ეტაპი ცუდ მოგონებად დაგრჩათ?

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული იყო და ისე კომფორტულად ვერ ვცხოვრობდი, როგორც ახლა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ ის წლები ცუდად მახსენდება. იმ დროს თავისი ხიბლი, გემო ჰქონდა და ჩემს ცნობიერებაში კვალი დატოვა, ჩემს განვითარებაშიც რაღაც წვლილი შეიტანა და დამეხმარა. დღეს რასაც ვაკეთებ, არც ესაა ადვილი, შეიძლება შორიდან ჩანს, რომ უზრუნველად ვცხოვრობ, მაგრამ ასე არ არის.

— თქვენზე ხშირად ამბობენ, ამბიციური ადამიანიაო.

— ალბათ ვარ ამბიციური, მაგრამ ვცდილობ, ჩემი ამბიციები უსაფუძვლო არ იყოს. რაღაცის გაკეთებას რომ ამოვიჩემებ, ბოლომდე მივყვები. ვერ გეტყვით, რომ იდეალური ვარ და არაფერი მეშლება. ძალიან ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული და ალბათ კიდევ ბევრს დავუშვებ. ბევრი შეცდომა მიღიარებია და ბევრის აღიარების პროცესში ვარ. შეცდომის აღიარება ადამიანის განვითარებისთვის კარგია, მაგრამ ძნელია ხმამაღლა თქვა, რომ შეცდი. მე კი ვცდილობ, ყველა ჩემი შეცდომა უცებ ვაღიარო და წარსულში დავტოვო.

„ფიზიკურად უნდა მეშრომა, ომ სახლში ორი პური შემეტანა. ეს იყო 90-იანი წლების დასაწყისი და ორ პურზე შეიძლებოდა მთელ ოჯახს გადაევლო. სტუდენტური გაგიჟება ჩემი ცხოვრებიდან ამოჭრილია“.

— „სარკეში“ რომელი შეცდომის აღიარება შეგიძლიათ?

— ახლაც ახალგაზრდა ვარ და ჯერ კიდევ ყველაფერი წინ მაქვს, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა რომ ვიყავი, 15 წლის ასაკში, ძალიან ვჩქარობდი. სულ მეგონა, რომ მაგვიანდებოდა და მინდოდა, იმ დღესვე მიმეღო ყველაფერი. ამან ბევრი შეცდომა დამაშვებინა. ზოგჯერ ხდება, რომ დღეს მთაზე ასვლა არ შეიძლება, რადგან ცუდი ამინდია, ამიტომ უნდა დაელოდო გამოდარებას, მე კი ლოდინი არასოდეს მიყვარდა. არაფერს ვზოგავდი, ზოგჯერ მაინც ვაღწევდი მიზანს, მაგრამ კარგად რომ ვუფიქრდები, მიზნამდე ნაკლები დანაკარგით მისვლაც შეიძლებოდა. არ ვიცი, რატომ ვიბრძოდი ასე, როდესაც მეორე დღეს კარგი ამინდი გამოვიდოდა.

— ეს სულსწრაფობაა?

— კი, სულ მეჩქარება, რადგან ბავშვობაში საშუალო არითმეტიკულით დავთვალე ადამიანის ცხოვრება.

— მერე როგორი იყო თქვენი „საშუალო არითმეტიკული“?

— ხანშიშესულ ადამიანებს ვუყურებდი და ვხედავდი, რომ ისინი აქტიურად ვეღარ ცხოვრობდნენ. წლები რომ გადავითვალე, შემეშინდა, რადგან მივხვდი, რომ ძალიან ცოტა დრო იყო. ამიტომ გამიჩნდა სურვილი, ბევრი რამ მაშინვე გამეკეთებინა, რომ მეორე დღეს სხვა წამომეწყო.

— ნათქვამია, მოჩქარეს მოუგვიანდესო. ეს ეც გამოსცადეთ?

— კი, ბევრჯერ დამაგვიანდა. როცა იმ კედელს ვეჯახებოდი, რომელიც მანგრევდა, იძულებული ვიყავი, უკან დამეხია, თუმცა მერე ნაბიჯ-ნაბიჯ ვიწყებდი ისევ წინ სიარულს, რომ დაბრკოლებები გადამელახა და ძირითადად ასე მივდიოდი მიზნამდე.

— შეგიძლიათ გამოყოთ თქვენი ყველაზე წარმატებული და წარუმატებელი ნაბიჯები?

— ყველაზე წარმატებული ნაბიჯი ჯერ არ გადამიდგამს, ეს წინ მაქვს. რაც შეეხება ყველაზე წარუმატებელს, აქაც იგივე პასუხი მაქვს — არ მქონია.

— ანუ ძალიან იმედგაცრუებული არასოდეს ყოფილხართ?

— არ ვყოფილვარ. ჩემს ქვეყანაზე გული შემტკივა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ საქმე ძალიან ცუდადაა, ისიც მიფიქრია, სხვაგან ხომ არ წავიდე და აქაურობა ხომ არ დავტოვო-მეთქი, მაგრამ არასოდეს მქონია შეგრძნება, რომ ყველაფერი დამთავრდა. როდესაც გარშემომყოფებს ეგონათ, რომ ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, მე ვფიქრობდი, რომ ცხოვრება გრძელდებოდა.

— ეს ძლიერი ადამიანის სიტყვებია.

— ვერ ვიტყვი, რომ ძლიერი ვარ, ისეთი ვარ, როგორიც ვარ და მორჩა! ცხოვრებაში ბევრჯერ დავმარცხებულვარ, მტკენია კიდეც, მაგრამ მერე მომიკრებია ძალა, ის ეტაპი გადამილახავს და უფრო მაღალ საფეხურზე ავსულვარ. ადამიანს რაც არ კლავს, ყველაფერი აძლიერებსო, ნათქვამია და რეალურადაც ასეა.

— თქვენი პროფესია კინორეჟისორობაა. ეს არჩევანი როგორ გააკეთეთ?

— 14 წლის ასაკში თავად მივიღე გადაწყვეტილება. მაშინ ზუსტად ვიცოდი, 20, 25, 30 წლის ასაკში რა მიღწევები მექნებოდა და ცხოვრების რა ეტაპზე ვიქნებოდი. დღემდე ისე მოვდივარ, როგორც ერთი ერთში.

„ჩემი ცოლი, ანნა, ხანდახან ნენენებს ხოლმე, მაგრამ ის ოგოოლაც ახეხებს, ომ სეი ჩემ გვეიდით იყოს“.

ანნა და დათო

— როგორ, ყველაფერი ისე მიდის, როგორც 14 წლის ასაკში დაგეგმეთ?!

— კონკრეტული მიღწევები, ჯილდოები და წარმატებები კი არ მქონდა გათვლილი, დაახლოებით ვიცოდი, როგორი იქნებოდა ჩემი გარემო და მდგომარეობა. რეჟისორობა რომ ავირჩიე, არ ვიცოდი, ამ პროფესიის შიგნით რა ხდებოდა, უბრალოდ მომწონდა და სარეჟისოროზე ჩავაბარე.

— ზოგისთვის გეგმებით ცხოვრება წარმოუდგენელია.

Cyan Magenta Yellow Black

— ამაზე მეცინება. გამიგია, რომ ამბობენ, დინებას მივყვებიო, მაგრამ ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია, დინებას გავყვე. მეტიც, ჩემთვის ეს შეურაცხმყოფელიც კია, არ

„ბევრი შეცდომა მიღიარებია და ბევრის აღიარების ჰროცესში ვარ".

მაინტერესებს ცხოვრების დინება, მე ჩემი დინება მაქვს!

— კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ხომ ვაგიგიათ? გეგმები არასოდეს ჩაგშლიათ?

— ცხოვრება სხვადასხვა მოვლენაზეა დამოკიდებული. ბევრი ისეთი გეგმა ჩამშლია, რომ კატასტროფას ჰგავდა, მაგრამ ყველაფერი თავიდან ამიწყვია და გამიგრძელებია. სანამ ენერგია მაქვს, აზრებს ვალაგებ და სანამ ფიქრი შემიძლია, ვთამაშობ, გეგმებს ვაწყობ. თუ რამე ინგრევა, თავიდან ვაწყობ.

— სოფო ნიჟარაძის მონაწილეობით ფილმის გადაღებას აპირებდით. რატომ ვერ განახორციელეთ ეს გეგმა?

— რამდენიმე ფილმის გადაღებას ვაპირებდი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დავიწყე. რა თქმა უნდა, გეგმაში ისევ რჩება კინოს გადაღება, ოღონდ იმ ფილმის — არა, რომელშიც სოფო ნიჟარაძეს უნდა ეთამაშა. ეს იდეა 2010 წელს ჩაიშალა. სხვა ფილმების გადაღება კი ჩემს გეგმებში ნამდვილად შედის.

— რამ ჩაშალა ფილმის გადაღება, კონკრეტული მიზეზი რა იყო?

— დამფინანსებელმა შეუთანხმებლად და გაუფრთხილებლად თანხა უკან გაიტანა.

— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ მთლიანად საქმეში ხართ ჩართული. ეს ახლობელი ადამიანების, ოჯახის ხარჯზე ხდება თუ ახერხებთ მათზე ყურადღების გადანაწილებას?

— აბა, როგორ, თან თქვენ გელაპარაკებით და თან გაქცევაზე ვარ!.. მეტნაკლებად ვახერხებ, ყველაფერი მოვასწრო, მაგრამ შვილებს, ოჯახის წევრებს ჩემი ყურადღება ნამდვილად აკლიათ.

„გამოცდილი და სტაჟიანი მამა ვარ, მაგრამ ჰეტრეს დაბადებისას მაინც მძაფი შეგრძნებები მქონდა".

ჩემი ცოლი, ანნა, ხანდახან წუწუნებს ხოლმე, მაგრამ ის როგორღაც ახერხებს, რომ სულ ჩემ გვერდით იყოს. მე მაქვს ჩემი საქმე და ოჯახი მეხმარება წარმატების მიღწევაში. ადამიანთა ერთობაში თუ ვინმე ფეხს ვერ გვიბამს, ან უნდა მივეხმაროთ, რომ როგორმე მხარი აგვიბას, ან ეს ერთობა უნდა დატოვოს.

— ასე დატოვეს თქვენმა ყოფილმა ცოლებმა ეს „ერთობა"?

— კი, ჩვენ რაღაც ეტაპზე ერთად მივდიოდით, მერე ისე მოხდა, რომ იმ გზას, რომელიც მე მქონდა არჩეული, ფეხს არ თუ ვერ უბამდნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩემი გზა მე გამეგრძელებინა, მათ თავიანთი მოენახათ. დაშორების მიუხედავად, ჩვენ მაინც ახლო ურთიერთობა გვაქვს.

— როგორც მოგვსმია, მათგან ითხოვდით, რომ თქვენი ცხოვრებით ეცხოვრათ და საკუთარზე უარი ეთქვათ.

— კი, ამის ამბიცია ნამდვილად მაქვს. მათ ჩემი ცხოვრებით უნდა ეცხოვრათ.

— ეს იყო მათთან ურთიერთობების დასრულების მთავარი მიზეზი?

— არ მგონია, მარტო ეს ყოფილიყო.

— როცა ცოლ-ქმარი იყრებიან, ორივე მხარეა დამნაშავე. თქვენ რა შეცდომა დაუშვით მათთან?

— არც იმ ურთიერთობების დაწყებას ვთვლი შეცდომად და არც დამთავრებას. დაიწყო მაშინ, როცა უნდა დაწყებულიყო და დამთავრდა მაშინ, როცა ამის დრო იყო. შეცდომა ის იქნებოდა, ის ურთიერთობები იმაზე დიდხანს გაგრძელებულიყო, ვიდრე გაგრძელდა. როცა სწორ გზაზე

■ ელენე მამასთან ერთად

„ჩემი ქალიშვილი ეთანდეთითი ადამიანია, ჰომლის გამოხედვაც საკმარისია იმისთვის, ჰომ ყველაფეჩი გავაკეთო. ბიჭთან, ჰომელიც უკვე კაცია, მიადვილდება ეთანეთობა და ადვილად ვეუბნები „ჰარ"-ს".

■ ლუკა და დათო

მიდიხარ და მერე უცებ გრეხილი გხვდება, მათ აღარ უნდათ, გამოგყვნენ, რადგან სწორ გზას იყვნენ მიჩვეული, შენ კი გინდა, ცხოვრების გზა გააგრძელო. ამ შემთხვევაში ის ადამიანი გჭირდება გვერდით, ვინც გრეხილ გზაზეც გაგყვება.

— პირველად მამა რა ასაკში გახდით?

— 17 წლის ვიყავი, ჩემი ბიჭი რომ გაჩნდა, მაგრამ შვილის ყოლა ჩემს გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ამ ასაკში მამობა ჩემთვის სიურპრიზი იყო.

— ამ პასუხისმგებლობას თავი ვერ გაართვით?

— ვერა. სანამ 21 წლის არ გავხდი, ჩემს უფროს შვილთან კარგად ვერ დავალაგე ურთიერთობა. ახლა ლუკა 16 წლის ხდება, ელენე კი 11 წლისაა. მოგატყუებთ, რომ გითხრათ, მათთან 24 საათიანი ურთიერთობა მაქვს-მეთქი, მაგრამ ერთმანეთთან ხშირი კონტაქტი ნამდვილად გვაქვს. მით უმეტეს, რომ ჩემთან ძალიან ხშირად არიან.

— რა გამოცდილება შეგძინათ ორმა უიდბლო ქორწინებამ?

— რაღაც გამოცდილება ნამდვილად დამიგროვდა. ახლა უკვე მხოლოდ ჩემს მომავალს კი არა, ჩემი შვილების მომავალსაც ვგეგმავ. ახლაც რომ იგივე საკითხები დამიდგეს წინ, რაც მაშინ მქონდა, ისევ დავასრულებდი იმ ურთიერთობებს. ჩემთვის არ არსებობს არგუმენტი, რომელიც დამარწმუნებს, რომ რაღაც კომპრომისზე უნდა წავიდე ოჯახის შესანარჩუნებლად. ფარსი არ მჭირდება, მით უმეტეს, რომ იმ დამთავრებული ურთიერთობების გამო თავს ცუდად არავინ გრძნობს.

— დათმობაზე არასოდეს არაკისთან მიდიხართ?

— ზოგჯერ მიწევს, მაგრამ იმასაც გააჩნია, ვისთან შეიძლება დათმობაზე წასვლა. ჩემი ქალიშვილი ერთადერთი ადამიანია, რომლის გამოხედვაც საკმარისია იმისთვის, რომ ყველაფერი გავაკეთო. ბიჭთან, რომელიც უკვე კაცია, მიადვილდება ურთიერთობა და ადვილად ვეუბნები „არა"-ს, ქალიშვილს კი უარს ვერაფერზე ვეტყვი.

— მესამე შვილი სულ ახლახან შეგეძინათ. ჰეტრეს დაბადებას როგორი ემოციით შეხვდით?

— გამოცდილი და სტაჟიანი მამა ვარ, მაგრამ მაინც მძაფრი შეგრძნებები მაქვს. როდესაც ლუკა და ელენე გაჩნდნენ, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ამიტომ სხვა ემოცია მქონდა. რადგან ვაჟი და ქალი უკვე მყავს, მესამე რატომღაც კიდევ ბიჭი მინდოდა და ასეც მოხდა. ბავშვების მოვლა მეტნაკლებად მეხერხება, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ.

„ზოგჯეჰ ხდება, ჰომ დღეს მთაზე ასვლა ჰ შეიძლება, ჰადგან ცუდი ამინდია, ამიტომ უნდა დაეღოდო გამოდეჰებას, მე ჯი ღოდინი ჰ ჰასოდეს მიყვაჰდა. ჰ ჰაფეჰს ვზოგავდი, ზოგჯეჰ მაინც ვაღნევდი მიზანს... ჰ ვიცი, ჰატომ ვიბჰძოდი ასე, ჰოდესაც მეოჰე დღეს ჯაჰგი ამინდი გამოვიდოდა".

პატარა პეტრეს უკვე ხელშიც ვიჭერ და ვაბანავებ კიდეც. როგორც ამბობენ, მამას ჰგავს.

— საუბრის ბოლოს მუსიკალურ პროექტ „ახალ ხმაზეც" უნდა გკითხოთ, რომელიც მალე დაიწყება. ცვლილებებს ხომ არ გეგმაყთ?

— უფროსების „ახალი ხმა" სტანდარტულ ფორმატს დაუბრუნდება. მწვრთნელების, ბავშვების რაოდენობა იგივე იქნება, როგორიც წინა „ახალ ხმაში" იყო. რაც შეეხება მწვრთნელებს, შეიძლება ამ მხრივაც იყოს რაღაც ცვლილებები, ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი.

✓ ქეთი დინოშვილი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის ადგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ძ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

როგორ ებრძვის ცელულიტს თამთა შედანია

„ბავშვობიდან მასწავლეს, ყველა ნაკლი პოზიტივად ვაქციო“

საერთაშორისო კონკურსი „მის მსოფლიო“ 28 სექტემბერს ამჯერად ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში ჩატარდება. ჩვენი ქვეყნიდან კონკურსში მონაწილეობას „მის საქართველო 2012“ თამთა შედანია მიიღებს. პარალელურად, ქართველი ლამაზმანი თავისი ცხოვრების უფრო მნიშვნელოვანი მოვლენისთვის — ქორწილისთვის ემზადება. თამთას რჩეული 24 წლის ერეკლე მანგოშვილი გახლავთ, ახალგაზრდა ბიზნესმენი და რალისტი (ერეკლეს პირველ ცოლთან, მომღერალ თაკო ვადაჭკორიასთან შვილი ჰყავს). სავარაუდოდ, ქორწილი შემოდგომაზე შედგება.

თამთა საგულდაგულოდ ემზადება კონკურსისთვის, რომ საუკეთესო ფორმაში იყოს. სხვა რამეზე ფიქრისთვის კი დრო არ რჩება. ამბობს, რომ ქორწილის დეტალებზეც მას შემდეგ იზრუნებს, როცა კონკურსს უკან მოიტოვებს.

— თამთა, ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოდის თქვენს ცხოვრებაში — „მის მსოფლიოს“ კონკურსი და თქვენი ქორწილი. როგორ ემზადებით ამ დღეებისთვის?

— როგორც არაერთხელ აღმინიშნავს, ამ ეტაპზე ჩემთვის კარიერას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. „მის მსოფლიოზე“ გამგზავრებას მოუთმენლად ველოდები და ამ რთული და საპასუხისმგებლო მისიისთვის ინტენსიურად ვემზადები. რაც შეეხება ჩემს ქორწილს, ამაზე მოგვიანებით ვიფიქრებ.

> „კანის მოვლის ძალიან დიდი რიტუალი მაქვს. არასოდეს ვიძინებ სახეზე მაკიაჟით და ყოველთვის ვწდილობ, ნილბების გასაკეთებლად სახლში არსებული ნებისმიერი პროდუქტი გამოვიყენო. კანზე არანაკლებ ყურადღებას თმას ვაქცევ. სპეციალურ ნილბებს ვყიდულობ და თმას მუდმივად ვუვლი“.

— დიდი სანია მოდელი ხართ და ჩვენი რუბრიკისთვის „სარკის წინ“ ალბათ ბევრი საინტერესოს თქმა შეგიძლიათ იმის შესახებ, როგორ მოუაროს ქალმა თავს, შეინარჩუნოს სილამაზე, გარეგნობა გაიუმჯობესოს. დაგიწყოთ იმით, რა ასაკში გაიკეთეთ პირველი მაკიაჟი?

— როგორც ნებისმიერმა გოგონამ, მეც ბავშვობაში პირველი მაკიაჟი დედაჩემის ნივთებში აღმოჩენილი ტუჩსაცხით და ტუშით გავიკეთე, ალბათ ჯერ კიდევ 5 წლის ასაკში.

— ახლა, როცა უკვე კარგად იცით მაკიაჟის ხელოვნება, თქვენს სახეზე რაზე აკეთებთ აქცენტს, რომელ ნაკვთს უსვამთ ხაზს?

— უმეტეს შემთხვევაში თვალებზე ვამახვილებ ყურადღებას და გამოკვეთილი ტუჩები მომწონს. სხვადასხვა გადაღებებსა და ჩვენებებზე განსხვავებულ მაკიაჟს ვიკეთებ. თეთრეული ვიზაჟისტი, დიზაინერი თუ ფოტოგრაფი თავისი ხედვის მიხედვით მირჩევს. პირადად მე ყოველდღიურ ცხოვრებაში მსუბუქ მაკიაჟს ვანიჭებ უპირატესობას. წვეულებებზე ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჩაცმულობიდან და სიტუაციიდან გამომდინარე ვწყვეტ, როგორი გავიკეთო.

> „ჩემს საქმროს ყველანაირ ფორმაში მოვწონვარ — სპორტულშიც, ახალგაზრდულშიც და კლასიკურშიც, თუმცა ამბობს, რომ უყვარს, როდესაც ქალს კლასიკურად და გემოვნებით აცვია“.

ვარცხნილობის და მაკიაჟის გაკეთება კარგად მეხერხება, სწრაფად მოწესრიგება და ფორმაში ყოფნა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— თქვენს ხელჩანთაში ბევრი კოსმეტიკაა?

— გააჩნია, სად მივდივარ და რისთვის. თუ მაკიაჟი უკვე მაქვს, მხოლოდ მინიმალურით ვკმაყოფილდები. სუნამო და უფერული ან ბუნებრივი ფერის ტუჩსაცხი ის აუცილებელი ნივთებია, რომლებიც სულ თან დამაქვს.

— გიყვართ გარეგნობით, სამოსით ყურადღების მიქცევა, ექსტრავაგანტური სტილი?

— რა თქმა უნდა, მიყვარს. ეს ჩემი პროფესიის და უკვე ხასიათის ნაწილია, მაგრამ იმასაც გააჩნია, თქვენ რას უწოდებთ ექსტრავაგანტურს. მთავარია, სამოსი სიტუაციას, ადგილს და ჩემს გარეგნობას შეეფერებოდეს. არ მიყვარს ვულგარულად ჩაცმა და უპირატესობას კლასიკურ სტილს ვანიჭებ, მაგრამ ჩემი ასაკის შესაბამისად. ხშირად საკუთარი ხელით ვხაზავ ესკიზებს და ვაკერვინებ ჩემთვის სამოსს. შეიძლება ითქვას, ეს ჩემი ახალი ჰობია.

— გარეგნობაში, ჩაცმულობაში ექსპერიმენტირება გიყვართ?

— საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი ვარ და ამ ეტაპზე არ ვთვლი, რომ ექსპერიმენტი უნდა მაღელვებდეს. რაც შეეხება ჩაცმულობას, მე ვიტყოდი, რომ უფრო მრავალფეროვნება მაინტერესებს, ვიდრე ექსპერიმენტები. მიყვარს განსხვავებული ფერის, სტილის, ბრენდის ტანსაცმლის ერთმანეთთან შეხამება, რაც ორიგინალურ სტილს ქმნის. ალბათ ჩვენში ამას ექსპერიმენტს უწოდებენ, საქართველოში ხომ ერთი ფერი დომინირებს... შავი, შავი და კიდევ შავი.

— თქვენ რა ფერი გიყვართ?

— ცისარტყელას ყველა ფერი მიყვარს და, რაც მთავარია, მიხდება. ხალისიანი ვარ და ვცდილობ, ჩაცმულობაშიც ხალისიანი ფერები გამოვიყენო.

— რომელია თქვენი საყვარელი აქსესუარები?

— სათვალე, ჩანთა, ტელეფონი, საათი და ასე შემდეგ.

— სარკის წინ დგომისას თქვენს გარეგნობაში რა მოგწონთ და რა — არა?

— ყველაფერი მომწონს, რამის შეცვლას არ ვაპირებ. ისევე, როგორც ყველას, მეც ალბათ მაქვს ჩემი ნაკლი, თუმცა

> „ხშირად საკუთარი ხელით ვხაზავ ესკიზებს და ვაკერვინებ ჩემთვის სამოსს. შეიძლება ითქვას, ეს ჩემი ახალი ჰობია“.

ბავშვობიდან მასწავლეს, რომ უნდა ვეცადო, ყველა ნაკლი პოზიტივად ვაქციო. ასე რომ, მუდმივი ზრდის და განვითარების პროცესში ვარ.

— თქვენი გარეგნობა კრიტიკის თემა გამხდარა?

— ჩემი თანდასწრებით მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა, თუმცა ყველა ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება და შეუძლიათ, რაც უნდათ, ის იფიქრონ და თქვან სხვებზე, მათ შორის — ჩემზეც. როდესაც ცნობადი სახე ხდები, ამას უნდა შეეგუო და შენი მისამართით გამოთქმული კრიტიკა მშვიდად მიიღო.

— როცა სარკეში იხედებით, ვინ გიყურებთ იქიდან?

— სუსტი აღნაგობის, მაგრამ ძლიერი ხასიათის, მიზანდასახული გოგონა, რომელიც ცდილობს, მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს და მომავალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადება.

— უფროსი თაობისგან რაიმე რჩევა მიგიღიათ თავის მოვლასთან დაკავშირებით?

— ჩვენს ოჯახში კარგი სახის კანი გენეტიკურად გვაქვს, თუმცა მისი მოვლის ბევრი საიდუმლო ბებიამ და დედ[illegible]ასწავლეს. კანის მოვლის

Cyan Magenta Yellow Black

„ფისარტყელას ყველა ფერი მიყვარს და, რაც მთავარია, მიხდება. ხალისიანი ვარ და ვცდილობ, ჩაცმულობაშიც ხალისიანი ფერები გამოვიყენო".

ძალიან დიდი რიტუალი მაქვს. არასოდეს ვიძინებ სახეზე მაკიაჟით და ყოველთვის ვცდილობ, ნიღბების გასაკეთებლად სახლში არსებული ნებისმიერი პროდუქტი გამოვიყენო. კანზე არანაკლებ ყურადღებას თმას ვაქცევ. სპეციალურ ნიღბებს ვყიდულობ და თმას მუდმივად ვუვლი.

— ბუნებრივად ხართ გამხდარი თუ სპეციალურად ზრუნავთ ამაზე დიეტით და ვარჯიშებით?

— როგორც პროფესიონალი მოდელი, ვალდებული ვარ, წონაზე ვიზრუნო. სხვა შემთხვევაში ეს ჩემს კარიერაზე აისახება. ყოველთვის ვცდილობ, რაციონი მკაცრად ვაკონტროლო. სტაბილური წონის შენარჩუნებაში გენეტიკაც მეხმარება.

— როგორია თქვენი კვების რაციონი?

— უპირატესობას ხილს და ბოსტნეულს ვანიჭებ, მაგრამ ვცდილობ, დაბალანსებული რაციონი მქონდეს.

— გადატვირთული დღის შემდეგ როგორ აღიდგენთ ძალებს?

— ჩემთვის ძალების აღდგენის ყველაზე კარგი საშუალება ძილი და ვარჯიშია.

— უცხოელი მოდელების გამოცდილებას ითვალისწინებთ, რომ ფორმა შეინარჩუნოთ?

— უცხოელი მოდელების რჩევებს ნაკლებად ვითვალისწინებ, მაგრამ ჩემი მასაჟისტის დარიგებებს კი დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. მაგალითად, აღარ ვჭამ სიმინდს და მისი ფქვილისგან დამზადებულ საკვებს, რადგან მან მითხრა, რომ ეს პროდუქტი ცელულიტს აჩენს.

— თქვენს საქმროს როგორ ფორმაში მოსწონხართ განსაკუთრებით და რაში არ ემთხვევა თქვენი გემოვნება ერთმანეთს?

— ჩემი აზრით, მას ყველანაირ ფორმაში მოვწონვარ — სპორტულშიც, ახალგაზრდულშიც და კლასიკურშიც, თუმცა ამბობს, რომ უყვარს, როდესაც ქალს კლასიკურად და გემოვნებით აცვია.

✓ მანანა ნოდია

გიორგი ვარდოსანიძე: „ვალები მაქვს და ფული ნიკა არაბიძემ მასესხა"

Oუმორისტმა ნიკა არაბიძემ და მსახიობმა გიორგი ვარდოსანიძემ სიცილ-ხარხარი ასე თუ გააგრძელეს, შეიძლება მალე „რუსთავი 2" გააკოტრონ კიდეც. ნიკა გადაცემის „გაიცინე და მოიგე" ჟიურის წევრია, გიორგი — წამყვანი. შოუში ჩვეულებრივი ადამიანები მიდიან, ხუმრობენ და ჟიურის ერთ-ერთი წევრის გაღიმებაზეც კი ფულს იგებენ. გიორგის გაცინება ძალიან ადვილია და ნიკას სეიფიც, რომელსაც გულმოდგინედ სდარაჯობს, ნელ-ნელა ცარიელდება. გიორგის აქამდე წამყვანობის გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ ახალშეძენილმა კოლეგებმა ისეთი გარემო შეუქმნეს, ხუმრობებში უკვე ჟიურის წევრებსაც აუბა მხარი. განსაკუთრებულ მხარდაჭერას კი ნიკასგან გრძნობს.

— გიორგი, უკვე რამდენიმე გადაცემა გავიდა ეთერში და ალბათ უკვე შეგიძლიათ შეფასება, წამყვანობა რამდენად კარგად გამოგდით.

გიორგი: წამყვანობა კარგი ყოფილა, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. პირველი ეთერისთვის ვნერვიულობდი და არც ახლა ვარ მშვიდად, რადგან ჩემთვის ეს ახალი ხილია. ვცდილობ, თავისუფლად ვიყო, ამიტომ მაპატიეთ, თუ რაღაც ჩარჩოებს გავცდები. დაყენებული ტონით არც ლაპარაკი მეხერხება და არც მოქცევა.

— როგორ აღმოჩნდით ამ გადაცემაში?

გიორგი: მოკლედ, ალეკო მალხაზიშვილთან და ნიკა არაბიძესთან ვიწექი.

ნიკა: შენ ამის მერე ნახე ზარები!

გიორგი: ჰო, ახლა ნახე, ალაპარაკდებიან, ვისთან იწვა გიორგი ვარდოსანიძეო და ასე შემდეგ. მოკლედ, ხუმრობა იქით იყოს და, ალეკო მალხაზიშვილმა მითხრა, კარგი პროექტი კეთდება და წამყვანობა სცადეო. პილოტი გადაცემა ჩავწერეთ და ალბათ მოეწონა.

ნიკა: წამყვანის არჩევაზე ბევრი არ გვიკამათია. როცა გიორგის კანდიდატურა დასახელდა, ერთხმად ავირჩიეთ. ასეთი სტილის გადაცემის წამყვანს იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს. გიორგის კი იუმორის ნიჭიც აქვს და წამყვანობისაც. პირველი გადაცემის შემდეგ ხალხს მასზე დადებითი შთაბეჭდილება შეექმნა. ერთი სიტყვით, დავალებას თავი კარგად გაართვა.

— გიორგის მანამდეც იცნობდით?

ნიკა: ვიცნობდი, მაგრამ რომ გითხრათ, მეგობრული და ახლო ურთიერთობა გვქონდა-მეთქი, ასე არ ყოფილა.

გიორგი: როცა ამ გადაცემის წამყვანობაზე შემოთავაზება მივიღე, ძალიან გამიხარდა, მაგრამ ამავე დროს საშინლად ვინერვიულე. სულ მეგონა, რომ წამყვანს დადგენილი წესებით უნდა ემოქმედა. მე კი ასე არ შემიძლია. ჩემს პროფესიაშიც იმპროვიზაცია მიყვარს. მეშინოდა, ვაიმე, ახლა უნდა გამოვიდე, კამერას გავუღიმო, ტექსტი ზუსტად ვთქვა, არაფერი შემეშალოს...

ნიკა: იმპროვიზაცია აქაც შეიძლება, მთავარია, სათქმელი ითქვას. ჩაწერის პროცესიც სახალისოა.

ნიკა: „ყველაფერზე ხომ მეცინება, ვბეჭდები და ყველა ჯბილი ხომ მიჩანს ხოლმე, აღბათ ამ ჯიტეხიუმით ამახჩიეს ჟიუხიში".

გიორგი: გადაცემის ჩაწერისას მართლა მაგრად ვერთობით. ყველამ იცით, ჟიურის წევრებს როგორი იუმორი აქვთ. ჩემს ოთკუთხედ ტრიბუნასთან ვდგავარ და მშვენივრად ვხალისობ ხოლმე.

ნიკა: ჩვენ კი, როცა მოთამაშე ფულს იგებს, ერთმანეთში ვხუმრობთ, უხელფასოდ დავრჩით-თქო.

— ნიკა, პირველი გადაცემის დაწყებამდე თქვით, რომ თქვენი გაცინება ადვილი არ იყო, არადა თითქმის ყველამ თქვენი წყალობით მოიგო ფული.

ნიკა: ეს ხუმრობით ვთქვი, ჩემი გაცინება ძნელი არ არის. ყველაფერზე ვიცინი, თუკი ვინმეს ნათქვამში იუმორის მარცვალი მაინც არსებობს. გიორგის თქმი- →42

Cyan Magenta Yellow Black

სა არ იყოს, იმის გამო, რომ ვიღაცას ფული არ მივცე, ენა კბილებში არ მაქვს დატანებული. ამიტომ მეც და ვახო ბიჭიკაშვილსაც პირველ გადაცემაში პირი გვქონდა მოღებული. იმის საშიშროება ნამდვილად არ არსებობს, რომ ჩვენ არ გავიცინებთ. შეიძლება ხუმრობაზე გაგეცინოს, შეიძლება ადამიანის მოქმედებაზე, შეიძლება სასაცილო არც არაფერი იყოს, მაგრამ მაინც გაგეღიმოს.

მაგალითად, პირველ გადაცემაში მაგრად ვიცინეთ, ასაკოვანი კაცი ვერცხლისფერი შარფით რომ გამოვიდა. თავიდანვე განაცხადა, ეს შარფი მჭირდებაო, მაგრამ ისე წაიღო 1000 ლარი, ვერ გავიგეთ, რაში სჭირდებოდა. ერთ-ერთ ჩაწერაზე ადამიანმა ჯერ 50 ლარი მოიგო, შემდეგ — 100 ლარი და მერე აღარ გაგვეცინა. ასაკოვანი კაცი იყო. ცოტა ხანი გვიყურა, გვიყურა და ბოლოს გვითხრა, 10 წელია თქვენზე ვიცინი და რა იქნებოდა, ერთხელ ჩემზეც რომ გაგეცინათო. ამაზე მოვკვდით სიცილით. ვუთხარი, ეს ცოტა ადრე რომ გეთქვა, ხომ გაგვეცინებოდა-მეთქი.

გიორგი: ძალიან ვიხალისე ბიძაშვილებმა, ბიჭმა და გოგომ, „გადახვევით“ რომ იღერეს „დარიდური“.

■ გიორგი და ნიკა

ნიკა: ჟიურის გაცინება ერთ წუთში უნდა მოასწრო. ის ბავშვები დროში რომ ჩატეულიყვნენ, „დარიდურის“ ჩქარ-ჩქარა ამბობდნენ და ეს ძალიან სახალისო იყო.

— გიორგი, თქვენ რომ იყოთ ჟიურის წევრი, თქვენი გაცინებაც ადვილი იქნებოდა?

გიორგი: მე ყველაფერზე სიცილით ვიფხრიწები და ჟიურისთვის ეს ორმაგად რთულია. როცა უყურებ, სხვა როგორ იცინის, თავის შეკავება ძნელია. ჟიურის წევრი რომ ვიყო, „რუსთავი 2“-ს გავაკოტრებდი, სეიფის კარი ღია იქნებოდა და გასაცემად სულ ფული მეჭირებოდა ხელში.

ნიკა: პირველი გადაცემის შემდეგ მირეკავდნენ, კარგი გადაცემა კი გამოვიდა, მაგრამ შენ რაღაც ძალიან ბევრი იცინეო.

— ფულს ასე უხვად რომ გასცემთ, ხელმძღვანელობა არ გსაყვედურობთ?

ნიკა: ჯერჯერობით ყველაფერს ხუმრობის დონეზე მეუბნებიან და ვნახოთ, შემდეგი გადაცემები როგორ წავა.

— ნიკა, როგორ ფიქრობთ, ჟიურის წევრად რა პრინციპით აგარჩიეს?

ნიკა: ყველაფერზე რომ მეცინება, ვბჟირდები და ყველა კბილი რომ მიჩანს ხოლმე, ალბათ ამ კრიტერიუმით ამარჩიეს ჟიურიში.

გიორგი: ქებას არ დავიწყებ, მაგრამ ამ ადამიანს მართლა ბავშვობიდან ვადევნებ თვალს, ის ამ სფეროში პროფესიონალია. მთელმა საქართველომ იცის, რომ მას იუმორთან პრობლემა ნამდვილად არ აქვს.

— ნიკა, თქვენ თუ უყურებდით გიორგის, როცა ის პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილეობდა?

ნიკა: აბა, რა, როგორ გეკადრებათ! ვგულშემატკივრობდი კიდეც! დიდი ხნის ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ დარწუნებული ვარ, მომავალში კარგი მეგობრები ვიქნებით.

გიორგი: აქ ძალიან კარგი ადამიანები გავიცანი. საერთოდ, მიმართლებს, ყოველთვის კარგ ხალხთან მიწევს ურთიერთობა. მათგან ბევრს ვსწავლობ. აქ ბევრია ჩემი ჭკუის ადამიანი, ვისაც გათენება, მზის ამოსვლა უხარია. ნიკას იმ დღეს ფული ვთხოვე და მასესხა. მაინც იმერელია, რა! „ზემლიაკ!“ უი, აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩემს მანქანას, „რენჯროვერს“ ვყიდი.

— შოუში მოგებულ ავტომობილს ყიდით? რატომ?

გიორგი: რაღა რატომ?!მოგების დღიდან ვყიდი.

ნიკა: მე იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ ვყიდულობ, რომ ფული არ მაქვს. ვისაც აქვს, შეუძლია იყიდოს, მართლა მაგარი მანქანაა.

გიორგი: კარგი ავტომობილია, ჩემი დასაწუნი „რენჯროვერს“ არაფერი აქვს, მაგრამ არც ნაკლებფასიან მანქანაზე ვიტყოდი უარს და ამ ფულით ვალებსაც გავისტუმრებდი.

— რა ვალები გაქვთ?

გიორგი: ბანკის ვალები მაქვს. ბანკებო, ეს ვალები გამიბათილეთ და ამ მანქანას აღარ გავყიდი. ერთი წელი კი ბანკის თანამშრომლებს უფასოდ გატარებთ!

— ნიკასგანაც მოგისწრიათ ფულის სესხება. ეტყობა, ფინანსებში მაგრად გაიჭედეთ.

გიორგი: აბა, რა! მე ხშირად ვითხოვ ხოლმე ფულს და მერე ვიწერ — „მომცა 10 ლარი“ და ასე შემდეგ. ხუმრობა იქით იყოს და, ნიკასთან მართლა მსიამოვნებს ურთიერთობა. ადამიანის ასაკს ყოველთვის პატივს ვცემ და როგორი მეგობრებიც უნდა ვიყოთ, თავს არასდროს ვაძლევ ზედმეტის უფლებას. ნიკაში ყველაზე ძალიან ის მომწონს, რომ სულ კარგ ხასიათზე მხვდება. ცხოვრებაში ყველას გვაქვს პრობლემები და არც ნიკოლოზი იქნება გამონაკლისი, მაგრამ ყოველთვის გაღიმებულია, მისგან დადებითი ემოცია მოდის.

— ერთად ქეიფიც ხომ არ მოასწარით?

გიორგი: არა, მაგრამ ალბათ მალე გავილეშებით. ამბობენ, კარგი თამადაა და ბევრს სვამსო. მე კი ვერც ბევრს ვსვამ და ცუდი თამადაც ვარ.

— ნიკა, გიორგი დამახასიათეთ.

ნიკა: სიმპათიური რომ არის, ამას ვერ უარყოფ. კარგი ბიჭია. ადამიანი, რომელსაც იუმორის გრძნობა აქვს, არ შეიძლება ბოროტი იყოს. გიორგის კარგი თვისება ის არის, რომ კომუნიკაბელურია. როცა ერთმანეთს პირველად შევხვდით, ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. კარგი წამყვანი და თანაშრომელი გამოდგა. მართალია, თვითონ ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ ესეც კარგი თვისებაა, მის პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

— გადაცემა გაგანია ზაფხულში დაიწყეთ. ალბათ მთელი სეზონის გატარება ტელევიზიაში მოგიწევთ.

ნიკა: რამდენიმე გადაცემას წინასწარ ჩავწერთ, რომ აგვისტოში, როგორც იტყვიან, სადმე მაინც გავჭყუმპალავდეთ.

გიორგი: მეც 2-3 დღით თუ გავალ სადმე. გადაცემების ჩაწერებიც გაგრძელდება, თეატრში რეპეტიციები დამეწყება და ასე შემდეგ.

— გიორგი, თქვენს პირად ცხოვრებაში თუ არის სიახლე?

გიორგი: არაფერი, აი, ჩემი და ნიკოლოზის ურთიერთობაა სიახლე. მთლიანად საქმეზე ვარ გადართული. 24 საათიანი რეჟიმით ვმუშაობ და ვცდილობ, მთელი ენერგია საქმეში დავხარჯო. თუ რამე იქნება, გეტყვით. ხომ იცით, არაფერს ვმალავ.

— გიორგი, როცა ცეკვავდით, წინაში ძალიან დაიკელით, ახლა მოკეთებული ჩანხართ.

გიორგი: მაშინ 71 კილო ვიყავი და აჩრდილივით დავდიოდი. ახლა 80 კილო ვარ. ისევ უნდა გავხდე, 5 კილო მაინც უნდა დავიკლო. საოცნებო როლის, დორიან გრეის თამაში მიწევს. 20 აგვისტოდან რეპეტიციები მეწყება.

— თმა გადაპარსული ამიტომ აღარ გაქვთ?

გიორგი: დიახ, თმასაც ამიტომ ვიზრდი და საერთოდ ამ პერსონაჟს რაც დასჭირდება, ყველაფერს გავაკეთებ. რადგან ოცნება ამიხდა, ამ როლს თავი უნდა დავაკლა!

— ნიკა, გიორგის სპექტაკლებზე ყოფილხართ?

ნიკა: არა, მაგრამ იმედია, დამპატიჟებს და სიამოვნებით წავალ.

✓ ეკა ლემონჯავა

გიორგი: „71 ჯილო ვიყავი და აჩრდილივით დავდიოდი. ახლა 80 ჯილო ვარ. ისევ უნდა გავხდე, 5 ჯილო მაინც უნდა დავიკლო. საოცნებო როლის, დორიან გრეის თამაში მიწევს. თმასაც ამიტომ ვიზრდი და საერთოდ ამ პერსონაჟს რაც დასჭირდება, ყველაფერს გავაკეთებ!".

Cyan Magenta Yellow Black

რატომ ვერ მოხვდა ნიუ იორკის ჯაზკლუბებში ზაზა მიმინოშვილი

„ბავშვობაში ნანახ გერმანიას დღეს ვერ ვპოულობ“

ჯგუფ „შინ“-ის შემქმნელს, ზაზა მიმინოშვილს, მოგზაურობამ აპოვინინა ახალი ხმები, თავისი მუსიკა, აღმოაჩენინა, რომ ქართულ რიტმებში მსოფლიო მოტივებია შენახული, ხოლო მრავალფეროვან მსოფლიო მუსიკაში ქართული ჰანგის პოვნა შეიძლება. ასე რომ, მოგზაურობა მისთვის შემოქმედების წყაროცაა. დიდხანს იცხოვრა გერმანიაში და ამ ქვეყანამ თავი შეაყვარა, მაგრამ ბოლოს მაინც მშობლიურმა ფესვებმა დაუძახა. ამერიკაში ჩასვლაც საოცრად უხარია, მაგრამ არა — საცხოვრებლად. ეს ქვეყანა იმით ხიბლავს, რომ იქ 22-ე საუკუნის ნახვა შეიძლება.

მუსიკოსის მიერ დანახულ-მოსმენილი მსოფლიო ძალიან საინტერესოა, ამაში თავადაც დარწმუნდებით, როცა მასთან ინტერვიუს წაიკითხავთ.

— ბატონო ზაზა, რა შეგრძნებას უკავშირდება თქვენთვის მოგზაურობის პროცესი?

— მოგზაურობა ჩემთვის იმ უცნაურ შეგრძნებას უკავშირდება, როცა ძალიან მნიშვნელოვან რაღაცას ტოვებ და ფიქრობ, შენს ქვეყანაში როდის დაბრუნდები. ბოლო დროს ჯგუფს გერმანიაში გვიწევს ცხოვრება. ახლახან ლატვიაში ვიყავით.

— ლატვიაში ეს თქვენი პირველი ვიზიტი იყო?

— არა, ადრეც ვარ ნამყოფი. ლატვია ჩვენი ერთ-ერთი ფავორიტი ქვეყანაა, სადაც ძალიან ხშირად დავდივართ. ბოლო პროექტის, „დიდი მუსიკალური პორტრეტების“ პრემიერაც იქ შედგა. ეს იყო ჯგუფ „შინ“-ის ახალი მოძრაობა, რომელიც დიდი მუსიკალური სისტემების კლასიკასთან დაახლოებას ეხება. ლატვიაში საოცარი კულტურა აღმოვაჩინეთ, რომელსაც არ ვიცნობდით. სხვათა შორის, ჩვენ შესახებ ლატვიელებმაც არაფერი იცოდნენ, ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდათ ძველი საბჭოთა შეხედულებით. პირველი ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო, შემდეგ კი გამიზნულად ჩავედით პროექტით „ეს არის“, რაც ლატვიურად „მეც აგრეთვე“-ს ნიშნავს.

„ლატვიელები თითქოს ძალიან სხვები ხარან, მაგრამ მათსა და ჩვენს ხასიათსა და მენტალიტეტში ბევრი საერთოა. მოლდოველების შემთხვევაში კი პირიქით ხდება, თითქოს ჩვენნაირები ხარან, ამ დროს კი სულ სხვანაირები აღმოჩნდნენ“.

— ბალტიისპირეთის კულტურა რითი აღმოჩნდა თქვენთვის საინტერესო?

— ნოემბერში იქ ფილმ „ჰარმონიის საიდუმლოს“ პრემიერა გვქონდა, რომელიც მოლდოვური, ლატვიური და ქართული კულტურის შერწყმა იყო. სამივე ქვეყნის ჯგუფებს ერთად გვქონდა კონცერტები, რაც, სამწუხაროდ, აქ ვერ წარმოვადგინეთ. ამ პროექტის შემდეგ კითხვა დაგვისვეს, ამ ქვეყნების მენტალიტეტების მიმართ რა ემოცია დაგეუფლათო. რაც იქ ვუპასუხე, თქვენც იმავეს გეტყვით: ლატვიელები თითქოს ძალიან სხვები არიან, მაგრამ მათსა და ჩვენს ხასიათსა და მენტალიტეტში ბევრი საერთოა. მოლდოველების შემთხვევაში კი პირიქით ხდება, თითქოს ჩვენნაირები არიან, ამ დროს კი სულ სხვანაირები აღმოჩნდნენ.

ამ პროექტმა ბევრი რამ მასწავლა. თითქოს ძალიან ნაცნობში მოულოდნელს და ახალს იპოვი, შორეულში კი — ბევრ საერთოს. კავკასიური ჰანგის კილოს ლატვიურ ფოლკლორში აღმოაჩენთ, რომელიც თვითონ არ იციან, რომელი საუკუნისაა. როგორც ამბობენ, ეს ჰანგები აღმოსავლური წარმოშობისა უნდა იყოს. სხვადასხვანაირები ვართ და ამავდროულად — ერთი სამყაროს შვილები.

— ლატვიის ქალაქები დაათვალიერეთ?

— მცირე დოზით... სადაც ჩავდივართ, ამ სიამოვნებას ვერასოდეს ვიღებთ, რადგან თავისუფალი დრო ცოტა გვაქვს და ისიც ზოგჯერ ენერგიის აკუმულაციისთვის გვჭირდება. ლატვია ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მხარეა, მეორე კი თურქეთი გახლავთ, სადაც ძალიან მალე გავემგზავრები.

„ნამდვილად ახ მეგონა, ქახთვეი ჯაცს თე სუფხის ტხადიცია გამაოცებდა!“.

— თურქეთშიც ჯგუფთან ერთად წახვალთ?

— დიახ. თურქეთთან ძალიან მძიმე და სერიოზული მტრობა გვაკავშირებდა, მაგრამ რა ხდება ადამიანურ და კულტურულ დონეზე, რამდენად ახლოს ვართ ერთმანეთთან, რამდენი რამ გვაქვს საერთო და ახლო მეგობრობის რამდენი მიზეზი გაგვაჩნია, ეს ძალიან საინტერესოა და ხელოვან ადამიანს აუცილებლად ევალება ამ ყველაფრის ცოდნა. ჩვენ ჭიქა ნახევრად უნდა გავავსოთ, დანარჩენს კი პოლიტიკოსები გააკეთებენ.

ორი კვირით ჩვენს მეგობართან, საინტერესო მუსიკოს ფუატ საკასთან ჩავდივართ. ის ლაზური წარმომავლობისაა. მისი წინაპრები საქართველოს ერთ-ერთ შავბნელ ჟამს ბათუმიდან ჩავიდნენ იქ. ეს ადამიანი ახალ დისკზე მუშაობს და ჩვენ დავეხმარებით. სტუდიაში, რომელიც ეგეოსის ზღვის სანაპიროზეა, პირველად ვხვდები, მაგრამ კოლეგებისგან ვიცი, რომ საოცარი ადგილია! ასე რომ, ორი კვირა აქტიური მუშაობა და დასვენება ერთად მოგვიწევს.

— თურქეთს კარგად იცნობთ?

— იმდენად დიდია და თვითონ სტამბულიც იმხელაა, რომ მისი კარგად ცნობა ძნელია. უამრავი მიზეზი მაქვს, მიყვარდეს ეს საოცარი ქვეყანა.

— წლების განმავლობაში გერმანიაში გიწევთ ცხოვრება, ალბათ ამ ქვეყანას იცნობთ ყველაზე ახლოს და საფუძველიანად.

— არა, მე ყველაზე კარგად საქართველოს და თბილისს ვიცნობ. რაც შეეხება გერმანიის სიყვარულს, ეს ჩემს ბავშვობაში დაიწყო, მაშინ, როცა მოდაში არა ინგლისური, არამედ გერმანული ენა იყო. ბავშვობის ყველაზე ფაქიზი პერიოდი გერმანულ საბავშვო ბაღს უკავშირდება. ხშირად ვამბობ სინანულით, ბავშვობაში ნანახ გერმანიას დღეს ვერ ვპოულობ-მეთქი.

— როგორი გახსოვთ ბავშვობისდროინდელი გერმანია?

— რომელიმე კონკრეტულ ქალაქზე არ მაქვს საუბარი, იმ საოცარ კულტურასა და ტრადიციაზე მოგახსენებთ. მაგალითად, იმ დროს, როცა ჩვენთან შობის დღესასწაული აკრძალული იყო, იქ ვაინახტს (წმინდა ღამე. ავტ.) ზეიმობდნენ და ის საოცარი სურნელი, რომელიც იქ ტრიალებდა, დღესაც მახსოვს. ეს მოგონებები სიძველისა და სიღრმისეულ შეგრძნებად დამრჩა. თანამედროვე გერმანიაში ეს შეგრძნება მოსაძებნი მაქვს. თანამედროვე საზოგადოებაში დაიკარგა ტრადიციებთან ფაქიზი, მოწიწებული დამოკიდებულება. ასე რომ, გერმანიაში ახლა სულ სხვა სურნელი ტრიალებს. იმ ძველი გერმანიის სული მკვდარია, რაც ოჯახის ინსტიტუტთანაა დაკავშირებული.

„ძალიან მიყვახს თბილისის ქუჩებში მახტო ხეტიალი და იმის ყუჩება, თე ჩოგოს იძინებს ქალაქი. ეზოში ჰატახ-ჰატახ გადალაპარაკებები ჩვენთან სულ სხვაა... ზაფხულში ფანჯრებს ახ ვხუჩავთ, გეჩმანიაში კი ყველაფეჩი ჩახაზულია“.

გერმანია ჩემთვის სერიოზული თემაა. ოდესმე, როცა იქაურობას დავტოვებ და საქართველოში დავბრუნდები, სერიოზული ნოსტალგია დამეწყება და ალბათ იქ ჩასვლა წელიწადში ორჯერ მაინც →44

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

■ ცოლთან ერთად გერმანიაში

„ნასუე ადამიანს ორი გზა აქვს, ეროს ემიგრაცია ჰქვია, მეორეს — ოდისეა. ერთ-ერთი უნდა ამოირჩიო. მე უკვე ავირჩიე, ემიგრანტი ვერასოდეს ვიქნები".

მომიწევს. „შინ"-ის წევრები პირველივე წლებიდან შევეცადეთ და მოვახერხეთ კიდეც, რომ ყოველ ახალ წელს საქართველოში შევხვდეთ.

— არასოდეს შეხვედრიხართ ახალ წელს გერმანიაში?

— როგორ არა. ალბათ ორჯერ მაინც მოგვიწია იქ ამ დღესასწაულის გატარება. საოცრად მყუდრო ახალი წელი იციან მშვიდ, ოჯახურ გარემოში, რაც ძალიან მომწონს. ოჯახები იკრიბებიან და ისეთ მყუდრო და ექსკლუზიურ ატმოსფეროს ქმნიან, სადაც მხოლოდ უახლოეს ადამიანს უშვებენ. ეს ჩემთვის პატივსაცემი ტრადიციაა.

— რამდენი წელია შტუტგარტში ცხოვრობთ, ალბათ ეს ქალაქი შეიისისლლხორცეთ.

— საოცრად მომინდებოდა, სტუდენტობის პერიოდი შტუტგარტში გამეტარებინა. ამისთვის ფანტასტიკური ქალაქია. ქალაქს მაშინ გაიცნობ, როცა დილით ადრე მოგიწევს გამოსვლა, ახალგამომცხვარი პურის სუნს იგრძნობ და მცხობელს დაელაპარაკები. კარნავალების პერიოდიც საინტერესოა, რომელიც ჩვენი დიდი მარხვის დასაწყისს ემთხვევა. ყველაფერ ცუდს სახლიდან აგდებენ, ძალიან ხმაურიანი რიტუალია, მთელი ქალაქი ზეიმობს. როცა შტუტგარტში გათენებას შემოესწრები, უცებ აღმოაჩენ, რომ ჩიტების გამაოგნებელი სიმფონიაა! ამ ქალაქს თავისი ეროვნული ობა აქვს.

— როგორ ფიქრობთ, გერმანიაში ფეხი კარგად მოიკიდეთ?

— შეიძლება ელოდებით, რომ გითხრათ, გერმანიაში ფეხი მოვიკიდე-მეთქი, მაგრამ ასე არ არის. მე მაინც მგზავრი ვარ. ჩვენს ჯგუფს „შინ" ჰქვია და შინ უნდა დავბრუნდეთ. ჩემთვის ყველაფერი ძვირფასი აქ არის და დავბრუნდები კიდეც! წასულ ადამიანს ორი გზა აქვს, ერთს ემიგრაცია ჰქვია, მეორეს — ოდისეა. ერთ-ერთი უნდა ამოირჩიო. მე უკვე ავირჩიე, ემიგრანტი ვერასოდეს ვიქნები.

ჩემს თბილისზე უფრო მეტის თქმა შემიძლია. ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქის ქუჩებში მარტო ხეტიალი და იმის ყურება, თუ როგორ იძინებს თბილისი. ეზოში პატარა-პატარა გადალაპარაკებები ჩვენთან სულ სხვაა... ზაფხულში ფანჯრებს არ ვხურავთ, გერმანიაში კი ყველაფერი ჩარაზულია. ოჯახი გარეთ მყოფ მგზავრს იმ სითბოს არ უზიარებს, რომელიც შიგნით ტრიალებს. გერმანიიდან ბევრი ტკბილი მოგონება წამომყვება, მაგრამ ისე არ არის, რომ იქ მე ფესვები გავიდგი. ჩემი ოჯახი საქართველოშია!

— სხვა რომელ ქვეყანაში მოგზაურობას გაიხსენებდით?

— ამერიკაზე გიამბობთ, რომელიც ყველას იზიდავს, მაგრამ მე შეიძლება ცოტა უცნაური რამ გითხრათ. მართლაც უნიკალური სამყაროა, მაგრამ იქ უცნაური შეგრძნება დამეუფლა... ამერიკაში ჩასვლა საოცრად მიხარია, ოღონდ იქ ვერასოდეს ვიცხოვრებ. ორივე სანაპირო მოვიარეთ. იქაურობა ნამდვილად გიზიდავს, მით უმეტეს, როცა დაუნ თაუნს ნახავ! იქ დაინახავთ, 22-ე საუკუნე როგორი იქნება. მაშინაც იმ ამერიკას ვეძებდი, რომელიც ჩემს ქვეყანაში განვიცადე, მაგრამ ვერ ვიპოვე. ჯაზის წარმოშობის პროცესი ამერიკაში აღარ არსებობს. ნიუ იორკში შაბათ დღეს კლუბ „ბლუ ნოტში" თუ „ბიორდ ლენდში" მოვინდომეთ შესვლა და ღამის თორმეტის ნახევარზე დაკეტილი დაგვხვდა, რაც ცოტა რთული წარმოსადგენია. შოკი მივიღეთ!



■ თურქეთში

— საზღვარგარეთ ქართველი მაყურებელი როგორ გზადებათ?

— ამერიკაში სწორედ მაშინ მოვხვდით, როცა უკვე ქართველმა მაყურებელმა გაგვიცნო. დასაწყისში ბრძოლა გერმანიაში მოგვიხდა, როცა ბლუზიც და ჯაზიც თავთავის ნიშაზე იყო დალაგებული. იქ ქართული ეროვნული ბის რომელიმე ნიშაზე მოხვედრა ძალიან რთული იყო. ქართველების დასწრება ნულის ტოლფასი გახლდათ, მხოლოდ გერმანელებისა და ევროპელებისთვის ვმუშაობდით. საბედნიეროდ, ამ მუსიკის მეშვეობით „შინ"-მა ის გასაღები იპოვა, რომლითაც გულს ეხები და არა — მაყურებლის ინტელექტსა და ტრადიციას. სიყვარული და მხარდაჭერა ახალგაზრდებისგან განსაკუთრებულად მოდის. ჩვენს კონცერტს უამრავი ახალგაზრდა ესწრება და მათ შორის ქართველებიც არიან. ისინი ისეთ ცეცხლს ანთებენ, მთელ დარბაზს იყოლიებენ.

— როცა სამოგზაუროდ ხართ, მაღაზიებს თუ შეუვლით ხოლმე, თუნდაც რამე სამახსოვროს საყიდლად?

— ამას ცოლი ან შვილები თუ მაიძულებენ. შოპინგი ჩემი ძლიერი მხარე არ გახლავთ, ამ დროს ყოველგვარი ენერგია მეცლება. ცოლსაც და დედაჩემსაც ეს საქმე ძალიან უყვართ, სკამზე მისავათებული ველოდები ხოლმე მათ.

სანამ შვილები პატარები მყავდა, მათთვის საჩუქრების შერჩევა და ჩამოტანა ძალიან მიყვარდა, ახლა კი, რაც წამოიზარდნენ, მითხრეს, ჩვენ თვითონ შევარჩევთო. ექსკლუზიურ საჩუქრებს მათთვის მეუღლესთან შეთანხმებულად ვყიდულობ. ანდაღუზიიდან ფლამინგოს მარაოები ჩამოვუტანე და ეს საჩუქარი ჩამითვალეს. საშინაო მხოლოდ ტანსაცმლის არჩევაა, ამ დროს შეცდომა არ უნდა დავუშვა! ჩემს ცოლს კი ყავა ან ტკბილეული აუცილებლად უნდა ჩამოვუტანო. სადაც შოპინგზე ჩემი ნებით დავდივარ, ეს მუსიკალური მაღაზიებია.

„ოცა შტუტგარტში გათენებას შემოესწრები, უცებ აღმოაჩენ, რომ ჩიტების გამაოგნებელი სიმფონიაა! ამ ქალაქს თავისი ეროვნული ობა აქვს".

— სხვა ქვეყნის სამზარეულოს დაგემოვნებიეთ უკვე თავისთავად მოგზაურობაა უცხო სამყაროში. გიყვართ ეს პროცესი?

— მაინტერესებს, მაგრამ ქართულ სამზარეულოს მაინც არაფერი მირჩევნია! აღმოსავლური სამზარეულოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ჩინური და ინდური სამზარეულო ძალიან მიყვარს, გერმანული კი ნაკლებად მხიბლავს. გერმანულ რესტორანში იშვიათად შევდივარ. მათ სამზარეულოსთან დაკავშირებით ერთი აღმოჩენა გავაკეთე. ეს ტრადიცია იმ პროცესს უკავშირდება, როცა ახალი ღვინო

„ამერიკაში ჩასვლა საოცრად მიხარია, ოღონდ იქ ვერასოდეს ვიცხოვრებ. იქაურობა ნამდვილად გიზიდავს, მით უმეტეს, ოცა დაუნ თაუნს ნახავ! იქ დაინახავ, 22-ე საუკუნე ოგორი იქნება".

შემოდის და ძველი ღვინო უნდა გაიყიდოს. თან ახალ-ახალი პროდუქტი ძალიან იაფად იყიდება. ამის მომსწრე მეგობრებთან ერთად გავხდი, მათ წამიყვანეს. იქვე ცხვება პური, მზადდება კერძები და სუფრებია გაშლილი. როცა ქართველები ვქეიფობთ, უცხო ხალხი არ გვჭირდება. იქ კი დიდ სუფრასთან სრულიად უცხო ადამიანებში აღმოვჩნდით. ქართველ კაცს თუ გერმანიაში სუფრის ტრადიცია გამაოცებდა, ნამდვილად არ მეგონა!

— თქვენი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, ალბათ თვითმფრინავში ჩაჯდომა ხშირად გიწევთ. როგორ გრძნობთ თავს ფრენის პროცესში?

— თვითმფრინავი ის ერთადერთი შანსია, რომლითაც შეგიძლია შორეულ ქვეყნებში მოხვდე. შინაგანად უკვე ისე მივეჩვიე, არანაირი პრობლემა არ მაქვს. თუ გინდა, საქმე აკეთო, ამ ტრანსპორტთან უნდა იმეგობრო. ჩემი მეთოდები მაქვს, როგორ გავიყვანო თვითმფრინავში 10 საათი. მიმაქვს პროგრამა და გზაში ვმეცადინეობ. ამ მხრივ მგზავრობის დრო ჩემთვის აუცილებელია. ერთხელ შანხაიში ისე ჩავფრინდი, ვერც გავიგე, 12 საათი როგორ გავიდა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

„სადაც შოპინგზე ჩემი ნებით დავდივარ, ეს მუსიკალური მაღაზიებია".

თიმფუ – ჰიმალაის იდუმალი ზღაპარი

თიმფუ აზიაში მდებარე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე იზოლირებული ქვეყნის, ბუტანის დედაქალაქია (1961 წლიდან). ქალაქი გაშენებულია მდინარე ვანგ ჩუს დასავლეთ ნაპირზე, ზღვის დონიდან 2400 მეტრზე. თიმფუ, ისევე როგორც ბუტანი, იდუმალებით მოცული ერთ-ერთი აზიური მხარეა. ეს ტურისტული ნაკადის შეზღუდვითაა განპირობებული. ქვეყანაში წელიწადში 10 000 ტურისტის შესვლაა დაშვებული და მათ მთელი ტერიტორიის მხოლოდ 10%-ის დათვალიერების უფლება აქვთ. როგორც ირკვევა, ეს 10 პროცენტიც საკმარისია იმისთვის, რომ ბუტანი შეგიყვარდეთ.

თიმფუ, მეზობელი ინდოეთის წყალობით, უძველესი დროიდან იზიდავდა ვაჭრებსა და მოგზაურებს. თითოეული ტურისტი თიმფუში ზღაპრულ სამყაროს პოულობს.

ჯიმატი

თიმფუსათვის სუბტროპიკული კლიმატია დამახასიათებელი. იქ ძირითადად ორი სეზონია — წვიმიანი და მშრალი. წვიმები ივნისის ბოლოდან იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება. ამ დროს ტემპერატურა 8-21 გრადუსამდე მერყეობს. თიმფუში ღამით, განსაკუთრებით კი ზამთარში, ძალიან ცივა. ტურისტული სეზონი ოქტომბერ-ნოემბერში და აპრილ-მაისშია. ამ დროს არც ცხელა და იშვიათადაც წვიმს. თუ დედაქალაქში სხვა სეზონზე ჩახვალთ, შეიძლება ძლიერმა წვიმებმა მოგზაურობაში ხელი შეგიშალოთ.

თიმფუში ზამთრობით კონტინენტური მშრალი ქარი უბერავს, თუმცა ჰაერის ცივი მასების გავრცელებას მაღალი მთები ეწინააღმდეგება. ამის გამო წლის ამ სეზონზე ქალაქში ტემპერატურა ცვალებადია. ზაფხულობით კი ინდოეთის ოკეანიდან სასიამოვნო ქარი უბერავს.

ენა

ინგლისური და ძონგკხა (ტიბეტურის მსგავსი ენა) ქვეყნის ოფიციალური ენებია. განათლება ორივე ენაზე მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ძონგკხას დამწერლობისთვის ტიბეტური ანბანი გამოიყენება.

სახელმწიფო ენების შემდეგ პოპულარობით სარგებლობს ინდოეთის ოფიციალური ენა ჰინდი. ადგილობრივი მცხოვრებნი მას კარგად ფლობენ.

ფული

ნგულტრუმი ბუტანის ოფიციალური ვალუტაა. 1 ამერიკული დოლარი 45 ნგულტრუმის ტოლფასია. ხურდაში დახეული ან გაცრეცილი ფულის აღებას ერიდეთ, რადგან მისი გასაღება ძალიან გაგიჭირდებათ. ეროვნულ ვალუტასთან ერთად ამერიკული დოლარით სარგებლობასაც თავისუფლად შეძლებთ.

საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით ქალაქში პრობლემები შეგექმნებათ, რადგან მათ გამოყენებას მხოლოდ უმაღლესი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში თუ შეძლებთ. ასეთები კი თიმფუში, შეიძლება ითქვას, თითზე ჩამოსათვლელია.

ჰელიგია

დრუკპა კაგიუს ტიბეტური სკოლა, როგორც ოფიციალური რელიგია, ქვეყნის მოსახლეობის 70%-ს მოიცავს. ბუტანში ასევე გავრცელებულია ბუდისტური სკოლა ნინგმა. მოსახლეობის 25% ინდუიზმის მიმდევარია, ხოლო 5%-ს მუსლიმები შეადგენენ.

გადაადგილება

თიმფუში ჩასვლა ძირითადად თვითმფრინავითაა შესაძლებელი. ქვეყნის ერთადერთი აეროპორტი დედაქალაქიდან 55 კილომეტრში, ქალაქ პაროში მდებარეობს. თვითმფრინავის ბილეთის ფასი აზიის ქვეყნებიდან 400 დოლარიდან იწყება. მთიანი და ბორცვიანი რელიეფის გამო ქალაქში არ არსებობს სარკინიგზო სისტემა. რაც შეეხება თავად ქალაქში გადაადგილებას, ოპტიმალური საშუალება ავტობუსი გახლავთ, რომელიც ყოველთვის გადაჭედილი და არაკომფორტულია. ტურისტების უმრავლესობა თიმფუში ფეხით დადის.

მანქანის დასაქირავებლად სპეციალური სააგენტოები არ არსებობს, ამიტომ დაქირავებას კერძო პირისგან თუ შეძლებთ. ამ სიამოვნებაში კი მთელი დღით მხოლოდ 5 დოლარის გადახდა მოგიწევთ.

სამზარეული

ბუტანის ნაციონალური სამზარეულო მრავალფეროვანია. კერძების უმრავლესობა ბრინჯით მზადდება, რომლის შემდეგაც პოპულარულია ხორცი და ბოსტნეული. დედაქალაქში ვეგეტარიანელებისათვის განკუთვნილი უამრავი რესტორანია. ადგილობრივები იშვიათად მიირთმევენ გარეთ, რადგან, მათი აზრით, ვინც ქუჩაში ჭამს, ზარმაცი და უქნარაა. აქედან გამომდინარე, დედაქალაქში სწრაფი კვების ობიექტები თითზე ჩამოსათვლელია.

იქაურ ბარებში სრულიად განსხვავებული სიტუაციაა — ღუდის ნაცვლად ჩაის სვამენ და ტელევიზორს უყურებენ.

ბუტანის ეროვნული სამზარეულო ცხარე, ცხელი კერძებითაა ცნობილი. იშვიათად მიირთმევენ ტკბილეულს. ტრადიციული საჭმელებიდან გამოირჩევა ემა დაში, პუტა, მომო და სუჯა, რომლებიც ხორცით, სანელებლებითა და ბრინჯით მზადდება.

საშუალო დონის რესტორნებში ფასები 90-150 ნგულტრუმამდე მერყეობს. ხორცი იმდენად პოპულარულია, რომ მის ჭამას ბუტანელი ბერებიც კი არ ერიდებიან. რძე და ჩაი ერთნაირად პოპულარულია. ქვეყანაში ალკოჰოლს ბრინჯისაგან ამზადებენ. მათგან გამოირჩევა ვისკის მსგავსი სასმელი, რომელსაც „არა“ ჰქვია. გაითვალისწინეთ, რესტორნებში ხელის ქირის დატოვება საავალდებულო არ არის.

ღირსშესანიშნაობები

თიმფუ ჰიმალაის მთიანეთში მდებარეობს და ტურისტების უმრავლესობაც სწორედ ჰიმალაის სამყაროს დასათვალიერებლად სტუმრობს. ულამაზესი ბუნება ქალაქს უდიდეს შარმს სძენს. მსოფლიოში თიმფუ ბუდისტური ტაძრების სიმრავლითაა განთქმული. მათგან ყველაზე შთამბეჭდავ არქიტექტურულ ნამუშევარს ისტორიული მონუმენტი თიმფუ-ჩორტენი წარმოადგენს.

ტურისტების სიმრავლით ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა ტაშიჩოს ციხესიმაგრე, რომელიც მე-13 საუკუნეშია აგებული და მისი რესტავრირება მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მოხდა. 1952 წლიდან აქ განთავსებულია ქვეყნის მთავრობა. ზაფხულობით აქ ცხოვრობს ქვეყნის სასულიერო ლიდერი ჯე კენპო. ქვეყნის მეფეს, ჯიგმე ხესარ ნამგიელ ვანგჩუკის კი ამ ციხესიმაგრეში სამუშაო კაბინეტი აქვს.

თიმფუს ჩრდილოეთითაა მეფის ოფიციალური რეზიდენცია დენჩენჩოლინგის სასახლე. ქალაქიდან არცთუ შორსაა ტანგოს და ჩერის მონასტრები.

სწორედ თიმფუშია ბუტანის მთავრობა, პარლამენტი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება იქ მიიღება. დედაქალაქშია ასევე უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები, გაერო-ს ოფისი და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია.

თიმფუში თავმოყრილია ქვეყნის უდიდესი სასტუმროები, სადაც ტურისტების უმეტესობა შემოდგომის ფესტივალის — ცეჩუს დროს ჩერდება.

ქალაქში მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი ბუდისტური უნივერსიტეტი ძონგ სიმტოკხა. შენობა მე-17 საუკუნეში ისე აშენდა, როგორც ციხესიმაგრე.

თიმფუ ერთადერთი დედაქალაქია, სადაც შუქნიშნები არ არსებობს და მათ მაგივრობას პოლიციელები ასრულებენ. გაითვალისწინეთ, რომ დედაქალაქში ღამის ცხოვრება თითქმის არ არსებობს.

უსაფრთხოების ნესები

თიმფუში კრიმინალური ქმედება მხოლოდ ჯიბის ქურდობით შემოიფარგლება. აქ არ არის ქურდობა, სიღარიბე. ადგილობრივები საოცრად რელიგიურები და მოკრძალებულები არიან. ზრდილობიანი მოქცევა და ადგილობრივებისადმი პატივისცემა საუკეთესო დასვენების საშუალებას მოგცემთ.

ეცადეთ, ქუჩაში და, მით უმეტეს, მონასტრებში მოკრძალებულად ჩაცმულები შეხვიდეთ. სიგარეტის მოწევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სასტიკად აკრძალულია.

ქვეყანაში ასევე აკრძალულია ემიგრაცია. უშვებენ მხოლოდ ინდუსებს და ისიც — სამუშაო ვიზით. როდესაც ვიზას ვადა გასდის, მათ უკან აბრუნებენ.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — ბუტანი;
დედაქალაქი — თიმფუ;
მოსახლეობა — 98.676;
ოფიციალური ენა — ინგლისური, ძონგკხა;
ოფიციალური ვალუტა — ნგულტრუმი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

საინტერესო აღმოჩენები კვების პროდუქტების შესახებ

ზოგიერთი სახის პროდუქტი ნამდვილად ეხმარება ახალგაზრდობის შენარჩუნებას.

ხილი და ბოსტნეული ინფარქტისგან იცავს. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის სპეციალისტებმა 40-დან 83 წლამდე 30 ათასზე მეტი ქალი გამოიკვლიეს. გაირკვა, რომ ყოველდღიურად 3-5 ულუფა ბოსტნეულის, ხილისა და მწვანილის მოხმარება ინფარქტის რისკს 42%-ით ამცირებს.

ყავა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. ამის შესახებ იტყობინება აშშ-ის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი. გაირკვა, რომ ადამიანები, რომლებიც დღეში 1-2 ფინჯან ყავას სვამენ, 1-1,5 წლით მეტხანს ცოცხლობენ იმათთან შედარებით, ვინც ამ სასმელს საერთოდ არ მიირთმევს.

ქუნჯუტისა (შირბახტი) და ბრინჯის ქატო სისხლის წნევას ნორმამდე აქვეითებს. ამ ეფექტს იძლევა მასში არსებული ცხიმმჟავები. ასეთი დასკვნა გააკეთეს ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევრებმა.

მწვანე ჩაი საყლაპავი სისტემის კიბოს განვითარების რისკს ამცირებს. ამ დაავადების განვითარების საშიშროება 17-21%-ით შემცირდება, თუ ერთ თვეში 150 გრამ მწვანე ჩაის გამოიყენებთ. ასეთია აშშ-ის ონკოლოგიური ცენტრის კვლევის შედეგები.

რომელი ტაფა ჯობია?

ჩვენს სამზარეულოში ტაფა საპატიო ადგილს იჭერს. მასზეა დამოკიდებული მრავალი კერძის ხარისხი. სადღეისოდ ბაზარზე წარმოდგენილია სხვადასხვა ლითონისა და შენადნობის მოდელები, მაგრამ ნამდვილად კარგი ტაფის შერჩევა ადვილი არ არის.

თუჯი. ამ მასალის ტაფა გამძლეა და დეფორმაციას ნაკლებად განიცდის. გამოიყენება როგორც ნელი მოშუშვისთვის, ასევე სწრაფად შესაწვავად, ვინაიდან სითბო ტაფის ზედაპირზე თანაბრად ნაწილდება.

პლუსი: მუდმივია, უნივერსალურია.

მინუსი: მძიმეა, ნელა ცხელდება, ჟანგი ედება.

ალუმინი. ამ ლითონმა სადღეისოდ თავისი პოზიცია დათმო. მიჩნეულია, რომ ჯანმრთელობისთვის მთლად უსაფრთხო არ არის.

პლუსი: მსუბუქია, დაბალი ფასი.

მინუსი: მიდრეკილება აქვს, რეაქციაში შევიდეს მჟავებთან და ტუტესთან. გახურების დროს დეფორმაციას განიცდის, ნაკაწრები ჩნდება. მომსახურების მოკლე ვადა აქვს.

უჟანგავი ფოლადი. ეს შენადნობი არაფერთან ურთიერთმოქმედებს, ამიტომ ასეთ ტაფაზე მომზადებული საჭელი უფრო ჯანსაღია.

პლუსი: დაბალი ფასი. უსაფრთხო.

მინუსი: ცუდად ირეცხება. სითბო მთელ ზედაპირზე არათანაბრად ნაწილდება.

ტეფლონი (ფთოროპლასტი).

პლუსი: კერძი შეიძლება უცხიმოდ მომზადდეს.

მინუსი: ტეფლონი დროთა განმავლობაში განილევა, ადვილად იკაწრება. 200 გრადუსზე გაცხელებისას ტოქსიკურ და კანცეროგენულ ნაერთებს გამოყოფს.

კერამიკა. შედარებით ახალი სახეობაა. ასეთი საფარველი ძლიერ წააგავს ცეცხლგამძლე მინას: მძიმეა, ცეცხლგამძლეა (450 გრადუსზე გაცხელებას იტანს), ეკოლოგიურად სუფთაა.

პლუსი: სადღეისოდ საუკეთესო არჩევანია.

მინუსი: საფარველი მუდმივი არ არის. ტემპერატურის სხვაობის შედეგად მიკრობზარები ჩნდება.

ქლიავი ჯანმრთელობისთვის

თავისი კვებითი ღირებულების წყალობით, ქლიავი ნერვულ სისტემას ამაგრებს და ტვინის მუშაობას აუმჯობესებს. ორგანიზმს წმენდს და მის ვიტამინურ მარაგს ავსებს.

ქლიავი თავისი დიდებული ბიოლოგიური თვისებებით ფართოდ გამოიყენება არამხოლოდ როგორც დიეტური, ასევე როგორც საწამლო პროდუქტი.

მასში განსაკუთრებით მაღალია P აქტიური ნაერთების, B_3 ვიტამინისა და კაროტინის შემცველობა. ქლიავი წყაროა კალიუმის, ნატრიუმის, ფოსფორის, მაგნიუმის, მანგანუმის, ქრომისა და სხვა მნიშვნელოვანი ქიმიური ნაერთებისა. ეს ხილი სასარგებლოა ბევრი დაავადების დროს.

ქრონიკული ყაბზობის შემთხვევაში შეგიძლიათ ასეთი ნარევი მოამზადოთ: ქლიავი, ლეღვი და გარგარის ჩირი (თანაბარი რაოდენობით) ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, თაფლი დაუმატეთ. 1 სუფრის კოვზი ნარევი დილით, უზმოზე, საუზმემდე 30 წუთით ადრე მიიღეთ (1 ჭიქა ცივი წყალი დააყოლეთ) და საღამოს ვახშმის წინ (კეფირი დააყოლეთ).

ღვიძლისა და თირკმლების დაავადებების დროს სასარგებლოა ქლიავის კომპოტის დალევა.

შეშუპების დროს რეკომენდებულია მოხარშული ჭარხლისა და ქლიავის სალათა (იოგურტით შეაზავეთ) რეგულარულად ჭამოთ.

სისხლნაკლულობისდროს განსაკუთრებით სასარგებლოა ღურჯ-იასამნისფერი და წითელი ნაყოფი.

ჰიპერტონიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და თრომბოფლებიტის დროს ქლიავი და მისი წვენი სისხლის მწებვარობას ამცირებს, ორგანიზმიდან ცუდი ქოლესტერინი, ზედმეტი წყალი და მარილები გამოაქვს.

რევმატიზმისა და პოდაგრის დროს, დღეში 3-ჯერ ქლიავი და ნახევარი ჭიქა ახალგამოწურული წვენი (რომელშიც დამატებული იქნება 1 ჩაის კოვზი თაფლი), ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიირთვით.

მსუბუქი დიეტა ზაფხულში. ნაშუადღევს 200 გრამი ქორფა ქლიავი ჭამეთ. თუ ასეთ დიეტას 2 კვირა დაიცავთ, კანი გასუფთავდება, ხოლო წონა ნორმალური გახდება.

შენიშვნა: ქლიავის წვენი და ქლიავი უკუნაჩვენებია სიმსუქნის, დიაბეტის, კუჭის მომატებული მჟავიანობის დროს.

Cyan Magenta Yellow Black

ყინული — ანტისტრესი

ყინული არამხოლოდ სასმელების გასაციებლადაა კარგი. ის სლოკინის, გადაღლისა და თავის ტკივილის დროსაც ეხმარება. სლოკინის დროს ყინული პირველი დახმარების საშუალებაა. ეს უსიამოვნება შეიძლება ცხარე საჭმლის, მღელვარებისა და სხვა ვითარებებში აღმოცენდეს. საკმარისია ყინულის პატარა ნატეხი მოწუწნოთ და სლოკინიც გაივლის.

ყინული ასევე ეფექტურია თავის ტკივილის დროს. დაწექით და საფეთქლებზე ორივე მხარეს თითო ნატეხი ყინული დაიდეთ. დაიტოვეთ, სანამ არ დადნება. რამდენიმე წუთის შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ. ჩვეულებრივ, ამის გაკეთება საკმარისია 3-ჯერ, რათა თავის ტკივილმა გაიაროს. წინასწარ თავქვეშ პირსახოცი დაიდეთ, გამდნარი წყლის გამო რომ არ შეწუხდეთ.

გადაღლის დროს ჯამში ყინულის პატარა ნატეხები მოათავსეთ. შიგ ხელები მორიგეობით ჩაყავით. ზუსტად ასე გააკეთეთ ფეხებზეც.

ყინულთან ასეთი მანიპულაციების შემდეგ დაღლა თქვენს სხეულს დატოვებს. საჭირო არ არის ყავის ზედმეტად დალევა, ყინულის დახმარებაც საკმარისია.

ჰოგოჰ შევინახოთ თაფლი

თაფლი უნიკალური პროდუქტია. შეუძლია გემო, არომატი და სამკურნალო თვისებები მრავალი წელი შეინარჩუნოს. თავისი სასარგებლო თვისებები რომ არ დაკარგოს, მისი შენახვისა და გამოყენების ძირითად წესებს ყურადღება მიაქციეთ.

თაფლის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა 0-დან პლუს 10 გრადუსია. მინუს ტემპერატურაზე ზოგიერთი სასარგებლო ამინომჟავა და ვიტამინი იშლება, ხოლო უფრო მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გემოზე, არომატსა და თაფლის ფერზე გავლენა მოახდინოს.

თაფლი 40 გრადუსზე ზევით ტემპერატურაზე გაცხელებისას პრაქტიკულად მის ყველა სასარგებლო სამკურნალო თვისებას კარგავს და უბრალო დამატკბობელი ხდება.

მოთუთიებული თუნუქის ჭურჭელი, რკინის, ხის კასრი თაფლის შესანახად არ გამოდგება. თაფლი ყველაზე კარგად მინის და კერამიკის მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში ინახება.

მაღალი ტენიანობის დროს თაფლი ჰაერიდან წყალს ისრუტავს, მოცულობაში იზრდება. ამ დროს სამკურნალო თვისებები არ იკარგება, მაგრამ სასარგებლო ნივთიერებების ნაწილობრივ განზავება ხდება.

ნატურალური თაფლი დროთა განმავლობაში ყოველთვის კრისტალდება და შეიძლება ცოტა გამუქდეს. ეს მის სარგებლობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს, მაგრამ თუ ზამთარში თხევადია, მაშასადამე, თერმული დამუშავება განიცადა და სამკურნალო თვისებები დაკარგა.

იაპონური ღიმილის საოცარი ძალა

იაპონური მკურნალობის ეს, ერთი შეხედვით, სასაცილო მეთოდი, თითქმის ნებისმიერი დაავადების დროს ეხმარება. სავარჯიშოს არსი შემდეგში მდგომარეობს.

ყოველ დილით, პირის დაბანის შემდეგ, სარკეში თავს ზუსტად 5 წუთი უყურეთ თან მთელი ძალით გაიღიმეთ. დრო ზუსტად რომ დაიცვათ, მაღვიძარა დააყენეთ. სავარჯიშო რთულია, ვინაიდან რაც შეიძლება ძლიერ უნდა გაიღიმოთ. უკვე რამდენიმე წამის შემდეგ ღაწვები და სახის ყველა კუნთი აგტკივდებათ. მთელი საიდუმლოც სწორედ ამაშია. ტუჩების ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებული წერტილების გააქტიურებას ეხმარება და ორგანიზმი თავისით იკურნება.

დილის ღიმილის უკვე ერთი კვირის შემდეგ თავს უკეთესად იგრძნობთ. ნუ დაიზარებთ და თქვენი ყოველი დღე „იაპონური ღიმილით“ დაიწყეთ. რა თქმა უნდა, სასაცილო სავარჯიშოა, მაგრამ შედეგი შესანიშნავია.

თხილი – გულის ფაბალი

თხილი ბევრ კალციუმს შეიცავს, რომელიც გულის კუნთის კარგი მუშაობისთვის აუცილებელია. ასევე მდიდარია გლიცერიდებით და ცხიმმჟავებით. ისინი სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს და ათეროსკლეროზის აღმოცენებას თავიდან აგაცილებთ. თხილი შესანიშნავად ცვლის ცხიმიან ხორცს, რომლის მოხმარება გულის პრობლემების დროს უნდა შეზღუდოთ. გარდა ამისა, თხილი ენერგიით ავსებს, ზედმეტი კილოგრამები არ გროვდება (თუ ბოროტად არ ისარგებლეთ).

თხილში ბევრია E ვიტამინი, რომელიც რეპროდუქციული სისტემის ნორმალური მუშაობისთვის, ასევე კანისა და თმისთვის აუცილებელია, ხოლო თხილის შემადგენლობაში არსებული განსაკუთრებული ნაერთი პაკლიტაქსელი, სიმსივნის განვითარებას თავიდან აგაცილებთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იძონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ბოსტნეული სილამაზის სამსახურში

ქინაური კოსმეტიკისთვის ჩვეულებრივი მწვანილი უნიკალური ნედლეულია.

ოხრახუში ვიტამინების წყაროა. მასში C ვიტამინი 5-ჯერ მეტია, ვიდრე ლიმონში. ის ერთ-ერთ საუკეთესო ბუნებრივ გამწმენდ საშუალებად ითვლება. აგრეთვე მდიდარია A და E ვიტამინებით, რომლებიც კანის გაღიზიანებას აქრობენ და უჯრედების აღდგენას ეხმარებიან.

კამა C და B ჯგუფის ვიტამინებს, კაროტინოიდებს, ნიკოტინისა და ფოლის მჟავებს შეიცავს. მასში ბევრი კალციუმის მარილი და ისეთი ძვირფასი მიკროელემენტებია, როგორიცაა: რკინა, კალიუმი, ფოსფორი. კანს ათეთრებს, ჭორფლისგან წმენდს, თვალების შეშუპებას აქრობს, კანს აახალგაზრდავებს და აცოცხლებს. დაქუცმაცებული კამა შეგიძლიათ სხვა კომპონენტებს შეურიოთ. მიღებული ნიღაბი შესანიშნავად კვებავს და ატონიზირებს.

მჟაუნა ვიტამინებისა და ეთერზეთების გარდა, ორგანულ მჟავებს შეიცავს. მასში ასევე არის დუბილური და აუცილებელი მინერალური ნაერთები (კალციუმი, მაგნიუმი, რკინა, ფოსფორი). კანს მსუბუქად ათეთრებს, ატონიზირებს, წმენდს და მკვრივს ხდის.

მწვანე ბოსტნეული პრაქტიკულად გაღიზიანებას არ იწვევს, ამიტომ მათი გამოყენება ხშირად შეიძლება. შედეგი უკვე 2-3 ნიღბის შემდეგ ჩანს. მაგრამ უმჯობესია, მთლიანი კურსი ჩაიტაროთ (10-12 პროცედურა დღეგამოშვებით).

ჯამის ნიღაბი მშრალი კანისთვის

ყველაზე მარტივი ნიღაბი ასე კეთდება: 1 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ კამას 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი და შვრიის ფქვილი დაუმატეთ. მიღებული ფაფა სახეზე სქელ ფენად დაიდეთ და 15-20 წუთი დაიტოვეთ. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ძალიან სასარგებლოა კომპრესებიც. მწვანე კამა დააქუცმაცეთ. 2 სუფრის კოვზ ნედლეულს 2 ჭიქა წყალი დაასხით და ზომიერ ცეცხლზე 5 წუთი ადუღეთ. გაწურულ ნახარშში მარლა დაასველეთ, ოდნავ გაწურეთ და ოთხ ფენად დაკეცეთ. კომპრესი სახეზე დაიდეთ და დივანზე 20-30 წუთი წამოწექით. ეფექტი შესანიშნავია: სახე გამოცოცხლებული, სუფთა და დასვენებულია.

მჟაუნის ნიღაბი ცხიმიანი კანისთვის

მჟაუნა ბუნების საჩუქარია ცხიმიანი კანისთვის. ფოთლები მდიდარია C ვიტამინით, კაროტინოიდებით, რკინით და ორგანული მჟავებით (ყველა აუცილებელია ცხიმიანი კანისთვის).

მჟაუნის 3-5 ფოთოლი გარეცხეთ და წვრილად დაჭერით. შემდეგ ერთგვაროვან მასად აქციეთ და 2 ჩაის კოვზი უცხიმო ახალი ხაჭო შეურიეთ. ნიღაბი სახეზე 20 წუთი დაიდეთ. შემდეგ ხელსახოცით მოიცილეთ და სახე მჟავე რძით გაიწმინდეთ.

ოხრახუშის ნიღაბი

ოხრახუში თვალების ირგვლივ კანს ნაოჭებისგან იცავს. ერთდროულად შეგიძლიათ გაიკეთოთ ნიღაბი სახისთვისაც. 2 სუფრის კოვზ ოხრახუშის წვენს 1 კვერცხის გული და 1 ჩაის კოვზი არაჟანი, 4-5 წვეთი ნემსიწვერას ეთერზეთი დაუმატეთ. ნარევი სუფთა სახეზე დაიდეთ. ნიღაბი ათეთრებს და კანს ატონიზირებს.

დაქუცმაცებული ოხრახუში ერთგვაროვან მასად აქციეთ, მარლაში გაახვიეთ და ქუთუთოზე დაიდეთ. ზემოდან სველი ხელსახოცი დააფარეთ. 15-20 წუთი გაიჩერეთ. დღეგამოშვებით გაიკეთეთ. ასეთი კომპრესი თვალებს ბრწყინვას შემატებს.

ზამთარშიც და ზაფხულშიც ოხრახუშის ფოთლების ნახარში მოამზადეთ და გაყინეთ. ეს კოსმეტიკური ყინული კანს შესანიშნავად ატონიზირებს.

ჯიტრისა და პომიდვრის ნიღბები

გახეხილი ან რგოლებად დაჭრილი კიტრი კანს შესანიშნავად კვებავს, ატენიანებს და ათეთრებს. სასარგებლოა გაფართოებული ფორების დროს.

გახეხილი კიტრის კანი (მშრალი კანის შემთხვევაში ზეითუნის ზეთი დაუმატეთ) 20 წუთი სახეზე დაიდეთ. შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

ცხიმიანი კანისთვის კიტრის გარდა კარგია პომიდვრის ნიღაბი, რომელიც ასევე ფორებს ავიწროებს. პომიდორი დააქუცმაცეთ, 1 ჩაის კოვზი მწვანე ბარდის პიურე დაუმატეთ, სახესა და ყელზე ნახევარი საათი დაიდეთ. თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

სტაფილო თანაბარი გახუჯვისთვის

2 საშუალო ზომის სტაფილო წვრილად გახეხეთ, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი, 1 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი დაუმატეთ და სახეზე 20-25 წუთი დაიდეთ. შემდეგ თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით მოიცილეთ.

ზაფხულმა კანი რომ არ დაგვიბეროს

სამწუხაროდ, ზაფხულში ჩვენი კანი ბერდება. ამაში დამნაშავეა მზე, ცხელი და მშრალი ჰაერი, ქარი. ამის საწინააღმდეგოდ რა ზომები მივიღოთ?

სიცხემ თქვენს სილამაზეს ზიანი რომ არ მიაყენოს, საკმარისია სახის კანის მოვლის სწორი ტაქტიკა შეარჩიოთ, სახელდობრ, გაწმენდა, დაცვა და დატენიანება.

ცხელ დღეებში რეკომენდებულია სახეზე ჩვეულებრივზე ხშირად წყალი გადაივლოთ. ეს კანს აცოცხლებს, ამხნევებს, მტვრისა და ოფლისგან ასუფთავებს.

კანის გასაწმენდად გამოიყენეთ კივის, მწვანე ჩაის, წითელი მოცვის, კიტრის ან მარწყვის ექსტრაქტი.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, გვირილის ნაყენით დაიბანეთ, ხოლო მშრალი კანისთვის უფრო სასარგებლოა, ოთახის ტემპერატურის ანადუღარი ან მინერალური წყალი გამოიყენოთ.

დაბანის შემდეგ სახე აუცილებლად პირსახოცით ან ხელსახოცით გაიმშრალეთ. პრინციპი „თავისით გაშრება“ სითხის აორთქლებას და შედეგად გაუწყლოებას იწვევს.

სახეს ხელებით რაც შეიძლება ნაკლებად შეეხეთ. ზაფხულში ხელისგულებზე მეტი მტვერია, ვიდრე ზამთარში. ასე რომ, ინფექციის შეჭრა და ანთების პროვოცირება ადვილია.

როგორ გავახანგრძლივოთ კანის ახალგაზრდობა

ამის მისაღწევად რამდენიმე წესი დაიცავით.

1. მზეზე ყოფნა შეზღუდეთ. ულტრაიისფერი ცუდად მოქმედებს ცილაზე, რომელიც კანის გლუვ და მკვრივ მდგომარეობაზეა პასუხისმგებელი.

2. გახსოვდეთ, თითოეულ კოსმეტიკურ საშუალებას თავისი გამოყენების დრო აქვს. ანტიმუანგავების შემცველი კრემები დილით წაისვით, კანი დღის განმავლობაში რომ დაიცვას, ხოლო კოლაგენითა და რეტინოლით — ღამით, რათა უჯრედები აღდგეს.

3. არ მოსწიოთ. ნიკოტინი ორგანიზმს აუწყლოებს, კოლაგენისა და ელასტინის ბოჭკოებს შლის, პიგმენტაციას, თვალის ქვეშ წრეებსა და ტომსიკებს აჩენს.

4. სპორტით დაკავდით. წვრთნის დროს კანში სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება. გასაკვირი არ არის, რომ ვარჯიწის შემდეგ კანი უფრო ალისფრად და ჯანსაღად გამოიყურება.

5. მოდუნდით. ახალგაზრდობის მთავარი მტერი სტრესია. როდესაც დაძაბული ხართ, სისხლში კორტიზოლის დონე იმატებს, რაც კანის დაბერების ერთ-ერთი მიზეზია.

სპეციალური დაცვა

ზაფხულში დილით მაკიაჟის გაკეთება ძნელია. დაბანას ვერც კი ასწრებთ, რომ კანი ისევ ოფლის წვეთებით იფარება. როგორ მოიქცეთ?

გამოსავალი მარტივია. თუ კანი ოფლიანდება, მუხის ქერქის ან კრაზანის ბალახის ნაყენი რაც შეიძლება ხშირად წაისვით.

რეცეპტი. 1 სუფრის კოვზ მუხის ქერქს 300 მლ წყალი დაასხით და 5 წუთი ადუღეთ. როდესაც ნაყენი გაგრილდება, გაწურეთ, ბოთლში გადაასხით და მაცივარში არაუმეტეს სამი დღისა შეინახეთ. ნებისმიერი შესაძლებლობისას სახე გაიწმინდეთ. შეგიძლიათ ნაყენი სპრეის მაგივრად გამოიყენოთ.

ზუსტად ასე გამოიყენება გამხმარი კრაზანის ნაყენი. თანაფარდობაც იგივეა, მაგრამ მომზადების წესი უფრო მარტივია. ბალახს მდუღარე დაასხით და ნახევარი საათი დადგით.

კანზე ასევე სასიკეთოდ მოქმედებს რძე. თუ დილით სახესა და ყელს რძით გაიწმენდთ, რძის ცხიმი კანის დამცავ ფუნქციას აღადგენს, ხოლო მაწონი ან შრატი, რძის მჟავის წყალობით, ტენის შენარჩუნებას ეხმარება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ზაფხულში პატარების კუჭ-ნაწლავს საფრთხე ემუქრება!

ამწვავე ნაწლავური ინფექციები სეზონური დაავადებებია, რომლებიც სიცხეში განსაკუთრებულად აწუხებთ ბავშვებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სიცხეში საკვები მალე ფუჭდება, ხშირად კი მათი შენახვის პირობებიც არაა დაცული. სიტუაციას ამწვავებს მომრავლებული მწერებიც. საერთოდ, სიცხე ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს, ბევრი სისტემისა და ორგანოს ნორმალური მუშაობის პროცესი ირღვევა, შედეგად კი ორგანიზმი სუსტდება.

დაავადების გამომწვევი მიკრობები საკვებში სხვადასხვა გზით ხვდება — შენახვის არასათანადო პირობები, ჰიგიენური ნორმების უგულებელყოფა... მიკრობები განსაკუთრებით სწრაფად მრავლდებიან რძის პროდუქტებში, კრემიან საკონდიტრო ნაწარმში. მიკრობები ტოქსინებს გამოყოფენ და ჩნდება შემდეგი ჩივილები: ღებინება, კუჭის აშლილობა, მუცლის არეში ტკივილები. შესაძლოა პატარებში თავი იჩინოს მაღალმა სიცხემაც.

დაავადების გადამტანები არიან მწერებიც, განსაკუთრებით ბუზები, რომლებიც საკვებსაც აინფიცირებენ და ჭურჭელსაც. თუ ჰიგიენური ნორმები დაცული არ იქნება, დაინფიცირების ალბათობა 100%-ს უტოლდება.

ნაწლავური ინფექციებიდან ზაფხულში პატარებში ყველაზე გავრცელებულია სალმონელოზი, სტაფილოკოკი, დიზენტერია.

ხოგოს დავიცვათ შვილები

რძე აუცილებლად უნდა წამოვადულოთ, მიუხედავად იმისა, პასტერიზებულია თუ არა ის. სასურველია, პატარებს ვაჭამოთ მხოლოდ პასტერიზებული ხაჭო, რომლის შეძენისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება შენახვის ვადას.

სიცხე განსაკუთრებით საშიშია რძისთვის, კარაქისთვის, ფარშისთვის, ხილისა და ბოსტნეულის სალათებისთვის, ამიტომ არავითარ შემთხვევაში დატოვოთ ისინი მაცივრის გარეშე.

3 წლამდე ასაკის ბავშვებს ზაფხულში მხოლოდ ახალმომზადებული კერძები მიეცით. თუ საჭმელი დარჩა, ის აუცილებლად მაცივარში შეინახეთ.

ხორცეულისა და თევზეულისთვის აუცილებელია ცალკე დანა და საჭრელი დაფა.

დაიცავით საკვები პროდუქტები ბუზებისგან. ბუზებმა საკვები რომ არ დააინფიცირონ, აუცილებელია, ნაგვის ურნა ყოველთვის თავდახურული იყოს. მაგიდაზე დადებულ პროდუქტებს კი აუცილებლად ხელსახოცი უნდა გადააფაროთ.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ტუალეტიდან ყოველი გამოსვლის შემდეგ ბავშვმა საპნით კარგად დაიბანოს ხელები, ასევე — შინაურ ცხოველებთან ახლო კონტაქტის დროს.

არავითარ შემთხვევაში დაალევინოთ ბავშვს ზაფხულში გადაუდუღებელი წყალი. კატეგორიულად დაუშვებელია, პატარამ გადაყლაპოს აუზის ან ზღვის წყალი. ეს კუჭ-ნაწლავისთვის სახიფათოა.

თუ ბავშვი ძუძუზე გყავთ, ეცადეთ, ზაფხულში ძუძუს წოვაზე უარი არ ათქმევინოთ, რადგან მის კუჭ-ნაწლავს ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დასჭირდება და საკვების მომნელებელი სისტემა დასუსტებული იქნება.

კატეგორიულად აკრძალულია პატარასთვის თვითნებურად ანტიბიოტიკების მიცემა. ეს საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ექიმმა უნდა გადაწყვიტოს და მკურნალობის კურსიც მან შეარჩიოს.

არავითარ შემთხვევაში მისცეთ ამ პერიოდში ბავშვს ფაღარათის საწინააღმდეგო წამლები, რადგან შეიძლება ნაწლავებში ე.წ. განავლის საცობი წარმოიქმნას, რაც თავის მხრივ დაავადების განვითარების ხელშემწყობია.

ასევე იფრთხილეთ ფერმენტული პრეპარატების მიმართ. მათი მიცემა შეიძლება კუჭქვეშა ჯირკვლის გაღიზიანების მიზეზი გახდეს, რაც ასევე სახიფათოა.

პირველი დახმარება

შიმშილი საუკეთესო საშუალებაა! კუჭ-ნაწლავის დაავადების შემთხვევაში სასურველია საკვებისმიერი პაუზის გაკეთება. ძუძუზე მყოფი ბავშვებისთვის ეს პაუზა შეიძლება 6 საათი იყოს, 3 და მეტი წლის პატარების შემთხვევაში კი 12 საათამდეც გახანგრძლივდეს. ამ პერიოდში მნიშვნელოვანია ბავშვის ორგანიზმის სითხეებით დატვირთვა — დაალევინეთ წყალი, მინერალური გაზგასული წყალი, კომპოტი (სასურველია უშაქრო), რეჰიდრონის ტიპის საშუალებები.

სამწუხაროდ, ნაწლავური ინფექციები უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე. ამ დროს მავნე მიკრობები ებრძვიან სასარგებლო მიკრობებს და მათი რაოდენობა მცირდება. შედეგად ვითარდება დისბაქტერიოზი. ეს დაავადება კი აუცილებლად კვალიფიციური პედიატრის მკურნალობას ითხოვს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

ეს იცოდით?

❖ როგორც ესპანელი გეოდეზისტები ამტკიცებენ, ესპანეთის ყველაზე დაბალი მთა, ვულკანი ტეიდე, ყოველწლიურად 3 მეტრით დაბლდება. საქმე ისაა, რომ ტურისტებს იქიდან სამახსოვროდ ქვები მიაქვთ.

❖ დადგენილია, რომ ციყვებს მილიონობით ხე აქვთ „დარგული“. მათ მიწაში დამარხული თხილის ამოღება ავიწყდებოდათ.

❖ ვიოლინო 70 სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება.

❖ ტოკიოში ველოსიპედით გაცილებით სწრაფად ივლი, ვიდრე ავტომობილით.

❖ ამერიკაში საქალაქო ავტობუსების მარშრუტების უმეტესობა 8 კილომეტრს არ აღემატება.

❖ გაერო-ს ეკოლოგიური კვლევების თანახმად, მსოფლიო ოკეანის ყოველ კვადრატულ კილომეტრში 18.000 პლასტმასის ნარჩენი დაცურავს.

❖ საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლს 1944 წლიდან 1966 წლამდე 30-ჯერ დაესხნენ თავს, მაგრამ ტერორისტებს ერთხელაც არ გაუმართლათ.

❖ ლუდის მოყვარულთა მხარეში, ბავარიაში, თუ კაცს საკმაოდ „პატივცემული“ მუცელი არა აქვს, ხუმრობით ინვალიდს ეძახიან.

რას შველის მაყვალი

ბრონქიტის (ბრონქების ლორწოვანი გარსის ანთება), ლარინგიტის (ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება), ტრაქეიტის (ტრაქეის ანუ სასულის ლორწოვანი გარსის ანთება) დროს გამოიყენება მაყვლის ნაყენი. 2 სუფრის კოვზ გამხმარ, დაქუცმაცებულ ფოთლებს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით, რამდენიმე საათი თავდახურული ჭურჭლით დადგით, გაწურეთ. 0,5 ჭიქა დღეში 3-ჯერ, თბილი სახით მიიღეთ.

მაყვალი ასევე სასარგებლოა ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადებების დროს. 2 სუფრის კოვზ გამხმარ ფოთლებს 1,5 ჭიქა მდუღარე დაასხით. დადგით, სანამ გაგრილდება. 0,3 ჭიქა დღეში 4-5-ჯერ დალიეთ საკვების მიღების შუალედებში.

კლიმაქსური ნევროზის დროს მაყვლის ნაყოფისა და ფოთლების ჩაი ეხმარება.

Cyan Magenta Yellow Black

ირაკლი აბუსერიძემ ცოლი თვითონ გამოზარდა

„მანდილოსანთან ურთიერთობაში მორიდებული და თავაზიანი ვარ“

საქართველოს რაგბის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ირაკლი აბუსერიძე, ტრადიციული ქართველი ქმარია. თვლის, რომ ქალს ჭკუა კი მოეკითხება, მაგრამ ოჯახში გადამწყვეტი და ბოლო სიტყვა მაინც კაცისაა. მის ცოლს, თეა კვიჟილაძეს, ქმრის კარგად ესმის და ყველანაირად უწყობს ხელს. მისგან კარგი დედა და ცოლი რომ დადგა, ამაში ირაკლი თავის წვლილსაც ხედავს — თეაზე 8 წლით უფროსია, ბავშვობიდან იცნობს და ამბობს, რომ ბევრი რამ ასწავლა. მისთვის ეს მეორე ოჯახია. პირველი ქორწინებიდან 13 წლის ილია ჰყავს. 7 წლის სალომე და 3 წლის გიორგი კი მისი და თეას სიყვარულის ნაყოფი არიან. ირაკლი თვლის, რომ ამ კუთხით გაუმართლა — მის სამივე შვილს საუკეთესო დედები ჰყავს, ისეთი, როგორიც ქართველი ქალი უნდა იყოს.

— ირაკლი, რადგან მანდილოსნებზე უნდა ვისაუბროთ, პირველ რიგში, თქვენი ცხოვრების თანამგზავრზე გკითხავთ. როგორ გაიცანით ის?

— ჩემი ცოლი თეა კვიჟილაძე გახლავთ. შესანიშნავი დედა, მეუღლე და თბილი ადამიანია. ერთ ეზოში ვცხოვრობდით. თვალი რომ დავადგი, ძალიან პატარა იყო. ვცდილობდი, მისი ყურადღება მიმექცია, გამეზარდა. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 8 წელია. უკვე 8 წელია ერთად ვართ.

— ამ წლების განმავლობაში თქვენს ურთიერთობაში რაიმე სიძნელის გადალახვა მოგიწიათ?

— ერთადერთი სირთულე, რაც შეგვხვდა, ის იყო, რომ საფრანგეთში ვთამაშობდი და მის გარეშე 2 წელი მომიწია ცხოვრება. ეს პერიოდი საბუთების კეთებას მოვუნდით. ორივესთვის საკმაოდ რთული იყო, მაგრამ კარგად გვესმოდა, რატომ მოხდა ასე. ალბათ ამ სიშორემ უფრო გაამყარა ჩვენი ურთიერთობა. ეს ჩემი მეორე ოჯახი გახლავთ. პირველი ქორწინებიდან 13 წლის ილია მყავს.

— თეასთვის არ იყო რთული, ცხოვრება დაეწყო ადამიანთან, რომელსაც პირველი ოჯახი დაესვრა?

— თეა რომ მოვიყვანე, პირველ ცოლთან 3 წლის გაშორებული ვიყავი. რა თქმა უნდა, ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა პირველ ოჯახს დავბრუნებოდი, მაგრამ შევძელი და ჩემს გრძნობებში დავარწმუნე. შერიგება რომ მდომებოდა, ჩემს პირველ ცოლს 3 წლის მანძილზე შევურიგდებოდი.

— პირველი ოჯახის დანგრევის მიზეზი ნაადრევი ქორწინება ხომ არ გახდა, როგორც ეს ხშირად ხდება?

— პირველი ოჯახი მართლაც ნაადრევად, 21 წლის ასაკში შევქმენი. ალბათ გამოცდილება ორივეს გვაკლდა, ჩამოყალიბებულები არ ვიყავით. ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ. არადა თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე აირია ურთიერთობა. კიდევ სხვა პრობლემებიც იყო, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მინდა. აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ ჩემი პირველი ცოლი შესანიშნავი დედაა, ბავშვს დიდ ყურადღებას აქცევს. ზუსტად ისეთია, როგორიც ქართველი დედა უნდა იყოს.

> „პირველი ოჯახი ნაადრევად, 21 წლის ასაკში შევქმენი. ალბათ გამოცდილება ორივეს გვაკლდა, ჩამოყალიბებულები არ ვიყავით. ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ. არადა თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე აირია ურთიერთობა...“.

— როგორი უნდა იყოს ქართველი დედა, თქვენი აზრით?

— ქართველი დედა თბილი და ინტელექტუალური უნდა იყოს. თუ გარეგანი და შინაგანი სილამაზე იქნება შერწყმული, ამას რა სჯობს? ოჯახის ერთგული უნდა იყოს, შვილებზე უნდა ზრუნავდეს. მე ქართული ტრადიციების მომხრე ვარ. ქალი და კაცი ოჯახში თანასწორუფლებიანები უნდა იყვნენ, მაგრამ უმეტესად გადაწყვეტილება კაცმა უნდა მიიღოს.

— ამას ექახით თანასწორუფლებიანობას?

— ოჯახში უპირატესობას მამაკაცს ვანიჭებ. ქალი მხოლოდ სამზარეულოში ვიცი, ამ გამონათქვამს არ ვეთანხმები, მაგრამ ქმარ-შვილს არაფერი უნდა მოაკლოს. კინკლაობის გარეშე ოჯახი არ არსებობს, გადამწყვეტი სიტყვა კი ჩემია! ჩემი ცოლი მამამისის კომპანიაში მენეჯერად მუშაობს.

> „ქალი მუდამ ლამაზად უნდა გამოიყურებოდეს. ჩემი აზრით, მან ასაკის შესაბამისად უნდა ჩაიცვას“.

— ოჯახის საქმისა და სამსახურის ერთმანეთთან შეთავსებას ახერხებს?

— ოჯახური ბიზნესია და ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ აქვს, უფრო მეტ დროს ოჯახს უთმობს, გადატვირთული არ არის. ჩემს ცოლს მხოლოდ იმაზე შეიძლება გავუბრაზდე, თუ სახლში ნავარჯიშევი მივალ და საჭმელი არ დამხვდება. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს იშვიათად ხდება. წლების განმავლობაში საფრანგეთში ვცხოვრობდით და დღეში ორი ვარჯიში რომ მქონდა, იცოდა, საჭმელი აუცილებლად უნდა დამხვედროდა. სპორტსმენიც რომ არ ვიყო, ეს აუცილებელია. წლების განმავლობაში მარტო რომ ვცხოვრობდი, მეც ვისწავლე სამზარეულოში რაღაცეების კეთება. მე და ჩემს ცოლს ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

> „ქალი მხოლოდ სამზარეულოში ვიყო, ამ გამონათქვამს არ ვეთანხმები, მაგრამ ქმარ-შვილს არაფერი უნდა მოაკლოს. კინკლაობის გარეშე ოჯახი არ არსებობს, გადამწყვეტი სიტყვა კი ჩემია!“.

— მას რჩევებსაც ეკითხებით?

— არსებობს საკითხები, რის შესახებაც რჩევას შევეკითხები, მაგრამ, როგორც გითხარით, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც მე ვიღებ.

— მის საქმეში ერევით?

— კი. მაგალითად, მის ჩაცმულობაში ვერევი. ისე არ გაიგოთ, რომ რამეს ვუკრძალავ, უბრალოდ რჩევებს ვაძლევ. ქალი მუდამ ლამაზად უნდა გამოიყურებოდეს. ჩემი აზრით, მან ასაკის შესაბამისად უნდა ჩაიცვას. შეიძლება გოგოს ძალიან უბრალოდ ეცვას, მაგრამ უხდებოდეს ან პირიქით, ძალიან ძვირადღირებული ბრენდები ეცვას და არ მოუხდეს.

— ქალი მამაკაცზე პირველ ეფექტს რითი ახდენს?

— ყველაზე თვალშისაცემი ქალის ეშხია. თავს უნდა უვლიდეს და მერე ყველაფერი ჩაცმულობაში გამოჩნდება. ვაფასებ ქალს, რომელიც შეძლებისდაგვარად თავს უვლის. მანდილოსანთან ურთიერთობაში მორიდებული და თავაზიანი ვარ.

— თქვენს მეუღლეს რამდენად ანებივრებთ?

— სიურპრიზებით დიდად არ გამოვირჩევი, მაგრამ თუ ვიცი, რომ რაღაც მოსწონს, აუცილებლად ვყიდულობ. მახსოვს, რაღაც ჩანთა მოსწონდა და ისე ვუყიდე, არც იცოდა. ძალიან გაუხარდა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თეა უფრო მეტ საჩუქარს მიკეთებს, ვიდრე მე. ყოველთვის ვცდილობ, თავისუფალი დრო ცოლ-შვილთან გავატარო.

■ ცოლთან ერთად

— თეას თქვენს პირველ შვილთან როგორი ურთიერთობა აქვს?

— ისინი ერთმანეთს არ იცნობენ... საფრანგეთიდან წელს დავბრუნდით და ისე მოხდა, რომ ერთმანეთი ჯერ ვერ გაიცნეს.

— ქართველ ქალებს რას უსურვებდით?

— მინდა, ყოველთვის ლამაზები იყვნენ. თქვენ რომ არ არსებობდეთ, ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

სკანდალი ნიგერიულ ფეხბურთში

ნიგერიაში სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს სამოყვარულო საფეხბურთო ლიგის ორი მატჩის მონაწილეებს, რომელთაგან ერთი 79:0, ხოლო მეორე 67:0 დასრულდა. კლუბები, რომლებიც ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა თაღლითებად აღიარეს, 10 წლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ. ამ „სამარცხვინო“ მატჩების მონაწილეთა სახელებსა და ფოტოსურათებს ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაცია გამოაქვეყნებს.

უცნაურ საფეხბურთო სპექტაკლში ოთხმა კლუბმა მიიღო მონაწილეობა: „პლატო იუნაიტედ ფიდერსმა“, რომელიც „აკურბოს“ ეთამაშა და „პოლის მაშინმა“, რომელიც „ბაბაიაროს“ შეხვდა. ყველა ეს გუნდი ნიგერიის სამოყვარულო ლიგის მეოთხე დივიზიონში ასპარეზობდა. ეს თამაშები იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ფლეი ოფის მატჩები გახლდათ, რომლის გამარჯვებულიც მომავალი სეზონიდან მესამე დივიზიონში იასპარეზებდა.

„პლატო იუნაიტედ ფიდერსმა“ და „პოლის მაშინმა“ პირველ ტურში მატჩები ერთნაირი ანგარიშით მოიგეს (2:0), მეორე ტურში კი ფრედ (0:0) ითამაშეს. ასე რომ, ბოლო, მესამე ტურში თუ ორივე გუნდი გამარჯვებას მოიპოვებდა, მესამე დივიზიონის საგზურს უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებული მიიღებდა. ორივე მატჩი ერთდროულად მიმდინარეობდა, რათა თამაშები არ ჩაეწყოთ. უკვე პირველ ტაიმში „ფიდერსმა“ „აკურბეს“ შვიდი გოლი გაუტანა. „პოლის მაშინმა“ კი პირველი ტაიმი 6:0 მოიგო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ჯერ ჟურნალი იყო, შოუ ორივე მატჩის მეორე ტაიმში დაიწყო.

თვითმხილველთა თქმით, მსაჯებმა უცნაური გადაწყვეტილებების მიღება დაიწყეს. ისინი სრულიად უსაფუძვლოდ ნიშნავდნენ საჯარიმოებს და მატჩის დროის, 90 წუთის ამოწურვის შემდეგ კიდევ ბევრი წუთი დაამატეს. კლუბების თანამშრომლები კი ბურთის მიმწოდებელი ბიჭების მოვალეობას ასრულებდნენ, რათა მოთამაშეებს რაც შეიძლება სწრაფად განეახლებინათ თამაში.

ერთ-ერთ მატჩზე დამსწრე ჟურნალისტის თქმით, მან მეორე ტაიმში აღმაშფოთებელი ავტოგოლები და მეკარეების საშინელი თამაში იხილა. „პლატო იუნიატედ ფიდერსმა“ მეორე ტაიმში „აკურბეს“ 72 გოლი გაუტანა, ანუ ყოველ 37 წამში ერთი გოლი გაჰქონდა. ზოგჯერ მოთამაშეები გოლის გატანის შემდეგ არც კი ელოდებოდნენ თამაშის მოედნის ცენტრამდე მიტანას. ამ მატჩების საუკეთესო მოთამაშე გახდა „ფიდერსის“ ფეხბურთელი, რომელმაც 14-ჯერ აიღო მეტოქის კარი. ასეთი შედეგის თვით პელეს, მარადონასა და მესისაც კი შეშურდებოდათ. ასევე თავი „გამოიჩინა“ „აკურბეს“ კაპიტანმა საიდ ტიმოტიმ, რომელმაც საკუთარ კარში სამი გოლი გაიტანა.

ოლიმპიური ჩემპიონი დოპინგს იღებდა

■ სტიუარტ ო'გრეიდი

2004 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა ველოსპორტსმენმა სტიუარტ ო'გრეიდიმ აღიარა, რომ დოპინგს იღებდა.

39 წლის მრბოლელმა განაცხადა, რომ აკრძალული პრეპარატები 1998 წლის „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე 2 კვირით ადრე მიიღო. მან ერითროპოეტინი შეიძინა და ისე მიიღო, თავისი გუნდის წევრებს არაფერი უთხრა. იმ დროს სტიუარტი ფრანგული გუნდის Credit Agricole-ს სახელით ასპარეზობდა. ის რბოლა ავსტრალიელმა მრბოლელმა სპრინტერულ ჩათვლაში მეორე ადგილზე დაასრულა.

ო'გრეიდიმ თავისი აღიარება კარიერის დასრულების მეორე დღესვე გააკეთა. ის სპორტს მიმდინარე წლის „ტურ დე ფრანსის“ დამთავრების შემდეგ გამოემშვიდობა.

ო'გრეიდიმ ოლიმპიური ოქროს მედალი მედისონის დისციპლინაში მოიპოვა. ასევე მის ანგარიშზეა 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ვერცხლის მედალი გამოდევნებით გუნდურ რბოლაში და ორი ბრინჯაოს მედალი ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ავსტრალიელ მრბოლელს ასევე მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ოქროს მედალი აქვს მოგებული. 2007 წელს კი პარიზი-რუბეს პრესტიჟული რბოლის გამარჯვებული გახდა.

ისრაელში ფანებს ჩეჩენი ფეხბურთელები არ უყვართ

იერუსალიმის კლუბ „ბეითარის“ ფანებმა გუნდის ვარჯიში ჩაშალეს. ხულიგნებმა საწვრთნელი ბაზის გარშემო შემოვლებული ღობე გაარღვიეს და პიროტექნიკის გამოყენებით იქაურობა დაარბიეს, ხოლო გუნდის ცალკეულ მოთამაშეებს, რომლებმაც გასული სეზონის დასასრულს გუნდის ჩეჩენი ლეგიონერების, ზაურ სადაევისა და ჯაბრაილ კადიევის მიმართ გამოხატეს მხარდაჭერა, ქვები დაუშინეს.

■ ჯაბრაილ კადიევი და ზაურ სადაევი

7 თავდამსხმელი ადგილობრივმა სამართალდამცავებმა დააკავეს და მათ 6 თვემდე პატიმრობა ემუქრებათ.

სადაევი და კადიევი „ბეითარში“ გროზნოს „ტერეკიდან“ 2012-13 წლების შუა სეზონში გადავიდნენ და კლუბის ისტორიაში პირველი მუსლიმი მოთამაშეები გახდნენ. მათი გამოჩენა მეტად ნეგატიურად შეაფასეს კლუბის ფანებმა და ამის გამო არაერთხელ გამართეს აგრესიული საპროტესტო აქციები. მიმდინარე წლის 7 თებერვალს გადაწვეს კლუბის ოფისი, რის შედეგადაც კლუბის მუზეუმიც დაზიანდა. მატჩების დროს „ბეითარის“ გულშემატკივრები სადაევსა და კადიევს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასევე მათი შეურაცხყოფის ობიექტად იქცნენ კლუბის მფლობელი არკადი გაიდამაკი და მისი ოჯახის წევრები.

მიმდინარე წლის აპრილში სადაევმა და კადიევმა ებრაული კლუბი დატოვეს. იმავდროულად გაიდამაკმა „ბეითარის“ გაყიდვის სურვილი გამოთქვა. ივნისში კი მან განაცხადა, რომ სურს, კლუბი ჩეჩენ ბიზნესმენებს დაუთმოს, რამაც გულშემატკივრების მხრიდან მორიგი საპროტესტო ტალღა გამოიწვია. საბოლოოდ გუნდი ებრაელ ბიზნესმენ ელი ტაბიბს გადაეცა, რომელმაც თანხმობა განაცხადა, დაეფარა კლუბის დავალიანება — 3,45 მილიონი დოლარი.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეს იცოდით?

❖ ყველაზე დიდი საზაფხულო მოძრავი კინოთეატრი „ოუფენ ეარი“, რომლის ეკრანი 54 ტონას იწონის, სიგანეში 19 მეტრია და სიმაღლეში 16 მეტრი, შვეიცარიაშია წარმოებული და მთელ მსოფლიოში მოგზაურობს.

❖ როდესაც კინოში ზაფხულის სცენას ზამთარში იღებენ, სანამ კამერის წინ გამოჩნდებიან, მსახიობები ყინულის კუბიკებს წუწნიან. ყინული ისე აგრილებს პირის ღრუს, რომ ცივ ჰაერში სუნთქვა აღარ კონდესირდება.

❖ ინტერნეტსაიტი „გუგლი“ ყოველ წამში 700 დოლარს გამოიმუშავებს.

❖ კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი ბილ გეიტსი ყოველ წამს 290 დოლარს გამოიმუშავებს.

❖ სინამდვილეში სიყვარულს გულთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ყველაფერი ტვინში მიმდინარე ქიმიური რეაქციებია.

❖ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ცეკვა ადამიანის აზროვნებასა და ჯანმრთელობას აუმჯობესებს.

Cyan Magenta Yellow Black

რა იქნებოდა, ბოლომდე მოგესმინათ?

ბევრ კამათი და უსიამოვნება აღმოცენდება იმის გამო, რომ ნაჩქარევ დასკვნებს ვაკეთებთ. კარგია, თუ თავს დროულად შევაჩერებთ და თანამოსაუბრეს თავისი აზრის ბოლომდე გამოთქმისა და ახსნის საშუალებას მივცემთ.

სამწუხაროდ, ხშირად ასე არ არის და დამოუკიდებლად გაკეთებული დასკვნები მიუდგომელი კედელი ხდება, რომელიც ახლობელ ადამიანებს ერთმანეთს აშორებს. უკეთეს შემთხვევაში, ურთიერთობაში მხოლოდ პატარა, მაგრამ მაინც ბზარს აჩენს. როგორ მოვთოკოთ თავი, არ ავჩქარდეთ და ნაადრევად არ ვიმსჯელოთ? არსებობს არაერთი მეთოდი, რომელთა ცოდნა ამ პრობლემის დაძლევას ეხმარება.

პროგნოზი

პირველივე კონფლიქტის მომასწავებელ ნიშნებზე (უსიამოვნებების აღმოცენება, თქვენთვის საწყენი ვიღაცის ქცევა და ა.შ.) სწრაფად ჩამოაყალიბეთ პროგნოზი, რა თქმა უნდა, თქვენთვის. სხვა სიტყვებით, ეცადეთ, გამოიცნოთ, საუბარი რით დამთავრდება, თანამოსაუბრე მის ქცევას როგორ ახსნის და ა.შ.

გახსოვდეთ, კვანძის გახსნის საკუთარი ვარაუდი უკვე გამოთქვით (თქვენთვის, გულში). ახლა თქვენი ამოცანაა კონფლიქტის მეორე მონაწილეს არ შეაწყვეტინოთ და მოუსმინოთ. თუ არ დააცდით და ბოლომდე არ ათქმევინებთ, ვერასდროს გაიგებთ, მოვლენების განვითარება სწორად განჭვრიტეთ თუ არა.

გაიხსენეთ უფლებები

საუბარია საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებაზე. ასეთი უფლება აქვს ყველას, მათ შორის — თქვენს თანამოსაუბრესაც. მაშინაც კი, თუ საუბრის მოცემულ ეტაპზე გეჩვენებათ, რომ საკმარისად მოისმინეთ და დასკვნები უკვე გააკეთეთ, ნუ იჩქარებთ, ადამიანს შეაწყვეტინოთ ასეთი სიტუაციისთვის დამახასიათებელი სტანდარტული ფრაზებით: „გასაგებია!“, „ასეც ვფიქრობდი!“, „საკმარისია, მორჩა!“, „შეგიძლიათ მეტი აღარ ახსნათ!“ და ა.შ. ამგვარად კონფლიქტს თავიდან აიცილებთ. თუ თანამოსაუბრეს ბოლომდე მოუსმენთ, დარწმუნდებით, რომ თქვენი დასკვნები შეიძლება მცდარი იყოს. ეს მომავალში არასწორი ნაბიჯის გადადგმისგან შეგაჩერებთ.

შანსი მიეცით

ყველაფრის მიუხედავად, თუ ასეთი ტიპის გამოთქმა „გასაგებია!“ მაინც დაგცდათ, თავში ძალა იპოვეთ და საკუთარი შეცდომა აღიარეთ.

უთხარით (თუ საჭიროა, წასულ თანამოსაუბრეს დაეწიეთ, დაურეკეთ და ა.შ.): „მაპატიეთ, გავცხარდი. მსურს, ბოლომდე მოვისმინო თქვენი ახსნა-განმარტება“. გამორიცხული არ არის, რომ განაწყენებულმა მეორე მონაწილემ დისკუსიის გაგრძელება აღარ ისურვოს. გახსოვდეთ, ამაში დამნაშავეა თქვენი თავშეუკავებლობა. ამიტომ ყველაზე გონივრული, რაც შეიძლება გააკეთოთ, ეს არის ადამიანს შესაძლებლობა მისცეთ, დაცხრეს და სთხოვთ ახსნის გაგრძელება რამდენიმე ხნის შემდეგ (საათი, დღე, კვირა), სიტუაციის მიხედვით.

პრევენციული ზომები

ხშირად გაიხსენეთ სიტუაციები, რომლებიც ურთიერთობის სერიოზული გართულებებით დასრულდა.

ვინ იყო დამნაშავე, ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარია, დაფიქრდეთ იმაზე, შესაძლებელი იყო თუ არა უსიამოვნების თავიდან აცილება, თუ მხარეები ერთმანეთს მოუსმენდით. რეგულარულად ჩატარებული ასეთი „თერაპია“ ერთხელაც აუცილებლად კარგ სამსახურს გაგიწევთ.

ადგილები გაცვალეთ

სანამ თანამოსაუბრეს საუბარს შეაწყვეტინებთ, რამდენიმე წამით თავი მის ადგილას წარმოიდგინეთ. რას იგრძნობთ, როდესაც ვიღაცას თქვენი მოსმენა აღარ სურს და დისკუსიას წერტილს დაუსვამს? როდესაც ვერაფერს ახსნით და თავს ვერ იმართლებთ? სამუდამოდ დამნაშავე და მიუტევებელი დარჩებით. შემდეგ რეალობას დაუბრუნდით. იმედია, მომავალში ადამიანს ბოლომდე მოუსმენთ.

მტკიცებულებები

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომლებსაც ეთანხმებით და აუცილებლობის შემთხვევაში გულში ან ხმამაღლა წარმოთქვით.

ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი ბოლომდე გამოთქვას.

თანამოსაუბრის გარდა, არავინ იცის მისი ქცევის ჭეშმარიტი მიზეზი.

ალბათ არ ვიცი, რისი თქმა სურს სხვა ადამიანს.

საუბრის ნახევარ სიტყვაზე შეწყვეტით თანამოსაუბრეს არავითარ შანსს არ ვუტოვებთ.

ურთიერთობები იმად ღირს, რომ დაველოდოთ, სანამ ადამიანი სათქმელს არ დაასრულებს.

ნუ იქცევით სხვისთვის საღეჭ რეზინად

ერასრულფასოვნების კომპლექსი დაბალ თვითშეფასებაზე მიუთითებს. ასეთ ადამიანებს ყოველთვის უჭირთ „არას“ თქმა, ამიტომ მათი მანიპულირება ადვილია.

წლების მატებასთან ერთად, კრეატიულ ადამიანებთან ურთიერთობით ადამიანი გამოცდილებას იძენს, ცოდნას იღრმავებს, შემოქმედი ხდება... და ძალიან სამწუხაროა, როდესაც თავის პატივისცემა აკლია, მაგრამ სწავლა არასდროს არის გვიან.

ისწავლეთ ხმამაღლა და გარკვევით თქვათ: „მე მინდა!“. ჩამოწერეთ თქვენი „მინდას“ სია. ეს პრიორიტეტების განლაგებაში დაგეხმარებათ. თვითშეფასება გაიზრდება, როდესაც მაღალ მიზანს დაისახავთ და სიძნელეების დაძლევით მას მიაღწევთ. ამ ეტაპზე გაიგებთ, რომ თქვენი „მსურს“ და ვიღაცის „უნდა“ ყოველთვის კონფრონტაციაშია, ხოლო მათ შორის გაიმარჯვებს ის, ვინც ნებისყოფის სიმტკიცეს გამოიჩენს.

გრძელვადიანი ამოცანები მოკლევადიან სერიებად დაყავით, რომლებიც რეალური და მისაღწევი უნდა იყოს. თითოეული მათგანის წინ წაწევის გეგმა შეადგინეთ.

თავი აუცილებელად შეაქეთ, როდესაც წარმატებას მიაღწევთ. საკუთარი ღირსების, თავის პატივისცემის შეგრძნება გაჩნდება. პირადი წარმატებები თავდაჯერებულობას შეგმატებთ.

პარალელურად, უარის მსუბუქ ფორმებში წარმოთქმის ლექსიკური მარაგი გააფართოვეთ, მაგალითად, „დღეს არა“, „შემდეგში“, „ამაზე დავფიქრდები“ და ა.შ.

ამგვარად იქცევით პიროვნებად, ვისაც ანგარიში უნდა გაუწიონ, ვინაიდან არჩევანი გაქვთ: ან დროს დახარჯავთ საკუთარი მიზნების მისაღწევად, ან შეასრულებთ სამუშაოს, რის გამოც ვიღაცის ძლიერ ყბებში „საღეჭ რეზინად“ იქცევით.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რა მოვუხერხოთ ფურუნკულს ცხვირში

ფურუნკული თმის ბუდისა და ცხიმოვანი ჯირკვლის მწვავე ჩირქოვანი ანთებაა. ის შეიძლება გაჩნდეს ყველა იმ ადგილში, სადაც თმა იზრდება: იღლიის ფოსო, კისრის უკანა ზედაპირი, ცხვირი. ფურუნკული სახესა და ცხვირში საშიშია იმით, რომ ინფექცია შეიძლება სისხლძარღვებით თავის ტვინის გარსებზე გავრცელდეს (ფურუნკული შეიძლება გაიხსნას არამხოლოდ გარეთ, ასევე გარშემო ქსოვილებშიც). ამ შემთხვევაში ექიმის დახმარების გარეშე იოლად ვერ გახვალთ. თუ ჩირქოვანი მუწუკი ნესტოსთან ახლოსაა, შეგიძლიათ მისგან გასათავისუფლებლად შინაური საშუალებები მოსინჯოთ.

თუ ფურუნკული ახალი გაჩენილია, ზრდა რომ შეწყვიტოს, პროპოლისის, კალენდულას საალკოჰოლო ნაყენი, სპირტი ან არაყი დღეში რამდენჯერმე წაისვით.

თუ ჩირქოვანმა მუწუკმა უკვე ზრდა დაიწყო, მრავალძარღვას ფოთლები დამდუღრეთ, ორ ფენა მარლაში გაახვიეთ, ტამპონის ფორმა მიეცით და ნესტოში 4-5 საათი გაიჩერეთ.

ხახვი შეწვით, პატარა ნაჭერი ჩამოჭერით და ნესტოში ჩაიდეთ ისე, რომ ფურუნკულს მჭიდროდ მიეკრას. 3-4 საათი გაიჩერეთ.

ალოეს ფოთოლი სიგრძეზე გაჭერით, ეკლები მოაცილეთ და გაჭრილი მხრიდან ფურუნკულზე დაიდეთ. 3-4 საათი დაიტოვეთ.

როდესაც ფურუნკული გაიხსნება, ჩირქი სტერილური ბინტით მოიცილეთ. შემდეგ პროპოლისის, კალენდულას ნაყენით ან ბრილიანტის მწვანით დეზინფექცია გაუკეთეთ. ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ, სანამ დაზიანებული კანი არ გაშრება. შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ ქაფურის ან სალიცილის სპირტი. დაავადება ისევ რომ არ განმეორდეს, ეცადეთ, თავი არ გადაიციოთ. ვიტამინებით მდიდარი საკვები მიიღეთ, ასევე პოლივიტამინური კომპლექტები გამოიყენეთ.

ჰ.ს. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს კანის დაბინძურება და მცირე ტრავმები. ასევე დიდ როლს ასრულებს ორგანიზმის დამცავი ძალის დაქვეითება, რასაც იწვევს ქრონიკული დაავადებები: ავიტამინოზი, დიაბეტი და სხვა.

ფურუნკულიანი ავადმყოფის მკურნალობა საჭიროა ქირურგის მეთვალყურეობის ქვეშ სამედიცინო დაწესებულებაში.

ᲬᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲭᲘᲛᲕᲐ

წვენების სარგებლობის შესახებ ხშირად გვესმის, მაგრამ იშვიათად ვიცით, სწორად როგორ დავლიოთ. წვენებმა სარგებლობა რომ მოგიტანოთ და არა ზიანი, შემდეგი წესები დაიცავით:

წვენი უშუალოდ გამოყენების წინ გამოწურეთ. სხვაგვარად დაიჟანგება და სასარგებლო ნივთიერებების ნაწილი დაიკარგება. მაგრამ არის გამონაკლისი: სანამ ჭარხლის წვენს დალევთ, თავღია ჭურჭელში არანაკლებ 2 საათი დატოვეთ.

წვენი არ დალიოთ ჭამის დროს ან მისი დამთავრებისთანავე. ამან შეიძლება გაფუება და მომატებული აირების წარმოქმნა გამოიწვიოს. კუჭის დაბალი და ნორმალური მჟავიანობის დროს წვენი ჭამამდე 30-40 წუთით ადრე დალიეთ, ხოლო მომატებულის დროს ჭამიდან 1-1,5 საათის შემდეგ.

წვენმა კუჭი ძალიან რომ არ გააღიზიანოს, წყლით გააზავეთ (2 სუფრის კოვზი წყალი 1 ჭიქა წვენზე).

წვენი დალიეთ არა სულმოუთქმელად, არამედ ნელა. ასე უკეთესად შეითვისება.

დიაბეტით დაავადებულებმა ან ჭარბწონიანებმა ტკბილი ხილისა და კენკრის წვენები არ უნდა დალიონ. კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულით ავადმყოფებისთვის მჟავე წვენები აკრძალულია.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

მცენარეული ნაყენი ქრონიკული ტონზილიტს აცხრობს

ტონზილიტი (ნუშისებური ჯირკვლების ანთება) საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მიზეზები, რომელთა გამო ქრონიკული ანთების კერა ჩნდება, მრავალია. მაგალითად, ქრონიკული სურდო (სინუსიტი), კარიესული კბილები, პაროდონტოზი, ვიტამინების დეფიციტი, იმუნიტეტის დაქვეითება. ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა ძირითადი დაავადების მკურნალობა.

ტონზილიტის გამწვავების დროს ექიმები ნიშნავენ ანტიბიოტიკებს, კრიოთერაპიას, ლაზეროთერაპიას. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია ოპერაციაც. ასეთი მეთოდების გარდა, გამოიყენება ფიტოთერაპიაც. არსებობს სამკურნალო მცენარეები, რომლებიც მიკრობებს ანადგურებენ, ანთებას აქრობენ, იმუნიტეტს ამაღლებენ. სასარგებლოა მათი ნაყენი ყელში სავლებად. ასეთებია:

ლიმონის წვენი სანახევროდ წყალში გახსნილი.

კალენდულას ნაყენი: 2-3 ჩაის კოვზი 1 ჭიქა თბილ წყალზე.

აიღეთ კრაზანის ბალახი, ბირკავა, ბეგქონდარა, ევკალიპტისა და სალბის ფოთლები თანაბარი რაოდენობით. 1 სუფრის კოვზ ნაკრებს 300 მლ მდუღარე დაასხით, 2 საათი დადგით, გაწურეთ.

სასარგებლოა ძილის წინ ფიჭვის კვირტების, 30%-იანი თაფლის ხსნარისა და რამდენიმე წვეთი ეთერზეთების (ევკალიპტი, ჩაის ხე, ლავანდა, სალბი) ინჰალაცია.

მკურნალობის კურსი 1-1,5 თვეა, შესვენება — 10 დღე. შემდეგ გაიმეორეთ. პროფილაქტიკისთვის სეზონებს შორის 2-3 კვირიან კურსს იტარებენ.

დიაგნოზი კბილების მიხედვით

ორგანიზმში ყველაფერი იმდენად მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რომ ნებისმიერი დარღვევა მეზობელი ორგანოების მდგომარეობაზე (ხშირად ერთობ დაშორებულზეც კი) სწრაფად აისახება. ბუნებრივია, კბილებიც იწყებენ გაფუჭებას. პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ ფერს.

თუ თამბაქოს არ ეწევით და კბილებს კარგად უვლით, მაგრამ ამასთანავე მათ აშკარად გამოხატული ყვითელი ფერი აქვთ, ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი გამოიკვლიეთ.

კბილების გამუქება ყავისფრად, როცა ტეტრაციკლინის პრეპარატებით არ მკურნალობთ, იმუნურ სისტემაში უთანხმოებაზე მიუთითებს.

სუსტი ფილტვების ან სისხლნაკლულობის დროს კბილები სადაფის ბრწყინვას იძენს.

აღინიშნება სხვა ცვლილებებიც. მაგალითად, კბილის ქვების ხშირი დალექვა-დაგროვება კუჭის პრობლემის სიგნალია. ხოლო კბილის მაგარი ქსოვილის დეფექტები ფუძესთან — ენდოკრინულ სისტემასთან შესაძლებელი პრობლემების მაჩვენებელია.

მიჩნეულია, რომ ხშირი კბილის ტკივილი განსაზღვრულ კბილებში და მათი განსაკუთრებული მიდრეკილება კარიესისკენ, დიდი ალბათობით, ორგანიზმის კონკრეტულ სისტემებში უთანხმოებაზე მეტყველებს.

პირველი და მეორე კბილები დაკავშირებულია შარდის ბუშტთან, თირკმლებთან და ყურებთან; მესამე — ღვიძლთან და ნაღვლის ბუშტთან; მეოთხე და მეხუთე — მსხვილ ნაწლავთან; მეექვსე და მეშვიდე — კუჭთან, კუჭქვეშა ჯირკვალთან და ელენთასთან; მერვე — გულთან და წვრილ ნაწლავებთან.

შეგახსენებთ, კბილების ათვლა წინა საჭრელი კბილების ორივე მხრიდან იწყება.

Cyan Magenta Yellow Black

ხელნაკეთი მანქანა 225 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს

ინგლისის ქალაქ ლესტერში 39 წლის მექანიკოსმა პოლ ბეკონმა 18 თვიანი მუშაობის შედეგად ყოველდღიური მოხმარების ნივთებისგან მანქანა ააწყო, რომელიც 225 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. მექანიკოსმა ძველი „ბეემვე“-ს კარკასი გამოიყენა.

მანქანა, სახელწოდებით „კოსმოტრონი“, ძალიან კომფორტული და ადვილად მანევრირებადია. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა მისი დაქირავების მსურველი.

47 წლის სუნთქვის აპარატზე

ბრაზილიელმა პაოლო ენრიკე მაჩადომ თითქმის მთელი ცხოვრება საავადმყოფოში გაატარა. ის 2 დღის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა, თვითონ კი პოლიომიელიტით დაავადდა. პაოლო დაბადების დღიდან ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა შეერთებული. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადებით ბავშვები 12 წელიწადზე მეტს ვერ ცოცხლობენ. ექიმებისთვის დღემდე უცნობია, როგორ მოაღწია მაჩადომ დღემდე.

47 წლის კაცმა შეძლო და კომპიუტერული ანიმაცია შეისწავლა. ახლა ის თავისი ცხოვრების შესახებ პატარ-პატარა მულტფილმებს ამონტაჟებს კომპიუტერში. ამბობს, რომ 47 წლის განმავლობაში სულ 50-ჯერ იყო ქუჩაში. ოკეანე კი სასწრაფო დახმარების მანქანიდან დაინახა 32 წლის ასაკში.

ყველაზე საშიში სასტუმრო

მსოფლიოში ყველაზე საშიში სასტუმრო იტალიაში, მონბლანის ქიმზე, ზღვის დონიდან 2 835 მეტრზე გაიხსნა. მას კაფსულის ფორმა აქვს და ფაქტობრივად კლდეზეა გადაკიდული. სასტუმროში ალპინისტებს შეუძლიათ ყინვისაგან თავდაცვა. მასში ორი საძინებელია, რომლებიც 12 ადამიანზეა გათვლილი. ელექტრომომარაგება კი მზის ბატარეებით ხორციელდება.

ყველაზე საშიში სასტუმროს დაჯავშნა ნებისმიერ მსურველს შეუძლია ინტერნეტის მეშვეობით და მასში ერთი ღამის გატარება 30 ევრო ღირს.

ჯალიფორნიაში მეძავებს ძეგლი დაუდგეს

ამერიკაში, კალიფორნიის შტატის ქალაქ გლენსდეილის პარკში, მეძავებს ძეგლი დაუდგეს. ქანდაკება იმ 200 000 ჩინელი, კორეელი, ფილიპინელი და ინდონეზიელი ქალის სიმბოლოა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკაში წაიყვანეს და მეძავობა აიძულეს.

ამ ქალების საკითხი იაპონიასა და კორეას შორის დიდი ხანია დავის საგანია. იაპონიის მხარე დღემდე უარყოფს ძალადობის ფაქტს. ამტიკიცებენ, რომ ეს ქალები საკუთარი სურვილით „მუშაობდნენ“ და არ იყვნენ სექსუალური მონები.

ქალი საქმროს მოძებნაში 10 000 დოლარს იხდის

სან ფრანცისკოში მცხოვრები ქალი, რომელიც ვინაობას მკაცრად ასაიდუმლოებს, 10 000 დოლარს გადაუხდის იმას, ვინც მას საქმროს მოუძებნის. უცნობ ქალს პრესტიჟული სამსახური და შესაბამისად კარგი ხელფასიც აქვს. მას განსაკუთრებული მოთხოვნები არ გააჩნია, უბრალოდ გვერდით კარგი ადამიანი ესაჭიროება.

მარტოხელა ქალის წინადადებით უკვე უამრავი მამაკაცი დაინტერესდა. მისი ელ-ფოსტა მხოლოდ სარეკლამო სააგენტოების წარმომადგენლებმა იციან. საქმროს არჩევის შემდეგ კი ქალი თავის ვინაობას გაასაჯაროებს.

Cyan Magenta Yellow Black

გერმანიაში გიგანტი ბავშვი დაიბადა

გერმანიის ქალაქ ლაიფციგში გიგანტი ბავშვი დაიბადა. პატარა ჯასლინი 6,11 კილოგრამს იწონის. ყველაზე გასაკვირი ის გახლავთ, რომ დედამ, 31 წლის მარიამ, ბავშვი ფიზიოლოგიური მშობიარობით გააჩინა.

ექიმების განცხადებით, მარია გესტაციური დიაბეტითაა დაავადებული, რაც არანორმალურად დიდი ზომის ნაყოფის განვითარებას იწვევს. დედა და ბავშვი თავს კარგად გრძნობენ, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩებიან.

ჯოცნისათვის დუბაიში წყვილი დააპატიმრეს

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ კი დუბაიში, შეყვარებულ წყვილს, 31 წლის ქალს და 19 წლის ვაჟს, მეჩეთის წინ მდგარ ავტომობილში ერთმანეთის კოცნისათვის ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ისინი გამვლელმა შენიშნა და პოლიციას გამოუძახა. ქალი და ვაჟი სამართალდამცავებმა ადგილზევე დაიკავეს. ორივე მათგანმა აღიარა, რომ ერთმანეთს კოცნიდნენ.

არაბეთის გაერთიანებული საემიროები იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კოცნა კანონით ისჯება. როგორც წესი, სასამართლო მსგავსი კანონდარღვევისას ჯარიმით შემოიფარგლება ხოლმე.

ბერლინში კატების კაფე გაიხსნა

ბერლინში, ნოიკოლნის რაიონში, კატების პირველი კაფე გაიხსნა. დაწესებულების მფლობელის განცხადებით, მისი 2 კატა დღის უმეტეს ნაწილს კაფეში ატარებს, კლიენტებს კი თავიანთი კატების წამოყვანა შეუძლიათ.

კატების კაფეს უკვე საკმაოდ ბევრი სტუმარი ჰყავს. როგორც ამბობენ, კატასთან ხშირი ფიზიკური კონტაქტის დროს ადამიანის არტერიული წნევა რეგულირდება.

სერფერმა დაფით კუბიდან ფლორიდაში გაცურა

35 წლის ამერიკელმა მუსიკოსმა და ექსტრემალმა, ბენჯამინ შილერ ფრიბერგმა, კუბიდან აშშ-მდე, კერძოდ კი ფლორიდამდე, სერფინგის დაფითა და ნიჩბის დახმარებით გაცურა. ბენჯამინმა 179 კმ მანძილი დაახლოებით 28 საათში დაფარა.

მზეზე რომ არ დამწვარიყო, ბენმა გრძელმკლავიანი მაისური და გრძელი წინდები ჩაიცვა, თავზე კი კეპი დაიხურა. გზის დიდი ნაწილი ის სერფინგის დაფაზე ფეხზე იდგა. გვერდით ნავი მიჰყვებოდა, რომელშიც მაშველები და მამამისი ისხდნენ. ისინი ექსტრემალს საკვებით ამარაგებდნენ და გზას უჩვენებდნენ, თუ საით გაეცურა.

2 000 კილოიანი დასარტყამი ინსტრუმენტი

56 წლის მარკ ტემპერატომ ბოლო 36 წელი მსოფლიოში ყველაზე დიდი დასარტყამი ინსტრუმენტის შექმნას მოანდომა. ინსტრუმენტი 813 ნაწილისგან შედგება და 2 000 კილოგრამს იწონის. საკრავი დასარტყამი თეფშების, ზარებისა და დოლისგან შედგება.

ტემპერანტო აპირებს, ამ უჩვეულო ინსტრუმენტში ნაწილების რაოდენობა ათასამდე გაზარდოს. მას ეს გინესის საკუთარი რეკორდის გასაუმჯობესებლად სჭირდება.

ГАИАДВИЛЕТ САЧМЛИС МОНЕЛЕБА

ИЕОНИЕТ МИИЦЕТ ЕФЕКТУРИ

КРЕЗАМИ

ТИТОО КАФСУЛА ЧОВЕЛИ ЧАМИС ДРОС

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორი მოხუცი იქნებით?

1. თუ კომპიუტერთან ან აიფონთან რაიმე პრობლემა შეგექმნათ, ვის მიმართავთ?

ა) ნაცნობებს.

ბ) ახალგაზრდა მეგობრებს.

გ) ვცდილობ, არ გამოვიყენო ისეთი ტექნიკა, რომლისაც არაფერი გამეგება.

დ) არავის, უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა ხვდებიან, რომ ტექნიკის არაფერი მესმის.

2. როგორ თვლით, რა არის ასაკის ყველაზე დიდი პლუსი?

ა) შეგიძლია ის გააკეთო, რაზეც ყოველთვის ოცნებობდი.

ბ) შეგიძლია, არ იმუშაო.

გ) ასაკს პლუსები არ აქვს.

დ) ასაკში შესულს გაცილებით მეტ პატივს გცემენ.

3. თქვენს ახალგაზრდობაში ერთი ცნობილი მსახიობი ერთობ კაშკაშა სამოსს ატარებდა, როგორ უყურებდით ამას?

ა) მეც მინდოდა, ასეთი სამოსი მეტარებინა.

ბ) ადამიანი არც ერთ ასაკში უნდა გამოიყურებოდეს სასაცილოდ.

გ) მსახიობებს შეუძლიათ, თავს ამის უფლება მისცენ.

დ) მეცოდებოდა.

4. როცა სარკეში იხედებით და სახეზე ნაოჭებს ამჩნევთ, რას ფიქრობთ ამის შესახებ?

ა) ცოტა ვნაწყენდები, შემდეგ კი სხვა რამეზე გადავერთვები ხოლმე.

ბ) რას იზამ, საბოლოოდ ყველა მოხუცდება.

გ) მთავარია, თვალები მიბრწყინავდეს.

დ) ნაოჭები ჩემს სახეს მეტ სიდარბაისლეს სძენს.

5. როცა თქვენზე 20 წლით უმცროს ადამიანებთან ურთიერთობთ, როგორ იქცევით?

ა) მხიარულ ამბებს ვუყვებით ერთმანეთს.

ბ) აუცილებლად რაიმე საქციელისთვის ვკიცხავ.

გ) როგორც თანატოლი, 20 წელი არაფერი სხვაობაა.

დ) ვცდილობ, ჭკუა დავარიგო და რამე სასარგებლო ვასწავლო.

6. „ბურატინოს“ რომელი გმირი მოგწონთ ყველაზე მეტად?

ა) ბურატინო.

ბ) კუ ტორტილა.

გ) მელია ალისა.

დ) მალვინა.

7. რას აკეთებთ, როცა ავად ხდებით?

ა) მკურნალობის ხალხურ საშუალებებს მივმართავ.

ბ) ვცდილობ, არავინ დამინახოს ავადმყოფობის დროს მათ გარდა, ვინც მივლის.

გ) რამე კარგ წიგნს ვკითხულობ.

დ) ავადმყოფობა ფეხზე გადამაქვს.

8. როგორ სამოსს ანიჭებთ უპირატესობას?

ა) ისეთს, რომელიც მიხდება და ყურადღების ცენტრში მაქცევს.

ბ) მოხერხებულს, კომფორტულს.

გ) საყვარელ, წლების წინანდელ ტანსაცმელს.

დ) საქმიან სტილს.

9. როგორ ფიქრობთ, აქვს ადამიანს განსაკუთრებული მიზანი ცხოვრების მეორე ნახევრისთვის?

ა) ჩემს ცხოვრებას არანაირ ნახევრებად არ ვყოფ.

ბ) რა მიზნები? ნელ-ნელა უნდა დაბერდე, იავადმყოფო და...

გ) უკეთესი უნდა გახდე.

დ) ცხოვრების მეორე ნახევარში ყველაზე მაღალ მწვერვალებს უნდა მიაღწიო.

10. შეგიძლიათ საყვარელი ადამიანის მოსახიბლად დილაუთენია ადგეთ, თავი მოიწესრიგოთ, გალამაზდეთ და ისევ ლოგინში ჩაწვეთ, რომ, როცა ის გაიღვიძებს, აუცილებლად კარგ ფორმაში გიხილოთ?

ა) ასეთი ქალით აღვფრთოვანდებოდი.

ბ) ეს ძალიან დამღლელია.

გ) ეს იმას ნიშნავს, რომ ურთიერთობა მხოლოდ გარეგნულ ეფექტს ემყარება, მე კი ეს არ მომწონს.

დ) საყვარელი ადამიანის მართვა, განსაკუთრებით მამაკაცის, სხვანაირადაც შეიძლება.

11. შეგიძლიათ ქუჩაში ხელის პატარა საზიდრით გასვლა?

ა) დიახ, ეს სასაცილოა.

ბ) დიახ, ის ძალიან მოსახერხებელია.

გ) საზიდარი ჩემს ნატურას არ შეეფერება, არა!

დ) თუ ბარგი მაქვს, ვინმე სხვას წავაღებინებ, მე ხელში არაფერს დავიჭერ! დაითვალეთ, ტესტის პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს და გაიგებთ, როგორი მოხუცი იქნებით.

„ა“ ვარიანტი – მხიარული მოხუცი

როცა ასაკში შეხვალთ, ექსკურსიებზე ივლით დაქალებთან და შვილიშვილებთან ერთად, შესაძლოა ბებიების კლუბიც ჩამოაყალიბოთ, ისწავლით რაიმე ექსტრავაგანტურის მართვას. ცხოვრება თქვენს ირგვლივ მხიარული და სიცოცხლით სავსე იქნება და ბედნიერი იქნებით იმით, რაც თქვენ გარშემო ხდება.

„ბ“ ვარიანტი – მოხუცი სკამზე

ყოველ დილით სახლთან ახლო მდებარე სკვერში წახვალთ და იმ სკამს მიაშურებთ, სადაც უკვე ისხდებიან თქვენი თანატოლები. საინტერესო თემები სალაპარაკოდ უხვად გექნებათ: პენსია, შვილიშვილები, მზარდი ფასები პროდუქტებზე, მთავრობის საშინელი ქმედებები, მესამე სადარბაზოს მეოთხე სართულზე მცხოვრები მეზობლის მორიგი დებოში... მოგზაურობა და სადმე წასვლაც კი არ მოგინდებათ, რადგან ყველაზე მთავარი თქვენთვის სწორედ სკვერში მდებარე იმ სკამზე მოხდება.

„გ“ ვარიანტი – ახალგაზრდა მოხუცი

თავად აზრი, რომ ოდესმე მოხუცდებით, საშინლად გაღიზიანებთ, ამიტომ ბოლომდე მედგრად იდგებით სხვადასხვა საშუალებებით — მასაჟის, დიეტების, პლატიკური ქირურგიისა და ვინ იცის, კიდევ რის დახმარებით. მუდმივად იმ რეცეპტების ძიებაში იქნებით, რომლებიც თქვენი ისედაც დახვეწილი ფიგურის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ, უყურადღებოდ არ დატოვებთ ელეგანტური ასაკის ადამიანებისთვის განკუთვნილ მოდურ სიახლეებს. არასოდეს იქნებით მოუწესრიგებელი, მაშინაც კი, თუ მეზობელი მარილის სათხოვნელად შემოვა.

„დ“ ვარიანტი – კლანის მეთაური

როცა ასაკში შეხვალთ, თქვენ ირგვლივ გაერთიანებთ მთელ ოჯახს ან მოსწავლეებს და მათი „ატამანი“ გახდებით. ყველა თქვენ შეგეკითხებათ აზრს, რჩევას, თქვენი გადასაწყვეტი იქნება უმთავრესი საკითხები. კლანის წევრებიდან ნებისმიერი თქვენდამი მოწიწებით განიმსჭვალება და თქვენი სიტყვა მათთვის გადამჭრელი იქნება.

სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

		9	6				1	
3								8
	2		7		5	4		
8	5			1		9		
				6			2	
		7			2			3
4		1				5		
	6		3		8		9	
		8		5				

№ 2

3					6	5		
	6				8	9		
		4		5			3	
1		2	9				7	
4				1				8
	5				4	6		
	3			9				4
		1	6			8		
		5			2		9	1

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

იცით საზოგადოებაში თავის დაჭერა?

1. თუ ვინმესთან სასწრაფოდ გსურთ დალაპარაკება, ის კი იმ მომენტში სხვას ესაუბრება, რას იზამთ?

ა) ვთხოვ, რომ მოგვიანებით ჩემთვისაც მოიცალოს — 10

ბ) მოვუბოდიშებ და საუბარს შეგაწყვეტინებ — 5

გ) უხეშად ჩავერევი მათ ლაპარაკში — 0

2. სამსახურში მისვლისას აუცილებლობად თვლით, ყველა თანამშრომელს მიესალმოთ?

ა) დიახ, ოღონდ, ალბათ არა ყველას — 5

ბ) აუცილებლად — 10

გ) მხოლოდ კონკრეტულ კოლეგებს — 0

3. როგორ მოიქცევით, თუ ახალგაცნობილმა ადამიანმა კარგი მეგობარივით მხარზე წამოგარტყაო ხელი?

ა) მეც იმავეთი ვუპასუხებ — 0

ბ) გამიკვირდება, მაგრამ გავჩუმდები — 5

გ) მივახვედრებ, რომ ცოტა ზედმეტი მოუვიდა — 10

4. მეგობარს საკმაოდ პირადულ თემაზე ელაპარაკებით, მოგიახლოვდათ ადამიანი, რომელმაც ეს საუბარი არ უნდა გაიგონოს, რას იზამთ?

ა) სასწრაფოდ საუბრის თემას შევცვლი — 5

ბ) მეგობარს მოგვიანებით დაველაპარაკები — 10

გ) პირდაპირ ვეტყვი, რომ ჩვენთან არაფერი ესაქმება — 0

5. რას უპასუხებთ, თუ ვიღაცამ შეცდომით დაგირეკათ ტელეფონზე?

ა) ზრდილობიანად ვეტყვი, რომ ნომერი შეეშალა — 10

ბ) უბრალოდ, ყურმილს დავუკიდებ — 5

გ) გამოვლანძღავ და ყურმილს დავუგდებ — 0

6. შეხვედრაზე იგვიანებთ, შენობის შესასვლელში სხვას შეეფეთეთ, რომელიც ასევე სადღაც მიიჩქარის, დაუთმობთ გზას?

ა) ამ სიტუაციაში, ჩემი აზრით, პირველმა იმან უნდა გაიაროს, ვინც მოასწრებს — 5

ბ) პირველი მე გავივლი — 0

გ) გზას დავუთმობ — 10

7. ოფისში ახალი თანამშრომელი მიიყვანეთ, როგორ მიგაჩნიათ, პირველად ვის უნდა წარუდგინოთ?

ა) არავის, თავად წარუდგება ყველას — 0

ბ) მხოლოდ ხელმძღვანელობას — 5

გ) აბსოლუტურად ყველას — 10

8. ელიტურ წვეულებაზე წარგადგინეს ადამიანთან, რომელიც თქვენი კონკურენტია, როგორ მოიქცევით?

ა) ვეტყვი, რომ მის შესახებ ბევრი მსმენია — 10

ბ) ვეტყვი, რომ სასიამოვნო იყო გაცნობა — 5

გ) მშრალად მივესალმები — 0

9. თვლით, რომ არსებობს მამაკაცური და ქალური ქცევები?

ა) დიახ — 0

ბ) არ ვიცი — 5

გ) არა — 10

10. სტუმრად ყოფნისას შემოგთავაზეს სასმელი, რომელსაც ვერ იტანთ, როგორ მოიქცევით?

ა) ტაქტიანად ვიტყვი უარს — 10

ბ) კატეგორიულ უარს ვიტყვი მის დალევაზე — 0

გ) ცოტას მოვწრუპავ — 5

შედეგები:

0-45 ქულა — სამწუხაროდ, ის ადამიანი არა ხართ, ვისთვისაც ქცევის ნორმები რამეს ნიშნავს. ბევრს თქვენი ეშინია კიდეც, მავანნი კი უბრალოდ, უზრდელად გთვლიან, თუმცა ეს სულაც არ გიშლით ხელს, კარგად იცხოვროთ. თვლით, რომ ასეთ წვრილმანებს ყურადღება არ უნდა მიაქციოთ.

50-100 ქულა — თქვენთვის ზრდილობა, ტაქტი და საზოგადოების აზრი მნიშვნელოვანი ფაქტორებია. თვლით, რომ ყველაფერს აქვს თავისი წესი და ფორმა. ასეთი ხასიათის გამო გარშემომყოფები გაფასებენ, გენდობიან, სიამოვნებთ თქვენთან ურთიერთობა და ბევრისათვის თქვენს აზრს და რჩევას დიდი მნიშვნელობაც აქვს.

გწყალობთ თუ არა მისი აღმატებულება ფორტუნა?

1. ლატარიის ბილეთებს ხშირად ყიდულობთ?

ა) ზუსტად გეგმის მიხედვით — კვირაში ერთხელ და ამისათვის ფულს წინასწარ ვინახავ — 0

ბ) შემთხვევიდან შემთხვევამდე — 1

გ) არასოდეს ვყიდულობ, მაინც ვერაფერს მოვიგებ — 2

2. რა დამოკიდებულებაში ხართ მის აღმატებულება ფორტუნასთან?

ა) ვმეგობრობთ — 0

ბ) ხანდახან მიღიმის ხოლმე — 1

გ) ერთმანეთის დანახვაც არ გვინდა — 2

3. რა განცდა დაგეუფლებათ, გათამაშებაში ყველაზე ძვირფასი პრიზი თქვენ რომ მოიგოთ?

ა) მოვიწყენ, ისევ მოვიგე! — 0

ბ) აღვფრთოვანდები, როგორიც იქნა, მოვიგე! — 1

გ) ეს შეუძლებელია, ალბათ სიზმარია და არა რეალობა — 2

4. როგორ ლატარიას თამაშობთ ყველაზე ხშირად?

ა) რომელშიც ყველაზე დიდი კუშის მოგება შეიძლება — 0

ბ) მომენტალურს — 1

გ) წაუგებელს, მხოლოდ ამაში შეიძლება გამიმართლოს — 2

5. ტანსპორტში ხშირად გხვდებათ ბედნიერი ბილეთები?

ა) მუდმივად და საკმაოდ დიდი კოლექციაც მაქვს — 0

ბ) ბავშვობაში რამდენჯერმე შემხვდა — 1

გ) არასოდეს — 2

6. ნათესავებმა ლოტოს რამდენიმე ბილეთი გაჩუქეს, რა რეაქცია გექნებათ?

ა) არაჩვეულებრივი საჩუქარია — 0

ბ) ეს საინტერესოა, ლოტო ჯერ არ მითამაშია — 1

გ) ტყუილად გადაყარეს ფული წყალში, მაინც ვერაფერს მოვიგებ, ჯობდა, წიგნი ეჩუქებინათ — 2

7. იცით, სად არის ლატარიის უახლოესი ჯიხური?

ა) მეზობელ ქუჩაზე — 0

ბ) სადღაც მახლობლად, ზუსტად არ ვიცი — 1

გ) წარმოდგენაც არ მაქვს — 2

8. ტელევიზორში უყურებთ, როგორ გადასცეს ლატარიის გამარჯვებულს ჩეკი, რას გაიფიქრებთ?

ა) მაგარია! მე ჯერ არავის მივუწვევივარ ტელევიზიაში — 0

ბ) ამ ადამიანის შემშურდება — 1

გ) ჩემი ეზრით, ეს მხოლოდ სარეკლამო ტრიუკია — 2

9. გადასახადებს იხდით?

ა) საკმაოდ ბევრს, მე ხომ მუდმივად ფულს ვიგებ — 0

ბ) დიახ, ხანდახან მიწევს დეკლარაციის შევსება ლატარიაში მოგებული მსხვილი თანხის გამო — 1

გ) მხოლოდ კომუნალურ გადასახადებს — 2

10. იცით, რა არის ჯეკპოტი?

ა) ეს ის არის, რასაც ყველაზე ხშირად ვიგებ ლატარიაში — 0

ბ) ეს ის არის, რაც ჯერ ვერ მოვიგე — 1

გ) არ ვიცი, ალბათ ლექსიკონში ეწერება — 2

შედეგები:

0-9 ქულა — მისი აღმატებულება ფორტუნა და თქვენ ძველისძველი მეგობრები ხართ. გიყდებით ყველანაირ გათამაშებებსა და ლატარიებზე. მართალია, ხან დიდ კუშს იგებთ, ხან — მიზერს, მაგრამ გამართლებით ყოველთვის გიმართლებთ, ხელცარიელი არასოდეს რჩებით. ფორტუნას მაგნიტივით იზიდავთ.

10-20 ქულა — როგორც ჩანს, გათამაშებებისა და ლატარიებისაგან თავი შორს უნდა გეჭიროთ. ასე მინიმუმი ჯიბის ფულს დაზოგავთ, მაქსიმუმი — ნერვებს. ფორტუნა ნამდვილად არ გიღიმით. რაც უნდა ეცადოთ, ვერასოდეს ვერაფერს იგებთ, მიზერულსაც კი. რატომღაც ბედნიერი ბილეთები ყოველთვის სხვებს ხვდებათ. ამის გამო ვერ იტანთ ვერც გათამაშებებს და ვერც მის აღმატებულება ფორტუნას.

Cyan Magenta Yellow Black

კატასტროფა თავში

ნევროზი ხომ არ გემუქრებათ

ნერვიულობა ნებისმიერი ადამიანისთვის ნაცნობია, მაგრამ ის იმ ზღვრამდე არ უნდა მიიყვანოთ, რომ განგაში და ფორიაქი ჩვეულ მდგომარეობად იქცეს.

რას გვამცნობს ინტუიცია

ზომიერად ნერვიულობა, რა თქმა უნდა, ნორმალურია, მაგრამ არანორმალურია პათოლოგიურად განცდა. ძალიან ცუდია, როცა ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში აფორიაქებულია და მუდმივად ნერვიულობს. ეს მოსვენებას უკარგავს, არღვევს ძილის ნორმალურ პროცესს, რაც ცუდად მოქმედებს ზოგადად ჯანმრთელობაზე. ამ დროს ნებისმიერს ინტუიცია კარნახობს, რომ უნდა დამშვიდდეს და ნერვები მოთოკოს. ხშირად, როცა ფსიქოლოგიური გადაძაბვა ძალიან დიდია, ტვინი თავად ადუნებს ორგანიზმს და იცავს მას „გადაწვისაგან“.

ფიქრების ძალა

რატომღაც ადამიანი უფრო ხშირად ცუდზე ფიქრობს, ვიდრე კარგზე. ეს ცუდია. ყველამ კარგად უნდა გაითავისოს პოზიტიური ფიქრების ძალა, რაც ხასიათსაც აუმჯობესებს და ნევროზისგანაც იცავს.

უნდა ისწავლოთ, ყურადღება არ მიაქციოთ წვრილმანებს, რაღაცეებზე თვალი დახუჭოთ, მოითმინოთ, იგნორირება გაუკეთოთ. თუ ამას შეძლებთ, ნერვული აშლილობა და ნევროზი ნაკლებად დაგემუქრებათ.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, არსებობს ვარჯიშები, რომლებიც დროულად დაგეხმარებათ მდგომარეობიდან გამოსვლაში. მაგალითად, ძალიან კარგია კიბეებზე ფეხით ასვლა-ჩასვლა, ველოსიპედით სიარული, ფიტნეს-კლუბში ვარჯიში, ცურვა, კერვა, ქარგვა. მეცნიერების აზრით, ეფექტურია საღეჭი რეზინის ღეჭვაც, რადგან ამ პროცესში თავის ტვინში სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება, რაც შფოთვისა და ნერვიულობის ხარისხს აქვეითებს.

თუ უცაბედად რაღაცამ აგაფორიაქათ, შეჭამეთ შავი შოკოლადი და ყველის პატარა ნაჭერი. ეს კომბინაცია ათანაბრებს სეროტონინისა და დოპამინის დონეს ტვინის უჯრედებში, რაც ფორიაქის სიმძაფრეს მნიშვნელოვნად ანეიტრალებს.

გთავაზობთ ტესტს, რომელიც დაგეხმარებათ, გაარკვიოთ, გაქვთ თუ არა ნევროზი.

1. მუდმივად ისწორებთ თმას ან სამოსს, მიუხედავად იმისა, რომ გასასწორებელი არაფერი სჭირს?
ა) დიახ.
ბ) არა.

2. გაქვთ არაადეკვატური ჩვევები, მაგალითად, ახველებთ, მუდმივად ისრესთ თვალებს, ცხვირს, იკვნეტთ ფრჩხილებს ან ტუჩს?
ა) დიახ.
ბ) არა.

3. საკუთარი თავის დასაცავად ათას რიტუალს ატარებთ, მაგალითად, დილით საწოლიდან მხოლოდ მარჯვენა ფეხით დგებით, დანა არასოდეს გიჭირავთ პირით თქვენკენ და ა.შ.
ა) დიახ.
ბ) არა.

4. ტრანსპორტით მგზავრობისას ან ფეხით სიარულისას ცდილობთ, დაითვალოთ სახლების, ფანჯრების, კიბეების რაოდენობა და თავი ამით გაირთოთ?
ა) დიახ.
ბ) არა.

5. გიჭირთ წყენის დავიწყება, გარკვეულ სიტუაციებში მაინც გახსენდებათ და იმავე სიმძაფრით იწყებთ ნერვიულობას?
ა) დიახ.
ბ) არა.

6. ხშირად აბსოლუტურად უსაფუძვლოდ ნერვიულობთ საკუთარი ან ახლობლის ჯანმრთელობის გამო?
ა) დიახ.
ბ) არა.

7. როცა ნერვიულობთ, ოთახში ბოლთას სცემთ?
ა) დიახ.
ბ) არა.

8. გაწუხებთ აკვიატებული ნეგატიური ფიქრები?
ა) დიახ.
ბ) არა.

9. გეშინიათ სიმაღლის, ლიფტით, მეტროთი მგზავრობის, ჩაკეტილი სივრცის?
ა) დიახ.
ბ) არა.

10. გაქვთ შიშების პანიკური შეტევები, რის გამოც გიჭირთ სუნთქვა, გაქვთ გულისწასვლის შეგრძნება?
ა) დიახ.
ბ) არა.

11. მწეველი ხართ?
ა) დიახ.
ბ) არა.

12. მუდმივად (ხშირად) ღეჭავთ საღეჭ რეზინს?
ა) დიახ.
ბ) არა.

13. როცა რაღაცაზე ნერვიულობთ, თავს აქნევთ და კისრის ძარღვები გეჭიმებათ?
ა) დიახ.
ბ) არა.

14. ხშირად გაწუხებთ სლოკინი?
ა) დიახ.
ბ) არა.

შედეგები:

თუ მხოლოდ 2-3 შეკითხვაზე გაეცით დადებითი პასუხი, ეს ნორმაა და არასასიამოვნო აზრები და შიშები მხოლოდ სტრესის მომენტში გაწუხებთ. ეს მალევე გადაგივლით.

4-6 დადებითი პასუხის შემთხვევაში თქვენი ნერვული სისტემა საკმაოდ არამდგრადია. სასურველია რეგულარულად სვათ ვალერიანის წვეთები ან აბები, რადგან იოლად ნერვიულდებით და გამოდიხართ მდგომარეობიდან. ეს კი ცუდია. ეცადეთ, დასასვენებლად წახვიდეთ, შეცვალეთ სახლში ავეჯის განლაგება, წადით მაღაზიებში, განაახლეთ გარდერობი — ეს ნევროზული სიტუაციიდან გამოსვლაში დაგეხმარებათ.

7 და მეტი დადებითი პასუხი იმაზე მიგითითებთ, რომ აშკარა ნევროზი გაქვთ, რაც აუცილებლად მოითხოვს სპეციალისტის ჩარევას. დახმარებისთვის მიმართეთ როგორც ნევროლოგს, ისე ფსიქოლოგს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

წვენები თირკმლებისთვის

თირკმლის დაავადებების მკურნალობასა და პროფილაქტიკაში კარგად ეხმარება წვენების თერაპია. ხილისა და კენკრის წვენებით ორგანიზმიდან მავნე ტოქსინები გამოდის, ხოლო თირკმლის ქსოვილები უფრო სწრაფად აღდგება.

მოცვი. ყოველდღიურად 300-500 მლ ახალგამოწურული წვენი დალიეთ.

შტოში. 1 სუფრის კოვზ წვენს 1 სუფრის კოვზი თაფლი დააყოლეთ და დღეში 3-ჯერ დალიეთ.

მარწყვი. კენკრა გარეცხეთ, ქილაში ჩაუშვით და ყოველი ფენის შემდეგ ცოტა შაქარი მოაყარეთ (1 კგ კენკრაზე 100 გრამი შაქარი). გრილ ადგილას დადგით. გამოყოფილი წვენი 100 მლ ჭამამდე 20-30 წუთით ადრე მიიღეთ.

სტაფილო. 1/4 ჭიქა, დღეში 3-ჯერ, 2 თვის განმავლობაში დალიეთ.

ქაცვი. 3 ჭიქა წვენს 50 გრამი თაფლი, 1 ჭიქა აღუღებული წყალი, 0,5 ჭიქა პიტნის ნაყენი დაუმატეთ. დღეში თითო ჩაის ჭიქა დალიეთ. მზა ნარევი მაცივარში შეინახეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი



— ბავშვი დაიბადა დღეს-აკლული, 8 თვიანი. ახლა არის 3 თვის. თუ შეიძლება დამატებითი საკვების მიცემა და რისა?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მის პედიატრს შეუძლია. ბავშვის კუჭში ყველანაირი საკვების გადამუშავებაში ხელშემწყობი ფერმენტები არ არსებობს. ისინი დროთა განმავლობაში გამომუშავდება. თვითნებურად არანაირი საკვები არ მისცეთ, ვინც უნდა გირჩიოთ, რადგან შეიძლება ბავშვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტი სერიოზულად დაუზიანოთ.

— ერთი მკერდი სხვანაირი მაქვს, მეორე — სხვანაირი. მარჯვენა მკერდი გაწითლებული მაქვს. ვის მივმართოთ?

— მკერდის ფორმის, ზომისა და ფერის შეცვლა მასში მიმდინარე პათოლოგიურ ცვლილებებზე მიუთითებს. ჩაიტარეთ მკერდის ექომამოგრაფია და მიმართეთ მამოლოგს. შეიძლება მკვეთრი ცვლილებები ჯერ არ გაქვთ, მკერდის გამოკვლევა არასდროს არის ადრე.

— როგორ უნდა იკვებოს ახალნამშობიარევმა ქალმა, რომ წონაში არ მოიმატოს?

— ახალნამშობიარევი, ისევე როგორც ფეხმძიმე ქალის კვება უნდა იყოს სრულფასოვანი. უნდა შეიცავდეს ცილასაც, ცხიმსაც და ნახშირწყლებსაც, მაგრამ არა გადაჭარბებით. ბავშვი თუ ბუნებრივ კვებაზეა, დაუშვებელია დედის დიეტა და საკვებიდან რომელიმე მნიშვნელოვანი პროდუქტის გამორიცხვა. ამით შეიძლება თქვენი პატარა დააზარალოთ. იკვებეთ ხშირად და ცოტ-ცოტა. შეგიძლიათ საღამოს საათებში თავი შეიკავოთ და მხოლოდ მაწონი მიიღოთ. არ ჭამოთ ძალიან ცხიმიანი საკვები, ეს თქვენც გავნებთ და ბავშვსაც. თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზე გყავთ, მაშინაც კი არ შეიძლება ახალნამშობიარევი ქალისთვის ხანგრძლივი და მკაცრი დიეტა, რადგან ორგანიზმი მოძლიერებას საჭიროებს, დიეტა კი შეიძლება ავიტამინოზის მიზეზი გახდეს.

— ვარ 24 წლის. ორი წელია ყელზე ჯირკვალი გამომეზარდა, არ მტკივა. ხელის დადებისას თითქოს დიდდება. რა ვქნა, ვის მივმართოთ? შეიძლება სახლის პირობებში მკურნალობა?

— ჯირკვალი ძირითადად ლიმფური ხასიათისაა. მის გადიდებას ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები იწვევს, მათ შორის, ეს შეიძლება იყოს ანთებითი პროცესიც, ინფექციური და თვითონ ლიმფური კვანძის დაავადებაც. პირველ რიგში, გაიკეთეთ სისხლის საერთო ანალიზი, თუ რაიმე ცვლილება არ გაქვთ, ნუ დამშვიდდებით, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. თვითნებურად ვიტამინების მიღებას არ გირჩევთ.

— პოლინოზი იკურნება?

— პოლინოზი ანუ თივის ცხელება ალერგიული დაავადებაა, რომელსაც სხვადასხვა მცენარის მტვერი იწვევს. იგი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე შეიძლება გაგრძელდეს. პოლინოზის სამკურნალოდ საჭიროა ალერგოლოგს მიმართოთ. დღეს არსებული ანტიალერგიული მედიკამენტები მდგომარეობას აუცილებლად შეგიმსუბუქებთ. თუ სეზონურად მკურნალობას ჩაიტარებთ, შედეგი აუცილებლად გექნებათ.

— სიმსუქნე მემკვიდრული ხასიათისაა?

— ჯერჯერობით არავის აღმოუჩენია სიმსუქნისა და სიგამხდრის გენები. თუმცა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ მშობლებთაგან ერთ-ერთი მსუქანია, 40-50% არსებობს შესაძლებლობა, რომ ბავშვი მსუქანი იქნება. თუ ორივე მშობელი ჭარბწონიანია, ბავშვს სიმსუქნისაკენ 70-80% ექნება მიდრეკილება. გამხდარი მშობლების 7-8% ჰყავს მსუქანი შვილები. სიმსუქნის ჩამოყალიბებაში ბევრი ფაქტორი იღებს მონაწილეობას. წონის მატების დროს უნდა გაირკვეს მისი გამომწვევი მიზეზი და მკურნალობაც შესაბამისად უნდა ჩატარდეს.

— მაქვს ცხიმიანი კანი. მასწავლეს ყურძნის ნიღაბი. მოუხდება თუ არა ჩემს კანს? ვარ 18 წლის.

— ყურძენი კანს ტენს მატებს და შესაბამისად, უფრო ელასტიკურს ხდის. ყურძნის წვენი უხდება თითქმის ყველა ტიპის სახის კანს, მაგრამ მაინც გამომშრალი კანისთვის არის ეფექტური.

— აღმომაჩნდა ციტომეგალოვირუსი. საშიშია? ვარ 22 წლის, გასათხოვარი.

— ციტომეგალოვირუსი აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას, რაც ძირითადად ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებით გამოიხატება. მკურნალობას ვიტამინებით ნუ დაიწყებთ. მიმართეთ ექიმს, რომელიც როგორც ანტივირუსულ, ასევე იმუნური სისტემის გამაძლიერებელ საშუალებებს დაგინიშნავთ. ციტომეგალოვირუსი ხშირად ნაადრევი მშობიარობის მიზეზი ხდება.

— რამდენიმე წელია, კანზე გამაჩნდა იარა, რომელიც პერიოდულად მიმწყავდება, მექავება, მოფხანის შემდეგ კი კანი მიღიზიანდება. იარა მხოლოდ ერთ ადგილას მაქვს. მითხრეს, სოკოვანი დაავადებაა. ვიმკურნალე. მაწუხებს ერთი კონკრეტული უბანი.

— უმჯობესია, მიმართოთ დერმატოლოგს. შეიძლება თქვენ ნეიროდერმატიტი გჭირთ. ნეიროდერმატიტს ახლავს ქავილი, განაკაწრები, კანის გასქელება, კანის ფერის შეცვლა. იგი ძირითადად ნერვული სისტემის, ენდოკრინოლოგიური დაავადებებისას, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლისას ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ალერგიულ მდგომარეობას. ნეიროდერმატიტი ძირითადად მუხლქვეშ და იდაყვის ფოსოებში, კისერზე ვითარდება. ქავილი ღამით ძლიერდება. ექიმი-დერმატოლოგი მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად შესაბამის დიეტასაც დაგინიშნავთ.

— შეიძლება თუ არა ფეხმძიმე ქალის ზღვაზე დასვენება?

— შეიძლება, თუ ექიმი ნებას დაგრთავთ და თუ ფეხმძიმობა ნორმალურად მიმდინარეობს. მაგრამ მაინც გირჩევთ, ნუ დაწვებით დიდხანს მზეზე და წყალშიც დიდხანს ნუ გაჩერდებით, რადგან დაფიქსირებულია, რომ ორსულობის ნაადრევი შეწყვეტის მიზეზი ზღვაზე გავრცელებული ინფექციები ხდება.

— რითი ვუმკურნალო რადიკულიტს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადარ შემაწუხოს.

— პირველ რიგში, დაწექით მაგარ საწოლზე, მიიღეთ B ჯგუფის ვიტამინები. არ დაიდოთ ცხელი სათბური მტკივან ადგილზე, ტკივილს გაგიძლიერებთ. ერთმანეთში აურიეთ თაფლი და საავიაციო ნავთი თანაბარი რაოდენობით (ერთმანეთს მძიმედ ერევა) და დაიდეთ მტკივან ადგილზე, შეიხვიეთ ჯერ პერგამენტით, შემდეგ თხელი პოლიეთილენის პარკი დაიფინეთ და გაიჩერეთ მინიმუმ ორი დღე და ღამე. შვებას აუცილებლად იგრძნობთ. ოღონდ ამ დროს უმჯობესია, იწვეთ.

— ყოველდღიურად შეიძლება ვალოკორდინის სმა?

— ვალოკორდინი დამაწყნარებელი, სუსტი სედატიური საშუალებაა. იგი დამაწყნარებლად მოქმედებს მომატებული აგზნების დროს, გულის კუნთის გადატვირთვის დროს. ვალოკორდინი ერთი შეხედვით უწყინარი წვეთებია, მაგრამ მაინც ექიმის დანიშნულებით უნდა მიიღოთ. ხანგრძლივი გამოყენებისას შეიძლება პრეპარატის მიმართ დამოკიდებული გახდეთ. არ გამოიყენება ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის მძიმე დარღვევების დროს. სწორი გამოყენების შემთხვევაში კი შეიძლება ადამიანის ყურადღების მოდუნება გამოიწვიოს, ამიტომ მისი მიღება საჭესთან ყოფნის დროს სასურველი არ არის.

ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ, ᲐᲙᲠᲘᲤᲔᲗ ᲐᲡᲝ S ᲓᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ 93887 ᲛᲐᲒᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ 1779 ᲯᲔᲝᲡᲚᲔᲚᲘᲓᲐᲜ. 1 ᲡᲛᲡ-ᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲐ: ᲛᲐᲒᲗᲘᲓᲐᲜ 1 ᲚᲐᲠᲘ, ᲯᲔᲝᲡᲚᲔᲚᲘᲓᲐᲜ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ.

ᲒᲐᲘᲐᲓᲕᲘᲚᲔᲗ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲚᲔᲑᲐ

ᲘᲥᲝᲜᲘᲔᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ

ᲙᲠᲔᲖᲐᲛᲘ

ᲗᲘᲗᲝ ᲙᲐᲤᲡᲣᲚᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲭᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

www.krezam.ge

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ.

Cyan Magenta Yellow Black

1. კაუსტიკური სოდა; 2. მსახიობი როუენ ...; 3. სპორტული ასასხლეტი მოწყობილობა; 4. ... კრუზი; 5. ცხენის კუდის ბეწვი; 6. ხელოვნების დარგი; 7. ანჩხლი; 8. ასჯერ ნაკლების წინსართი; 9. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 10. გომბეშოს სახეობა; 11. მუდმივი სითბოს დროს მიმდინარე ფიზიკური პროცესის შესაბამისი გრაფიკი; 12. ცხოველთა სამყარო; 13. სისხლძარღვის კედლის შინაგანი გარსი; 14. ძველეგვიპტელთა მზის ღვთაება; 15. ესპანურ-პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი შუა საუკუნეებში; 16. შალის მტკიცე ქსოვილი; 17. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 18. რისამე მწვავე ნაკლებობა; 19. ... რობერტსი; 20. შავი კონტინენტი; 21. ასო რ-ს სახელი; 22. თვითმფრინავების სადგომი და სარემონტო ნაგებობა; 23. მრავალსიმიანი საკრავი; 24. „..., დამაცადე; 25. კომბოსტოს სახეობა; 26. მძიმე შრომა; 27. მდინარის და ზღვის სარეწი თევზი; 28. ქვების ნამსხვრევები, წყლისგან მასად ქცეული; 29. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 30. მდინარე პოლონეთში; 31. ზღვის მოლუსკი; 32. კონტინენტთაშორისი წყლის დიდი სივრცე; 33. საიდუმლო, გულისნადები; 34. გივი ბერიკაშვილის სცენური სახე; 35. დანაშაულის დამადასტურებელი ნივთი ან ფაქტი; 36. სკა; 37. მე (ლათინურად); 38. ბოლოში ორად გაყოფილი ტოტი; 39. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 40. ავი სული, ეშმაკი; 41. „... მოვიპაროთ მილიონი“; 42. ათასჯერ ათასი; 43. მცენარე წვრილი, შავი ნაყოფით; 44. მწერალ არსენ მამულაიშვილის ფსევდონიმი; 45. ნაკლოვანებებზე მითითება; 46. ზონარზე ასხმული მძივი თავის გასართობად, გულის გადასაყოლებლად; 47. „... არაბეთს როსტევან“; 48. სასმისი; 49. ... ბოლდუინი; 50. მუქარა მეფეს ჭადრაკში; 51. ხილის გაწურვის შემდეგ დარჩენილი კანი; 52. მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი მეფის რუსეთში; 53. იგივე არეზი, მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 54. ნახევარკუნძული ეგვიპტეში; 55. ... მორიკონე; 56. ქალაქი-პორტი ბულგარეთში; 57. ბაყაყი; 58. სქელკანიანი სამკურნალო მცენარე; 59. ხვავი; 60. საუკეთესო სპორტსმენზე იტყვიან; 61. უბანი თბილისში.



სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

მთის ბროლი, კვარცი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ტაო; 2. ალა; 3. კალუგა; 4. კიმონო; 5. სამუმი; 6. სინათლე; 7. მიკადო; 8. კარგო; 9. დანა; 10. ბოდიში; 11. აი; 12. ბასტილია; 13. ასლი; 14. საბზა; 15. კაა; 16. „კონკია“; 17. პიერ; 18. რძალი; 19. ლიანი; 20. მარკ; 21. მადამ; 22. ავგია; 23. ელ; 24. კოსტაია; 25. სათაფლია; 26. რაე; 27. მარაო; 28. რუტკაი; 29. ლი; 30. ნიხრი; 31. ქვაბი; 32. ქვა; 33. სათლი; 34. ტყავი; 35. მერიმე; 36. ნინუა; 37. არტერია; 38. რძე; 39. ალეკ; 40. ალოე; 41. ორთი; 42. ალასკა; 43. ენერგია; 44. სალარო; 45. აიოვა; 46. პა; 47. ალფონსი; 48. ლა; 49. „ენეიდა“; 50. პროზა; 51. სია; 52. ავსტრალია; 53. ტოიოტა; 54. ბიანკა; 55. ოყა; 56. პარადი; 57. სოპკა; 58. სუ; 59. კერატი; 60. ნიდაო; 61. იო; 62. „იზა“; 63. ოლიმპი; 64. პლისეცკაია; 65. მაღარო. **სურათებზე:** ილია ჭავჭავაძე; ოლღა გურამიშვილი; ნინო პოლტორაცკაია; ექვთიმე თაყაიშვილი.

ჯოდი: ფავორი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. იაპონური თეატრი
2. ცირკის მოედანი
3. დაკლაკნილი გზა მთაში
4. ბატონო ესპანურად
5. ადამის ცოლი
6. მდინარე იტალიაში
7. ალგორითმული ენა
8. ტყის სამკურნალო ბალახი
9. ფრანგი მწერალი
10. ყვავილის ნაწილი
11. ინგლისური ლუდი
12. ყაიმი
13. სოფელი აბაშის რაიონში
14. თარაშ ემხვარის ცხენი
15. ნიგერის ფულის ერთეული
16. ლეოპარდი
17. ბაშკირეთის დედაქალაქი
18. პატარა სნრაფი ჩიტი
19. ქალაქი რუსეთში
20. ბატონი თურქეთში
21. ყვავილი
22. სარწყავი არხი
23. იტალიური კოქტეილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. კი; 2. კუ; 3. ნო; 4. კია; 5. რახი; 6. კვიცი; 7. ჩაკ; 8. როლგანგი; 9. ალსუ; 10. მის; 11. ცერეცო; 12. ლევი; 13. ელიბო; 14. სამბა; 15. ალღო; 16. ბისაუ; 17. დონ; 18. ალვეში; 19. აბრა; 20. სატაცური; 21. ჯიღა; 22. მაქსიმ; 23. თხა; 24. ვო; 25. შუ. **სურათებზე:** ასო; მარცვალი; სიტყვა; წინადადება.

Cyan Magenta Yellow Black

სიყვარულის 9 კატეგორია

ბრიტანელმა მეცნიერებმა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ბუნება გააანალიზეს და ამ გრძნობის 9 კატეგორია ჩამოაყალიბეს.

1. ზრდასრული სიყვარული — ითავსებს ურთიერთობას, აღიარებას და მხარში დგომას.
2. კუპიდონის ისარი — ეს ის გრძნობაა, როცა წყვილები ბრმა ვნებით არიან შეპყრობილები.
3. ჰედონური სიყვარული — როცა ადამიანი წარმავალი სიყვარულის დაბრუნებისთვის იღვწის.
4. სიყვარული, როგორც გამაერთიანებელი — ასეთი ურთიერთობის საფუძველი რომანტიკული გრძნობებია.
5. სიყვარული ილუზიების გარეშე — როცა პარტნიორები თვლიან, რომ ურთიერთობების შესანარჩუნებლად უნდა გამოავლინონ მოთმინება და წავიდნენ კომპრომისებზე.
6. სიყვარული — ემოციური თავგადასავალი, მიანიშნებს ადამიანის ფსიქოლოგიურ ცვლილებას.

გარდა ამ ექვსი კატეგორიისა არსებობს გარდამავალი კატეგორიებიც:

7. კუპიდონის ისრიდან გრძნობამდე, რომელიც საზოგადოებრივი წნეხის გავლენით წარმოიშვა.
8. კუპიდონის ისრიდან ახლო მეგობრობამდე.
9. სიყვარული, როცა ორი ადამიანი ხდება ერთი მთლიანობა.

ჰოგორია თქვენი ტემპერამენტი?

ყველა დადებით პასუხში 1 ქულა დაიწერეთ.

ტესტი

1. უდარდელი ადამიანი ხართ?
2. ჩვეულებრივ, სწრაფად, დაფიქრების გარეშე იქცევით და ლაპარაკობთ?
3. უფიქრდებით, სანამ მოიმოქმედებთ რამეს?
4. ნიძლავის გამო ყველაფერზე წახვიდოდით?
5. მოგწონთ ადამიანთა თავყრილობებში მონაწილეობა?
6. ჩვეულებრივ წიგნებს ანიჭებთ უპირატესობას, ვიდრე ადამიანებთან შეხვედრას?
7. თქვენ თუ გიყვირიან, ანალოგიურად პასუხობთ?
8. შეგიძლიათ მთლიანად გაიხსნათ და კარგად იმხიარულოთ ადამიანთა დიდ წრეში?
9. უცხო ადამიანების წრეში ჩუმად ყოფნა გირჩევნიათ?
10. ცოცხალ და მხიარულ ადამიანად გთვლიან?
11. ისე გიყვართ ლაპარაკი, რომ შანსს არ გაუშვებთ ხელიდან და აბსოლუტურად უცხო ადამიანსაც კი გაუბამთ საუბარს?
12. თავს უბედურად იგრძნობდით, თუ დიდი ხნის განმავლობაში დარჩებოდით ადამიანების ფართო წრესთან ურთიერთობის გარეშე?
13. შეგიძლიათ თქვათ, რომ საკმაოდ თავდაჯერებული ხართ?
14. ადვილად შეძლებთ ენერგიული მუხტის შეტანას საკმაოდ მოწყენილ ადამიანთა წრეში?

შედეგები:

7 ქულა და მეტი — ექსტავერტი

ადამიანი, რომლის ფსიქოლოგიური ხასიათი გამოიხატება გარე სამყაროს ინტერესებზე, გარე ობიექტებზე ორიენტაციით. ახასიათებთ მოქმედების იმპულსურობა, აქტიურობა, ინიციატივა, სოციალური ადაპტაციის უნარი და გახსნილი შინაგანი სამყარო. ემოციურად მდგრადი ადამიანია.

7 ქულაზე ნაკლები — ინტავერტი

ადამიანი, რომლის სოციალურ-ფსიქოლოგიური წყობა ხასიათდება შინაგან სამყაროზე კონცენტრაციით, ჩაკეტილობით. თავიანთ ინტერესებს თვლიან ყველაზე მნიშვნელოვნად, აძლევენ მაღალ შეფასებას. ახასიათებთ სოციალური პასიურობა და თვითანალიზი. ემოციურად არამდგრადი ადამიანია.

ჭკვიანი აზრები

„გულმრუდი მეგობარი უფრო საშიშია, ვიდრე პატიოსანი მტერი".

მეკარეოვი

„თუ ბოროტი ხარ, შეგიძულებენ, თუ კეთილი ხარ, ზოგჯერ მოგატყუებენ, თუ სიმართლის მოყვარე ხარ, თაყვანს გცემენ".

„მარტო შესაძლებელი ისურვეთ და არასდროს დაინყევლით თავს, უღონო ვარო".

ბუასტი

„ვისაკ გული წმინდა აქვს, იმას სახეკ უბრწყინავს".

*ს

ქართული ანეკდოტები

ძაღიან მსუქანი ცოლი ექიმის ჩჩევებს უყვება ქმარს:

— ასე მითხრა, ოცოც ჯიღოიანი გიჩები უნდა ასნიო დღეში ასჯეჩო.

— სხვა შემცვლელი საშუალება არ არსებობს? — შეეცოდა ქმარს ცოლი.

— ჯი, ჩოგოთ არა. დღეში სამჯეჩ სექსი ქმართანო.

— და მაინცდამაინც ქმარი უნდა იყოს?

— თუ საყვარელი ნაჩუქარი ბეჭდის გულისთვის მკლავს, ის ბეჭედი ნამდვილი მარგალიტისთვლიანი უნდა იყოს, — პირობას უყენებს მსახიობი ქალი რეჟისორს.

— ნუ ღელავ, — ამშვიდებს რეჟისორი, — მარგალიტიც ნამდვილი იქნება და ის ტყვიაც, რომელსაც გესვრიან.

❖ ❖ ❖

— ქალბატონო, შეიძლება, ეს ქოლგა გამომიცვალოთ?

— აქ ხომ წერია, გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება.

— მე არც მიყიდია, ჩემმა ბიჭმა მოიპარა გუშინ.

❖ ❖ ❖

— ღმერთმა იმდენი ჭკუა მომცა, ასი წელი მეყოფა.

— მერედა, შე ჩემა, ინსტრუქციაც გამეყოლებინა, რაფრა უნდა მეიხმარო.

❖ ❖ ❖

ოსი ქუჩაში მიდის და საკუთარ თავს ელაპარაკება.

— რა დღეში ხარ, ჯამბულათ, ვის ელაპარაკები? — ეკითხება ნაცნობი.

— საკუთარ თავს ანეკდოტს ვუყვები.

— მერედა, რატომ არ იცინი?

— იმიტომ, რომ ვიცოდი.



— ხა აყეფებდა შენს ძაღლს მთელი ღამე?

— ძაღლი იყეფებს, შე ჩემა, აბა, ჯვეჩცხს ხომ ა ხ დაგობს?!

❖ ❖ ❖

კარზე ზარია.

— პანაშვიდი აქაა? ჩვენ მუზიკანტები ვართ.

— არა, ჯერ ცოცხალია, აგონიაშია საწყალი.

— მაშინ ინსტრუმენტებს დავტოვებთ და ხვალ მოვალთ.

— ექიმო, მიშველეთ! — ნივილით შევარდა ქალი ექიმთან, — ქმარი მეჩხება ნეხელ.

— მეხე მე ხა შეაში ვარ?

— ხა შეაში ხარ და გეიჯეთე აჩეები და შემხედე ჩოფაზე!

❖ ❖ ❖

სვანს თავი გაუტყდა და სისხლი სდის.

— ქალო, ჩქარა, ბაწარი მოიტანე! — უყვირის ცოლს.

— ბაწარი რად გინდა?

— კისერში წავიჭერ, სისხლისგან რომ არ დავიცალო.

❖ ❖ ❖

ქალაქიდან ჩასული აგრონომი სოფლელ აგრონომს ირონიულად ეკითხება:

— და თქვენ ამტკიცებთ, რომ ამ ხიდან ორ ტონა ვაშლს კრეფთ?

— რა თქმა უნდა, არა, რა სისულელეა.

— რაა სისულელე?

— ის, რომ ამ ხიდან ვაშლს ვკრეფთ. ეს კარალიოკის ხეა.

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები

❖ ❖ ❖

— ზაქროვ! — ეძახის ცოლი, — კართან ვიღაცაა, მათხოვარი ვარო, ამბობს.

— მერე რა უნდა?

— ერთი თვეა, ხორცი თვალით არ მინახავსო. ცოდოა, განა!

— მერე და აჩვენე შენცა... თავიდან ფეხებამდინ სულ ხორცი არა ხარ?!

❖ ❖ ❖

თვითმფრინავი სადაცაა ჩამოვარდება. მეგრელმა სასწრაფოდ პასპორტი გადაყლაპა.

— რას აკეთებთ? — გაკვირვებული ეკითხება სტიუარდესა.

— წინდახედული კაცი ვარ, ჩემო დაია. ასე ჩემები ადვილად ამომიცნობენ.

❖ ❖ ❖

უცნობი ქალი და კაცი ლიფტში გაიჭედნენ. დგანან და უყურებენ ერთმანეთს.

— მაინც ასე ინება განგებამ და სექსი ხომ არ გავაჩაღოთ? — ეკითხება ქალი.

კაცმა ურწმუნოდ გააქნია თავი:

— ტყუილი წვალებაა... მაინც არ გაიღება!

❖ ❖ ❖

— დედიკო, მართლა კომბოსტოში მიპოვე?

— კი, შვილო.

— კომბოსტო საიდან მოხვდა შენთან?

— მამაშენმა მომითრია.

❖ ❖ ❖

ქმარი გვიან მიბანცალდა სახლში მთვრალი.

— სად იყავი? — ეკითხება დოინჯშემოყრილი ცოლი.

— ჰმმმ... ჰმმმ!

— შენით თქვი ჩქარა, თორემ მე მოვიფიქრებ და მერე გარეთ ვერ გამასწრებ, შე უბედურო!

❖ ❖ ❖

— ლევანიკო, ჩვენ რომ შევუღლდებით, ორი გოგო და

ნვეეიებაზე ქალი ახალგაცნობილ ჯაცს მიმართავს:

— თქვენი აზჩით, ჩამდენი ნლის ვიქნები?

— თუ თქვენი გამომეტყველებით ვიმსჯელებთ, 17 ნლის, თუ სახის ჯანის მდგომარეობით, მაშინ 25 ნლის და თუ თქვენს სექსუალუჩობას გავითვალისნინებთ, 30 ნლის...

— ვაიმე, ჩა საყვარლობაა!

— ახლა ესენი შეჯიბე!

ერთი ბიჭი გვეყოლება.

— რა იცი, ეგება სამი შვილი სულ არ გვეყოლოს!

— მაგის გარანტიას მე გაძლევ, დედაჩემთან არიენ სუყველა სოფელში.

❖ ❖ ❖

ორი მთვრალი ჩხუბობს. ერთმა იარაღი ამოიღო.

— არ მესროლო, თვარა ინანებ!

— რას ვინანებ, რომ მოგკლავ?

— არა, მთვრალი ხარ და ამაცილებ.

❖ ❖ ❖

— იცი, ვალოდა საფრანგეთში იყო და ასე თქვა, სოფი ლორენმა გამიღიმაო.

— გაუღიმებდა, აბა, რა. მე რამდენჯერაც ვალოდას შევხედავ, იმდენჯერ სიცილით ვბუირდები.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კლოდ იზნერი **დასაწყისი №24-32**

მკვლელობა ეიფელის კოშკზე

მაღაზიაში შესული ვიქტორი მაშინვე მიხვდა, რომ ხაფანგში გაება: უზარმაზარ სამგზავრო სკივრზე ჩამომჯდარი დამა სწრაფად წამოხტა და მასთან მიიჭრა:

— ფისუნი...

— ოდეტა! — შეძრწუნებით წარმოთქვა მამაკაცმა.

— ფისუნი, შენ ხომ შემპირდი, სადგურში გაგაცილებო, დაგავიწყდა?

— სად მიემგზავრებით, მადამ? — დაინტერესდა მაგიდასთან მჯდარი კენძი.

— ნორმანდიის სანაპიროზე, ულგატში, — მიუგო ოდეტამ და ისევ ვიქტორს მიუბრუნდა, — თქვი, დაგავიწყდა?

— არაფერიც არ დამვიწყებია, — იცრუა ვიქტორმა და საათზე დაიხედა, — ჯერ ბევრი დრო გვაქვს, თუმცა წასვლა უკვე შეიძლება, ფიაკრს ჟოჟო დაგვიჭერს.

— ახლავე, — შესძახა ჟოზეფმა, წიგნების დალაგებას თავი ანება და გარეთ გავარდა.

— პუდრის წასმა სად შეიძლება? — იკითხა ოდეტამ და ხმადაბლა დაამატა, — შენმა ჩინელმა წყალიც არ შემომთავაზა.

— მაღლა ადი, მერე მარცხნივ ბოლომდე. სარკეც დაგხვდება და წყალიც, — აუხსნა ვიქტორმა.

კენძი დაელოდა, სანამ ქალი კიბეს აათავებდა და თქვა:

— საოცრად არასასიამოვნო ტიპია! ორი მყიდველი დაგვიფრთხო. სასწრაფოდ წაიყვანეთ და დარწმუნდით, რომ მატარებელში ნამდვილად ჩაჯდა. ნორმანდიის სანაპიროზე ასეთ მომხიბვლელ სტუმარს ალბათ მოუთმენლად ელიან...

— არ გიყვართ, — შენიშნა ვიქტორმა, თან ღიმილი ძლივს შეიკავა.

— ეს, მგონი, ორმხრივია, — მიუგო კენძიმ, — ჰო, მართლა, მე არ ვიქნები.

— სადმე მიდიხართ?

— ლონდონში. დღეს საღამოს. ორი დღით.

— ლონდონში? რა გინდათ?

— თქვენ თქვენი საქმეები გაქვთ, — ირონიულად ისროლა კენძიმ და თავი ზედა სართულისკენ აიქნია, — მე ჩემი.

— რამე ისეთი ხომ არ მოხდა?

— სულაც არა. საიდან მოიტანეთ?

— ისე, უბრალოდ... ბოლო დროს რაღაც შეწუხებული ჩანხართ.

— რაკი ეს შენიშნეთ, გეტყვით, რაც მაფიქრებს: თქვენ.

— მე?!

— ადგილზე არასოდეს ხართ. მე და ჟოჟო ყველაფერს ვერ ავუდივართ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს წიგნებით ვაჭრობა საერთოდ აღარ გაინტერესებთ.

— პირიქით. კარგ წიგნებს და ბიბლიოთეკებს, თქვენი არ იყოს, ყოველთვის ვაფასებდი, — გადაუკრა ვიქტორმა, თან გაიფიქრა, რა ბებერი ცოლ-ქმარივით ვკამათობთო.

— თქვენი კარეტა, მადამ! თქვენი კარეტა! — შემოვარდა ამ დროს ყვირილით ჟოზეფი.

— მოვდივარ, — კიბეზე დაეშვა ოდეტა და ჟოზეფთან ერთად შემოსულ მეეტლეს მიმართა, — სკივრი აიკიდეთ, გეთაყვა.

ხადგურზე ხალხი ირეოდა. უნიფორმიანი მებარგულები მატარებლებსა და დუეს მოედანზე გაჩერებულ ფიაკრებს შორის დაიარებოდნენ და კლიენტებს ეძებდნენ, რისი ნაკლებობაც ნამდვილად არ იგრძნობოდა.

კენძი ცნობათა ბიუროს გვერდითა კედელს მიეყრდნო და „პასპარტუს“ სპეციალური გამოშვება გაშალა:

„დანაშაული ფიაკრში

მკვლელი-ფუტკრები მომდევნო მსხვერპლს ირჩევენ

ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრეთა წრეებში კარგად ცნობილი კოლექციონერი, ბატონი კონსტანტინ ოსტროვსკი ფიაკრში გარდაიცვალა, ეიფელის კოშკიდან ასიოდ მეტრში...“

სტატია იუწყებოდა, რომ ამგვარი უეცარი სიკვდილი, რაც ეიფელის კოშკსა და, რაც მთავარია, ფუტკრებს უკავშირდებოდა, პირველი შემთხვევა არ იყო. პოლიცია ამ ყველაფრის შესახებ არანაირ განცხადებას არ აკეთებდა. შემდეგ იმ მეეტლის ნაამბობი იყო დაბეჭდილი, რომელმაც გვამი აღმოაჩინა.

კენძიმ კითხვა შეწყვიტა, პორტფელი გახსნა და გაზეთი შიგ ჩადო. ამ დროს მაღალი მამაკაცი შენიშნა, რომელსაც კოკარდაზე ოქროს ასოებით „მთარგმნელი“ ეწერა და რომელიც შეეკითხა, რამე ხომ არ გჭირდებათო. კენძიმ ჯერ უარის ნიშნად თავი გააქნია, მერე უცებ გადაიფიქრა, მთარგმნელს რაღაცა უჩურჩულა და ფულიც მიაჩეჩა. მაღალი წავიდა, მალევე დაბრუნდა უკან და კენძის რაღაცა ფურცელი გაუწოდა. მან ის ჯიბეში ჩაიდო, ტელეგრაფისტის სარკმელთან მივიდა, ბლანკი აიღო და შემდეგი ჩაწერა:

„გაუთვალისწინებელი გარემოებანი. უახლოეს კვირაში ჩამოვალ. LOVE, კენძი. მის აირის ებოტი. 18 ჩარინგ-კროს, ლონდონი“.

კენძიმ ტექსტი ტელეგრაფისტს გაუწოდა, „სასწრაფო“ დაამატა, ფული გადაიხადა, ვაგზლიდან გავიდა და დენენის ბულვარს მიაშურა, სადაც „ჩრდილოეთის რკინიგზების ოტელი“ ეგულებოდა.

შესასვლელში მთარგმნელის მიცემული ქაღალდი წარადგინა და თქვა:

— ნომერი დაჯავშნული მაქვს.

ზა გამხდარმა მორიგე ქალმა გადაუღობა:

— საით ასე გვიან? უნდა ვიცოდე, ვინ მოდის და ვინ მიდის. მოიცათ! მოიცათ!

ვიქტორმა მის ძახილს ყური არ ათხოვა, მთელი ექვსი სართული ფეხით აირბინა და ერთ-ერთ კართან შეჩერდა. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. „მგონი, შინ არ არის“, — ის იყო, გაიფიქრა, რომ კარი უეცრად გაიღო, რასაც ტაშას გაოცებული შეძახილი მოჰყვა:

— მუსიე ლეგრი? თქვენ?

ქალი სულ ახლოს იდგა... ღამის პერანგი ტანზე შემოტმასნოდა...

— მე... — შეცბა ვიქტორი, — ვნერვიულობდი... კაფედან ისე ადრე წახვედით... ავად ხომ არ გახდით?

— უბრალოდ, დავიღალე. დღე-ღამეში თოთხმეტ საათს ვმუშაობ.

— არ გაცივდეთ.

— რას ამბობთ? ისე ცხელა!

— თქვენი იატაკი ქვისაა...

— შემოდით, რაღას უდგახართ?

კაცი შევიდა. ქალის სურნელი უფრო ძალუმად შეიგრძნო, თავბრუ დაესხა და... მისკენ გაიწია.

— რას შვრებით? — შესძახა ტაშამ, — იქით გაიწით!

ვიქტორი უცებ მოეგო გონს:

— უკაცრავად... მაპატიეთ. ჰო, რა უნდა მეთქვა!

— გისმენთ.

— თქვენ მას იცნობდით! თავად მითხარით... — დაიჩურჩულა.

— ვის გულისხმობთ?

— კაცს, რომელიც ფიაკრში იპოვეს მკვდარი. ოსტროვსკის.

ქალს სახე შეეშალა:

— ბევრჯერ შევხვედრივარ. მერე რა?

— უბრალოდ ხვდებოდით? დარწმუნებული ხართ?

— როგორ მიბედავთ?!

ვიქტორი თითებით სწვდა ნიკაპში და ძალით აუწია თავი:

— ბოლოს როდის შეხვდით?

ტაშამ თავი გაითავისუფლა:

— ორი დღის წინ ის ესკიზები მივუტანე, რომლებიც შემიკვეთა. რისთვის ეს შეკითხვები? თქვენ რა, პოლიციის მაცნე ხართ?

— მისი სიკვდილი ეჭვს იწვევს. ადრე თუ გვიან პოლიცია დაინტერესდება, რა გაკავშირებდათ მასთან, — ვიქტორმა სული მოითქვა, — ახლა ის მითხარით, ბუფალო ბილის ჩამოსვლის დღეს ბატინიოლის ვაგზალზე თუ იყავით?

— მარიუსმა გამგზავნა სათანადო დავალებით.

— კიდევ კარგი, არა ოსტროვსკიმ!

— საზღვრებს გადადიხართ!

— იმ მეძველმანის სიკვდილს შეესწარით?

— მხოლოდ დავინახე, როგორ დაეცა და ჟანდარმების მოსვლამდე ესკიზის გაკეთება მოვასწარი. მერე ხალხი მიესია, მე კი წამოვედი. საერთოდ არ მომწონს ამგვარი სანახაობები, — ქალი ეჭვით მიაჩერდა ვიქტორს და ბოლოს რაღაცას მიხვდა, — მოიცათ, მოიცათ! თქვენ რა, ამ უბედური ადამიანების მკვლელობაში მადანაშაულებთ? ხომ აგიხსნათ გუვიემ, მეძველმანე გულით ავადმყოფობდაო. ეს სისულელე თავში ვინ ჩაგიბეჭდათ, კლიუზელმა?

— არავინ. თავად მივხვდი. თქვენ იმ დღესაც კოშკზე იყავით, როცა ეჟენი პატინო მოკვდა.

— და მის სიკვდილში ამიტომ ვარ დამნაშავე? იქ ხომ მთელი რედაქცია იყო, თქვენი მეგობარი იაპონელიც და თავად თქვენც, ბოლოს და ბოლოს... ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ასეთი ბოროტი ვარ? ნუთუ პატივს საერთოდ არ მცემთ?

— პირიქით! მე ძალიან... გცემთ პატივს და თქვენი დაცვა მინდა.

Cyan Magenta Yellow Black

— კი მაგრამ, ვისგან ან რისგან?

— თქვენ ოსტროვსკის იცნობდით... ინვალიდების ესპლანადაზეც დაგინახეთ კავენდიშის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

— თქვენ ჯაშუში ხართ? თვალს მადევნებთ?

— გარწმუნებთ, ეს შემთხვევით მოხდა.

— მუსიე ლეგრი, წადით! დავიღალე! თვალით აღარ დამენახოთ!

მან სწრაფად შეიწმინდა აცრემლებული თვალები. ვიქტორმა ამით ისარგებლა, მის პატარა, ათრთოლებულ ხელს წაეტანა და ტუჩებთან მიიტანა:

— ტაშა, მაპატიეთ... გთხოვთ... — თქვა და ხელზე დაუწყო კოცნა, — მე უნდა დავრწმუნებულიყავი... ყველაფერი ისე გართულდა...

ქალმა წინააღმდეგობა აღარ გაუწია:

— იმიტომ, რომ თავად ხართ რთული ადამიანი...

ზემოხსენებულ დრამატულ სცენას ინტიმური ფინალი აღმოაჩნდა, რისი აღწერად ზედმეტად მიგვაჩნია.

ხადგურის სიახლოვეს გამეფებულმა მუდმივმა ხმაურმა კენძის ნორმალურად დაძინების საშუალება არ მისცა. სამაგიეროდ დრო ჰქონდა, ყველაფერი მომხდარი გულდასმით გაეანალიზებინა და ცივი გონებით შემდგომი მოქმედების გეგმაც შეემუშავებინა.

მან მაგიდა ფანჯარას მიადგა, საქაღალდიდან ვიქტორის ოთახიდან წამოღებული სამი ფოტოსურათი ამოიღო, სათვალე შეისწორა და ყურადღებით დააცქერდა. შემდეგ ოთახში ბოლთის ცემასა და ფიქრს შეუდგა. ბოლოს ჩაი დალია, „პასპარტუს“ სტატია წაიკითხა და როცა პიჯაკს იცვამდა, გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მოქმედება, თუნდაც არც მთლად გააზრებული, მაინც უკეთესია, ვიდრე ეჭვებით სავსე უშინაარსო ცხოვრება.

ზეწარში გახვეული და საწოლიდან ცალფეხგადმოკიდებული ვიქტორი თვლემდა, როცა სულ ახლოს მეფისტოფელის არია მოესმა გუნოს ოპერიდან „ფაუსტი“. ვიქტორმა რაღაცა ჩაიბურტყუნა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ადგილი მის გვერდით ჯერ ისევ თბილი იყო, ტაშას სურნელით გაჟღენთილი. არა, ღამის თავგადასავალი მას არ დასიზმრებია. ისეთმა სიხარულმა შეიპყრო, როგორსაც მხოლოდ ბავშვობაში განიცდიდა, როცა რიჩმონდის პანსიონატი მთელი ზაფხული იკეტებოდა.

ვიქტორი მუცელზე გადაბრუნდა და თავით ბალიშში ჩაეფლო.

— „ბენზოი“, — ჩაიჩურჩულა.

რა ერქვა ოდეტას ტუალეტის წყალს? „ჰელიოტროპი“? ოდეტა მხოლოდ გუშინ გაემგზავრა და უკვე გაქრა ლანდივით. მისი სამუდამოდ დავიწყება გადაწყვიტა. იდაყვს დაეყრდნო, წამოიწია, ძლივს გაარჩია ციფერბლატი: 8.15. იქვე, მაგიდაზე ბარათი იდო:

„ძვირფასო ვიქტორ, ქვეყანა იმისია, ვინც ადრე დგება. მაშასადამე, ჩემი! შენი ნახვა ნებისმიერ დროს ბედნიერს გამხდის. დღეს საღამოს, რვაზე, აქ. ყავა არის. წასვლისას გასაღები კარწინა ფარდაგის ქვეშ დატოვე. ტაშა“.

ამასობაში კედლის მიღმა გუნომ როსინის დაუთმო ადგილი, „ფაუსტმა“ კი „სევილიელ დალაქს“.

ვიქტორი საწოლიდან გადმოვიდა, ნელ-ნელა ჩაიცვა და სამზარეულოს მიაშურა. გაზი ვერ აანთო, ვერც შაქარი იპოვა და ცივ, მწარე ყავას დასჯერდა.

გვერდიდან კი უკვე „ბორის გოდუნოვი“ ისმოდა დანილო დუკოვიჩის შესრულებით:

„დიდება მეფე ბორის!

დიდება, დიდება!“

ვიქტორმა ბოლომდე მოისმინა რუსული შედევრი, მერე ცოტა შეიცადა, გეგმები დაიწყო, თუ რას იყიდდა საღამოს, ტაშასთვის რომ ესიამოვნებინა — შოკოლადი, პიტნის კარამელი, ჩაი და... რასაკვირველია, ყვავილები.

ექვსი სართული რომ ჩაიარა და ეზოში გავიდა, ახალგაჩაღებული სკანდალის ეპიცენტრში მოხვდა. წვერებიანი გოლიათი დანილო დუკოვიჩი და აწითლებული მადმუაზელ ჰელგა ბეკერი ერთმანეთს ნატიფი ეპითეტებით ამკობდნენ.

— ქეციანო ტურავ! — ყვიროდა სერბი.

— ყაჩაღო! — გაჰკიოდა პასუხად გერმანელი.

ვიქტორი ხელის გაქნევით მიესალმა მათ. მოჩხუბარნი წამით გაჩუმდნენ, მერე კი ისევ გააგრძელეს:

— ჯოჯოხეთის მაშხალავ!

— უნიჭო მუქთახორა!

ვიქტორი აღარ დალოდებია კონცერტის გაგრძელებას, ქუჩაში გავარდა, იქვე ახლოს, საკონდიტრო მაღაზიაში შოკოლადის ეიფელის კოშკი იყიდა, გამყიდველს ღამაზად გაახვევინა და საოცრად კმაყოფილმა, გზა განაგრძო.

ხენ-ჟერმენის ბულვარის მახლობლად რამდენიმე ფიაკრი იდგა. კლიენტების მომლოდინე მეეტლეები ხის ჩრდილში შეკრებილიყვნენ და დევნილობიდან დაბრუნებულ გენერალ ბულანჟეზე საუბრობდნენ. კენძი მათთან მივიდა:

— გამარჯობათ, ბატონებო, მუსიე ანსელმ დონადიე მინდოდა.

— „გილიოტინაზეა“, — მიუგო წითელსიფათიანმა მეეტლემ, — ყველას, ვინც სთხოვს ან უფრო უკეთესი, ვინც ცოტას დაალევინებს, თავის თავგადასავალს უყვება.

— რა თავგადასავალს?

— არ იცით? მკვდარი რომ ნახა ფიაკრში. ისე, ზოგს რა ბედი აქვს. მე ხომ ასეთი საინტერესო ამბავი არასოდეს შემემთხვევა, — დანანებით დაამატა წითელსიფათიანმა.

— რომელ „გილიოტინაზე“? — ვერ მიხვდა კენძი.

— „წითელ კოშკში“ რა, თუ ასე უფრო მოგწონთ, გალანდის ქუჩაზე.

— ბიჭებო, — გაიღიმა იაპონელმა, — ფრთხილად მოსახვევებში, ოღროჩოღროს არ გადაეყაროთ!

მეეტლეებმა გადაიხარხარეს, კენძი კი შეტრიალდა, გამომშვიდობების ნიშნად შლაპა აიქნია და იქაურობას გაეცალა.

ვიქტორმა ნახევრად დამდნარი „ეიფელის კოშკი“ ქვევით ჩაიტანა, სიცივეში რომ ცოტათი მაინც გადაერჩინა, მერე უკან ამობრუნდა და მოღუშულ ჟოზეფს ღიმილით მიმართა:

— ჟოზეფ, ასე თვალებგადმოკარკლული რატომ მიყურებთ, თითქოს დახლის თევზი იყოთ? ამიერიდან სულ აქ ვიქნები. ეს კი შოკოლადია, სხვა არაფერი, — და გასვრილი ხელები დაანახვა.

— მუსიე ლეგრი, ახლა, როცა სახელგანთქმული გახდით, მინდა, ვიცოდე მაინც, სად მოგძებნოთ.

— სახელგანთქმული? რაებს ლაპარაკობთ?

— ადამიანები წერილებს პირდაპირ რედაქციაში გიგზავნიან. აი, წერილი, დღეს კურიერმა მოიტანა.

ვიქტორმა ჟოზეფის მიწოდებულ კონვერტს დახედა:

„ბატონ ვიქტორ ლეგრის, „პასპარტუს“ ჟურნალისტს

ქუჩა კრუა-დე-პტი-შამპ“.

— ჯიბეში ჩამიდეთ, ხელებს დავიბან და წავიკითხავ.

ეს დროც მალე დადგა: ვიქტორმა კონვერტი გახსნა და ბლოკნოტის ფურცელზე ბატიფეხურით ნაწერი შემდეგი წაიკითხა:

„29 ივნისი

სასწრაფოდ უნდა გნახოთ. ნაშუადღევს ჩემთან მოდით.

კაპიუსი“

როგორც ჩანს, წერილი წინა საღამოს მიიტანეს რედაქციაში ანუ კაპიუსი ვიქტორს დღეს ელოდებოდა. ჯერ თერთმეტის ათი წუთი იყო, ამიტომ რაღაცაზე კბილის გაკვრა კიდევ მოესწრებოდა. ვიქტორმა სამზარეულოს მიაშურა, ყველს და პურს დასტაცა ხელი და სწრაფად დაეშვა ქვევით, ზევიდან კი ჟერმენას დუდღუნი მოესმა:

— ასე არ შეიძლება! ნაუცბათევად ჭამა მადას უკარგავს ადამიანს!

ჟოზეფი ამ დროს კიბეზე იდგა და ლაფონტენის „იგავ-არაკებს“ ეძებდა, ფერმკრთალმა ბიჭმა რომ შეუკვეთა. ის შვებით შეხვდა ვიქტორის გამოჩენას, ეს უკანასკნელი კი შურდულივით გაიჭრა კარისკენ.

— მუსიე ლეგრი! საით? — მიაძახა სასოწარკვეთილმა ჟოჟომ, მიხვდა რა, რომ ისევ მარტოს ტოვებდნენ, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ **თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-32

www.facebook.com/Tinatinbonney

თავი 3

თბილისის აეროპორტი შეცვლილია, თუმცა ხალხი და მომსახურება — იგივე. ღიმილი დიდი ფუფუნებაა. გავდივარ სტანდარტულ დაკითხვას. დიახ, დავბრუნდი დროებით. აქ ნამდვილად არ დავრჩები საცხოვრებლად, არ ინერვიულოთ. ყველა სადღაც მირბის. გეგონება, თავზე რომ გადაგივლიან, რამდენიმე წამზე მეტს მოიგებენ. მახსოვს, მე და გივი რომ მივფრინავდით. როგორი იმედები მქონდა — ოჯახი, ბავშვები, ქალური ბედნიერება. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გივი ასე მომექცეოდა. ვპოულობ ბარგს. ვერ ვბედავ, ვიკითხო, ირაკლის ბარგი თუ არის აქ. ტაქსში ვჯდები. მძღოლი ცდილობს, მეტი წამცინცლოს, მაგრამ მე ის ქალი არ ვარ, ფული რომ ვინმემ აახიოს. გულდაწყვეტილი მძღოლი ჩანთებს საბარგულში ალაგებს და ავტომობილში ვსხდებით.

მივდივართ. აეროპორტის ტრასა. თბილისის ქუჩები. როგორი შეცვლილია ყველაფერი. თითქოს ველარც ვცნობ ვერაფერს. ავტომობილი სახლთან მიჩერებს და გადმოვდივარ. ვმშვიდდები. სახლში შევდივარ. დედაჩემი ფუსფუსებს. ჩემს დანახვაზე კივილს იწყებს და მიხუტებს.

— დედა, გავიგუდე, — ვცდილობ, დავაშოშმინო.

— გავგიჟდი, არ გელოდი, ვერც წარმოვიდგენდი! — არ ჩერდება დედა.

— კარგი, კარგი, ახლა აქ ვარ და გეყოფა. მიშო სად არის?

— მოვა მალე.

დედა ჩანთებს აჩოჩიალებს, მე ჩემს ყოფილ საძინებელში შევდივარ. ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მე დავტოვე. აი, აქ, ამ ლამპასთან, ვმეცადინეობდი და ამ კედელზე, სკოტჩისგან რომ არის დაზიანებული, ჟურნალ „პოპკორნიდან“ ამოხეული პლაკატები იყო გაკრული. ჩარჩოში სურათი დევს — მე, ნინია და სვეტა. რა სასაცილოები ვართ. სვეტას ბრეკეტები უკეთია. მეღიმება. უცებ წარსულში ვბრუნდები. მახსოვს, ბარბებით როგორ ვთამაშობდით ჩემს საწოლზე. სვეტა ყოველთვის ყველაზე სიმპათიურ კენს ირჩევდა და ჩვენ თავგასიებულებს გვიტოვებდა.

— არ არსებობს! — მესმის მიშოს ღრიალი.

ვტრიალდები და მიშო „რივოკით“ შემორბის, საწოლზე მაგდებს, თვითონ ზემოდან მასკდება და მიღიტინებს.

— გული გამიჩერდებაააა! — ვხავივარ ისტერიკაში.

— მეტის ღირსი ხააარ! — არ მეშვება.

ძლივს მანებებს თავს და სულისმოთქმას ვახერხებ.

— მეორედ არ ქნა ეს, თორემ მოვკვდები, გეფიცები... — ძალიან ცუდად ვარ.

— მიდი, რა, — ხელს მკრავს.

— თავხედო, შენ! — სიცილით ვუთაქებ კეფაში.

— დიდი ხნით?

— ჯერ არ ვიცი. შენს საცოლეს დავბრაკავ და წავალ, — თვალს ვუკრავ.

— ოღონცაააა დაა რااა... — წელავს მიშო.

— როგორ? — ვეკითხები გაოცებული.

— არ მითხრა, რომ არ იცი ეს ვიდეო!

— რა ვიდეო?

— დაიკიდე. შენ ხო „სვეცკი ამერიკანოჩკა“ ხარ.

— წადი, შენ გირჩევნია, საჭმელი გამიკეთე. გამოვიცვლი.

მიშო ლოყაზე მკოცნის და გადის. ეს ბავშვი ჩემი ძმაცაა, შვილიც და ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარიც.

ვიცვლი და გავდივარ დიდ ოთახში. მეზობლები უკვე შემოყრილან და ყველა ცდილობს, ჩემდამი დიდი სითბო გამოხატოს. ნეტა, ჩემდამი თუ ჩემი ამჟამინდელი სტატუსის მიმართ? მე ხომ მდიდარი და საჭირო ქალი ვარ ახლა. გივის არავინ მახსენებს, უბრალოდ მაყოლებენ ამერიკაზე და ზოგადად ტონა სისულელეზე. ადამიანებისთვის რეალურად სულ ერთია, რას უყვები, ნახევარზე მეტი მაინც არ ესმით, თავიანთ ფიქრებში არიან. საღამოვდება. მეზობლები გვტოვებენ. დედაჩემი ჩემს ჩემოდნებს ალაგებს. მე და მიშო აივანზე ვსხედვართ და ლუდს ვსვამთ.

— მაგრა გაასწორე, რომ ჩამოხვედი, — მეუბნება მიშო.

— შენს ქორწილს როგორ გამოვტოვებდი.

— ხვალვე კი არ იქნება, გოგო.

— ნიშნობა ხომ იქნება?

— კი, ნიშნობა მალევე მინდა.

— გასაგებია, — ცალყბად მეღიმება.

— სახე გაასწორე! — იცინის.

— მომიყევი, ერთი, ვინ არ ეს ჩემი მომავალი რძალი.

— სოფიკო ჩემი ჯგუფელია. ასეთი გოგო არ შემხვედრია მე. ლამაზია, ჯიგარია, ჭკვიანია. მოკლედ, ყველაფერია, რაც მე მინდა.

— მიხარია, თუ მართლა ბედნიერი ხარ. დედაშენმა იცის?

— კი, ლილიმ დაურეკა, მაგრამ მკიდია, ჩამოვა თუ არა.

— ხო, ნუ... — მტკივნეული თემაა.

— არ გეგონოს, რომ ვიგრუზები. ეგეთია და რა ვქნა. ვიცი, თავისებურად ვუყვარვარ, მაგრამ გაუცხოებას ვერაფერს ვუზამთ.

— კაი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. სოფიკოს ოჯახი როგორია?

— ძალიან სასიამოვნო ხალხია, აი, ძალიან.

— დედაშენის ამბავი იციან?

— კი, რა თქმა უნდა. სოფიკოს მამა ძაან „დასტოინი“ კაცია.

— იმედია, მალე გავიცნობ ყველას.

— სხვათა შორის, შაბათს მაგათთან სიონში ავდივართ საქეიფოდ და დასარჩენად. გეხვეწები, წამოდი რა, — მიშო ისეთი თვალებით მიყურებს, ვერაფრით ვეტყვი უარს.

— წამოვალ აუცილებლად.

— შენ როგორ ხარ, ისე? იმ ნაბიჭვრის ამბების მერე.

— კარგად, — ვეუბნები ღიმილით.

— ხომ იცი, არ იყო შენი ღირსი.

— ვიცი, ჩემო ბრძენო! — თავზე ხელს ვუსვამ.

— დამცინე, ხო, — ხელს მაწევინებს და სიცილით ამატებს, — შენზე ბრძენი ნამდვილად ვარ.

— ხარ, დედა გენაცვალოს, — ვეუბნები და შიგნით შევდივარ.

ვერ ვიძინებ. ეს ოთახი იმდენ მოგონებას იწვევს, რომ სულ ვფორიაქობ. ცრემლები მანვება. ზურგზე ვწევარ და ვტირი. მე ვერაფერს მივაღწიე ჩემით. მთელი ცხოვრება ქმართან გარჩევებში დავკარგე. ფულიანი არარაობა ვარ.

მზის სხივები მაღვიძებს. ვიზმორები და ვხვდები, სად ვარ. მე სახლში ვარ, ჩემს ნამდვილ სახლში. კმაყოფილს მეღიმება. ვდგები და ფანჯარაში ვიხედები. ამ ქუჩაში ჭორაობაში ვატარებდი ღამეებს. ზურა! ვაღებ უჯრას და ვიღებ დღიურს. იქნებ რამემ მიმანიშნოს, როგორ ვიპოვო ზურა. ზედაპირულად ვკითხულობ. არაფერი ისეთი, გარდა იმისა, თუ როგორი ბნედები მქონდა მაგ ბიჭზე. რომ ვერ ვიპოვო? როგორ შეიძლება საქართველოში ვინმე ვერ იპოვო? ვაბრუნებ დღიურს უჯრაში. შევდივარ სააბაზანოში, ვივლებ წყალს, ვიცვამ სარაფანს და სამზარეულოში გავდივარ. დედა კომპოტს მისხამს და „ალადიკებს“ მილაგებს წინ. მესმის კარის მიჯახუნება და ფეხის ხმა. არა, ბევრი განრისხებული ფეხის ხმა.

— შე მათხოვარო! — სვეტა გიჟივით შემორბის სამზარეულოში.

— ლილი დეიდას რომ არ დაერეკა, შენ არ უნდა დაგერეკა? — ამბობს წარბშეკრული ნინია.

ორივენი მეხვევიან და მკოცნიან.

— ამომასუნთქეთ, რა, გუშინ მეზობლები მოვილიე. მადლობა, დედა!

— მოყევი! — სვეტა „ალადიკს“ კარაქს უსვამს.

— რა მოვყვე?

— იმ მოცურავე ბიჭზე მოყევი.

— ვინ ბიჭზე? — ნინია გაოცებულია.

— ვაიმე, არაფერი ისეთი, — ვახველებ.

— რა არაფერი? ნორჩი მოცურავე ჰყავდა გივის მერე.

— სერფერი! — ვუსწორებ სვეტას.

— ვინც იყო, წყალში ხომ იყო, კაცო!

— ყოჩაღ, შენ! — ნინია ყავას ისხამს.

— მეტი არაფერი გაინტერესებს, სვეტა? — ვიმანჭები.

— გივი რომ სირია და ტრამ ტატატატამ, ვიცი და ბოლო რამდენი წელია ვისმენ? ხოდა, არა, გმადლობთ!

— ასე უცებ რატომ ჩამოხვედი? — მეკითხება ნინია.

— მიშოს ცოლი მოჰყავს.

— ხო, გავიგეთ ეგ ამბავი.

— ხოდა, რა ვიცი, ჩავთვალე, რომ დრო იყო.

— ისე, კაი დროს ჩამოხვედი. ნიცა გველოდება დღეს.

— მე არ წამოვალ, — ბავშვობიდან ვერ ვიტან მაგ გოგოს.

— კაი, გეხვეწები, რა! — ნინია საწყალ სახეს კერავს.

— და რა ხდება?

— ორ ქმარს ხომ გასცილდა და ახლა ვიღაც მეტრეველზე აქვს ბნედები, შეგვჭამა. ხოდა, დიდი ამბავი აქვს დღეს, ის მეტრეველიც დაპატიჟა და ისეთ ფორმაში აპირებს ყოფნას, რომ საბოლოოდ დაითრიოს, — მანათლებს სვეტა.

— ვინ მეტრეველი? უსახელო მეტრეველი?

— თვითონ ასე მოიხსენიებს ხოლმე — „მეტრეველი“, გეგონება, ბაგრატიონ-მუხრანსკი იყოს.

— წადით თქვენ, რა, მე ძაან დაღლილი ვარ. თანაც გივიზე რომ წამკბინოს, გეფიცები, დავარტყამ.

— არ გაბედავს. გოგო, ასეთ ფორმაში ხარ, მოდი, ფურორით მივიდეთ. ძველი ნაცნობებიც იქნებიან და სახე ავახიოთ სიტუაციას, — მამოტივირებს სვეტა.

შეიძლება ისე. აბა, რისთვის ვარ აქ?

— კარგი, მაგრამ ჯერ საქმე.

— რა? — მეკითხებიან ერთ ხმაში.

— შოპინგი!

შევდივართ სავაჭრო ცენტრში. რა აუშენებიათ აქ თურმე. რა მაგარია, ცივილიზაცია გვეწვია! ვყიდულობთ ყველაფერს, რაც გვინდა. გოგოები მაძლევენ საშუალებას, რომ ისინი გავანებივრო. პარკებით ახუნძლულები ვსხდებით ჩემს ახალ „Mercedes CLS“-ში. ბოლო კაპიკამდე უნდა ამოვისვა გივის ფულები! მუსიკას ვაღრიალებთ და მივქრივართ სალონში.

ჩემს ოთახში ვიცვლით. სვეტა ცოტა მოსუქებულა და ამიტომაც დახტის, რომ ჯინსში ჩაეტიოს. პრინციპულად არ იყიდა ცოტა დიდი. ნინია კი პირიქით, გალეულია ნერვიულობისგან.

Cyan Magenta Yellow Black

— გოგო, შენი ქმარი არ მოდის? — ეკითხები სვეტას.
— მოაცილე აქედან!
— მე მზად ვარ, — ნინიას ძალიან საყვარელი გრძელი კაბა აცვია.
— ამ სიგრძე კაბებით შენ კიდევ დიდი ხანი იქნები კაცის გარეშე, — ეუბნება სვეტა.
— ძალიან ლამაზი ხარ, — ვცდილობ, გამოვასწორო სვეტას საქციელი.
ნინია გაჭირვებით იღიმის და ოთახიდან გადის.
— შენ გაკლია ცოტა ხომ? — ვუბრაზდები სვეტას.
— მე მაკლია? პასპორტში ჩაიხედოს. პრინცს ელოდება დღემდე და თან ვინმემ კომპლიმენტიც რომ უთხრას, უნდა ნახო, რა დღეში ვარდება.
— გამოვქექავ, ჩემი ხელი მოაკლდა.
— წარმატებები.
მზად ვარ. მაცვია დეკოლტიანი მოკლე წითელი კაბა და მაღალ ქუსლებზე ვარ შემხტარი. თმა ლამაზად მაქვს აწეული. აი, რა დაკარგე შენ, გივი!
ვაჩერებთ ავტომობილს. სამწუხაროდ, გარეთ არავინაა, რომ დაგვინახოს. ვრეკავთ ზარს და ნიცა გვიღებს. წელამდე ხვეული თმა აქვს და სასტიკად დაუწვრილებია წარბები. წმიერად მაშტერდება, თითქოს ვერ მცნობს.
— ალეეეეეეექსსსსსსსანდრაااა! — მეხუტება და მკოცნის.
ვითომ ძალიან გაუხარდა. შევდივართ შიგნით. მეორე ქმრისგან ამასაც კარგად დარჩენია. ძველი ნაცნობები გვეგებებიან. განსაკუთრებით ჩვენი კლასელების ნახვა მიხარია. ყველა მათვალიერებს და ვანათებ.
— ეს რა გოგო გაუშვა გივიმ! — ვერ ითმენს ნიცა.
ნინია ხელს მიჭერს, გეგონება, მართლა გავარტყამ.
— ნამდვილად, — ვამბობ ღიმილით.
— შამპანური, გოგოებო! — ნიცა ჭიქებს გვაწვდის.
ვსაუბრობთ. ძალიან ბევრი ხალხია. ზოგს ისე აცვია, ვეჭვობ, თბილისში რაღაც სხვა მოდას ხომ არ მისდევენ.
— ისე შენ ყოჩაღ, გავიგე, ბევრი წაგლიჯე გივის, — არ მეშვება ნიცა.
— ძალიან ბევრი წავგლიჯე, — ვამბობ კმაყოფილი.
— გოგო და, რა იყო, რაზე დაეტაკეთ?
ნინია და სვეტა იძაბებიან.
— მღალატობდა, ბევრს, — ვამბობ მშრალად.
— კაი, გოგო რა, რომელი კაცი არ ღალატობს, თანაც ქართველი? — ნიცა ტუჩებს პრუწავს.
— ჩემი აზრით, ნორმალური კაცი არ უნდა ღალატობდეს ცოლს.
— გეხვეწები, რااა, — წელავს ნიცა.
— არ მეთანხმები?
— ეგეთი კაცები არ არსებობენ. მასეთის ლოდინში დარჩები ნინიასავით, — ამბობს ნიცა სიცილით.
ნინია ფითრდება. არავინ იმჩნევს ნიცას კომენტარს. აი, მე კი ამასხა!
— და შენს შემთხვევაში... — ვიწყებ განრისხებული.
— მოვიდა, — უეცრად ეუბნება ნიცას მისი უაღრესად აუტანელი დაქალი.
— ვინ მოვიდა? — კითხულობს ვიღაცა.
— მეტრეველი, — კმაყოფილი ამბობს ნიცა და გვტოვებს.
ყველა გვტოვებს და მხოლოდ ჩვენ სამნი ვდგავართ.
— გავგლიჯავ ამ იდიოტკას! — ვცლი შამპანურის ჭიქას.
— აი, დაიკიდე რა, — მამშვიდებს ნინია.
— აუ, ვკვდები ინტერესით, ვინაა ეს მეტრეველი, — თვალებს აცეცებს სვეტა.
— სულ მკიდია, წავედით, — ვდებ ჭიქას მაგიდაზე და გასასვლელისკენ მივდივარ.გოგოებიც მორჩილად მომყვებიან.
— გოგოებოოო, მოდით, ჩემი მეგობარი მინდა, გაგაცნოთ, — მესმის ნიცას ხმა.
— გეხვეწები, შევხედავ და წავიდეთ რა! — მევედრება სვეტა.
— ჯანდაბა შენ! — ვამბობ და ვტრიალდები.
ჩვენკენ მოდიან ნიცა და მეტრეველი. ცალყბად მეღიმება. გვიახლოვდებიან და ნიცა ამბობს: „გაიცანით ჩემი ირაკლი“.
ჩემს დანახვაზე ირაკლის ფერი ეცვლება, მაგრამ მალევე აჰყავს თავი ხელში.
— სასიამოვნოა, — ხელს მიწვდის.
მეც ვართმევ.
— ალექსანდრა, — ვეუბნები მშვიდად.
სვეტა და ნინია იმდენად კარგად მიცნობენ, რომ ვიცი, რაღაც იყნოსეს. ორივე ეცნობიან ბატონ ირაკლი მეტრეველს, რომელიც წელში გამოყვანილ შავ კოსტიუმშია. წმიერად ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებიან და ჟრუანტელი მივლის. ირაკლის კი ეღიმება.
— წამოდი, დანარჩენებიც გაგაცნო, — ნიცა ირაკლის სადღაც მიათრევს.
— წავედით? — წარბეს სწევს სვეტა.
— არა, ვრჩებით, — ვამბობ მე.
— ასეც ვიცოდი. სახლში დაფქვავ ყველაფერს!
საღამო გრძელდება. მუსიკა უკრავს. ხალხი ერთობა. ნიცა გვერდიდან არ შორდება ირაკლის. მეც ვსვამ, ვცეკვავ, ვფლირტაობ, მაგრამ მუდმივად ვაკონტროლებ, მხედავს თუ არა ირაკლი. ვიცი, აი, ვიცი რა, რომ ერთი სული აქვს, დამელაპარაკოს ცალკე! ვხედავ, რომ ნიცა სადღაც გადის და ირაკლი ვიღაცეებს ელაპარაკება.
— სიგარეტი გაქვს? — ეკითხები სვეტას.
სვეტა მაძლევს ერთ ღერს და აივანზე გავდივარ. ვუკიდებ და ხედით ვტკბები. აი, ახლა გამოვა გარეთ.
— შეიძლება მეც მოვწიო? — მესმის ირაკლის ხმა.
— მობრძანდით, — ვამბობ და არც ვუყურებ.
— გამიკვირდა შენი აქ ნახვა.
— რატომ? — ისევ არ ვუყურებ.
— ისე გაიქეცი დილას, მეგონა, „ტერორისტკა“ იყავი ვიღაცა.
— ძალიან გინდოდა ემოციური დამშვიდობება? — აი, ახლა მისკენ ვტრიალდები და სიგარეტს ვაქრობ.
— შეიძლება წინა ღამის გამეორება მინდოდა, — მეუბნება ცინიკური ღიმილით.
ვუყურებ თვალებში ისე, რომ ვიცი, სისხლი უდუღს. ისე აქრობს სიგარეტს, რომ თვალს არ მაშორებს. ორივემ კარგად ვიცით, რაც ხდება.
— შენ სად ყოფილხარ, სიხარულო და მე კიდევ გეძებდი, — კისერზე ეკიდება ნიცა.
— ნიცა, ძალიან კარგი საღამო იყო, მაგრამ ჩვენ ალბათ წავალთ, — ვეუბნები მე.
არ ვიცი, იეჭვა თუ არა რამე ნიცამ, მაგრამ ალბათ უფრო ჩათვალა, რომ გავეპრანჭე მის კაცს და ეგ იყო.
— ვაიმე, ასე ადრე? — ვითომ გული სწყდება.
— მე თქვენი გვარი არ ვიცი, — უეცრად ამბობს ირაკლი.
— ჯიბუტი, — ვამბობ და შიგნით შევდივარ.
ვაღიარებ, მიზიდავს, თუმცა ისიც მაგრა მისწორდება, რომ ამ „ნაბიჭვარკას“ ნებისმიერ დროს შემიძლია ავახიო ასე ნანატრი კაცი და ვერც კი გამიწევს წინააღმდეგობას. მივდივარ ჩემს გოგოებთან.
— წავედით, — და მივდივართ.
გავდივართ გარეთ და ვსხდებით ავტომობილში. ვიცი, რომ ნიცა და ირაკლი აივნიდან გვიყურებენ.Yes!
— თქვი, საიდან იცნობ მეტრეველს, — კბილებში ცრის სვეტა.
— ერთად მოვფრინავდით ამერიკიდან, — ვძრავ მანქანას.
— და ეს იყო სულ? — არ მეშვება სვეტა.
— შეიძლება არც იყო, — ვამბობ კმაყოფილი.
— დეტალები, სასწრაფოდ! — ინტერესისგან კანკალებს სვეტა.
— შეეშვი, რა, — ერევა ნინია.
— რა შევეშვა? ნიცას „მეტრეველზეა“ აქ საუბარი. ეს უნდა ვიცოდე.
— საუკეთესო საყვარელია, რაც მყოლია, — ვამბობ კმაყოფილი.
— რაა?! — ერთ ხმაში კივიან გოგოები.
— მეტს არ მოგიყვებით.
— თვითმფრინავში, გოგო?
— არა, გერმანიაში. კაი, შემეშვით ახლა. დაგყრით სახლებში და ხვალ დამირეკეთ.
შევდივარ სახლში. სიწყნარეა. სძინავთ. რაღაც კაი საღამო იყო. ალბათ შემოვრჩები აქ ცოტა ხანი. შევდივარ საძინებელში და ვჯდები საწოლზე. ვხსნი ლეპტოპს და ვამოწმებ ელფოსტას. ბევრი უაზრო წერილია, მაგრამ ერთი ჩემი ადვოკატისგანაა. რა ხდება, ნეტა? ვხსნი და ვკითხულობ შემდეგი შინაარსის წერილს:
„ქალბატონო ჯიბუტი, სამწუხარო ამბავი მაქვს თქვენთვის. თქვენი ყოფილი მეუღლის ადვოკატი დამიკავშირდა. ის აპირებს, რომ სასამართლოში გიჩივლოთ მისი კლიენტის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტის გამო“. და მერე მიყვება იმას, რომ თურმე მე მელანიას სახლში გივი გავლახე და გავუტეხე თავი ლარნაკით, რამაც ის საავადმყოფოში მოახვედრა. მელანია ამის მოწმეა. ფოტოებიც არის დამადასტურებელი და სახლშიც და ნივთებზეც ჩემი ანაბეჭდებია. ჩემი საყვარელი ყოფილი მეუღლე მხოლოდ ერთი პირობით არ მოითხოვს ჩემს დაპატიმრებას, თუ მე მის ქონებაზე სრულად ვიტყვი უარს. შემიძლია მხოლოდ სახლი დავიტოვო.
გამწარებული ვიღებ მობილურს და ვრეკავ ჩემს ადვოკატთან. საკმაო ხანი ვსაუბრობთ და მირჩევს, რომ მივიღო შეთავაზება. ვეკითხები, კი მაგრამ ახლა რომ მოვხსნა თანხა მისი ანგარიშიდან, რას მიზამს? ადვოკატი მეუბნება, რომ ამერიკაში ვეღარასდროს ჩავალ და ჩემი ქონება დაყადაღდება. ჩემი სახლიც! ვთხოვ, რომ გამიგოს სახლის ამჟამინდელი ღირებულება. ამბობს, რომ გადმომირეკავს. ვიხდი კაბას, ვკიდებ სკამზე და საცვლებში ვწვები საწოლზე. ცოტა ნასვამი ვარ და ხომ არ მელანდება ეს ყველაფერი? ეს ვისი ცოლი ვიყავი! სახლი მაინც ღირს მილიონამდე და გადასახადების მერეც საკმაოდ დამრჩება. გადმოვალ აქეთ და ვიქნები მშვენივრად.
ტელეფონის ზარია და ვპასუხობ. დამწუხრებული ადვოკატი მეუბნება, რომ ჩემი სახლი იპოთეკითაა დატვირთული და ყველაზე კარგ სიტუაციაში მაქსიმუმი 200 000 დოლარი დამრჩება. ოფლი მასხამს. ადვოკატი მიხსნის, რამხელა ქაქში ვარდა კიდევ ერთხელ მირჩევს, რომ დავთანხმდე. ვეუბნები, რომ გადავურეკავ. ვწევარ გაუნძრევლად. გავუძლებ კი მე, რომ გამასამართლონ და იქ თავი დავიცვა? ან როგორ? მე მართლაც ვიყავი და მართლაც ვთხლიშე ჟურნალი და ვერასდროს დავამტკიცებ, რომ მეტი არაფერი მიქნია. ვნახე ჩემი ყოფილი ქმარი ჩემს მეგობართან და კინაღამ მოვკალი. აი, ასეთი სურათი დაიხატება. ვურეკავ ადვოკატს, ვეუბნები, რომ მიიღოს შეთავაზება და იქნება გაყიდოს სახლი უჩემოდ. გივი, შენი!..

გაბრიელა შემდგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

წითელი ბოტები

ლელა ცუცქირიძე

კარზე ზარის ხმა გაისმა. თვალები ძლივს გავახილე, ჩამ-ძინებია.

„არ გავაღებ, — გავიფიქრე და თავზე გადასაფარებელი წავიფარე, — არავის დანახვა არ მინდა, არავის დანახვა!“

ზარი ისევ დარეკეს.

„არ გავაღებ-მეთქი!“ — დავიყვირე გულში.

ნეტავ, ვინ მეწინააღმდეგებოდა? ან ვინ მირბოდა კარის გასაღებად? არც არავინ, მაგრამ, როგორც ჩანს, ნევროზი მაქვს და გულშიც კი ვყვირი. რაღა ნევროზი, ალბათ დეპრესიაა. მიზეზი კი ბანალურია — ერთი თვის წინ გიომ მიმატოვა, თანაც ისე, რომ, კარგად იყავიო, ისიც არ უთქვამს. რომც ეთქვა, არაფერი შეიცვლებოდა, მაინც ცუდად ვიქნებოდი. არ ვიცი, მისმა სახლიდან წასვლამ უფრო იმოქმედა თუ იმან, როგორც წავიდა: არაფრის ახსნის ღირსად არ ჩამთვალა, თითქოს ოჯახიდან კი არა, რკინიგზის რიგითი სადგურიდან გავიდა. თითქოს ცოლი კი არა, მატარებლის გამცილებელი ვიყავი.

ცუდ დღეში ჩავვარდი, ვაღიარებ, თავს ველარ ვაკონტროლებდი და გიოზე გაბრაზებული ჩემს შვილზე ვიყრიდი ჯავრს, მერე ვიდექი და ვტიროდი, თან გამუდმებით ვიმეორებდი, რომ არავის ესმოდა ჩემი, რომ ამხელა უბედურება დამატყდა თავს და არავინ შედიოდა ჩემს მდგომარეობაში.

კიდევ კარგი, ზაფხული იწყებოდა და დედაჩემმა ბავშვი ქალაქიდან გაიყვანა. მე კი საბოლოოდ ჩავბარდი ტყვედ დეპრესიას. არავის ნახვა მინდოდა, არავის ხმის გაგონება, ვიწექი და მოვთქვამდი. ეტყობა, ადამიანებს მოსწონთ, როცა საკუთარ თავს იცოდებენ: „რა უბედური ვარ“, „რა მეშველება“, „ასე რატომ მომივიდა“, „რითი დავიმსახურე“... ამით შვებას და ტკბობას განიცდიან მაზოხისტივით, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიყავი.

ზარი ისევ დარეკეს, ამჟამად დააკაკუნეს კიდეც.

— არ მოგასვენებენ! — ახლა უკვე ხმამაღლა დავიყვირე, მერე სწრაფად წამოვხტი და გაბრაზებულმა გავაღე კარი. მზად ვიყავი, კართან მდგომი კარგად გამელანძღა. იქ კი თეონა იდგა, ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობარი.

— რა გჭირს, რა სახე გაქვს, ხომ მშვიდობაა? — ალბათ გული გაუსკდა ჩემი დანახვისას.

წარმომიდგენია, რა სახე მექნებოდა: დამჟავებული, განაცრისფერებული, დასიებული.

— დეიდა მერი ხომ კარგადაა? — რატომ არის, რომ ასეთ დროს ყოველთვის დედებზე გეკითხებიან?

— ასე მოულოდნელად აქ როგორ აღმოჩნდი? — ახლა მე ვკითხე გაოცებულმა.

— გვერდით კორპუსში მოვხვდი შემთხვევით, საქმეზე და რომ არ შემომევლო, გული არ მომითმენდა. როგორ ხართ? ბექუნა როგორ არის, გიო? — გააგრძელა დაკითხვა.

— ბექუნა მერიმ გაიყვანა ქალაქიდან, მაგის ნერვები აღარ მქონდა. აი, გიოს კი ნუ მიხსენებ, — ხელი ჩავიქნიე.

— რა იყო, რა გჭირს? — სულ დაიბნა თეონა.

— შემოდი, შემოდი, — როგორც იქნა, მოვიფიქრე. მერე კარი მივხურე, თეონა ოთახში შევიყვანე და წინ ჩამოვუჯექი.

— სახე რას გიგავს, ტიროდი თუ გეძინა? — მკითხა გამომცდელად.

— ორივე.

ნეტავ დამალვას რა აზრი ჰქონდა, პირიქით, იქნებ ღმერთმა გამომიგზავნა კიდეც, რომ გული მომეოხებინა მასთან და ჩაიდანივით გამომეშვა ორთქლი. ხომ ხდება ხანდახან, დაგეკარგება ადამიანი, ფიქრობ, ხვალ ვნახავ, ხვალ მოვიკითხავ, ან ზეგ, ან მაზეგ, დრო კი გადის და ეს ხვალ და ზეგ შეიძლება თვეებად იქცეს, მერე წლებად და, მიუხედავად ამისა, მაინც მეგობრებად რჩებით, თითქოს წლები კი არა, სულ რაღაც ერთი წუთია გასული. ასეთი მეგობარი იყო ჩემთვის თეონა.

— რა მოხდა, აბა, მითხარი, — მკითხა ისევ.

მეტი რა მინდოდა, ამდენი ხნის დაგროვილი ორთქლი გამოვუშვი და დავიწყე მოყოლა, როგორ მიმატოვა გიომ, როგორ გამწირა, როგორ უხეშად მპასუხობდა ზარებზე ან საერთოდ არ მპასუხობდა, როგორ დამტოვა ასე, ბავშვთან ერთად, გაოგნებული, მარტო... რომ არავის ესმის ჩემი, არც შვილს, რომ ყველა ნერვებს მიშლის...

— რას ამბობ, რას ამბობ, — გზადაგზა ამბობდა შეწუხებული თეონა.

მე კი აღარ ვჩერდებოდი. ვამბობდი, რომ ვერ გადავიტანდი, რომ აღარაფრის ხალისი მქონდა, რომ არავის დანახვა მინდოდა, საკუთარი თავის კი — ყველაზე მეტად...

— არც ჩემი დანახვა? — მკითხა ისევ შეწუხებულმა.

— შენ დანახვა პირიქით, გამიხარდა, — ვუთხარი სწრაფად და გავაგრძელე, — ზოგადად ვამბობ. აღარ ვიცი, როგორ ვიცხოვრო, როგორ ვიყო, რა ვაკეთო, რატომ ვაკეთო, ვისთვის...

— როგორ თუ ვისთვის? — ცოტა არ იყოს, გამიბრაზდა, — რა, დაამთავრე ცხოვრება? თუ აღარც ბავშვზე უნდა იფიქრო და აღარც საკუთარ თავზე იმის გამო, რომ ქმარს გაშორდი?

— არა, ვერ გამიგე, მე არ გავშორებივარ, თავად გამშორდა, თანაც როგორ... და რა უბედური ვარ, რა უბედური!.. — გავაგრძელე ძველებურად.

— მეორედ არ თქვა ეს სიტყვა! — ისე დამიყვირა, რომ უცებ გავჩუმდი, — მეორედ აღარ გაბედო ამ სიტყვის თქმა, — ახლა უკვე მთხოვა, — ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება, ბედნიერი მარტო იმით შეგიძლია იყო, შვილი გყავს, თავად ხარ ცოცხალი და ჯანმრთელი... მესმის, ძნელია, მაგრამ არა ისე, რომ ყველაფერს ხაზი გადაუსვა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მოგწონს ასე ყოფნა, ტკბები ამ შენი ტკივილით და, ასე ვთქვათ, ტრაგედიით. ასე ვთქვათ, ტრაგედიითო?!

ახლა მე გავბრაზდი, თანაც ძალიან. იმის ნაცვლად, რომ დამამშვიდოს, მიყვირის და ჭკუას მარიგებს. არა, არ უნდა გამეღო კარი და ის იქნებოდა. რა იცის, რა გადავიტანე, თანაც უმიზეზოდ. არაფერი დამიშავებია, ეს არ დამიმსახურებია...

გაბრაზებული ავდექი და სამზარეულოში გავედი, ყავადანი ხმაურით გამოვიღე კარადიდან და კარადის კარიც ხმაურით მივაჯახუნე.

რას მოდიოდა?! ამდენი წელი არ მინახავს, მოვიდა და ჭკუის დარიგება დამიწყო, ვინ არის საერთოდ! იმის მაგივრად, რომ დამამშვიდოს, დამაწყნაროს, დგას და მიყვირის! ესღა მაკლდა კიდევ!

აჰა, გამოვიდა, დამიჯდება ახლა აქ და ჭკუის დარიგებას გააგრძელებს, წავიდეს საერთოდ, მომშორდეს! თუ არ წავა, მე თავად გავუღებ კარს და მივაბრძანებ, ეს კი არა, გიო წავიდა, ამასაც გადავიტან როგორმე.

ის კი ჩამოჯდა და:

— ზურას გარდაცვალების მერე მალე მოხდა ეს, — ისე დაიწყო, თითქოს დაწყებულ ამბავს აგრძელებდა, — ძალიან ცუდად ვიყავი, არაფერი მიხაროდა, მეც არ ვიცოდი, როგორ უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება. ან ვდუმდი, ან ვტიროდი, არავინ მახსოვდა, არც ბავშვები. ვერც იმას ვხვდებოდი, რომ მათ ჩემზე მეტად უჭირდათ. ისინი კი დიდებივით იქცეოდნენ, არაფერს მეუბნებოდნენ, ცდილობდნენ, არ შევეწუხებინე, რაღაცნაირად სახლი მხიარულმა ფერებმა და ხმებმა დატოვა.

ერთ დღეს ბაზრობაზე წავედი. ბავშვებისთვის სასკოლოდ ახალი ჩასაცმელი და ფეხსაცმელები უნდა მეყიდა, როგორც ხდება სასექტემბროდ, ხომ იცი... მანამდე ვერ მოვასწარი, უფრო სწორად, ფინანსებს ვერ მოვუყარე თავი, სწავლა ორიოდე დღის დაწყებული იყო. თიკუნას თავი მოჰქონდა და ყველაფერი ახალი უნდოდა სცმოდა, ელენიკოს ბევრი არაფერი უნდოდა, ძირითადად თიკუნას გამონაცვალი ეცვა ისედაც, აი, ფეხსაცმელი კი არც ერთს აღარ უვარგოდა. თან ელენიკო შემეხვეწა, ოღონდ ბოტები მიყიდე და ფეხსაცმელები არ მინდაო. საწვიმარი ჩამოუტანა ჩემმა დამ, მწვანე, ლაპლაპა, ზედ ყვითელი, სასაცილო ჟირაფები ეხატა. ქოლგაც ჩამოუტანა, აი, ბოტები კი არ ჰქონდა. ისე შემეხვეწა, მაგაზე უარს როგორ ვეტყოდი, თან მეცინებოდა, რად უნდოდა ბოტები მაინცდამაინც სასექტემბროდ, მაგრამ უნდოდა.

მოკლედ, წავედი ბაზრობაზე, თან წიგნებისთვის გადანახული ფული არ წავიღე, არ დამეხარჯოს-მეთქი. ვუყიდე გოგონებს ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ და ფეხსაცმელების და ბოტების ძებნა დავიწყე. შევედი ერთ მაღაზიაში, მეორეში, მესამეში... ვეძებ და ვათვალიერებ, თან მეცინება ელენიკოზე, შემოდგომის წვიმების დროს თავისი პატარა ფეხები უნდა, რომ ბოტებს შეაფაროს, ჩაიცვას ჟირაფებიანი საწვიმარი, დაიჭიროს ქოლგა და იტყაპუნოს წყალში. რა ქნას, პატარაა. ვათვალიერებ გულმოდგინედ, თან მეც მიყვარს ბოტები, ბავშვობიდან ვგიჟდები და თითქოს ჩემი ბავშვობის სურვილიც უნდა ავისრულო.

ვათვალიერებ, ვათვალიერებ და უცებ რაღაცამ მომჭრა თვალი, შევხედე — წითელი ბოტებია, პატარა კი არა, დიდი, მე რომ მომერგება, ისეთი. ვუყურებ, ვუყურებ და თვალწინ მიდგას ჩემი სტუდენტობის მწარე მოგონება. მაშინ სად იყო ბოტები, რაღაცნაირად გამქრალი იყო, თითქოს წვიმა აღარ მოდიოდა ჩვენთან, თითქოს წვიმას დავიწყებული ჰყავდა ჩემი ქალაქი. საბჭოს

Cyan Magenta Yellow Black

მოედანზე რომ ჩაუხვევდი, მალაკნების ბაზართან იყო ერთი მაღაზია, ომის ვეტერანებისთვის თუ რაღაც ამის მსგავსი, ან ძონძები უნდა ჩაგებარებინა, ან ტალონი უნდა გქონოდა, ომის ვეტერანი კი ორივე შემთხვევაში უნდა ყოფილიყავი. აბა, მე რა ომის ვეტერანი ვიყავი და ავუვლიდი, ჩავუვლიდი, ჩავუვლიდი, ავუვლიდი... ხშირად იქით გზაც არ მქონდა, მაგრამ მაინც იმ გზით მივდიოდი, რომ თვალი შემევლო „განძისთვის“, რომელიც ჩემი არ იყო და მაინც ჩემი იყო.

რამ გადამრია და მანამდე, ჩემი სტუდენტობის დღიურში, ერთი წითელბოტებიანი გოგო გამოვიგონე, არ ვიცი, გახსოვს თუ არა, სულ მასზე ვწერდი, მის თავგადასავლებზე, მის მეგობრებზე, მის სიყვარულზე. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ის გოგო მე ვიყავი, დანარჩენი ყველაფერი კი გამოგონილი სამყარო, სადაც მინდოდა, ვყოფილიყავი. ჩემს დღიურებში ეცვა გოგოს წითელი ბოტები თეთრ, წითელ და ლურჯვარდება ფართხუნა კაბაზე... და უცებ, ზუსტად ისეთივე ბოტები დავინახე მაღაზიის ვიტრინაში: რაღაცნაირად გამჭვირვალე წითელი, თეთრ-ლურჯად კუბოკრული სარჩულით, გვერდით თავისივე გადასაჭერით, რომელზეც ვერცხლისფერი, პატარა აბზინდა ბზინავდა. ძვირი სულაც არ ღირდა, საქმე ის იყო, რომ ვერ ვყიდულობდი, ხან როგორ ვეხვეწე გამყიდველს, ხან ზედმეტი შევთავაზე და, შენ წარმოიდგინე, მაგაზეც კი უარი მითხრა.

მოკლედ, ასე ვიყავით — მე მინის აქეთ, ბოტები მინის იქით. ელაგა, ელაგა, კაციშვილი ზედ არ უყურებდა, ჩემ გარდა, ნეტავ, ვის რად ჭნდოდა წითელი ბოტები მაშინ. თუ მაინცდამაინც, რეზინის შავი ჩექმები ერჩივნათ.

აი, ეს გამახსენდა. დავფიქრდი. თუ ვიყიდდი, მაშინ გოგონები ფეხსაცმელების და ბოტების გარეშე მრჩებოდნენ, ვეღარ ვუყიდდი კარგახანს, სექტემბერი ხომ ისეთია, თავიდან ბოლომდე იყიდები... რაღა ბევრი გავაგრძელო და მაინც ვიყიდე ეს წითელი ბოტები. გული იმით დავიმშვიდე, რომ ხელფასის აღებისთანავე ორივესთვის ვიყიდდი ფეხსაცმელებს და ელენიკოსთვის დამატებით, სანატრელ ბოტებსაც.

მოვდივარ სახლში, თან მიხარია და თან სხეული მეწვის. როგორ, ეს რა გავაკეთე, ბავშვებს არ ვუყიდე და ჩემთვის ვიყიდე! ან რად მინდა, ახლა წითელი ბოტების ჩამცმელი ვარ?! ორიოდე თვის დაქვრივებული, ჩვენთან, ჩვენს სინამდვილეში და უცებ — წითელი ბოტები... თან იცი, რაზე ვგიჟდები? სადღაც გულის კუნჭულში, სულ ბროწეულები მინთია ამ ბოტებისგან, ერთი სული მაქვს, სახლში როდის მივალ და ჩავიცვამ. უნდა მივასწრო, სანამ ბავშვები მოვლენ სახლში-მეთქი და თითქმის მივრბივარ.

მივედი, დავყარე ყველაფერი, ამოვიღე პარკიდან დიდი სიფრთხილით წითელი ბოტები, ჯერ ხელი გადავუსვი მის ლაპლაპა ზედაპირს, მერე ფრთხილად ჩავდგი ფეხები. დავიხედე, დგანან, მიცინიან, სწორედ ისე, როგორც სტუდენტობის დროს ვიტრინიდან. ლამის მეუბნებიან, გამარჯობაო, როგორც იქნა, გესტუმრეთო. გავიარე, გამოვიარე, ვუყურებ ამ ჩემს ბოტებს, ხან გადავწევ თავს, ხან გადმოვწევ, სარკესთანაც მივედი, ჩავიხედე, თავი მომწონს, ისეთ ხასიათზე ვარ, სადაცაა გავფრინდები... გამოვიღე კარადიდან გრძელი ქვედატანი — ბოშური, ჭრელი და ჩავიცვი, გადავიცვი თეთრი მაქმანებიანი კოფთაც, თმაზე პატარა, ჭრელი თავშალი შემოვიჭირე ბოშასავით, მთელი ცხოვრება ხომ ეს სტილი მიყვარდა. აი, ისევ სტუდენტი ვარ, ისევ ის, რაც ვიყავი, არაფერი შეცვლილა... დავდივარ, ჭკუაზე არ ვარ.

ამ დროს მოვიდნენ ჩემი შვილები, კარზე რეკვა-კაკუნი ატეხეს. ფართხაფურთხით გავიხადე ბოტები, კარადაში დავმალე და კარი გავაღე. გოგონები პარკებს მიცვივდნენ გახარებულები, გული კი დასწყდათ, რომ ფეხსაცმელები ვერ ვუყიდე, განსაკუთრებით ბოტებზე დასწყდა გული ელენიკოს, მაგრამ არაფერი უთქვამთ, მომისხდნენ, ახალი ამბები ჩამოარაკრაკეს, ვიჭორავეთ, ჩამიგორდნენ კალთაში, ერთმანეთიც მოჩეჩეს... ვუყურებ მათ და თან მრცხვენია, თან გული კარადისკენ მიმირბის, საშინელი გრძნობაა. ღამით, როგორც კი დაიძინეს, ავდექი ჩუმად, გამოვაღე კარადა, ჩავიცვი ისევ ჩემი წითელი ბოტები და გავიარ-გამოვიარე ოთახში.

ვტკბებოდი, ვტკბებოდი და მიხაროდა. თან ვფიქრობდი, გავგიჟდი-მეთქი, რა მჭირდა, რა წითელი ბოტები ამიტყდა, რა მისი დარდი მქონდა, მეყიდა ბავშვებისთვის...

გაწვიმდა ერთხელ, საღამო იყო და წვიმამ დასცხო. სახლში შემოდგომის წვიმის სურნელი შემოვიდა, შემოჰყვა ყველა კადრი ყვითელ ფოთლებს, ყველა მოგონება, ყველა ჩემი წანწალი ქუჩებში ასეთ დროს, მეძახდა და გარეთ მიტყუებდა წვიმა წყალში ჩამდგარი ალქაჯივით. ფანჯრიდან გადავიხედე, ეზოში არავინ იყო, ვინ იქნებოდა ამ ღამით, ასეთ წვიმაში, დავჯექი, ავდექი, დავჯექი, ავდექი, ისევ ფანჯარას მივაწყდი, წვიმა ისევ მეძახდა, წვიმა კი არა, კარადიდან მიბაკუნებდნენ ჩემი წითელი ბოტები, წვიმაში გასვლა უნდოდათ, ტყაპატყუპი გუბეებში. აბა, ბოტებს რა უნდოდათ კარადაში ასეთ დროს...

კარადა ჩუმად გამოვაღე, ბავშვებს რომ არ გაღვიძებოდათ, გამოვიღე წითელი ბოტები, ჩავდგი ფეხები შიგნით, სამზარეულოში გავედი, ნაგავი ახალი გადაყრილი მქონდა, მაგრამ ჩავჩურთე ცელოფანში, რაც კი ხელში მომხვდა და გავედი გარეთ ვითომ ნაგვის გადასაყრელად. ხომ იცი, საკუთარი თავის მოტყუებაც რომ გინდა ხანდახან, ისე. მიდიან ჩემი წითელი ბოტები, მიტყაპუნებენ, მე კი ისევ იმავეს ვფიქრობ: დედა ვარ ახლა მე? რა დედა ვარ? ბავშვებს არ ვუყიდე და ჩემთვის ვიყიდე. გავბრაზდი ამ ბოტებზე და ფეხი გუბეში ჩავკარი გაბრაზებულმა. ბოტებმა კი, ეგრე არ უნდაო, სულ თავის ლაპლაპა სიწითლეზე შეისხეს წყალი, აჭრაჭუნდნენ, აკრაჭუნდნენ სიხარულისგან.

გონს დროზე მოვეგე, ნაგავი ბუნკერში ჩავყარე და გამოვიქეცი სახლისკენ, თითქოს ვიღაცა მომდევდა, სხეულზეც კი ცეცხლი მეკიდა. ერთი იმიტომ, რომ ბავშვებს მოვაკელი, თან ფინანსურად ძალიან მძიმედ ვიყავი მაშინ, მეორე იმიტომ, რომ მართლა ტრაგედიის მერე წითელ ბოტებში ვიწონებდი თავს და წითელი ბოტებით ვხარობდი, მრცხვენოდა რაღაცნაირად. მოკლედ, შევვარდი სახლში, ეგრე ანთებული, ალმურადენილი და ბოტებით შევრჩი გოგონებს — გაღვიძებოდათ. დავდექი თავჩახრილი, თითქოს დიდ დანაშაულზე წამასწრეს.

— რა ლამაზი ბოტებია, — წამოიძახა უცებ ელენიკომ და ამან სულ მომიღო ბოლო.

— როგორ გიხდება! — ახლა უფროსმა წამოიძახა.

— არის, რა, — ჩავიბურტყუნე, — რა ვიცი, რატომ ვიყიდე, რად მინდოდა, აბა, რაღა დროს ჩემი წითელი ბოტებია? არ უნდა მეყიდა, — ვუთხარი გულდაწყვეტილმა და ბოტებიდან ფეხი ამოვიღე.

— უნდა გეყიდა, — მითხრა ელენიკომ და მომეხვია, — იცი, როგორ გიხდება?

— რატომ არ უნდა გეყიდა?! მართლა ძალიან გიხდება, — აჰყვა თიკუნაც და ისიც მომეხვია.

— თქვენც გიყიდით მალე, — ვუთხარი დამორცხვებულმა.

— და მერე სამივემ ერთად ვიაროთ წითელი ბოტებით, რაა, ხო, დე? ხო ვიაროთ? წვიმაში და ისეც, ხო? აი, ტყეშიც წავიდეთ ბოტებით, ხო, დე? გარეთაც ხომ ჩაიცვამ? — აღარ ჩერდებოდა ელენიკო.

მერე ვიცინოდით და ოთახიდან ოთახში დავდიოდით. ხან მე მეცვა წითელი ბოტები, ხან უმცროსი დააფორთხიალებდა, ხან უფროსი, ხან ცალ-ცალი ეცვათ და კვდებოდნენ სიცილით. მე კი ვიდექი, თან მრცხვენოდა, თან ვფიქრობდი, რა ცოტა სჭირდებოდა ჩვენს პატარა ოჯახს სიხარულისთვის.

მეორე დღესვე წავედი და ორივეს ვუყიდე ბოტები, თანაც ორივეს — წითელი...

ვიჯექი, ხმის ამოუღებლად ვუსმენდი, რაღაც ძალიან უბრალო, მაგრამ ძალიან სევდიან ამბავს ყვებოდა და იმდენი ჭკუა კი მყოფნიდა, მივმხვდარიყავი, რომ ეს ამბავი მარტო წითელ ბოტებზე არ იყო.

— აი, ეს მინდოდა მომეყოლა შენთვის, — მითხრა თეონამ და გაჩუმდა.

— ბავშვებს ალბათ როგორ გაუხარდათ, — ვუთხარი და შევხედე.

— კი, ძალიან. თანაც, ბედად, იმ დღესვე გაწვიმდა. ჩაიცვეს წითელი ბოტები, ჩამაცვეს მეც, მომკიდეს ხელი და გარეთ გამიყვანეს ასე, წითელი ბოტებით და ბოშური სიჭრელით. და რომ იცოდე, რა ბედნიერები იყვნენ ამ მარტივი სიხარულით... ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნათ პატარა მხრებიდან, თითქოს მე ვიყავი პატარა, ეგენი — დიდები, გარშემო მივლიდნენ, ამაყად იყურებოდნენ აქეთ-იქით, როგორი დედა ჰყავდათ, ლამაზი, ფერადი, ჭრელი და არა — შავი და ნაცრისფერი, მათით ბედნიერი... ვერც გადმოვცემ, რა ეწერათ სახეებზე, რა ვარსკვლავები უციმციმებდათ.

იცი, რას მივხვდი? რა თქმა უნდა, ტკივილი ყოველთვის შენთან რჩება, შენს სულს ამღვრევს, მაგრამ უნდა შეძლო და თუნდაც სრულიად უწყინარი დღესასწაულებით ძალიან ღრმად, ფსკერზე დალექო. ეს შენთვისაც საჭიროა და იმათთვისაც, ვისაც უყვარხარ, ვისთვისაც აუცილებელია შენი კარგად ყოფნა, სასიცოცხლოდ აუცილებელი. მე ვიცი, არ არსებობს დიდი და პატარა ტკივილები. შენ გგონია, რომ ცხოვრება ყველაზე ცუდად სწორედ შენ მოგექცა, ვიღაცას ჰგონია, რომ იმას. მართალიცაა, მაგრამ ამით ახლობლები არ უნდა დააზარალო, მათ არაფერი დაუშავებიათ. არც ცოცხლად დამარხვის უფლება გაქვს.

ადექი ახლა, გადასწიე ფარდები, მზე შემოუშვი, მუსიკა ჩართე. მერე წამოდი, სალონში წავიდეთ, თმა შეიჭერი ან შეიღებე, ან ორივე ერთად, მერე კიდევ მოვიფიქროთ რამე, ოღონდ გამოდი, აუცილებლად გამოდი სახლიდან. აიძულე შენი თავი, რომ გაიღიმო და კარგად იყო.

— მერე ბექუნას ჩავაკითხავ, გაუხარდება, — ჩავიბურტყუნე.

უცებ მომენატრა ჩემი შვილი და ძალიან შემრცხვა იმის, რომ ჩემი აგრესია მასზე გადადიოდა. მე მგონი, დედაჩემმაც ამიტომ წაიყვანა, მე გამარიდა, ჩემს უაზრო ისტერიკებს გაარიდა. ღირდა კი?

— ძალიან კარგს იზამ, — მითხრა თეონამ და გამიღიმა.

თურმე როგორ მომნატრებია მისი თბილი და კეთილი ღიმილი.

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 17 აგვისტო 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-45 წლამდე ყველანაირი წონის ქალს. ვარ 33 წლის, უცოლო დასაქმებული მამაკაცი. 557987973

2. ვარ 29 წლის, სიმპათიური ბიჭი, უცოლო, გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. 599996021

3. ვარ 27/180/72, სასიამოვნო გარეგნობის, დასაქმებული ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ ქალს. 598990427

4. გავიცნობ 30-35 წლამდე, სასიამოვნო გარეგნობის ქალს, ვარ 45 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 557916761

5. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს კახეთიდან, გარეგნობას და ოჯახურ მდგომარეობას მნიშვნელობა არ აქვს. ვარ 19 წლის, კახეთიდან. 598175081

6. ვარ 34 წლის სიმპათიური მამაკაცი, თბილისში დასაქმებული, შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 45 წლამდე თბილისელ ქალს. 555175609

7. შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-დან 35 წლამდე ქალს. 557680016

8. ვარ 35 წლის უკომპლექსო მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-40 წლამდე შეძლებულ ქალს. 555723643

9. ვარ 30 წლის, სამეგობროდ გავიცნობ 25-დან 45 წლამდე ქალს. 555537031

10. შეხვედრებისთვის გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ, 35 წლამდე ქალს. ვარ სიმპათიური 39 წლის მამაკაცი ქუთაისიდან. დამიმესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 557994113. ჯონი

11. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს, ვარ 33 წლის. 558138191. ილო

12. გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, სასურველია იმერეთიდან. 558025049. გელა

13. ვარ სიმპათიური, თბილისელი, მყავს მანქანა, გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

14. ვარ 32 წლის, დასაქმებული, გავიცნობ 55-დან 65 წლამდე ქალს სამეგობროდ. 558570408. გიგი

15. სტუდენტობის ლამაზად გატარების მსურველმა ლამაზმა გოგონამ დამირეკოს. 551546936. გოგი

16. გავიცნობ სიმპათიურ ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის, ვარ 24 წლის, სპორტსმენი ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. 558112025. დათო

17. შეხვედრებისთვის გავიცნობ 22-35 წლამდე გოგოს დასავლეთიდან. 557199076

18. გავიცნობ 25-35 წლამდე ქალს. 557564597. გიო

19. ვარ 35/180/83, ევროპული სტილის, თბილისელი მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ შესაფერის, თბილისელ, არაშავგვრემან ქალს. 557317378

20. ვარ 33 წლის, სიმპათიური მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს. 558138191. ილო

21. გავიცნობ 22-წლამდე გოგოს, ვარ 24 წლის. 514121212

22.სამეგობროდ გავიცნობ დასაქმებულ ქალს, ვარ 37 წლის დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში. 551157248. გია

23. ვარ 54 წლის, თბილისელი, ოჯახიანი მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ ქალს. 558459635

24. ვარ 48 წლის, თბილისელი, სიმპათიური, მაღალი მამაკაცი, პროფესიით მასაჟისტი. შეხვედრებისთვის გავიცნობ მხოლოდ თბილისელ, არამსუქან და ლამაზ ქალს. 555415334

25. გავიცნობ 40-50 წლის, მაღალ, თხელი აღნაგობის, ლამაზ, ინტელიგენტ ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის. 557718745. გიორგი

26. ვარ 33 წლის მამაკაცი, სამეგობროდ და შეხვედრებისთვის გავიცნობ ბათუმში ან ახლოს მცხოვრებ, 40 წლამდე ქალს, თუნდაც პუტკუნას. 555231388

27. შეხვედრებისთვის გავიცნობ ზესტაფონთან ახლოს მცხოვრებ 25-35 წლამდე ლამაზ გოგოს. 598230850

28. ვარ 25/175, შავგვრემანი, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ თბილისელ 20-დან 40 წლამდე ქალს. 598107991. ლევანი

29. გავიცნობ თავისუფალ, ლამაზ და სულიერად მდიდარ ქალს. 555675264. ნიკა

30. ვარ 35/195/80, შავგვრემანი, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე თბილისში მარტო მცხოვრებ, სიმპათიურ ქალს. 595102101. იკა

31. ვარ 41 წლის, გავიცნობ წესიერ ქალს შეხვედრებისთვის. 555389338

32. შეხვედრებისთვის გავიცობ სასიამოვნო გარეგნობის 20-დან 35 წლამდე გოგოს. 557258502. ზურა

33. დამირეკოს ზედმეტად მგრძნობიარე გოგომ, ვინც გაურბის გათხოვებას. 551509254

34. ვარ 31 წლის ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი, გავიცნობ სიმპათიურ, ალერსიან ქალს შეხვედრებისთვის. 555148894

35. ვარ 32 წლის ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-50 წლამდე, თბილისელ ქალს. 557987973. გიორგი

36. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე იმერელ ქალს, თუნდაც ოჯახიანს, სერიოზულს და არამატყუარას. ვარ 36 წლის, დაოჯახებული მამაკაცი. 557451540

37. 40 წლის სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, ცოლს გაცილებული, სერიოზულად და უანგაროდ ვიმეგობრებ ასაკით უფროს ქალთან. 555639450

38. შეხვედრებისთვის გავიცნობ დასავლეთელ ქალს. 598700796. გიო

39. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ და ჭკვიან გოგოს. ვარ 29 წლის, თბილისელი ბიჭი, სამსახურით უზრუნველყოფილი, მყავს მანქანა. 558580039

40. გავიცნობ 60 წლამდე ქალს, ვისაც სურს ახალგაზრდა მამაკაცთან მეგობრობა, ვარ 25 წლის, თბილისელი ბიჭი. 557229258. გიო

41. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 23-დან 25 წლამდე პატიოსან გოგოს, ვარ 23 წლის ბიჭი. 557920407

42. გავიცნობ თბილისელ გოგოს, ვარ 26 წლის ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. 555005224

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 40 წელს გადაცილებული, თბილისელი, დასაოჯახებელი მამაკაცი, გავიცნობ თბილისთან ახლოს მცხოვრებ, 33 წლის ქალიშვილ და განათლებულ პიროვნებას, მაქვს ჩემი ბიზნესი. 558215498

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-დან 35 წლამდე გოგოს, თუნდაც განათხოვანს. ვარ სიმპათიური, ჩამოყალიბებული, ყველანაირად უზრუნველყოფილი ადამიანი, მაქვს ჩემი დიდი და შემოსავლიანი ბიზნესი. 558358777

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-33 წლამდე პატიოსან ქალს. ვარ 42 წლის. 557447093

4. ვარ 41 წლის, ვცხოვრობ მარტო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 41 წლამდე ლამაზ ქალს. 514453366. მამუკა

5. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ყავს და უნდა რომ ყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ქალს, ვარ 40 წლის, ეროვნებით აზერბაიჯანელი, მაქვს საკუთარი სახლი. 557343697

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, თბილისში ბინით უზრუნველყოფილ, 42 წლამდე ქალს, თუნდაც განათხოვარს, ოღონდ შვილების გარეშე. 557409121

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ქალს, აღმოსავლეთ საქართველოდან. 599778849

9. ვარ 48 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-40 წლამდე ქალიშვილს, ვისაც უნდა მყუდრო ოჯახი და შვილები. 591275695

10. ახალგაზრდა, თბილისელი, სიმპათიური, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობს თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ქალს, თუნდაც განათხოვარს, ვარ 37 წლის მამაკაცი, მაქვს სამსახური. 555593222

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ მორწმუნე, დასაქმებულ 45-55 წლამდე მამაკაცს. ვარ 40 წლის შვილიანი, სერიოზული ქალი. 593456802

2. ოჯახის შექმნის მიზნით, გავიცნობ ქალაქში მცხოვრებ 40-48 წლამდე, ფინანსურად უზრუნველყოფილ მამაკაცს. ვარ 41 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, უმაღლესი განათლებით, ქორწინებაში არასოდეს ვყოფილვარ. 599132555

3. ვარ 39 წლის, ლამაზი და პატიოსანი გოგო, არ ვარ განათხოვარი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბათუმელ ან თბილისელ საქმროს. 557691890. სოფო

4. ოჯახის შექმნის გავიცნობ მამაკაცს. 598789583. ანი

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე მამაკაცს. 555354360

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დამოუკიდებელ, უზრუნველყოფილ, 36-40 წლამდე თბილისელ მამაკაცს, რომელიც ცხოვრობს ცალკე. ვარ 37 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, დადებითი პიროვნება. 599734300. ნინი

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, ვეძებ მამაკაცს ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს 40-45 წლამდე და დასაქმებული. 555669069

მიყვარხარ, მენატრები

პაჩანიკა, როგორ ხარ? შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე, არ ინერვიულო, თავს გაუფრთხილდი და რაღაც იქნება ალბათ. მიყვარხარ და შენთან ვარ, ერთი სული მაქვს როდის განახავ, მენატრები. დამირეკე როცა შეძლებ, დანარჩენი პირადად. ყველა კარგადაა ჩვენს გარდა, მაგრამ ამასაც გადავიტან. მიყვარხარ უფრო მეტად. შენ? წრიპა

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ხიმე ან გაუმხიღოთ თქვენი გრძნობები ფუნინ „სარჯის" მეშვეობით, აჯიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარჯის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 17 აგვისტოს 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

გია ხუხაშვილის გადაცემა დაიხურა

„სეხიაღებს უფრო მაღალი ხეიტინგი ჰქონდა, ვიდრე „მთავარ ფაქტორს"



გია ხუხაშვილი: „გარკვეული პერიოდის შემდეგ დავბრუნდებით ეთერში და იმ დროისთვის მე აღბათ უკვე აღარ ვიქნები პოლიტიკაში... გამოვჩნდები ისეთ სიტუაციაში და იმ მომენტიდან, როცა აღარ მექნება ჰაიმე ოფიციალური სტატუსი და არ ვიქნები ასოციირებული პოლიტიკურ ელიტასთან, ანუ მაშინ, როცა ჩემზე ველარავინ იტყვის, რომ მე პოლიტიკურად მიეღებული პიროვნება ვარ".

პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის მრჩეველის, განუსაზღვრელი უფლებების მქონე პირად მონათლული გია ხუხაშვილის ტელეგადაცემა დაიხურა. „მთავარი ფაქტორი", რომელიც „იმედზე" გადიოდა და ყველაზე ხანგრძლივი (დაახლოებით 3 საათიანი) გადაცემა იყო ქართულ ტელესივრცეში, ცოტა ხანს ტაიმაუტს იღებს, სავარაუდოდ, არჩევნების დასრულებამდე.

„იმედის" მფლობელი ჰოლდინგის „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის" ხელმძღვანელის მოადგილე რევაზ საყვარელიშვილი ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება თავად პრემიერმინისტრის მრჩეველმა, გია ხუხაშვილმა მიიღო და არა — ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ.

— ბატონო რევაზ, მართალია, რომ გადაცემა „მთავარი ფაქტორი" დაიხურა?

— დიახ, ამ ეტაპზე ალბათ დაიხურა. ასე გადაწყდა.

— ვინ გადაწყვიტა?

— ეს იყო ტელეკომპანია „იმედის" და საქართველოს განვითარების ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი და ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული. მიზეზებზე საუბარი გამიჭირდება, მაგრამ ასეა.



— გადაცემის რეიტინგი იყო დაბალი?

— გადაცემა ძალიან ცოტა ხანს, 3-4 თვის განმავლობაში გადიოდა ეთერში და განსაკუთრებული რეიტინგის მოლოდინი არც გვქონდა. ეს იყო საკმაოდ დიდი ფორმატის, ექსპერიმენტული ტიპის ორად გაყოფილი გადაცემა.

— ამბობენ, რომ ვიდაცას გია ხუხაშვილი აღიზიანებდა და გადაცემის დახურვის მიზეზიც ეს იყო.

— გია ხუხაშვილი იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელია, რომელთან პარტნიორობითაც „იმედი" ამ პროექტს აკეთებდა. შესაბამისად, ეს არ ყოფილა სიურპრიზი. გადაცემა რომ დაიწყო, მაშინვე იყო ცნობილი, ვინ ამზადებდა ამ ყველაფერს. პროექტის შეჩერების გადაწყვეტილება თავად ამ ინსტიტუტმა მიიღო.

— ალბათ გარკვეული უთანხმოებაც იყო.

— არა, უთანხმოება ნამდვილად არ ყოფილა.

— თქვენ „მთავარი ფაქტორის" ერთ-ერთი თანაწამყვანი იყავით. რას ფიქრობთ თქვენ და სხვა წამყვანები ამ გადაცემის დახურვაზე?

— გადაცემაში ყოველთვის ერთი გუნდი არ იჯდა. თანაწამყვანები იცვლებოდნენ თემატურად. გადაცემის გაჩერებასა თუ გაგრძელებაზე ისინი გადაწყვეტილებას არ იღებდნენ.

— გია ხუხაშვილი თავიდან ამბობდა, რომ ამ პროექტით მთავრობას გარკვეულ რეკომენდაციებს მისცემდით და მათ შესრულებას აიძულებდით. ეს არ გამოგიყიდათ?

— ჩვენს გადაცემაში ბევრი რეკომენდაცია შემუშავდა და გაეგზავნათ კიდეც ადრესატებს. გადაცემის ბოლოს ხელისუფლების წარმომადგენელი ეთერში ერთვებოდა და ჩვენ მიერ მიღებულ რეკომენდაციას ეცნობოდა. რეკომენდაცია რეკომენდაციაა და მეტი არაფერი. მას ან გაითვალისწინებენ, ან — არა. როდის და როგორ გაითვალისწინებენ, ეგ უკვე სხვა საქმეა.

■

„მთავარი ფაქტორის" ერთ-ერთმა თანაწამყვანმა, ფსიქოლოგმა **რამაზ საყვარელიძემ** ჩვენგან გაიგო, რომ გადაცემა აღარ გაგრძელდება. ბატონ რამაზს გული აშკარად დასწყდა, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემაში შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურება არასოდეს აუღია.

— ბატონო რამაზ, რა მიზეზით დაიხურა „მთავარი ფაქტორი"?

— როგორც ვიცი, ზაფხულის გამო შეჩერდა გადაცემა.

— არც სექტემბრიდან გავა ეთერშიო, რევაზ საყვარელიშვილმა გკითხა.

— ესე იგი იმან ჩემზე მეტი იცის. მე ვიცოდი, რომ გაგრძელდებოდა. ბოლო გადაცემაში შევხვდი მათ ყველას. ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ არატიპურად გრძელი გადაცემა იყო, ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვიყავით. საღამოს 6 საათიდან ღამის 12-ის ნახევრამდე სტუდიაში გვიწევდა ყოფნა ამა თუ იმ მიზეზით. გადაცემა საინტერესო და დინამიკური გახლდათ. ჩვეულებრივი საუბრის რეჟიმში მიდიოდა დრო

ჰამაზ საყვარელიძე: „ხელფასის გარეშე მუშაობა" ძალიან ხბილად ნათქვამია, იმ სიშოქეზე დავდიოდი და ამაში ჩემს ფულს ვხარჯავდი, ჩემი მანქანით დავდიოდი. ასე რომ, ამ გადაცემაში ინვესტიცია მაქვს ჩადებული".

როგორც ეთერში, ისე ეთერის გარეთ. ეს ყველაფერი მონაწილეებისთვის ძალიან საინტერესო და ახლებური აღმოჩნდა.

— თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს გადაცემის დახურვის მიზეზი?

— შეიძლება ტელევიზიას სხვა გეგმები აქვს, სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. ალბათ ტელეკომპანიას თავისი პრობლემები აქვს და სხვა რაღაცას აპირებს. შესაძლოა ფინანსური პრობლემებიც არსებობს. როგორც ვიცი, არც ხუხაშვილს გამოუთქვამს ოდესმე უკმაყოფილება. პირიქით, გარკვეულ პერსპექტივებს ხედავდა და ამაზე ლაპარაკობდა კიდეც. მერე რა მოხდა, ვერ გეტყვით. კარგი იყო — ყავას ვსვამდით, ვჭორაობდით... სტუმრებსა და თანაწამყვანებს შორის ხანდახან დაძაბული სიტუაცია კი იქმნებოდა, მაგრამ ჩხუბი არასოდეს გვქონია. ესეც იყო ამ გადაცემის სპეციფიკა — რა ხარისხშიც უნდა ასულიყო დაძაბულობა, როგორი კარდინალურად განსხვავებული პოზი-

→75

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ღვთის ნება თვითონ გაცხადდება და არა დაძალებით ან კაცთა ჩარევით, ჩვენი ვალია, ვმადლობდეთ

ცხოვრება წმინდისა ლეონტისა, იერუსალიმის პატრიარქისა

ახლა შევეცდებით, გაგაცნოთ კიდევ ერთი ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენელი წმინდა ქალაქის, იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიიდან. ეს არის წმინდა მღვდელმთავარი ლეონტი, იერუსალიმის პატრიარქი. ის დაიბადა მე-12 საუკუნის დასაწყისში, პატარა უმშვენიერეს ქალაქ სტრომნიცაში, რომელსაც ადრე ტიბერიუპოლსაც უწოდებდნენ.

ქალაქის იმდროინდელი სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს იმპერატორ ტიბერიოსთან, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, თუმცა დანამდვილებით რამის მტკიცებას არც ვაპირებთ და არც მაინცდამაინც დიდ აუცილებლობას წარმოადგენს. ქალაქი სტრომნიცა დღეს საბერძნეთის გვერდით მდებარე პატარა სახელმწიფოს, მაკედონიის, კერძოდ კი, დედაქალაქ სკოპიის ახლოს მდებარეობს.

წმინდანს მდიდარი და თანაც ღვთისმოსავი მშობლები ჰყოლია. ჩვილი მოუნათლავთ და სახელად ლეონტი დაურქმევიათ. სიყრმიდანვე საკმაოდ შრომისმოყვარე და მიზანდასახული ლეონტი როდი ურიგდებოდა სირთულეებს, სხვა დანარჩენ საგნებთან ერთად უდიდესი ინტერესით ცდილობდა, საღვთო რჯულშიც გარკვეულიყო, ღვთისმსახურებებშიც დაუზარელად მონაწილეობდა. ამ ყოველივემ კი მასში გააცხოველა იმის გრძნობა, რომ ბოლოს და ბოლოს ღვთისმსახურებას, უფლის სამსახურს კიდევ უფრო სერიოზულად მოჰკიდებოდა.

ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდამ გადაჭრით უწყოდა, რომ მონაზონი იქნებოდა და ამით სათნო ეყოფოდა ღმერთს. როდესაც მამა გარდაეცვალა, ლეონტიმ დატოვა სამშობლო და გზას დაადგა. უცხო ქვეყანაში მისული ერთმა ღვთისნიერმა ქრისტიანმა შეიფარა და აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი წმინდანის მამის მეგობარი ყოფილა. როცა წმინდანმა მასპინძლის სახლში ხატების კუთხე და მათ წინ მდგარი კათედრა შენიშნა ზედ საეკლესიო ლიტერატურით, მაშინვე დაინტერესდა. ღამღამობით ხატებს ეკვედრებოდა, გზა ეჩვენებინათ, რომელიც მისი სულისთვის იქნებოდა სათნო. ხშირად იმეორებდა წინასწარმეტყველი დავითის წიგნიდან შემდეგ სიტყვებს: „მასმინე მე განთიად წყალობაი შენი, რამეთუ მე შენ გესავ; მაუწყე მე, უფალო, გზაი, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი“ (ფს. 142,8).

არ გასულა დიდი დრო და ჯერ კიდევ ყმაწვილი ლეონტი ღვთის განგებით კონსტანტინეპოლის გზას დაადგა. ქალაქისგან არცთუ ისე შორს ერთ-ერთ მონასტერში ითხოვა დარჩენა სამოღვაწეოდ. მონასტერი ღვთისმშობლის სახელობის იყო და ფტელიდიონის სახელით იყო ცნობილი. ახალგაზრდა ლეონტი მონაზვნის ანგელოზებრივი სქემით შეიმოსა ხსენებულ მონასტერში და უდიდესი მონდომებით შეუდგა უმკაცრეს მოღვაწეობას. მღვიძარება, ლოცვა და მარხვა ცხოვრების წესად გადაიქცა მისთვის.

მონასტერს სტუმრად ეწვია ტიმერიის ეპისკოპოსი, რომელმაც ნახა ახალგაზრდა მონაზვნის თავდადება და გადაწყვიტა, ლეონტის მეგობარი გამხდარიყო. თავის მხრივ, ლეონტიმაც გადაწყვიტა, წმინდა მღვდელმთავარს დამოწაფებოდა, გაანდო სულიერი ბრძოლების შესახებ, რომლებიც ხშირად აწუხებთ ბერ-მონაზვნებს მონასტრებში მკაცრი ცხოვრების დროს და ბევრი რჩევა-დარიგებაც მიიღო, რაც მომავალში გაითვალისწინა კიდეც.

ხშირად წმინდა მღვდელთმთავარი საკუთარ მოწაფეებს აგზავნიდა ახალგაზრდა ლეონტთან, რათა ენახათ მისი თავდადება და მოღვაწეობისადმი მოშურნეობა. ერთხელაც წმინდა მღვდელმთავრის კურთხევით გადაწყვიტა წმინდა ლეონტიმ, იერუსალიმს სწვეოდა და მისი სიწმინდეები მოელოცა. კონსტანტინეპოლიდან ჯერ კუნძულ პატმოსზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მონასტერში უნდა შეჩერებულიყო, მერე კუნძულ კვიპროსზე და ამის შემდეგ მოახერხებდა იერუსალიმში ჩასვლას.

ღვთის განგებით, კუნძულ პატმოსზე ღირს მამას წლობით მოუხდა დარჩენა და ცნობილ მონასტერში მოღვაწეობის გაგრძელება. ყველასთვის ფარულად ის აგრძელებდა მღვიძარებას, მარხვას, მოთმინებას და ლოცვას, რის გამოც ხშირად კედელზე თავით მიყუდებულს, ფეხზე მდგომს ეძინა. წინამძღვარიც ხშირად სცდიდა ღირსი მამის მოთმინებას და უბრალოებას, თავს ისე მაგრად მიარტყმევინებდა კედელზე, რომ სხვებს სურვილი ეკარგებოდათ, მსახურებისას ჩასძინებოდათ.

წინამძღვარი მოგვიანებით მიხვდა, რომ ღირს ლეონტს მცონარობით და სიზარმაცით როდი მოსდიოდა ეს ყოველივე, არამედ ეს იყო იმ უზომოდ მკაცრი მოსაგრეობის შედეგი, რომლითაც სხვებისგან ფარულად ცხოვრობდა მონასტერში. ყოველივე ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა წინამძღვრისთვის და გადაწყვიტა, ახალგაზრდა ლეონტი სამღვდელო ხარისხში აეყვანათ, რის შესახებაც აცნობა კიდეც წმინდა მამას.

წინამძღვარი იმედოვნებდა, რომ ამ შეთავაზებით გაახარებდა ლეონტს, პირიქით კი მოხდა: როცა ამ ყოველივეს შესახებ შეიტყო წმინდანმა, ძალიან დაღონდა. თუმცა არც ურჩობა იყო მისთვის მისაღები და სხვა გზა არ რჩებოდა, მისი ნების საწინააღმდეგოდ მოუწევდა შეგუება იმასთან, რომ დღეს თუ ხვალ სამღვდელო ხარისხს უნდა დათანხმებულიყო. ასეც მოხდა — ჯერ დიაკონი გახდა, მოგვიანებით მღვდელი, მაგრამ მის ფარულ მოღვაწეობაში არაფერი შეცვლილა. მიუხედავად მოვალეობების მომატებისა, მღვიძარება, ლოცვა და მარხვა არათუ არ შეუმცირებია, მოუმატა კიდეც.

ერთხელ, როცა მონასტრის დღესასწაულს მწუხრი უნდა შეესრულებინათ, ღირსი მამა თავის სენაკში გაეშურა, ვიდრე მწუხრი დაიწყება, ცოტას დავისვენებო, ამბობდა გულში. როცა დაწვა მოსასვენებლად, ღვთის საყვარელი მოწაფე იოანე გამოეცხადა იღუმენის სქემით შემოსილი და წინამძღვრის სტილით მიუგო, ღამით ყველაზე ადრე ამდგარიყო და მსხვერპლი შეეწირა, რადგან მერე ეფესოში უნდა გამგზავრებულიყო.

წმინდა მამა არ იყო მიჩვეული წინამძღვრის კურთხევის შეუსრულებლობას, მაგრამ მაინც შეეჭვდა, რადგან იმ დღეს რამდენჯერმე ნახა მონასტრის იღუმენი, მას არაფერი უთქვამს და ახლა ასე მოულოდნელად რატომ გადაწყვიტა ეფესოში გამგზავრებაო. მართლაც, ბრძანებისამებრ წამოდგა ყველაზე ადრე და ვიდრე ტარიგის გამზადებას შეუდგებოდა, იღუმენისგან გამოითხოვა ლოცვა-კურთხევა, რაზეც გაკვირვებულმა იღუმენმა მიუგო: „რა გემართება, ძმაო, ასე ადრე რატომ იწყებ ღვთისმსახურებას?“ ამაზე წმინდანმა უპასუხა: „თქვენ არ მაკურთხეთ, მამაო, რომ დღეს ადრიანად აღმესრულებინა საღმრთო ლიტურგია, რათა შემდგომში ეფესოში აპირებთ წასვლას?“.

იღუმენი მიხვდა, რომ ეს იყო წმინდა იოანე ღვთისმეტყველი და მახარებელი და უპასუხა წმინდანს: „მიდი, შვილო, და აღასრულე, როგორც გიბრძანა წმინდა მოციქულმა, რომელსაც სურს, ჩვენთან ერთად იდღესასწაულოს უხილავად და აგრეთვე მიუსწროს ეფესელებსაც დღესასწაულის მისალოცად“. ეს იყო გამოცხადება იოანესი, რომელიც იხილა წმინდა ლეონტიმ ცოცხლად და ხმაც გაიგონა მისი. ეს ყოველივე კი იყო იმის ნიშანი, თუ რაოდენ დიდ მოღვაწესთან ჰქონდათ საქმე.

ამ დღიდან მოყოლებული თითქმის დაკარგა სიმშვიდე ღირსმა მამამ, რადგან უამრავი ავადმყოფი და გაჭირვებული აკითხავდა. ინტერესს მოკლებული ნამდვილად არ იქნება, თუ რამდენიმე სასწაულსაც გავიხსენებთ წმინდა მამის ცხოვრებიდან. მონასტრის იღუმენი ისე ცუდად შეიქმნა, რომ საშველი არსაიდან ჩანდა, ყველა მწუხარებით ელოდა წინამძღვრის უცილობელ გარდაცვალებას. ეს რომ მამა ლეონტმა შეიტყო, გადაწყვიტა, მასთან მისულიყო, ნუგეში ეცა მისთვის.

სენაკის შესასვლელში წმინდანმა პატარა ყაბაყის ნაჭერი შენიშნა. წინამძღვრის სენაკში შესულმა ჯერ ჩვეულებისამებრ ლოცვა-კურთხევა გამოითხოვა და სთხოვა ღონემიხდილ და ძალაგამოლეულ მოძღვარს, ამ ყაბაყით დაელია წითელი ღვინო, რომელიც აუცილებლად მოარჩენდა. წინამძღვარს სიმწრით გაეღიმა და მიუგო წმინდანს, ჩემი სიცოცხლე წუთებსღა ითვლის და შენ კი მეუბნები, რომ გამოჯანმრთელდებიო. მაშინ თითქმის დააძალა წმინდანმა ღვინის დალევა და აუხსნა, რომ ღვთის განგებით ჯერ არ იყო ის დრო, მონასტერი დაეტოვებინა და ზეცათა სამკვიდრებელს შეერთებოდა.

წინამძღვარს არაფრით სურდა ღვინის დალევა და როცა ნახა, რომ წმინდა

Cyan Magenta Yellow Black

ლეონტი თავს არ ანებებდა, პირჯვარი გადაისახა და ღვინით სავსე ყაბაყი სულმოუთქმელად გამოსცალა. სასწაულმა რადი დააყოვნა, იმ წამსვე სრულიად ჯანმრთელი აქებდა და ადიდებდა ღმერთს, წმინდანს კი მოუწოდებდა, რომ დღეიდან მას უმადლოდა სიცოცხლეს, რომელიც მისი ლოცვით აჩუქა უფალმა. მიუგო წმინდა ლეონტის: „ძმაო, შენ ღირს-გყო უფალმა, იყო ჩვენი წინამძღვარი, მე კი მონასტერში რიგით წევრად მიგულე. გთხოვ, ნუ მეტყვი უარს და შენ უწინამძღვრე მონასტერს!“.

წმინდანს მსგავსი რამის გაგონებაც კი არ სურდა. მიუხედავად მთელი საძმოს მოთხოვნისა, ვერაფრით დაითანხმეს, მონასტრის იღუმენი გამხდარიყო. ბოლომდე, ვიდრე მშვიდობით არ მიიძინა წლების შემდეგ მონასტრის იღუმენმა, წმინდა ლეონტი მორჩილებით ასრულებდა ყველა მის დავალებას.

იყო ერთი ასეთი შემთხვევა. როცა წმინდა მამა კონსტანტინეპოლში მიემგზავრებოდა თავის მოწაფეებთან ანდრონიკესთან და ანტონთან ერთად, საშინელი ღელვა დაიწყო ზღვაზე ისეთი, რომ გზის გაგრძელება შეუძლებული იყო. გადაწყდა, ერთ პატარა კუნძულთან გაჩერებულიყვნენ და დალოდებოდნენ, ვიდრე არ გამოიდარებდა და შესაძლებელი გახდებოდა გზის გაგრძელება.

როცა კუნძულზე მცხოვრებმა, სახელად ფოკასმა შეიტყო, რომ მათ კუნძულზე იმყოფებოდა ღირსი ლეონტი, მივიდა და ხვეწნა-მუდარით დაითანხმა წმინდა მამა, სახლში გაჰყოლოდა და დაელოცა მათი ოჯახი. წმინდანი მართლაც ეწვია ფოკასს სახლში თავის მოწაფეებთან ანტონთან და ანდრონიკესთან ერთად, ხოლო როცა წამოსვლა დააპირეს, უშვილო ფოკასი და მისი მეუღლე ფეხებში ჩაუვარდნენ წმინდანს და სთხოვეს, ელოცა, რათა უფალს შვილი მიეცა მათთვის, რაზეც წმინდა მამამ უპასუხა: „მე ისეთივე ცოდვილი ვარ, როგორც თქვენ და ისეთივე შეწევნა მჭირდება ღვთისგან, როგორც თქვენ, თუმცა თქვენი სარწმუნოებისამებრ იყოს ნება ღვთისა და მოგეცეთ შვილიერება მომდევნო წელს“. მართლაც, მომდევნო წელს ფოკასს და მის ცოლს გოგონა შეეძინათ და უწოდეს სახელი ლეონდო წმინდა მამის პატივსაცემად.

ერთხელ მოგზაურობისას გემზე საშინლად გაცივდა წმინდანი, ყველამ გამოიგლოვა კიდეც, მონასტერში ყველაფერი მზად ჰქონდათ, რათა მიწისთვის მიებარებინათ წმინდა მამის სხეული, მაგრამ ღვთის განგებით მეთოთხმეტე დღეს ავადმყოფობიდან სრულიად განიკურნა, ვითარცა მკვდრეთით აღმდგარი. ძმები წუხდნენ, განსაკუთრებით კი მამა ანტონი, რომელსაც გულისთქმა ჰქონდა, ნუთუ რატომ არაფერს ამბობდა მამა ლეონტი მომავალ წინამძღვარზე მონასტრისთვის. მისი გამოკეთება ხომ შეუძლებელია, ნუთუ არაფერს მიგვანიშნებსო, ამბობდა თავისთვის გულში.

ბოლო დღეს, ვიდრე ფეხზე წამოდგებოდა, წმინდა ლეონტიმ დაუძახა მამა ანტონს და უთხრა: „ჭეშმარიტად, ანტონ, გეგონა, რომ ჩემი სიცოცხლე დასრულდა, თუმცა იესომ მე აღმადგინა. შენც ხედავ, რათა გამოჩნდეს კიდევ ერთხელ მისი უზომო კაცთმოყვარება და ის გამოცხადება, რომელიც მაჩუქა ცამეტი და ნახევარი წელი სიცოცხლე, კიდევ ზუსტად იმდენი, რამდენ ხანსაც ვიყავი ცუდად. ახლა კი წადი და გაიხარე, კიდევ თქვენ გვერდით ვიქნები ცამეტწელნახევარი“.

ამ ამბის შემდეგ მალე გახდა იერუსალიმის პატრიარქი, რომლის შესახებაც გვსურს ქვემოთ საუბარი. თუმცა, ვიდრე პატრიარქის ტახტს ჩაიბარებდა, მანამდე კრიტზე მოგზაურობის შესახებ გვინდა, მოგითხროთ. მონასტრისთვის აუცილებელი საკვებისა თუ სხვა საჭიროებისთვის წმინდა მამა კუნძულ კრიტზე გაემგზავრა მამა ანტონის თანხლებით. ადგილზე ისე არ მოეწყო მათი საქმე, როგორც ვარაუდობდნენ და დაბრუნდნენ პატმოსზე ისე, რომ მონასტრისთვის საკეთილდღეო მაინცდამაინც ვერაფერი მოიმუშაკეს, რადგან მონასტერს აქვს უამრავი ვალდებულება და საჭიროება.

ძმებმა სთხოვეს წმინდა მამას, იქნებ კონსტანტინეპოლში ჩასულიყო და მეფისთვის ეცნობებინა არსებული მდგომარეობა. წმინდა მამამ არაფერი უპასუხა ძმების შემოთავაზებას და უპასუხოდ დატოვა მათი წინადადება. სურდა, წმინდა სულის კარნახს დალოდებოდა და ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება კონსტანტინეპოლში გასამგზავრებლად. ძმებმა კიდევ შეახსენეს, წასულიყო და მეფე ენახა, ამაზე შეწუხებულმა წმინდანმა უპასუხა: „ჩამომშორდით და ნუ მაიძულებთ, რომ ჩავიდე კონსტანტინეპოლში, პატმოსი შეიძლება ვნახო მხოლოდ გავლითღა“.

წმინდა მამის სიტყვებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, თუ რას გულისხმობდა, მათთვის მთავარი იყო წმინდა მამის კონსტანტინეპოლში გამგზავრება. მართლაც, ჩავიდა წმინდანი იმპერიის დედაქალაქში და შეხვდა ბრძენ და გონიერ იმპერატორის მრჩეველს, რომელსაც ნაცნობობა აკავშირებდა მამა ლეონტისთან და მრჩეველი მას, როგორც ღვთის კაცს, უდიდეს პატივს სცემდა. მართლაც, მრჩეველმა მოახსენა მაშინდელ იმპერატორ ემანოელ კომნინოსს აღნიშნულის შესახებ: „ნახე, მეფეო, ღვთისგან კურთხეული ადამიანი, რომელიც გვეახლა სამეფოში. მწამს, რომ, როცა მოისურვებს, ღვთის კურთხევა მოგევლინება შენც და შენს სამეფოსაც“.

ისაუბრა მეფემ ღირს მამასთან და ისე მოიხიბლა მისი უბრალოებით, ზომიერებით, განსწავლულობით საღვთო წერილში, რომ მასში დაინახა სულიერი წინამძღოლი, ხალხის მწყემსი. იმ დროს გარდაცვლილი იყო რუსეთის მთავარეპისკოპოსი და მეფემ მოისურვა, მისი ადგილი დაეკავებინა მამა ლეონტის, რომელმაც სასტიკი უარი განაცხადა რუსეთის სულიერ წინამძღვრობაზე. მოგვიანებით კვიპროსის ეკლესიაც დაქვრივდა და მასზეც უარი განაცხადა წმინდანმა, რადგან თითქოს გრძნობდა, რომ თვით წმინდა სული გამოუცხადებდა, თუ ამის აუცილებლობა იქნებოდა.

სულიერი შვილები და მონასტრის წევრები მოუწოდებდნენ, დათანხმებულიყო ამ შეთავაზებას, მაგრამ ამაოდ. ერთხელ მამა ანტონმა შეჰბედა და უთხრა: „მოძღვარო, გვგონია, რომ არ გსურს ღვთის საჩუქარი არც შენთვის და არც ჩვენთვის, რომლებიც შენს კურთხევას ვასრულებთ და ვცხოვრობთ შენთან ერთად მონასტერში. როგორ შეგვისრულებს მეფე თხოვნას მონასტრისთვის, როცა შენ ორჯერ განუცხადე უარი შეთავაზებაზე?“ ამის გამგონე წმინდა ლეონტიმ უპასუხა მამა ანტონის: „რატომ მაიძულებთ, შვილებო, ჩავეძიო იმ საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ უფალს ძალუძს და უფალმა უწყის. ის არ იცის არც იმპერატორმა და არც თქვენ შეგწევთ ძალა მისი ცოდნის, შემეცნების“.

ქრისტესმიერი სიყვარულით
პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ალთქმის დადებას უნდა მოვერიდოთ და თუ მაინც დავდეთ, ყოველნაირად უნდა შევეცადოთ აღსრულებას“

მართლმადიდებლური ეკლესია მოწამეობრივია, ბევრს არ ძალუძს ამ მძიმე ჯვრის ტვირთვა. ჭეშმარიტების მხარეს მდგარნი საზოგადოებაში გამეფებულ სიცრუესთან მუდმივ ბრძოლაში არიან და ხშირად საზოგადოებისგანვე იდევნებიან, შერისხული რჩებიან, მაგრამ მათ უფალი არ ტოვებს. დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

მართლმადიდებლობა არ ცნობს კომპრომისს სიცრუესთან, თუნდაც ის სიკეთეს ემსახურებოდეს, არადა ბევრი სწორედ სიკეთის სახელით ცრუობს. ამ უდიდეს ცდომილებაზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— მამაო, ჩვენს დროში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდება ადამიანი სიცრუეს, ტყუილს. ეს თითქმის ცხოვრების წესად იქცა. მას რომ შეებრძოლო, ალბათ დიდი რწმენით უნდა იყო საკმარისი.

— ჩვენი ეკლესია მოწამეობრივია. სახარებისეული ცხრა ნეტარება — ეს მოწოდებაა მოწამეობისკენ. ამისკენ თანამედროვე ქრისტიანებიც მიდიოდნენ და მიდიან. სიცრუე ყოველდღიურ ცხოვრებაში მართლაც სულ უფრო და უფრო იჩენს თავს. უძლურს სიცრუით უნდა გაძლიერება, რევოლუციონერებს — თავიანთი უტოპიის ხორცშესხმა. ზოგიერთი ქრისტიანი მშვიდობის დამყარებასა და „ადამიანის ნუგეშისცემას“ ამითვე ვარაუდობს. სიცრუე ჭაობია, რომელიც კაცს თანდათანობით ითრევს. ის მცირედიდან იწყება. „სულ ცოტათი წავიეშმაკებ და კეთილ მიზანს მივაღწევ“, — ეუბნება საკუთარ თავს ადამიანი, შემდეგ კი უფრო და უფრო ღრმად იძირება მასში. ამიტომ სულიერმა მოძღვრებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მოეთხოვებათ არა ნუგეში, არამედ სიმართლე. ჭეშმარიტება უკეთ ანუგეშებს ადამიანს, ვიდრე ალერსიანი სიტყვები, რასაც იმედგაცრუება მოსდევს. სიმართლის მთქმელი კაცი დევნილია, მაგრამ ჩვენი ეკლესია მოწამეობის ეკლესიაა, რომელიც მსხვერპლს მოითხოვს.

უფალმა დიადი აღთქმა დაგვიდო: სიმართლეს მოწყურებულნი გაძღებიან. რითი? ღვთიური მადლით. „ნეტარ არიან წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. ცრუ ვერ იხილავს ღმერთს, ქრისტე მის გულში არ გასხივოსნდება, ყოველგვარი სიცრუე — ეს სატანის სამეფოს განვრცობაა როგორც დედამიწაზე,

→74

Cyan Magenta Yellow Black

■ მამა გიორგი

ასევე კაცის გულში. სიცრუის მიზეზი მრავლადაა: სიმხდალე, გამორჩენა, გულის არტკენის სურვილი და ა.შ. მაგრამ როგორი მიზეზიც უნდა იყოს, ამ დროს ღმერთს ივიწყებენ, რომელმაც თქვა: „მე ვარ ჭეშმარიტება, გზა და ცხოვრება“. სატანაზე გამარჯვება ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივი სიძლიერითაც შეეძლო, მაგრამ ის ჯვარს ეცვა არამარტო ჭეშმარიტების გამო, არამედ იმიტომაც, რომ თავადაა ჭეშმარიტება.

— რა არის სიცრუის სათავე, რის საფუძველზე ჩნდება ის?

— სიცრუის სათავე, როგორც აღვნიშნეთ, ბოროტისეულია, ეშმაკია, რაც მისი სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს. ბერძნულად „დიაბულოს“ ეწოდება და ცილისმწამებელს ნიშნავს. სიცრუეს წინ ღვთის დავიწყება უძღვის, დავიწყება იმისა, ვისაც მალაქია წინასწარმეტყველი „სიმართლის მზეს“ უწოდებს. სიცრუის გამომწვევი მიზეზი გარკვეულწილად ამპარტავნებაა. მატყუარა ადამიანს მხოლოდ თავისი თავის იმედი აქვს, მაგრამ დროთა განმავლობაში გრძნობს საკუთარ სისუსტეს. ამის გამო მასში ისადგურებს შიში და იმისათვის, რომ საზოგადოებაში თავი ძლიერად წარმოაჩინოს, ცრუობს, საკუთარ თავზე გმირობისა და გამორჩეულობის ამსახველ ტყუილ ისტორიებს თხზავს.

კაცობრიობის მტერმა ადამიანის ცოდვით დაცემისათვის თავდაპირველად ტყუილი გამოიყენა, მოატყუა ღვთის უცოდველი ქმნილებანი — პირველი ადამიანები, როდესაც უთხრა, რომ თუ სამოთხის აკრძალულ ნაყოფს შეჭამდნენ, კი არ მოკვდებოდნენ, ღმერთივით სიკეთისა და ბოროტების მცოდნენი იქნებოდნენ. მას შემდეგ ყველანი ვტყუვდებით და ხიბლში ვართ (ხიბლი — ეს არის არასწორი, მცდარი წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარი გამორჩეულობისა და სხვებისგან აღმატებულობის შეგრძნება). ეშმაკის ყველაზე მძლავრი იარაღი კაცობრიობაში ხიბლის მიმოთესვაა.

წმინდა ალექსი ბერი წერს: „ვეცადოთ, ძმანო, რაცა ვართ, ისე გამოვჩნდეთ. ნუ ვიცვლებით ფერუმარილითა. სწორედ ესრეთ არს ყოველი მაჩვენებლობა“. ამ სიტყვებში იგულისხმება ხვედრი იმ ადამიანებისა, რომლებიც შეპყრობილი არიან ტყუილით. ამ მოსაზრებას, გარკვეულწილად, ეხმიანება იოანე ღვთისმეტყველის ნათქვამი: „ზეციურ იერუსალიმში არა შევიდეს ყოველივე შეგინებული და მოქმედი ბოროტისაი და ტყუილისაი“. ხოლო დავით მეფსალმუნე წერს: „წარწყმიდენ შენ ყოველნი, რომელნი იტყვიან სიცრუესა“.

— ყველაზე მეტად როგორ ადამიანებს ეტანება ეშმაკი სიცრუის ცოდვით, ვის უფრო ხოლად ერევა?

— ტყუილი დამახასიათებელია განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანისთვის. როგორც წმიდა მამები ამბობენ, კაცობრივი დიდების სიყვარული შობს სიცრუეს. მეტწილად ხიბლისადმი მიდრეკილნი ცრუობენ. სიცრუე დამახასიათებელია ასევე არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანებისთვის. მათთვისაც, ვისაც ამპარტავნების გამო ღმერთი დავიწყებია და შიშსა და ძრწოლას მოუცავს.

ქრისტიანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჭეშმარიტების მსახურია. ვისთვისაც უცხო არ არის შეფარული, დახვეწილი ტყუილი, არ შეიძლება იწოდებოდეს ქრისტიანად. სამწუხაროდ, დღეს მართლაც საკმაოდ გავრცელებულია ცოდვის ეს სახეობა. სოციოლოგიური გამოკითხვებითა და ფსიქოლოგიური ტესტირებებით დადგენილია, რომ ადამიანთა უმრავლესობა დღეში ერთ ტყუილს მაინც ამბობს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩვენ, ერმა თუ ბერმა, დროზე უნდა დავრეკოთ ზარები, რათა სიცრუის ცოდვა ადამიანებს ჩვევად არ გვექცეს.

„ტყუილი დამახასიათებელია განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანისთვის. მეტწილად ხიბლისადმი მიდრეკილნი ცრუობენ. სიცრუე დამახასიათებელია ასევე არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანებისთვის. მათთვისაც, ვისაც ამპარტავნების გამო ღმერთი დავიწყებია და შიშსა და ძრწოლას მოუცავს“.

— თვალთმაქცობაც ხომ იგივე ცოდვაა, რაც ტყუილი?

— წმინდა მამები ამბობენ, თვალთმაქცობა სიცრუის დედაა. იგი გულწრფელობის საპირისპირო ფენომენია. თვალთმაქცობის შესახებ წერს წმინდა ილია მართალი თავის უკვდავ პოემაში „განდეგილი“. იგი ასე ახასიათებს ამ სოფელს: „სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა“. სწორედ თვალთმაქცებს მიმართავს უფალი იესო ქრისტე სახარებაში: „სანთელი გუამისაი არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენმე?“.

— სამწუხაროდ, ამა თუ იმ მიზეზით ხშირად ვერ ვასრულებთ მიცემულ დაპირებებს, რაც უნდა გულწრფელად გვსურდეს. ეს ცოდვად გვეთვლება?

— ქრისტიანი ყოველგვარი დაპირების გარეშე უნდა ცდილობდეს, წარემართოს სიკეთესა და სათნოებაში, მაგრამ თუ რამეს დაჰპირდება მოყვასს, აუცილებლად უნდა აღასრულოს დანაპირები, რათა პირის გამტეხად არ წარმოჩინდეს და მადლი ჰპოვოს უფლის თვალში. გარდა ამისა, დაპირება, როგორც წესი, ხდება სიტყვით, ამიტომ ვინც არ ასრულებს მოყვასისადმი მიცემულ სიტყვას, გარკვეულწილად, უქმადმეტყველების ცოდვაში ვარდება.

— და ალბათ გაცილებით მძიმე ცოდვაა, როცა ღვთის, ხატების წინაშე დადებულ აღთქმას ვარღვევთ.

— სიწმინდეებისა და ღვთის წინაშე დადებული აღთქმის გატეხა უმძიმესი ცოდვაა. ადამიანურ სისუსტეთა გათვალისწინებით, აღთქმის დადებას უნდა მოვერიდოთ და თუ მაინც დავდეთ, ყოველნაირად უნდა შევეცადოთ აღსრულებას, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ზოგი არასწორად ლოცულობს, არასწორად ითხოვს უფლისგან, ზოგიც არასწორ აღთქმას დებს ან არასწორად აღასრულებს მას. ამიტომ აღთქმის შესრულება მოძღვრის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ხდებოდეს.

— როგორ შევეწინააღმდეგოთ სიცრუეს?

— სიცრუეს ისევე, როგორც ნებისმიერ ცოდვას, გულწრფელი სინანულითა და აღსარებით უნდა დავაღწიოთ თავი — ხშირი ზიარებით, გააზრებული ლოცვით (როცა გულითა და გონებით ვუსმენთ ჩვენ მიერ აღვლენილ ლოცვებს), საკუთარი თავის იძულებით, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვებრძოლოთ ამ და სხვა ცოდვას. გარდა ამისა, აუცილებელია წმიდა წერილისა და სხვა საეკლესიო ლიტერატურის კითხვა. უფალი თავისი უსაზღვრო მოწყალების გამო უშურველად გვაძლევს სულიერ და ხორციელ სიკეთეებს, ამიტომ არ გვმართებს ამაო ზრუნვა და დრტვინვა მათი მოპოვებისთვის, რადგან ღმერთმა თავად უწყის, „რაი გვიხმს ჩვენ“ (რა გვჭირდება). სწორედ ამიტომ მადლობით უნდა ვიღებდეთ იმ ყოველივეს, რასაც კაცთმოყვარე უფალი ჩვენთვის გამოიმეტებს. როცა უფალი დაინახავს, რომ ვმადლობთ მას ყველაფრისთვის, მაშინ „მრავალსა ზედა დაგვადგენს ჩვენ“.

აი, რას ამბობს სიცრუის შესახებ არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი): „ჭეშმარიტების დაკარგვით ადამიანი სულიწმიდის მადლს კარგავს, სიცრუეს ეჩვევა და თვლის, რომ მის გარეშე ცხოვრება და მოქმედება შეუძლებელია. სიცრუე სიყვარულის დაკარგვაა. ვინც წრფელად უყვართ, იმას არ ატყუებენ: არ შეიძლება ორი გული სიცრუით იყოს შეერთებული... ის, ვინც ცრუობს, თავის გულში ადამიანისადმი სიყვარულს ანადგურებს. ყოველგვარ ტყუილში ძალადობაა, ცრუს თავისი გეგმის განხორციელება და ამით სხვაზე მბრძანებლობა სურს. თითოეული ადამიანი ცოდვილია. „ყოველი კაცი ცოდვილი არს“, — თქვა მეფსალმუნემ, მაგრამ აქ არ არის საუბარი ტყუილზე, როგორც ზნეობრივ სისუსტეზე, რომელსაც ყოველ ჯერზე საკუთარ დაცემად უნდა აღიქვამდეს ადამიანი. აქ იმ თვითკმაყოფილ სისუსტეზეა საუბარი, რომლის დროსაც უბედური ფიქრობს, რომ ამით სიკეთის გაკეთება და ღვთისათვის სათნოყოფა შეუძლია, რომელსაც მისი სინდისი შეგუებულია, სხვა სიტყვებით — საკუთარ სიცრუეზე, რომელიც მის სულს უკვე აღარ სტანჯავს. ქრისტიანი მორწმუნენი ის ხალხია, ვინც სიცრუეს ჭეშმარიტება არჩია, ვინც იმიტომ მოკვდა, რომ არ ინდომა სიცოცხლე, რომელსაც თვალთმაქცობისა და მცირეოდენი გარეგნული სიცრუის ფასად სთავაზობდნენ“.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

71 ციის ადამიანებიც უნდა მსხდარიყვნენ მაგიდასთან, მტრულ დამოკიდებულებაში არასოდეს გადადიოდა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდიაში დაწყებული კამათი სტუდიის გარეთაც გრძელდებოდა. კამათს ისეთი ინერცია ჰქონდა ხოლმე, რომ გაჩერება აღარ შეგვეძლო.

— რეკომენდაციები, რომელთა მიცემასაც მთავრობას დაპირდით თავიდან, რამდენად იქნა გათვალისწინებული?

— რეკომენდაციების მასშტაბი ანუ დრო, როცა ამას შედეგი უნდა გამოეღო, ისეთი შორი იყო, რომ ასეთ მცირე პერიოდში შედეგს ვერ დავინახავდით. რამდენიმე შეკამათება გვახსოვს მთავრობიდან, გადაცემის ბოლოს ერთვებოდნენ ხოლმე ეთერში. ვინც გვითხრა, ეგრე არ

გია ხუხაშვილი: „უფრო მეტად მინდოდა, რომ გადაცემა მიშა სააკაშვილს ენახა, თორემ ბატონმა ბიძინამ ისედაც იცის, ჩვენ რაზე რას ვფიქრობთ. მიშას რომ ენახა და რაღაც ესწავლა, ცუდი არ იქნებოდა, თუმცა მგონი, ვეღარაფერს ისწავლის".

არის საქმე, როგორც თქვენ გგონიათო, ერთ-ერთი კბილაშვილი იყო და ალბათ მართალიც გახლდათ იმ შემთხვევაში.

— ბატონო რამაზ, თქვენ ამ ნნის განმავლობაში სულ ხელფასის გარეშე მუშაობდით?

— დიახ. „ხელფასის გარეშე" ძალიან რბილად ნათქვამია, იმ სიშორეზე დავდიოდი და ამაში ჩემს ფულს ვხარჯავდი, ჩემი მანქანით დავდიოდი. ასე რომ, ამ გადაცემაში ინვესტიცია მაქვს ჩადებული.

■

გია ხუხაშვილი ამბობს, რომ „მთავარი ფაქტორი" რამდენიმე მიზეზის გამო დაიხურა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დაბრუნდება ეთერში — ეს მაშინ მოხდება, როცა მე პოლიტიკაში აღარ ვიქნებიო. ერთ-ერთი მიზეზი, რამაც პრემიერმინისტრის მრჩეველს გადაცემის შეჩერებისკენ უბიძგა, საზოგადოებრივი აზრია. ყოვლისშემძლედ მონათლულ ხუხაშვილს კრიტიკულად უყურებდნენ და არარეიტინგული შოუს ლობირებაში ადანაშაულებდნენ.

ასევე გავრცელდა ხმები, რომ ხუხაშვილსა და „იმედის" დამფუძნებლებს შორის გარკვეული დაპირისპირება მოხდა და ამიტომაც დაიხურა „მთავარი ფაქტორი". სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ ბატონ გიასთან საუბარი.

გია ხუხაშვილი:

— არა, რას ამბობთ, ჩვენ მეგობრები ვართ! ვმეგობრობ როგორც რევაზ საყევარიშვილთან, ისე ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან. გადაცემა კი არ დაიხურა, უბრალოდ აღარ გაგრძელდა პროექტი. სეზონის ბოლომდე გვქონდა კონტრაქტი და ამოიწურა. ვფიქრობთ, როგორ შეიძლება მისი შეცვლა ისე, რომ უფრო ახლოს იყოს სატელევიზიო პროდუქტთან. ფორმატი თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ ფაქტია, რომ დასახვეწია.

პროექტის შეჩერებას მეორე მიზეზიც ჰქონდა. ყველაფერი გაიგივებული იყო ჩემთან. როგორც იცით, მე მხოლოდ ერთ-ერთი თანამონაწილე ვიყავი, მაგრამ ასეთია ქართველი საზოგადოება — ყველაფერს რაღაც მიზეზს უძებნის. რადგან მე, როგორც პრემიერის მრჩეველი, ვმონაწილეობდი ამ გადაცემაში, ამის გამოც შევიკავეთ თავი პროექტის გაგრძელებისგან, რადგან საზოგადოების გარკვეული წრე ამასაც კრიტიკულად უდგებოდა.

დაუმსახურებლად ასოცირდებოდა ჩემთან ეს გადაცემა, მე არ ვიყავი მთავარი წამყვანი. მუდმივად 8 ადამიანი იჯდა ეთერში და არა მგონია, მსჯელობაში პრივილეგია მქონოდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოება მაინც ეჭვის თვალით უყურებდა, თუმცა მთავარი მიზეზი ეს არ იყო. რეკომენდაციის შემუშავება და შეთავაზება საკმაოდ შრომატევადი საქმეა. ამ ფორმატში ეს ამოცანა ისე ვერ სრულდებოდა, რომ გადაცემა რეიტინგულიც ყოფილიყო.

გარკვეული პერიოდის შემდეგ დავბრუნდებით ეთერში და იმ დროისთვის მე ალბათ უკვე აღარ ვიქნები პოლიტიკაში. ეს უკეთესი იქნება და გადაცემას წაადგება. არჩევნების შემდეგ გამოვაცხადე, რომ მხოლოდ ჩემს საქმიანობას დავუბრუნდებოდი, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. მე კი ვცდილობ, ყოველმხრივ ობიექტური ვიყო, მაგრამ ამაში საზოგადოების დარწმუნება რთულია.

ჩვენ ამ ფორმატით გარკვეული რეკომენდაციები მივეცით ხელისუფლებას და ვფიქრობ, ამან რაღაც როლი ითამაშა გარკვეულ სეგმენტზეც. ვერ ვიტყვი, რომ ეს სახალხო პროექტი იყო. არ იყო მასაზე გათვლილი გადაცემა, მაგრამ მოგეხსენებათ, ტელევიზია კომერციული დაწესებულებაა, რომელმაც რეიტინგზე უნდა იზრუნოს. სერიალებს უფრო ბევრი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე ასეთი ტიპის გადაცემებს და ალბათ ესეც იყო გადაცემის დახურვის ერთ-ერთი მიზეზი. უნდა ვიმსჯელოთ, როგორ გავხადოთ უფრო ყურებადი. მე კი გამოვჩნდები ისეთ სიტუაციაში და იმ მომენტიდან, როცა აღარ მექნება რაიმე ოფიციალური სტატუსი და არ ვიქნები ასოცირებული პოლიტიკურ ელიტასთან — ხელისუფლება იქნება ეს თუ ოპოზიცია. ანუ მაშინ, როცა ჩემზე ვეღარავინ იტყვის, რომ მე პოლიტიკურად მიუღებელი პიროვნება ვარ.

— და აღარც დავით კეზერაშვილის შემცვლელად და ბიზნესების მაკონტროლებლად აღგიქვამენ.

— ეს უკვე სასაცილო თემაა. სხვათა შორის, ამის გამო სარჩელი შევიტანე ლაშა ამირეჯიბის წინააღმდეგ, ის კი რატომღაც არ იბარებს ამ სარჩელს. კურიერებმა ვერ იპოვეს, რომ გადასცენ. სასამართლო მაინც გაიმართება და საინტერესოა, რას იტყვის ლაშა ამირეჯიბი, აბსოლუტურად დაუმსახურებლად რომ მომაყენა შეურაცხყოფა. ვფიქრობ, იმის პრეცედენტი შევქმნა, რომ ადამიანები ცილისწამებისთვის ისჯებოდნენ.

— ამბობდით, მინდა, ჩვენი გადაცემა ბიძინა ივანიშვილმა ნახოსო. ნახა?

— ალბათ ნახა. უფრო მეტად მინდოდა, რომ გადაცემა მიშა სააკაშვილს ენახა, თორემ ბატონმა ბიძინამ ისედაც იცის, ჩვენ რაზე რას ვფიქრობთ. მიშას რომ ენახა და რაღაც ესწავლა, ცუდი არ იქნებოდა, თუმცა მგონი, ვეღარაფერს ისწავლის.

— ბევრისთვის არც ბატონი ბიძინას ქცევა იყო მოსაწონი, როცა მან აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდზე პრეზიდენტს მიმართა.

— სააკაშვილის მხრიდან ეს იყო უსაქციელო ადამიანის გამოსვლა და თქვენ ხედავდით იქ მყოფთა რეაქციებს. რაც შეეხება პრემიერს, მან მიანიშნა სააკაშვილს, რომ რასაც ის აკეთებს, ფარსია. სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ამ ომთან დაკავშირებული ბევრი რამ მის კისერზეა. როცა ჭირისუფლად ასაღებს თავს, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნოა და სწორედ ამაზე იყო მინიშნება.

გია ხუხაშვილი: „ჰიმიჰმა მიანიშნა სააკაშვილს, რომ ჰასაც ის აკეთებს, ფარსია... მიხეილ სააკაშვილისთვის ეს ყაყაჩო უფრო სამკაულია და ყალბი გლოვა, ვიდრე ჩეალური მწუხარება. თუ ვინმეს იმაში ეპარება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, რისი სიმბოლოა ყაყაჩო... თავად სააკაშვილმა არ იცის, რატომ აქვს ეს ყაყაჩო გულზე დაბნეული".

სამწუხაროდ, მეც ასე მეჩვენება, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის ეს ყაყაჩო უფრო სამკაულია და ყალბი გლოვა, ვიდრე რეალური მწუხარება. სწორედ ამაზე იყო მინიშნება. თუ ვინმეს იმაში ეპარება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, რისი სიმბოლოა ყაყაჩო... თავად სააკაშვილმა არ იცის, რატომ აქვს ეს ყაყაჩო გულზე დაბნეული.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

← 6

ეკა: ძალიან კარგად მესმის ჩემი გმირის ნატაშკას ამჟამინდელი სიტუაცია. ჩემთვის ძნელი გასაგებია მისი წარსული, ცხოვრობდე ადამიანთან, რომელსაც შეუძლია გცემოს. ჩემთვის წარმოუდგენელია ნატაშკას ცხოვრების წესი, მაგრამ ასეთი ქალებიც ხომ არსებობენ. საქართველოში ბევრი ქალია, ვისთვისაც ტრაგედია არ არის, თუ მათ ქმარი სცემს.

„გიორგი: „ქმრის ინსტინქტები ყველა მამაკაცშია და, როცა ღრო მოვა, მაშინ წამოიწევს წინა პლანზე. ეთმანეთი ისეთები გავხდეთ, როგორიც ჩვენთვის იყო მისაღები. ახ ვიცი, როგორი ქმარი ვარ, აღბათ ისეთი, როგორთანაც ეკას უნდოდა ცხოვრება".

— ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, გიორგის რომ ხელი აეწია თქვენზე, რას მოიმოქმედებდით?

ეკა: რა თქმა უნდა, უსიტყვოდ წავიდოდი მისგან.

— გიორგი, რას ფიქრობთ ქალზე, რომელსაც ქმარი ცხენში ჰყავს და თვითონ ახალ სიყვარულს პოულობს? ნატაშკას მაყურებლები ძალიან კიცხავენ ასეთი საქციელის გამო.

გიორგი: სიტყვა ღალატთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ჩემთვის მიუღებელია. ღალატი მიუღებელია სიყვარულში, მეგობრობაში, საქმეში. თანავუგრძნობ ყველა იმ ქალს, რომელიც ნატაშკას ადგილზე აღმოჩენილა. ჩემში ასეთი ქმედებები აგრესიას არ იწვევს, მაგრამ გაგებაც მიჭირს. მხოლოდ თანაგრძნობა შემიძლია.

— როგორ მიიღეთ ნატაშკას და სანდრეკასას რომანი, დაეხმარეთ ეკას, რომ ამ სასიყვარულო ურთიერთობის თამაშში მეტი სითამამე გამოეჩინა?

გიორგი: ყოველთვის ვამბობთ, რომ ჩვენ მსახიობები ვართ და არ ვიცით, ხვალ და ზეგ როგორი სიყვარულის თამაში მოგვიწევს. რეალურად ეკას სასიყვარულო სცენების აღქმა ცოტა უხერხული იყო ჩემთვის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, უსიამოვნო შეგრძნება გვერდზე გადავდე და ყველანაირად შევუწყვე ხელი, რომ თავისი პერსონაჟის ემოციები გადმოეცა. კინო ხელოვნებაა და როცა ამ სფეროში მუშაობ, მორალური საკითხები გვერდზე უნდა გადადო. მე და ეკამ არჩევანი დიდი ხნის წინ გავაკეთეთ, როცა მსახიობები გავხდით, ამიტომ ჩახუტება იქნება, კოცნა თუ სასიყვარულო ხაზი, ამისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

ეკა: ყველაფერს ეტყობა, რომ ჩვენთან ეს თემა გახურებული არ არის. ეკრანზე ელემენტარული კოცნაც კი საზოგადოების განხილვის საგანი ხდება. ჩემთვის მთავარია, ყველაფერი ძალიან ორგანული იყოს. სანდრეკასასთან კოცნის ეპიზოდი იმიტომ კი არ გამიჭირდა, რომ ეს პროფესიულად რთული შესასრულებელი იყო, უბრალოდ ჩემთვის სიუჟეტურად ნაადრევი აღმოჩნდა მათი ურთიერთობის ამ ეტაპამდე მისვლა. ძალიან სწრაფად განვითარდა ყველაფერი და ცოტა გამიჭირდა ფეხის აყოლა. ნატაშკას და სანდრეკასას რომანის ბოლომდე აღქმა მე, როგორც ეკამ, სწრაფად ვერ შევძელი.

„ეკა: „მსმენია, ჯობია, ცოლ-ქმარმა ეთმანეთზე ყველაფერი არ იცოდნენო, მაგრამ მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ იმდენად დავუჯავშირდით ეთმანეთს, რომ გულნოფლად შემიძლია ვთქვა: გიორგისთან ეთი საიდუმლოც ჯი არ მაქვს".

ვიცოდი, რომ გიორგის ძალიან ჩვეულებრივი პროფესიული გაგება ექნებოდა ამ მომენტის მიმართ. პირიქით, მე ვეუბნებოდი, მიჭირს ამ ეპიზოდის თამაში და დამეხმარე-მეთქი. ჩემთვის ეს პირველი შემთხვევა იყო. აქამდე მხოლოდ ერთ მოკლემეტრაჟიან ფილმში მქონდა კოცნის სცენა და ისიც — ჩემს ქმართან.

— თქვენი პარტნიორი სანდრო კაკულიაც ნერვიულობდა ამ ეპიზოდზე?

ეკა: არა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი არ არის, ძალიან დამეხმარა, როცა გაიგო, რომ ვნერვიულობდი. გვერდში დამიდგა და სიტუაცია ძალიან გაამარტივა. ჩემი მთავარი ამოცანა იყო, ეს ეპიზოდი ბუნებრივი გამოსულიყო.

— ცნობილია, რომ მსახიობ ცოლ-ქმარს შორისაც არსებობს ფარული კონკურენცია. ეს თქვენც გეხებათ?

ეკა: ჩვენთან ისეთი პატარა სივრცეა პროფესიული ამბიციებისთვის, რომ შეუძლებელია, კონკურენციაზე სერიოზულად ილაპარაკო. თეატრები და სერიალებიც კი არ არიან ერთმანეთის კონკურენტები. მეც ძალიან მინდოდა, „ჩემი ცოლის დაქალებში" ვყოფილიყავი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამით გიორგისთვის კონკურენცია გამეწია. პირიქით, ძალიან მიხაროდა, რომ ჩემი ქმარი წარმატებულ პროექტში იყო. გულწრფელად მინდა, გიორგი ყველაზე წარმატებული მსახიობი მამაკაცი იყოს საქართველოში. ისე, გიორგი ძალიან დაიჩაგრა. ჩემი პერსონაჟი გააქტიურდა, გიორგის კი, დღეები ისე გადის, გადაღება არ აქვს ხოლმე. ამას სერიოზულად რომ შევხედოთ, შეიძლება გავგიჟდეთ.

— ეკა, თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ ერთმანეთთან ძალიან გახსნილები ხართ. ერთ მშვენიერ დღეს ქმარმა რომ გითხრათ, ღალატი, ერთდღიანი გატაცება მქონდაო, რა რეაქცია გექნებათ?

ეკა: ვერ წარმომიდგენია, რომ გიორგიმ შეიძლება მიღალატოს და ღმერთმა არ ქნას, ეს ოდესმე გავიგო! სამაგიეროდ, ბევრჯერ მიფიქრია, რომ შეიძლება გიორგიმ ერთ მშვენიერ დღეს თქვას, სხვა მომწონსო. ამ შემთხვევაში უფრო შემიძლია ადამიანის გაგება.

— ქმრის შენარჩუნებისთვის არ იბრძოლებთ?

ეკა: არა. ადამიანს თუ ჩემთან ყოფნა არ უნდა, მისი შენარჩუნებისთვის რატომ უნდა ვიბრძოლო? მე არ მინდა გიორგი, თუ მას ჩემთან ყოფნა არ უნდა. ის სხვა საკითხია, ამის შემდეგ როგორ დავიტანჯები და როგორ გადავიტან ამ ყველაფერს.

✓ ავთო ჩიტიძე

ინგა გრიგოლია ტოქ შოუს „ტვ 3"-ზე გააკეთებს

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია „ტვ 3"-ში იწყებს მუშაობას. ტელეკომპანიის ცნობით, ინგა გრიგოლიასა და ტელეარხის ხელმძღვანელობას შორის შეთანხმება უკვე შედგა, რომლის თანახმადაც, გრიგოლია ყოველდღიურ ტოქ შოუს მოამზადებს. გადაცემა კი პირდაპირ ეთერში სექტემბრიდან გავა.

ინგა გრიგოლიამ და მისმა გუნდმა საზოგადოებრივ მაუწყებელთან რამდენიმე დღის წინ გაწყვიტეს კონტრაქტი, სადაც თებერვლიდან მუშაობდნენ და სექტემბრიდან პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ტოქ შუთი აპირებდნენ გასვლას ეთერში. გრიგოლიას თქმით, არხის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მისი გადაცემა არჩევნების შემდეგ გაეშვა ეთერში. ტელეჟურნალისტი ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და „პირველი არხიდან" მისი წასვლის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

Cyan Magenta Yellow Black

ლაბირინთი

იპოვეთ ხუთი განსხვავება



გააფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

ფეტრის ყვავილი

ბაფხულის საღამოებში, ტელევიზორთან ან აივნებზე მოკალათებულებმა, შეგიძლიათ ასეთი მარტივი, მაგრამ ლამაზი ყვავილები დაამზადოთ. შემდეგ კი ამ ყვავილებით გააწყოთ ქუდები, ხელჩანთები, ქურთუკები, კაბები და ა.შ.

დაგჭირდებათ ნემსი, ძაფი, ერთი ცალი მძივი და ფეტრის ან სხვა რაიმე მაგარი ქსოვილის (მაგალითად, მაუდი) წვრილად დაჭრილი „ჩხირები“. უნდა გვქონდეს ორი (შეიძლება სამიც) განსხვავებული ფერის და სიგრძის ხუთ-ხუთი „ჩხირი“.

თავდაპირველად პატარა „ჩხირს“ ვრკალავთ და ერთმანეთთან ბოლოებით ვაკერებთ, მასვე მივაკერებთ სხვა ფერის საშუალო ზომის და შემდეგ დიდი ზომის „ჩხირს“ (მე-3 და მე-4 ფოტო). ასე გავამზადებთ ყვავილის ხუთ ფურცელს, რომლებსაც მივაკერებთ ერთმანეთს. ბოლოს კი ცენტრში დავაკერებთ მძივს.

სულ ესაა.

გისურვებთ ნარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე





წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

1	9	6	4	7	2	8	5	3
2	8	3	6	9	5	1	4	7
4	5	7	8	3	1	9	2	6
6	4	5	1	8	7	2	3	9
9	2	1	3	5	4	7	6	8
7	3	8	9	2	6	5	1	4
5	1	9	7	6	3	4	8	2
3	7	4	2	1	8	6	9	5
8	6	2	5	4	9	3	7	1

№ 2

6	2	8	3	1	9	4	5	7
7	4	3	5	6	2	9	1	8
5	9	1	4	7	8	6	3	2
8	3	7	6	4	5	2	9	1
2	6	4	1	9	3	7	8	5
1	5	9	8	2	7	3	4	6
3	1	6	7	5	4	8	2	9
9	8	5	2	3	6	1	7	4
4	7	2	9	8	1	5	6	3

ეს იცოდით?

❖ ქორწინება გულის შეტევის რისკს ზრდის როგორც ქალებში, ასევე კაცებში.

❖ გულის შეტევის დროს მამაკაცები ცდილობენ, სუფთა ჰაერზე გავიდნენ, ხოლო ქალები — საპირფარეშოში.

❖ კანადის მოსახლეობის 5%-მა არ იცის კანადის ჰიმნის პირველი 7 სიტყვა, სამაგიეროდ იციან ამერიკის ჰიმნის პირველი 9 სიტყვა, ხოლო ამერიკელების 7%-მა არ იცის ამერიკის ჰიმნის პირველი 9 სიტყვა და იციან კანადის ჰიმნის პირველი 7 სიტყვა.

❖ ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე სატელეფონო მავთულების სიგრძე 1.525.000.000 მილია.

❖ ოკლაჰომაში აკრძალულია და პატიმრობით ისჯება ძაღლების გაღიზიანება და სხვისი ჰამბურგერის ჩაკბეჩა.

❖ პერის ჰილტონი ყველაზე არაპოპულარულ ცნობილ სახედაა აღიარებული.

❖ მომღერალ ადელის ყოფილმა შეყვარებულმა, რომელიც ბისექსუალი გახლდათ, ადელი გეი მეგობრის გამო მიატოვა.

❖ თეთრი შოკოლადი სინამდვილეში საერთოდ არ შეიცავს შოკოლადს.

❖ მუსიკის მოსმენისას უფრო მეტი კალორია იწვება, ვიდრე ტელევიზორის ყურებისას.

❖ თუ მეგობრობა 7 წელზე მეტ ხანს გაძლებს, სავარაუდოდ, ის მთელი ცხოვრება გაგრძელდება.

❖ მეცნიერებს ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ, რა იწვევს დეჟა ვუს. ამის თაობაზე რამდენიმე თეორია არსებობს — ძველი სიზმრის გახსენება, ტვინის უმნიშვნელო დაზიანება, წინა ცხოვრების გამოცდილება.

❖ არსებობს მოვლენა, სახელწოდებით დერეალიზაცია, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიო არარეალურად გეჩვენება ან სიზმარში ყოფნის შეგრძნება გაქვს. ადამიანების 74%-ისთვის ეს განცდა ნაცნობია.

❖ მოგონებები ცოტათი იცვლება, როდესაც მათ ვიხსენებთ.

❖ თუ სიზმარში კონკრეტულ ადამიანს ვხედავთ, ეს ნიშნავს, რომ ის გვენატრება ან მასზე ბევრს ვფიქრობთ.

❖ 6-7 თვის ბავშვს შეუძლია, ერთდროულად ისუნთქოს და საკვებიც გადაყლაპოს. მოზრდილებს ამის გაკეთება არ შეუძლიათ.

❖ ჭკვიანი ადამიანის თმა უფრო მეტ თუთიასა და სპილენძს შეიცავს.

❖ რაც უფრო ცივა ოთახში, რომელშიც გძინავთ, მით უფრო მეტი ალბათობაა, ცუდი სიზმარი ნახოთ.

Cyan Magenta Yellow Black

ტეილორ კინი და ლედი გაგა

ლედი გაგა ცოლად ვამპირს მიჰყვება

ცნობილი მომღერალი ლედი გაგა და მსახიობი ტეილორ კინი, რომელიც პოპულარულ სერიალ „ვამპირის დღიურებში“ თამაშობს, მალე დაქორწინდებიან. ცერემონიალი პენსილვანიაში შედგება. ორწლიანი რომანის შემდეგ წყვილი ამ გადაწყვეტილებამდე მივიდა. მოსალოდნელი ქორწილის შესახებ ამბავი ლედი გაგას მეგობარმა დიჯეი სტალ ლაიტმა გაამჟღავნა. ცერემონიალის დეტალები ჯერ გასაიდუმლოებულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეპატაჟური მომღერლის ქორწილი მოკრძალებული და არასკანდალური იქნება.

წყვილმა ერთმანეთი 2011 წლის სექტემბერში ლედი გაგას კლიპის გადაღებებზე გაიცნო.

— ტეილორი ის ერთადერთია, რომელზეც ლედი გაგა მთელი ცხოვრება ოცნებობდა. როცა მათ ერთად ხედავ, სიყვარული აშკარაა, ისინი ერთმანეთისთვის არიან შექმნილი, — ამბობს ლედი გაგას მეგობარი.

69 წლის ჯორჯ ლუკასს გოგონა შეეძინა

ამერიკელ კინორეჟისორს, „ვარსკვლავური ომების“ ავტორს, 69 წლის ჯორჯ ლუკასს, გოგონა შეეძინა. მას შვილი კომპანია „დრიმ ვორქსის“ ხელმძღვანელმა, 44 წლის მელოდი ჰობსონმა გაუჩინა. ისინი რამდენიმე თვის წინ დაქორწინდნენ, გოგონას კი ევერესტი დაარქვეს. ეს პირველი ბიოლოგიური შვილია წყვილისთვის. მათ ოჯახში ლუკასის სამი აყვანილი ბავშვიც იზრდება.

ჯორჯ ლუკასი და მელოდი ჰობსონი

ლუკასისა და ჰობსონის ქორწილი კალიფორნიის რანჩოში შედგა, რომელსაც წყვილის მეგობრები ესწრებოდნენ. მათ ერთმანეთი 2006 წელს გაიცნეს. 69 წლის რეჟისორისათვის ეს მეორე ქორწინებაა. ლუკასი თანამედროვე კინოში ერთ-ერთ ყველაზე კომერციულ რეჟისორად ითვლება. გასულ წელს მან თავისი სტუდია „ლუკას ფილმი“ 2,5 მილიარდ დოლარად გაყიდა და ამ ჟესტით განაცხადა, რომ კინობიზნესიდან მიდის.

— მე კინობიზნესიდან მივდივარ! ეს ჩემი წარსულია. ახლა მხოლოდ ოჯახური ცხოვრება და პირადი ბედნიერება მაინტერესებს, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორმა.

პრინცი უილიამი შვილს ძიძის გარეშე უვლის

ბრიტანეთი და დანარჩენი მსოფლიო ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრის ამბებით ცხოვრობს. კეიტ მიდლტონი და პრინცი უილიამი მშობლის სტატუსით ტკბებიან. ტრადიციების თანახმად, პრინცი და მისი ახალშობილი ბიჭუნა კემბრიჯის ჰერცოგინიას, კეიტ მიდლტონის სახლში ცხოვრობენ.

კეიტი და უილიამი შვილთან ერთად

პატარა ჯორჯი მშობლების სიყვარულით ნამდვილად განებივრებულია. ახალგაზრდა მამამ უარი თქვა ძიძის აყვანაზე და გადაწყვიტა, რომ პატარას ის და მისი ცოლი დამოუკიდებლად გაზრდიან. ბრიტანეთის მომავალი მეფე უილიამი შვილის საფენების საყიდლად თავად დადის. სანამ მისი მეუღლე ბავშვს აჭმევს, ის მზად არის, სახლში ჭურჭელიც გარეცხოს.

ახალგაზრდა წყვილი მაქსიმალურად ცდილობს, ოჯახურ საკითხებში უცხო ადამიანები არ ჩარიონ. ისინი, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, უარს ამბობენ მოსამსახურეების სერვისზეც.

ახალდაბადებულ ჯორჯს მშობლები ერთი წუთითაც არ ტოვებენ მარტო. მაშინაც კი, როცა სძინავს, მის გვერდით ყოველთვის ან კეიტია, ან უილიამი.

დასტინ ჰოფმანმა კიბო დაამარცხა

75 წლის ოსკაროსანმა მსახიობმა დასტინ ჰოფმანმა ავთვისებიანი სიმსივნე დაამარცხა. ამის შესახებ განცხადება მსახიობის პრესმდივანმა გააკეთა. უცნობია, თუ რა სახის სიმსივნური დაავადება ჰქონდა ჰოფმანს, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მან რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა.

— სიმსივნე საწყის სტადიაზე აღმოაჩინეს და ქირურგიული ჩარევით წარმატებულად ამოკვეთეს. დასტინი ჯანმრთელადაა და მალე დაუბრუნდება ეკრანს, — აცხადებს მსახიობის პრესმდივანი.

კიბოსთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰოფმანის ცოლმა, ლიზა გოტსეგენმა. ის ყველგან თან ახლდა ქმარს — საავადმყოფოშიც და სარეაბილიტაციო პერიოდშიც. დასტინი და ლიზა 33 წელია ერთად ცხოვრობენ, მათ ოთხი შვილი ჰყავთ. ლიზა ძალიან გახარებულია, რომ მისმა ქმარმა დაავადებას სძლია. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, დასტინი მას შეჰპირდა, თუ ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენს სიყვარულზე ფილმს გადავიღებ და მთავარ როლს შენ გათამაშებო.

სელენა გომესი შოუბიზნესის ცხელი გოგონა გახდა

მაილი საირუსი

ივან სომერჰოლდერი

თინეიჯერების კერპები

ამერიკულმა ტელეკომპანია „ფოქსმა“ მუსიკის, კინოსა და ტელევიზიის სფეროში თინეიჯერების რჩეულები დააჯილდოვა. ცერემონიალი ლოს ანჯელესში ჩატარდა, სადაც მსოფლიო თინეიჯერების თითქმის ყველა საყვარელმა ადამიანმა მოიყარა თავი. საღამოს ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იყო მსახიობ ლილი მიშელის გამოსასვლელი სიტყვა, როდესაც ის ტელეკომედიის საუკეთესო მსახიობ ქალად დაასახელეს. 26 წლის მსახიობმა თავისი გამარჯვება კოლეგისა და მეგობრის, კორეი მონტეიტის ხსოვნას მიუძღვნა.

სელენა გომესი

თინეიჯერების რჩეულებს სერფინგის დაფის ფორმის პრიზები გადაეცათ. საუკეთესო მუსიკალურ ჯგუფად „ვან დაირექტი“ დასახელდა, საუკეთესო მსახიობ ქალად რებელ უილსონი, ხოლო მამაკაცად — სკილარ ასტინი. ყველაზე პოპულარულ პოპვარსკვლავად კი სელენა გომესი მიიჩნიეს. მან გაიმარჯვა ასევე ნომინაციაში შოუბიზნესის ყველაზე ცხელი გოგონა.

საუკეთესო მომღერალ ქალად დემი ლოვატო დასახელდა, ხოლო ფანტასტიკურ ჟანრში საუკეთესო მსახიობ მამაკაცად იენ სომერჰოლდერი, რომელიც ცნობილი გახდა სერიალით „ვამპირის დღიურები“. ყველაზე მოდურ და მისაბაძ გოგონად თინეიჯერებმა მაილი საირუსი დაასახელეს, ხოლო საუკეთესო რითმ ენდ ბლუზ შემსრულებლად ბრუნო მარსი.

საუკეთესო კინოვარსკვლავად სანდრა ბალოკი დასახელდა, ხოლო თინეიჯერების განსაკუთრებული პრიზი ეშტონ კატჩერს ხვდა წილად.

სილქნეტი
SILKNET
Silk SPORT HD
BARCLAYS
PREMIER LEAGUE
პრემიერ ლიგის თამაშები
ექსკლუზიურად Silk Sport HD-ზე
მხოლოდ სილქტივის აბონენტებისთვის, ინგლისის
პრემიერ ლიგა, 17 აგვისტოდან, ახალ არხზე!
Silk TV
Find us on: facebook
2 100 100
www.silknet.com
ინტერაქტიული ტელევიზია